

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

ბუსარიონ ზოიკე 60

საიუბილეო გამოცემა

დimitრი გეგენავასა და

სერგი ჯორბენაძის საერთო რედაქციით

თბილისი

2013

UDC(უაკ)347

ზ-777

„ბესარიონ ზოიძე 60“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის საი-
უბილო გამოცემა. კრებულში თავმოყრილია საინტერესო სტატიები სამართლის
სხვადასხვა დარგიდან, თუმცა მათ აერთიანებთ კვლევის საგანი – საკუთრება,
რომელიც სხვადასხვა ჭრილშია განხილული.

წიგნი საინტერესო იქნება როგორც იურისტების, ისე სხვა პროფესიის წარმო-
მადგენელთათვის, იგი, ასევე, დიდ დახმარებას გაუწევს სამართლის მიმართულების
სტუდენტებს სხვადასხვა პრობლემური საკითხის შესწავლასა და დამუშავებაში.

სამეცნიერო რედაქტორები: დიმიტრი გეგენავა
სერგი ჯორბენაძე

ტექნიკური რედაქცია: მაია ნასრაშვილი
მონიკა გაბუნია
თამარ გაღრანი
სიმონ ტაკაშვილი
თამარ ჭალიძე
ანა თოხაძე

ყდის დიზაინი: ზურა ბეჟაშვილი
დიმიტრი გეგენავა
ლიანა გიორგაძე
მონიკა გაბუნია

საგამომცემლო

„უზრუნველყოფა“ დავით ბატონიშვილის
სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა

© სტატიათა ავტორები, 2013

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013

ISBN 978-9941-0-6121-9

შინაარსი

Modus Spiritualis in Legibus5

დეპეტრე ეგნატაშვილი

პირობადებული საკუთრება ქართული და გერმანული სამართლის
მიხედვით (შედარებითი ანალიზი)..... 11

ეროსი ბზეკალავა

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის
სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის
მიხედვით38

სიმონ ტაკაშვილი

ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა უსაფუძვლო გამდიდრების
დროს..... 54

მონიკა გაბუნია

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია საფირმო სახელწოდებასთან
მიმართებით75

თამარ ხუბაშვილი

საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვისას
წარმოშობილი პრობლემები..... 95

მარიამ ლუბიანური

დივიდენდის გაუცემლობა, როგორც მცირე აქციონერის ქონებრივი
უფლების შეზღუდვა.....116

ანა თოხაძე

მაუწყებლის საკუთრება („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს
კანონის VII თავის ზოგადი ანალიზი)158

სერგი ჯორბენაძე

„დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონკვისტი საქართველოს პარლამენტის
წინააღმდეგ“ და კანონმდებლობის ნორმატიული შიშშილი 176

ავთანდილ გეგენავა, დიმიტრი გეგენავა

MODUS SPIRITUALIS IN LEGIBUS

(სულიერების გზა სამართალში)

2013 წლის 20 იანვარს საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის წვეულება გაიმართა, სადაც მიმდინარე წელიწადი პროფესორ ბესარიონ ზოიძის საიუბილეო წლად გამოვაცხადეთ. ახლა უკვე შემოდგომაა და თითქმის მიწურულ წელს თვალს რომ ვავლებ, ვხედავ, სასიხარულოდ, რამდენი სამეცნიერო ღონისძიება და შრომა მიექდვნა ჩვენთვის საპატივსაცემო ამ იუბილეს და თან, არამხოლოდ ჩვენი საზოგადოების მასშტაბით.

ჩვენი განსაკუთრებული სურვილი იყო, გამოვხმაურებოდით პროფესორ ზოიძის ასეთ მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ თარიღს. ეს სურვილი განპირობებულია იმ გამორჩეული, ერთდროულად როგორც პედაგოგიური, ისე მეგობრული მოპყრობით, რაც მას ჩვენთან აკავშირებს. მით უმეტეს, რომ ჩვენ გამონაკლისი კი არ ვართ, არამედ, პირიქით, პროფესორ ზოიძის სტუდენტთა რიცხვი ძალზე დიდია და ქართული იურიდიული პროფესიის უმცროსი, ჩვენი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობას შეადგენს.

წინამდებარე, შედარებით ემოციურ და ბელეტრისტულ სტილში გადაწყვეტილ წერილს სწორედ ამ თარიღს ვუძღვნი.

„პროფესიას“ ლათინური ძირი აქვს – “professus” წარმოდგება ზმნიდან “profiteri”, რაც აღიარებას, გამოთქმას, გამოხატვას, გამოცხადებას, სიმართლის თქმას ნიშნავს; პირველადი სახით ეს სიტყვა სწორედ თვითგამოვლენას გულისხმობს. ამა თუ იმ საქმიანობის პროფესიად მიჩნევას, თანამედროვე თვალსაზრისით, არაერთი საფეხური აქვს, მათ შორის, სპეციალური, საგანგებო სწავლება და განათლება, მის მიმდევართა ასეთივე ცალკეულ გაერთიანებად ჩამოყალიბების ნამდვილი უნარის აუცილებლობა და სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სანებართვო დადგენილებით მისი მოწესრიგება. პიროვნების საქმიანობა პროფესიად რომ იქნეს მიჩ-

ნული, საკმაოდ გართულებულია, მით უმეტეს, იმ თავდაპირველ თავისუფალ მნიშვნელობასთან შედარებით, რომელიც აღნიშნულ ლათინურ ლექსემას გააჩნია; და გართულებულია მოყოლებული თავად პროფესიის ათვისების დასაწყისიდანვე, რაც ამგვარი სტანდარტიზაციის სისტემის სულ ცოტა ფილოსოფიურ კრიტიკას იწვევს (მაგ., *პიერ ბურდიე*, განსხვავება: მსჯელობის სოციალური კრიტიკა, თბ., 2006). ამ მიდრეკილებას, განსაკუთრებით, ფორმალური ინსტიტუტების თვალთახედვიდან, ბოლო არ უჩანს, თუმცა ურთიერთობის საშუალებების აჩქარებამ ახალი მიმართულებანი უკვე წარმოშვა: პროფესიის დაუფლების სანიმუშოდ მიღებული დაწესებულებების მოსახსნამი სოციალურმა მედიამ მოირგო, რადგან, საერთოდაც, მისი შესაძლებლობები ამოუწურავია, გაქანება და დაფარვა კი – განუზომელი. მისი მეოხებით, საფიქრებელია, რომ ადამიანური საქმიანობა, შემოქმედება სტანდარტისაგან „დამოუკიდებლობას“ და „თავისუფლებას“ იბრუნებს, სანაცვლოდ კი, საზოგადოდ აღიარებული შეხედულებები უნივერსიტეტის „ყოვლისმომცველობზე“, სახელწიფოს „ხილულ ხელზე“ და სხვ., საკმაოდ საფუძვლიანად იცვლება.

ვფიქრობ, უნდა გამოჩნდეს რაღაც, რაც ტრადიციულ შეხედულებებს ტრადიციულ პროფესიებთან დაკავშირებით შეუნარჩუნებს ჩვეულ გავლენიანობას ანდა, სულ ცოტა, გარკვეულ დრომდე შეინახავს და გადაარჩენს მათ სრული გადაფასებისაგან. საამისო ძალები, ჩემი რწმენით, თავად ამ პროფესიების შიგნით, მათ გულში უნდა მოიძებნოს.

„ადამიანი უფლება“

დღეს პირველად მომიწია რეალურ სამართალშემოქმედებასთან შეხება და მასში მონაწილეობა, როდესაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ეკონომიკური ფუნქციის მქონე ნაწილის გადახედვის საკითხი წამოიჭრა. მე ვგულისხმობ კანონის მომზადებას. ამ თვალთახედვიდან მიმაჩნია, რომ რთულია, სამართლის ნამდვილი მოქმედება, “law in action”, ადამიანური შემოქმედების რომელიმე სხვა სფეროს შეადარო, არადა, თავისთავად, საინტერესოა სამართლის შედარება ასეთ სხვა სფეროებთან: არაერთი ნაშრომის მოძიება შეიძლება, მაგ., კინემატოგრაფიაში სამართლის შესახებ (ანდა სამართლისა და კინემატოგრაფიის შესახებ),

მუსიკაში სამართლის შესახებ (ანდა სამართლისა და მუსიკისა თუ მუსიკოლოგიის შესახებ), ლიტერატურაში სამართლის შესახებ (ანდა სამართლისა და ლიტერატურის შესახებ)... თუ სამეცნიერო სფეროებს მოვუბრუნდები, უნდა ვახსენო სამართალი და ეკონომიკა, სამართალი და სოციოლოგია, სამართალი და ფსიქოლოგია, სამართალი და ფილოსოფია. ამით ცხადია ის, რომ სამართალი არათუ განყენებული და მოწყვეტილი ფენომენია სხვა ადამიანური აქტივობებისაგან, არამედ მჭიდროდ უკავშირდება მათ.

ასეთი „მიჯაჭვულობის“ მიუხედავად, სამართალი თვითმყოფადობას ალბათ ვერავისა და ვერაფერს დაუთმობს. ის საკუთარი, ძალზე სპეციალური გზით მიდის და სიღრმისეულად ეუფლება ყველაფერს, რაც მასთან ასეთ განვითარებას მოაქვს. სამართლისათვის საკითხებისადმი ასეთი დეტალიზებული მიდგომა მისი ერთ-ერთი მთავარი მეთოდია და ვფიქრობ, სწორედ ამით უახლოვდება იგი მეცნიერებას. ცოტად გადარჭარბებდა რომ არ მეჩვენებოდეს, შემართებით ვიტყვი, რომ, ამ მხრივ, მისი ამგვარი ინტენსიურობისა და ექსტენსიურობის გამო, იგი სუპერმეცნიერებაა. თუმცა ჩემთვის კითხვად რჩება, თუ რა იქნება მისი, კანონისა და ამ კანონის შესახებ მეცნიერების როლი ხვალ და რას ჩავვლით მომავალში მის „ახალ“ უნივერსალურ ღირებულებად.

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ძირითადი წინაპარი, რომის სამართალი, ასწლეულების განმავლობაში შუასაუკუნეობრივ სამონასტრო ბიბლიოთეკებსა და სკრიპტორიუმებს აფარებდა თავს. მხოლოდ მაშინდა, როდესაც განმანათლებლის როლმა მონასტრების გალაგნებიდან გამოაღწია და უნივერსიტეტები წარმოშვა, კვლავ გაცოცხლდა „ლინგვა ლათინა ლევის“, გადაიწერა, განიმარტა და გლოსებით გაძლიერდა მივიწყებული კლასიკები. ასეთი სიცოცხლისუნარიანობა ალბათ შემუშრდებოდა ნებისმიერ საგანს, რაც ადამიანის გონებასა და ხელს ეკუთვნის, ასეთი ძლიერი სულიერება, ძლიერი სული გააცოცხლებდა ნებისმიერ მოკვდავს, კაცსა თუ აზრს.

სამართალი, როგორც აღმატებული სულიერი არსება, მისი უაღრესად ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ისწრაფვის უფრო მეტი და მეტი პრაგმატულობისაკენ. საინტერესოა, რომ ლათინურმა ენამ „პრაგმატიკუსი“ სწორედ სამართალსა და საქმონობაში დახელოვნებულს უწოდა. სამართალი და სამართლის ავტორი ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ პრაგმატული და არა დოგმატური, იდეალიზმზე, რწმენასა თუ შეხედულებებზე უპირობო დამოკიდებულების ნაცვლად, სხვადასხვა პრობლემას რაციონალისტურად და პრაქტიკულად მოჰკიდებოდნენ. მაგრამ დღეს სამართლის სკრუპულოზურმა პრაგმატულობამ გამოუცნობ ბურუსში გახვია სამართლის მთავარი ნიშანი, სულიერება და მგონია, თანამედროვეობის სამართალმცოდნეთაგან ძალზე ცოტა თუ უგდებს ყურს ტომეულებად დახვავებული სამართლის ქვეშ მიმდინარე ნაკადს, მთავარ ძარღვს – სულიერებას.

ქართულ სახელმწიფოს მის წინაშე არსებულ არცთუ ბევრ გზას შორის არჩევანის გაკეთება უწევს და მოუწევს. თუ ეს სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ მასაც სურს, საკუთარი სიტყვა უთხრას ადამიანს, ზოგადად, მაშინ ეს სათქმელიც მოსაფიქრებელია. სახელმწიფოს სიტყვა მე, უპირველესად, სწორედ სამართალში წარმომიდგენია; სახელმწიფოს სიტყვა სწორედ კანონი და სამართალია. სამართლის მცოდნენი კი ამ სიტყვის მადიებელნი არიან და მისი შემნახველნი. საგულისხმოდ მეჩვენება უთვალავი ისტორია, თქმულება და ამბავი, რომ წმინდა ნივთებს, წმინდა სიტყვებს ღირსეულნი ინახავენ საკუთარ გულებსა და მიუწვდომელ საცავებში. ისინი ქურუმებს ჰგვანან. ამის გამო ვფიქრობ, რომ გამორჩეულია ქურუმთა შეგირდობაც და გამორჩეულია ამ საგანბურთან ზიარებაც.

რამდენიმე ხნის წინ, როდესაც პროფესორ ზოიძის ესეების კრებულის „სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა“ საჯარო წარდგინება მოეწყო, აუდიტორიამ არაერთი მომხსენებლის საინტერესო სიტყვა მოისმინა. მაშინ როგორღაც მეგულისხმა მოხსენებების საერთო თემატური ხაზი – ესეების კრებული შეფასებულ იქნა, როგორც ჟანრულად სრულიად ახალი მიმართულება ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში;

პროფ. ოთარ გამყრელიძე, პროფ. თედო ნინიძე, პროფ. ლაშა ბრეგვაძე აღნიშნავენ გამოცემის უაღრესად ნოვატორულ ხასიათს მისი ფორმის, შინაარსისა და ფუნქციის თვალსაზრისით. მინდა, მოკრძალებით ვთქვა, მე წილად მხვდა გამორჩეული შესაძლებლობა, ჯერ კიდევ პუბლიკაციის მომზადების საფეხურზევე ესეებს ხელნაწერის სახით გავცნობოდი და დავკვირვებოდი ტექსტის თავისებურებებსა და ხასიათს. არ ვიცი, ველოდი თუ არა ამას, მაგრამ წიგნის პრეზენტაციისას მომხსენებელ პროფესორთა სათქმელი სრულად დაემთხვა ესეების მიერ ჩემში გამოწვეულ განწყობას. პროფ. ზოიძის ესეების დანიშნულება არა ცალკეული ნორმატიული მოცემულობის გარჩევა, არამედ მათ მიღმა საყოველთაო ღირებულებითი მიზეზების ძიებაა, მე კი ამას აღვიქვამ, როგორც ნივთიერისგან ტრანსცენდენტურსა და სულიერისკენ მსწრაფ სვლას.

კიდევ რამდენიმე გარემოება ჩემი სათქმელის მეტი სიცხადისათვის: ხელთ ჩამივარდა იტალიაში მოღვაწე ბრიტანელი მეცნიერის, მეთიუ ფორდის წიგნი „დესოციალიზაცია“ (Matthew Fforde, *Desocialisation: The Crisis of Post-Modernity*, 2009), რომლის იტალიურ გამოცემას მოპოვებული აქვს „კაპრი სან მიშელის“ ჯილდო (Premio Capri San Michele), მანამდე მიღებული იოანე პავლე მეორის მიერ 1991 წელს და კარდინალი რატცინგერის, შემდგომში ბენედიქტ მე-11-ის მიერ 1992 წელსა და 2009 წელს. წიგნის დასკვნითი ნაწილი „დაბრუნება სულთან?“ (A Return to the Soul?), რომელიც უაღრესად ავტორიტეტულ კათოლიკე საეკლესიო ინტელექტუალთა მოსაზრებებს იმორჩობს, წარმოაჩენს სულიერების ნაკლებობასა და ამით გამოწვეულ სირთულეებს დასავლურ პოსტმოდერნულ საზოგადოებაში და ამასთანავე, შეიცავს ძალზე მძაფრ მოწოდებას მათ მიმართ, ვისაც შეუძლია, ხმა აღიმადლოს სულიერების მხარდასაჭერად და დასაცავად, თუნდაც მცირე მასშტაბით, განსაკუთრებით, სეკულარულ სივრცეში.

მსგავსი ენთუზიაზმის კიდევ ერთი წიგნი, რომელსაც გავცეკანი, ეკუთვნის ასევე ბრიტანელ მკვლევარს, ჩარლზ ჯულიან ბიშკოს – „ესპანური და პროტუგალიური სამონასტრო ისტორია 600-1300“ (Charles Julian Bishko, *Spanish and Portuguese Monastic History 600-1300*, 1984). ნაშრომი მკვეთრი ხაზგასმაა სამონასტრო ინსტიტუციების არსებით დანიშნულებაზე იმ ხალხების კულტურული და, რაც

მთავარია, სულიერი მდგომარეობისა და მიღწევების მიმართ, რომლებიც პირენის ქედის სამხრეთით, იბერიის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ, და ამასთან, იმ გადამწვევტი როლის მტკიცებაა, რომელიც ამ დაწვე-ბულებებმა შეასრულეს ძალზე ხანგრძლივი, თითქმის რვასაუკუნოვანი „რეკონკისტას“ დროს იბერიული მიწების მუსლიმ დამპყრობელთაგან გათავისუფლებისათვის.

ვფიქრობ, რადგან ასე ვხედავ, რომ დღეს განსაკუთრებით უბრუნდება განვითარებული ინტელექტუალური აზრი ადამიანის სულიერებას. ამგვარი დაბრუნება სულიერებასთან თუ მისკენ შემობრუნება ცხადია და კიდევ უფრო მკაფიო გახდება ადამიანური შემოქმედების უფრო და უფრო მეტ სფეროში.

* * *

პროფ. ზოიძის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა, ჩემი შეფასებით, სწორედ სულიერებისკენ სწრაფვაა იურისპრუდენციაში. იმედი მაქვს, კადნიერებად არ ჩამეთვლება, რომ მე იმ, უკვე საკმაოდ გრძელ პროფესიულ მანძილს, რომელიც პროფ. ზოიძემ გამოიარა, ვუწოდებ სულიერების გზას სამართალში!

არ მაქვს არანაირი ვარაუდი, როგორ გაიგებს მკითხველი ჩემს სიტყვას. მხოლოდ კიდევ ერთხელ შევნიშნავ, რომ პროფ. ზოიძე ჩემი და ჩემი არაერთი მეოგბრის პედაგოგი და იქნებ, უფროსი მეგობარცაა. ამდენად, მინდა, ამ წერილსაც ის განწყობა გამოვატანო, როგორსაც ასეთი სასიამოვნო პიროვნება იმსახურებს მისი სტუდენტებისაგან.

პროფ. ბესარიონ ზოიძეს და ყველას, ვინც მასთან ჩვენს ურთიერთობას გულშემატკივრობს, უღრმეს მადლობას მოვახსენებ!

*თბილისი-სევილია
ოქტომბერი-ნოემბერი, 2013*

პირობადებული საკუთრება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი)

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი არის შედარებითი ანალიზი და პირობადებული საკუთრების სამართლებრივ ინსტიტუტს¹ ეხება. ტექსტი ზუთ ნაწილადაა დაყოფილი. შესავალისა და დასკვნითი ნაწილის გარდა, ის პირობადებული საკუთრების ისტორიულ ასპექტებს, გერმანული და ქართული პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტების დეტალურ აღწერასა და ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი პრობლემური საკითხების შესახებ მსჯელობას მოიცავს.

სტატიაში განიხილება რამდენიმე სადავო საკითხი და მათი გადაწყვეტის ალტერნატიული გზა. რადგან პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება გერმანულ სამართლებრივ რეალობაში მოხდა² და ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა, როგორც გერმანულ ლიტერატურაში, ისე სამართალწარმოების პროცესში პირობადებული საკუთრების შინაარსის დეტალურად განსაზღვრას ემსახურებოდა, პრობლემების ძიება გამიზნულად მხოლოდ ქართული პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში მოხდა.

ქართულ ლიტერატურაში ამ თემის ირგვლივ მასალა მწირია. პირობადებული საკუთრების ინსტიტუტის ფორმირებაში განმსაზღვრებელ როლს სასამართლო ასრულებს. სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლისა და მასთან დაკავშირებული სხვა მუხლების სამართლებრივი ინტერპრეტაცია, პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის კრედიტის უზრუნველყოფის ჰომოგენურ საშუალებად ჩამოყალიბება სწორედ სამო-

¹ სტატიაში შედარებულია ქართული და გერმანული „მარტივი“ პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტები, წარმოდგენილია მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

² Prutting H., Wegen G., Weinreich G., BGB Kommentar, 2006, 712.

სამართლო სამართლის ფარგლებში უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, საქართველოში ამ ინსტიტუტის ირგვლივ სასამართლო გადაწყვეტილებები მწირია. არსებული პრაქტიკის განხილვისას დავრწმუნდებით, რომ ამ ინსტიტუტის არსი არც უზენაესი სასამართლოსათვისაა ბოლომდე ცხადი. ამის თქმის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი სასამართლოს მიერ პირობადებული საკუთრების უძრავ ნივთებთან მიმართებით გამოყენების დასაშვებობის დადგენა გვაძლევს³.

ასევე, პრობლემატურია პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების, მისი წარმოშობისა და დუალისტური ხასიათის საკითხიც. გერმანული სამართლის მიხედვით, პირობადებული საკუთრებისას კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებების ერთი ქუდის ქვეშ მოქცევა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაკუთრებული წესებით განსაზღვრა ხდება. მაგალითად, გერმანული სამართლის მიხედვით, ივარაუდება, რომ პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას აბსტრაქტული, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე მუხლში ნორმატიზებული სანივთო გარიგება, კაუზალური გარიგებიდან გამომდინარე (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 433-ე მუხლი), მყიდველის მიერ ნივთის საფასურის სრულად გადახდის პირობითაა დადებული. შესაბამისად, მხარეებს შორის შეთანხმება საკუთრების უფლების განსაკუთრებული, 449-ე მუხლით ნებადართული პროცედურით მხარიდან მხარეზე გადასვლის შესახებ პირობითია⁴ და მასზე პირობითი გარიგებებისათვის დაწესებული ნორმები გამოიყენება. ამგვარად, ნასყიდობის კაუზალური გარიგება სამართლებრივ ძალას მისი დადების მომენტიდანვე იძენს და მონაწილეთათვის შესასრულებლად სავალდებულო ხდება.⁵ ქართული სამართალი სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებებს შორის განსხვავებას არ იცნობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანული 929-ე მუხლის შესაბამისი ნორმა არ მოიპოვება.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის განჩინება №ას-1300-1320-2011: „მართალია, აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფა [ივლისხმება პირობადებული საკუთრება] მხოლოდ მოძრავ ნივთებს ეხება, მაგრამ ამ შინაარსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება არც უძრავ ნივთებზე იკრძალება“.

⁴ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 172.

⁵ Schwa G., Prutting H., Sachenrecht, 29. Auflage, 2006, 178.

ამიტომ, საინტერესოა, ქართული სამართლის მიხედვით, ასეთი გარიგება მიიჩნევა თუ არა პირობითად და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 188-ე მუხლი, რომელიც გერმანული სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლის ანალოგია, ზომ არ გულისხმობს აბსტრაქციის პრინციპის არსებობას? ვფიქრობ, ამ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა შეუძლებელია. ნაშრომის ფარგლებში მკითხველი ამ თემის ირგვლივაც წააწყდება მსჯელობას.

საყურადღებოა პირობადებული საკუთრების როლი გაკოტრების საქმის წარმოების პროცესშიც. შეიძლება ითქვას, რომ გერმანულ სამართალში პირობადებულ საკუთრებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ კუთხით ენიჭება მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, სანივთო უფლების მქონე კრედიტორი გაკოტრების საქმის წარმოებისას განსაკუთრებულად დაცულია. სტატიაში პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი ამ კუთხითაცაა განხილული.

1. პირობადებული საკუთრების ცნება და ისტორიული ასპექტები

პირობადებული საკუთრების შინაარსი. როგორც ცნობილია, „ჩვეულებრივი“ ნასყიდობის ხელშეკრულებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი; BGB §433) წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება „ხელი ხელში“ (ერთდროულად; BGB §322) ხდება. ხშირად, განსაკუთრებით სამრეწველო პროცესის ფარგლებში, მხარეთა საერთო ინტერესის შესაბამისად, ერთ-ერთი მხარე სახელშეკრულებო ვალდებულების „წინასწარ შესრულებას“ თანხმდება. „წინასწარი შესრულების“ ინტერესი მხარეებს მაშინ უჩნდებათ, როდესაც ბაზარზე კონკურენცია დიდია და ისინი იბულებულნი არიან მინდინარე ეკონომიკურ პროცესებზე სათანადო რეაგირება მოახდინონ⁶. ამ შემთხვევაში გამყიდველი დანტერესებულია რაც შეიძლება სწრაფად და დაცულად გაასხვისოს ნივთი. მყიდველი კი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებ დროში და ფორმალურობის გარეშე ფასის გადახდის გადავადების პირობით შეიძინოს იგი. ხშირად მყიდველი საკუთარი ხელშეკრულებისმიერი ვალდებულების შესრულების საფუძვლიან ვარაუდს მიღებული ნივთის გადაშუშავების ან მესამე

⁶ Weber H., Kreditsicherungsrecht, 8. Auflage, 2006, 187.

პირზე მისი გასხვისების (გაგრძელებული პირობადებული საკუთრება) პროცესს უკავშირებს⁷.

პირობადებული საკუთრება ძირითადად სწორედ ასეთ შემთხვევებში გამოიყენება. ამ ინსტიტუტის პოპულარობას მისი საიმედოობა განაპირობებს. ევროპულ ბაზარზე ის კრედიტის (საგნობრივი კრედიტი) უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა და მისი გამოყენება, განსაკუთრებით სამრეწველო ბრუნვაში, უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პირობადებული საკუთრების განშტოებას დიდი პრაქტიკული გამოყენება გააჩნია. მათი ჩამოყალიბება ე.წ. „ტექნიკური პროგრესის“ თანმდევი მოვლენა გახლდათ. მოცემულ სტატიაში საუბარია მხოლოდ „მარტივ“ პირობადებულ საკუთრებაზე, რადგან, ვფიქრობ, მისი განშტოებების სრულად წარმოდგენა ამ ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია.

პირობადებული საკუთრება კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებაა, როგორც გერმანული, ისე ქართული სამართლის მიხედვით. პირობადებული საკუთრების გამოყენება ძირითადად ინდუსტრიულ და სავაჭრო ურთიერთობებში ხდება. ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებში კრედიტის უზრუნველყოფის ეს საშუალება მოთხოვნის უზრუნველყოფის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა.⁸ ამ შემთხვევაში საუბარი არაა ფულად კრედიტზე. მეიდველს მოძრავი ნივთი მფლობელობაში გადაეცემა და იგი იძენს უფლებას, რომ ეს ნივთი გულისხმიერების, როგორც საკანონმდებლო მოთხოვნის, ისე სახელშეკრულებო დათქმის გათვალისწინებით, საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენოს. შესაბამისად, გამყიდველი ამ ნივთზე საკუთრების უფლებას იტოვებს. ამით, დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საფასურის მოთხოვნის უფლების საწინვითოსამართლებრივად უზრუნველყოფა ხდება. ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის ხელშეკრულების გამოყენება მხოლოდ მოძრავ ნივთებთან მიმართებითაა შესაძლებელი⁹.

⁷ Reinicke M., Tiedtke K., Kreditsicherung, 5. Auflage, 2006, 289.

⁸ Prutting H., Wegen G., Weinreich G., BGB Kommentar, 2006, 711.

⁹ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 166.

პირობადებული საკუთრება, ერთი მხრივ, ფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც მყიდველის მიერ საფასურის სრულად გადახდის შემდეგ კი არ ქრება, არამედ მყიდველის ხელში ნივთზე აბსოლუტურ უფლებად განხორციელდება. მეორე მხრივ, იგი მყიდველისთვისაც დამატებითი მოტივაციაა, ბოლომდე შეასრულოს თავისი ვალდებულება. პირობადებულ საკუთრებას აქცესორული ხასიათი არ გააჩნია. აქ პირობის ქვეშ დაყენებული საკუთრება სრულ საკუთრებად გარდაიქმნება. პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ბუნების დასადგენად აუცილებელია მისი სკ-ის 186-ე მუხლთან შესაბამისობის განსაზღვრა.

სკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად ორი აბსტრაქტული წინაპირობის არსებობაა აუცილებელი: ნაძვეილი უფლების არსებობა და ნივთის მფლობელობაში გადაცემა. ამ აბსტრაქტული წინაპირობების არსებობისას საკუთრება მოძრავ ნივთზე უპირობოდ გადადის სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამის მონაწილეზე. ამიტომაც, განვადებით ნასყიდობისას (სკ-ის 505-ე მუხლი), რაღაც განვადებით ნასყიდობა მხოლოდ ნასყიდობის ერთ-ერთი სახეა, სკ-ის 186-ე მუხლის ორივე აბსტრაქტული წინაპირობა სრულდება და მყიდველს საკუთრება მოძრავ ნივთზე მისი მფლობელობაში მიღებასთან ერთად წარმოეშობა.

განვადებით ნასყიდობისაგან განსხვავებით, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას მყიდველს საკუთრება მხოლოდ საფასურის სრულად გადახდის შემდეგ უჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ის ნივთის პირდაპირი მფლობელია და მისი გამოყენების, გემანული სამართლის მიხედვით კი, მისი გასხვისების ან გადამუშავების უფლებასაც აქვს, საფასურის სრულად გადახდამდე მესაკუთრედ გამყიდველი რჩება. შეიძლება ითქვას, რომ სკ-ის 188-ე მუხლი საკუთრების უფლების მხარიდან მხარეზე გადასვლის სპეციალურ, სკ-ის 186-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესს ადგენს და ამით ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს შესაძლებლობას უტოვებს საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ფარგლებში საკუთრების გადასვლის ამგვარ ფორმაზე შეთანხმდნენ.

სკ-ის 188-ე მუხლის საფუძველის შესაბამისად, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას კრედიტორის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების

ობიექტზე საკუთრების უფლების დატოვებით მისი მოთხოვნის სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფა ხდება.¹⁰ პირობადებული საკუთრებით ნასყიდობა მხოლოდ მოძრავი ნივთებზე განკარგვის დროსაა შესაძლებელი და მისი ბუნება არააქცესორულია¹¹.

ასევე, საინტერესოა პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისა და პირობითი გარიგებების შესახებ ნორმების ურთიერთკავშირი, რასაც პირობადებული საკუთრებისა და განვადებით ნასყიდობის ერთმანეთთან შედარების კუთხით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

პირობადებული საკუთრების ისტორიული ასპექტები. პირობადებულ საკუთრებას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. სადავოა საკითხი, იღებს თუ არა პირობადებული საკუთრება თავის საწყისს რომის სამართალში.

მკვლევართა აზრით, პირობადებული საკუთრება უკვე XII ტაბულის კანონებშია (ქრ.შ.-მდე მე-5 საუკუნე) მოხსენიებული. სამართლის ამ ინსტიტუტის ნიშნებს პავლუსის (ქრ.შ.-დან მე-3 საუკუნე), ულპიანეს (ქრ.შ.-დან მე-3 საუკუნე) და მე-6 საუკუნით დათარიღებულ იუსტინიანეს კოდიფიკაციებშიც ვხვდებით.¹²

ამ წერილობითი წყაროების მიხედვით, გამყიდველის პოზიცია გამყარებული იყო არამხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებით, არამედ კანონის ნორმით, რომელიც გამყიდველის საკუთრების უფლებას მანამდე აცხადებდა დაცულად, სანამ მიყიდველი სრულად არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას ან არ მოახდენდა ამ ვალდებულების უზრუნველყოფას¹³. მხარეები ნასყიდობის ხელშეკრულებას პოზიტიური პირობის გარეშე დებდნენ. ზემოხსენებული წესი მოქმედებას იწყებდა, როდესაც მხარეები ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის გამო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას სადაოდ ხდიდნენ. ამ შემთხვევაში მატერიალური სამართლის გამოყენება ხდებოდა, რომლის ძალითაც, საკუთრების უფლება ნივთზე გამყიდველის მხარეს ივარაუდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკუთრების უფლების

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² Maass M.J., Die Geschichte des Eigentumsvorbehaltes, 2003, 34.

¹³ იქვე, 36.

შესახებ შეთანხმება ცალკე აბსტრაქტული შეთანხმების სახით, უშუალოდ ხელშეკრულებაში არ მიიღწეოდა¹⁴.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, პირობადებული საკუთრება, როგორც „საგნობრივი კრედიტის“ უზრუნველყოფის საშუალება, რომელსა და სამართალში არ არსებობდა. საკუთრების უფლების დატოვება გამყიდველის მხარეს უფრო მეტად სამართლის ნორმის საფუძველზე ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მყიდველი თავის ვალდებულებას ნივთის საფასურის გადახდის შესახებ არ შეასრულებდა.

პირველი წყარო, რომელიც ხელშეკრულების გზით შეთანხმებას საკუთრების განსაზღვრული პირობით გადასვლას ადასტურებს, XIV-XV საუკუნეებით თარიღდება. თავდაპირველად, მსგავსი ხელშეკრულება მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობისას გამოიყენებოდა და მისი პრაქტიკული გამოყენება XIX საუკუნემდე თითქმის არ ხდებოდა¹⁵. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ იმ პერიოდში „მიწა“ საბაზრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ობიექტი არ გახლდათ. უმეტესი „მიწა“ ნათესაური კლანების ან სახელმწიფოს საკუთრებაში იყო მოქცეული. ეს გარემოება მიწით ვაჭრობის კომერციალიზაციას სერიოზულად აბრკოლებდა¹⁶.

პირობადებული საკუთრების საჭიროება არც მცირე და საშუალო მოვაჭრეებისათვის არსებობდა, რადგან „ხელზე ვაჭრობა“ საქონლის ბრუნვის აბსოლუტურად გაბატონებულ პრინციპს წარმოადგენდა.

სიტუაცია ადრეული კაპიტალიზმის ეპოქაში შეიცვალა. მიწა საჯარო „ხელიდან“ სულ უფრო მეტად თავისუფლდებოდა და შესაბამისად, საბაზრო ბრუნვის ობიექტი ხდებოდა.

პირობადებული საკუთრების მნიშვნელობის ზრდასა და მისი კრედიტის უზრუნველყოფის ინსტრუქტურად ჩამოყალიბებას სასაქონლო ბრუნვისა და მყიდველთა რიცხვის ზრდამ ხელი შეუწყო. ფულადი კრედიტის გვერდით, რომლის უზრუნველყოფის მთავარი საშუალება (მოძრავი ნივთების შემთხვევაში) გირავნობა იყო, წარმოების ზრდასთან ერთად სასაქონლო კრედიტის არსებობის მოთხოვნილებაც გაჩნდა. ფულადი კრედიტი გირაოს უზრუნველყოფით, არაპრაქტიკული და ბრუნვის შემაფერხებელი

¹⁴ Von Staudiger J., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Buch 2, 2009, 427.

¹⁵ Thiemann B., Die Entwicklung der Eigentumsanwartschaft bei Vorbehaltskauf in der neuen Deutschen Privatrechtsgeschichte, 2002, 31.

¹⁶ იქვე, 32.

ხდებოდა. გირაოს დროს ნივთი კრედიტორს მფლობელობაში გადაეცემოდა და მისი მიზნობრივად გამოყენება არც ერთი მხარისათვის აღარ იყო შესაძლებელი (თუნდაც მხოლოდ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში). ამიტომ ნივთი სასაქონლო ბრუნვიდან ვარდებოდა, რაც, განსაკუთრებით ადრეულ კაპიტალიზმში, არასასურველი მოვლენა იყო¹⁷.

გარმანელმა კანონმდებელმა ეს განვითარება ყურადღების გარეშე არ დატოვა და XVII საუკუნეში პირობადებული საკუთრების ნორმატიზება მოახდინა. კანონმდებლის განსაზღვრებით, პირობადებული საკუთრება მხოლოდ ნასყიდობის ღირებულების უზრუნველყოფის საშუალება აღარ იყო. პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის გამყიდველმა გაკოტრების სამართალშიც პრივილეგირებული პოზიცია მიიღო. პირობადებული საკუთრებით ნასყიდობა მოძრავ ნივთებზეც გახდა შესაძლებელი¹⁸. ყველაფრის მიუხედავად, პირობადებული საკუთრება ამ ეპოქაში კრედიტირების საშუალებას არ წარმოადგენდა.

აბსტრაქციის პრინციპის ჩამოყალიბებამ, სავინისა და კანტის მოძღვრებებმა და პირობადებული საკუთრების მხოლოდ მოძრავ ნივთებზე შეთანხმების დაკანონებამ ამ ინსტიტუტის დღევანდელი გაგებით ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ამ ხანგრძლივმა განვითარებამ გემანიის სამოქალაქო კოდექსის 455-ე მუხლში ლოგიკური ასახვა ჰპოვა. მუხლში პირობადებული საკუთრების ნორმატიზება და მისი მატერიალური სამართლის ნაწილად ქცევა მოხდა.

გერმანულმა პირობადებული საკუთრების სამართლებრივმა ინსტიტუტმა საბოლოო ცვლილება 2002 წელს ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად განიცადა. ეს ცვლილებები შეეხო არა პირობადებული საკუთრების შინაარსს, არამედ იგი ძირითადად ხელშეკრულებაზე უარის თქმის ინსტიტუტისკენ იყო მიმართული. ეს რეფორმა 1999 წლის ევროკავშირის 44-ე დირექტივის გამოხმაურება გახლდათ (“zu bestimmten Aspekten des Verbrauchergüterkaufs und der Garantie für Verbrauchsgüter”)¹⁹, რომელიც მომხმარებელთა დაცვისა და მათი უფლებების დაცულობის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად²⁰. 2001

¹⁷ Maass, M.J. Die Geschichte des Eigentumsvorbehaltes, 330.

¹⁸ იქვე, 332.

¹⁹ Juris Praxiskommentar BGB, 2009, 129.

²⁰ იქვე.

წლის რეფორმით 455-ე მუხლი შეიცვალა 449-ე მუხლით და პირობადებული საკუთრების დღეკანდელი, საბოლოო სახით ჩამოყალიბება მოხდა. აღსანიშნავია, რომ ცვლილებამ მთელ გერმანულ ვალდებულებით სამართალზე (განსაკუთრებით, ამ კუთხით, საინტერესოა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) 323-ე და 346-ე მუხლების ანალიზი) დიდი გავლენა იქონია. რამდენიმე ცვლილება, რომელიც გერმანულ სამართალში ამ მხრივ განხორციელდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა ჯერ კიდევ 1997 წელს გაითვალისწინეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 336-ე მუხლებს ეხება.

2. პირობადებული საკუთრება გერმანული სამართლის მიხედვით

ზოგადი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში პირობადებულ საკუთრებას 449-ე მუხლი დაეთმო. გერმანულ სამართალშიც ისევე, როგორც ქართულ სამართალში, პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელიც არააქცესორული ბუნებისაა და კრედიტორის (პირობადებული საკუთრებით გამყიდველისათვის) მოთხოვნის დასაცავად როგორც ვალდებულებითსამართლებრივ, ისე სანივთოსამართლებრივ ბერკეტებს ქმნის. პირობადებული საკუთრების დუალისტური ხასიათის გამო მხარეების ურთიერთობა როგორც ვალდებულებითსამართლებრივი, ისე სანივთოსამართლებრივი შინაარსისაა.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლი განმარტებითი წესია, რაც იმას გულისხმობს, რომ ეჭვის შემთხვევაში საკუთრების უფლება ნივთზე საფასურის სრულად გადახდამდე გამყიდველის მხარეს ივარაუდება.²¹ პირობადებული საკუთრების ნორმატიული აგებულება 449-ე მუხლთან ერთად 433-ე, 929-ე და 158-ე მუხლებს შეიცავს. ამით პირობადებული საკუთრების სამართლებრივ ინსტიტუტზე აბსტრაქციისა და გამიჯვნის პრინციპების ზემოქმედება უდავო ხდება.

პირობადებული საკუთრება და აბსტრაქციის პრინციპი. პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის არსისა და მისი აბსტრაქციის პრინციპთან ურთიერთკავშირის წარმოსადგენად „ჩვეულებრივი“ ნასყიდობის ხელშე-

²¹ Prutting H., Wegen G., Weinreich G., BGB Kommentar, 2006, 712.

კრულების დადებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პროცესის წარმოჩენაა საჭირო.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 322-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ნასყიდობის ხელშეკრულებით (433-ე მუხლი) გათვალისწინებული ვალდებულებები „ხელი ხელში“ (ერთდროულად). ვალდებულებების ერთდროულად შესრულებით გამყიდველის მიერ მყიდველზე როგორც ნივთის, ისე საკუთრების უფლების გადაცემა (433-ე მუხლი, აბზ.1; 929-ე მუხლი, პირველი წინადადება) მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულების (433-ე მუხლი, აბზ.2) შესრულებას ემთხვევა და ხელშეკრულება შესრულებულად მიიჩნევა.²² საკუთრების უფლება მყიდველზე გადადის მაშინ, როდესაც გამყიდველი ნამდვილი უფლების საფუძველზე ნივთს გადასცემს და მასთან ერთად საკუთრების უფლებასაც. ქართული სამართლისაგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში საკუთრების უფლების გადასაცემად მხოლოდ ნივთის გადაცემა და „ნამდვილი უფლების არსებობა“ არაა საკმარისი.²³ მხარეებმა საკუთრების უფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად, უპირველეს ყოვლისა, სანივთოსამართლებრივ შეთანხმებას უნდა მიადწიონ. ამ აბსტრაქტული „სანივთო გარიგების“ განმარტება გერმანული სამოქალაქო კოდექსის 929-ე მუხლშია მოცემული. 929-ე მუხლის მიხედვით, „მოდრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად სავალდებულოა, რომ მესაკუთრემ საკუთრების უფლების შემძენს გადასცეს ნივთი მფლობელობაში და მათ შორის არსებობდეს შეთანხმება ამ უფლების გადასვლის შესახებ“²⁴. ჩვეულებრივ, ნასყიდობისას, „სანივთო შეთანხმება“ და ნივთის გადაცემა ერთ აქტში, მფლობელობის უზრუნველყოფაში ხორციელდება და საკუთრების უფლების გადასვლას უპირობოდ იწვევს.

აბსტრაქციის პრინციპის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ, მაგალითად, ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას (აბსტრაქციის პრინციპის ყველაზე აშკარა მაგალითი), გარდა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისა, სანივთო ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ მხარიდან მხარეზე საკუთრების უფლების გადასვლას ეხება და რომლის

²² Baur J., Stürner R., Sachenrecht, 18. Auflage, 2009, 826.

²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 186-ე მუხლი, პირველი ნაწილი.

²⁴ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), §929, Satz 1.

მოქმედებაც „კაუზალური გარიგებისაგან“ დამოუკიდებელია, აბსტრაქტულად იდება, მიუხედავად იმისა, რომ მათი დადების ფაქტი შეიძლება გარეგნულად ერთმანეთს დაემთხვეს.²⁵ აბსტრაქტული ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს მხოლოდ საკუთრების უფლებაზე განკარგვის შესახებ შეთანხმების მიღწევა შეუძლიათ. როდესაც მხარეები კაუზალური ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ ვალდებულებებს (433-ე მუხლი), ივარაუდება, რომ მათ შორის, ასევე, დაიღო აბსტრაქტული ხელშეკრულება ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ.

გამიჯვნის პრინციპის თანახმად, ეს ორი ხელშეკრულება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს და შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილისა და სახელშეკრულებო სამართლის ნორმები თითოეულზე ცალ-ცალკე, ერთნაირად მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემთხვევებში საკუთრების უფლების შესახებ მიღწეული შეთანხმება ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებაში აისახება (რადგანაც მხარეები იქ შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასსა და ნივთის გადაცემაზე), „კაუზალური გარიგების“ ბათილობა სანივთოსამართლებრივი შეთანხმების ბათილობას არ იწვევს. გაყოფის პრინციპის თანახმად, ეს ხელშეკრულებები დამოუკიდებლად არსებობს.²⁶

ეს დაყოფა მნიშვნელოვანია პირობადებული საკუთრების შემთხვევაში და მხარეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დროს განსაკუთრებულ ნორმატიულ ფონს წარმოშობს. ვალდებულებითსამართლებრივი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება უპირობოდ ხდება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 433-ე მუხლი), ხოლო სანივთოსამართლებრივი შეთანხმება უშუალოდ საკუთრების გადასვლის შესახებ, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან საფასურის გადახდის პირობით იდება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე და 158-ე მუხლები). შესაბამისად, აბსტრაქციის პრინციპი „შესაძლებელს ხდის“ იმას, რომ მხარეები კაუზალური გარიგების ძალით უპირობოდ ურთიერთვალდებულნი არიან, ხოლო სანივთო გარიგება, ანუ კაუზალური გარიგების შესრულების პი-

²⁵ Klopffler J., Studienkommentar BGB, 6. Auflage, 2003, 638.

²⁶ პირობადებული საკუთრებისას გვაქვს აბსტრაქციის პრინციპის ერთგვარი გამოხატვისი, რადგან კაუზალური და სანივთო გარიგებები ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ერთმანეთზე სამართლებრივი შედეგის დადგომის კუთხითაც არის დამოკიდებული.

რობით საკუთრების გადასვლის შესახებ მათი შეთანხმება მყიდველის მიერ საფასურის სრულად გადახდამდე მერყევ მდგომარეობაშია, ანუ პირობითია. ხსენებული გარიგებების გამო, პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი პირობითი გარიგებების შესახებ არსებულ წესებთან შესაბამისია.

აბსტრაქტული და კაუზალური გარიგებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. კაუზალური გარიგების ბათილობა არ იწვევს აბსტრაქტული გარიგების ბათილობას და პირიქით.²⁷ სადავოა საკითხი, გვაქვს თუ არა სახეზე პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის შემთხვევაში ამ პრინციპიდან ერთგვარი გამონაკლისი (მისი დარღვევა). როდესაც სანივთო გარიგების პირობით დადება ხდება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე და 158-ე მუხლები) და ამ პირობის დადგომა კაუზალური გარიგების შესრულებაზე დამოკიდებული, სამართლიანად ჩნდება ეჭვი, ხომ არ არის ეს ორი გარიგება განსაზღვრულ ფარგლებში ერთმანეთზე დამოკიდებული? თუ პირობადებული ნასყიდობით მყიდველი არ გადაიხდის ნივთის საფასურს და ამ მიზეზით გამყიდველი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ სანივთო გარიგება ხომ მუდმივად მერყევად ბათილ მდგომარეობაში დარჩება და ვერასდროს გამოიწვევს სამართლებრივ შედეგს. ეს საკითხი ლიტერატურაში დავის საგანია.

აღნიშნული აბსტრაქციისა და გამიჯვნის პრინციპების გერმანული პირობადებული საკუთრებისათვის შეუცვლელ მნიშვნელობას ცხადყოფს. მათი ურთიერთკავშირის ყველა კუთხით წარმოჩენა უფრო ვრცელი სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში უნდა მოხდეს.

პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა. იმის გათვალისწინებით, რომ პირობადებული საკუთრების გამოყენება მხოლოდ მოძრავ ნივთებთან მიმართებით ხდება, ასეთი ხელშეკრულება წერილობით ფორმას არ მოითხოვს. მთავარია, რომ მხარეებმა საკუთრების უფლებაზე ამგვარი ზემოქმედების შესახებ მყიდველისათვის ნივთის მფლობელობაში გადაცემამდე შეთანხმებას მიაღწიონ. გამყიდველმა ცხადად უნდა განუმარტოს მყიდველს, რომ მას საფასურის სრულად გადახდამდე საკუთრების უფლების გადაცემა არ სურს.²⁸ შესაბამისად, პირო-

²⁷ Klopholler J., Studienkommentar BGB, 6. Auflage, 2007, 638.

²⁸ Staudingers J., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Buch 2, 2009, 433.

ბადებული საკუთრების შესახებ შეთანხმების მიღწევა კაუზალური ხელშეკრულების დადების შემდეგაც არის შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნება ე.წ. დამატებითი პირობადებული საკუთრება.²⁹

შესაძლებელია, რომ გამყიდველმა მყიდველს საკუთრების უფლების მასზე გადასვლის ასეთი პირობის შესახებ ზედნადების (Lieferschein) მეშვეობითაც აცნობოს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია არათანმყოფ პირებს შორის დადებული გარიგებებისას, რადგან ზედნადები მყიდველს სწორედ ასეთ შემთხვევებში მიეწოდება. ეს პირობა მყიდველისათვის ზედნადების ტექსტიდან გამომდინარე, ადვილად და აშკარად აღსაქმელი უნდა იყოს³⁰.

პირობადებული საკუთრების შესახებ შეთანხმების არსებობის დასადგენად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორ გარემოებას ექცევა ყურადღება: პირველი, მყიდველმა უნდა მიიღოს ნივთი მფლობელობაში; მეორე, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ გამყიდველის ნება საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ, შეიძლება ზედნადების ტექსტში იყოს მოცემული. ამ წინაპირობების არსებობისას სანივთო გარიგება დადებულად მიიჩნევა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე მუხლი).³¹ ამ დროს, პირობადებული საკუთრების შესახებ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა მხარეებს მხოლოდ ნივთის მფლობელობაში გადაცემამდე გააჩნიათ.³² მიუხედავად იმისა, რომ კანონი მხარეებს ფორმასთან დაკავშირებულ იმპერატიულ მოთხოვნებს არ უწესებს, ლიტერატურაში და სამართალწარმოებაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, უძჯობესია პირობადებული საკუთრების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება. უპირველეს ყოვლისა, ეს გამყიდველს ეხება, რადგან მტკიცების ტვირთი სამართლოში სწორედ მას აწევს.³³

პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას მხარეებს შორის კომპლექსური და მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა. პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის ისტო-

²⁹ Prutting H., Wegen G., Weinreich G., BGB Kommentar, 2006, S. 712.

³⁰ Staudingers J., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Buch 2, 2009, 432.

³¹ Bülow P., Recht der Kreditsicherheiten, 7. Auflage, 2006, 223.

³² Staudingers J., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Buch 2, 2009, 433.

³³ Nomoskommentar, BGB, 2006, 617.

რიულ განვითარებას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ პროცესის ლაითმოტივს სწორედ გამყიდველის უფლებების დაცვა წარმოადგენდა. მაგრამ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებმა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ, ასევე, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის მყიდველის უფლებების სათანადო დაცვაც აუცილებელი გახდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, პირობადებული საკუთრებით მყიდველის სანივთო უფლება, როგორც საკუთრების წინა საფეხური (Anwartschaftsrecht).³⁴ იგი მყიდველის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებას არ წარმოადგენს და ასეთად (სანივთო უფლებად) სასამართლოს მიერაა აღიარებული. მთლიანობაში, მყიდველის ეს პოზიცია, იმ ნორმებით მინიჭებული უფლებების ერთობლიობაა, რომელიც მფლობელობისა და პირობითი გარიგებების შესახებ არსებული მოწესრიგებიდან გამომდინარეობენ.

პირობითი აბსტრაქტული სანივთო გარიგებისა და ნასყიდობის კაუზალური ხელშეკრულების ძალით, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში კრედიტორს (გამყიდველს) მყიდველის მიმართ როგორც ვალდებულებით სამართლებრივი, ისე სანივთოსამართლებრივი უფლებები გააჩნია.³⁵ შესაბამისად, მისი სამართლებრივი პოზიცია, სხვა კრედიტორებთან შედარებით, უფრო მყარი და საიმედოა. ის ფაქტი, რომ გამყიდველი ხელშეკრულების მხარეა, რომელიც ნივთის გადაცემის ვალდებულებას (მაგრამ არა საკუთრების უფლების გადაცემის) წინასწარ ასრულებს, ასეთ დაცვას სავალდებულოსაც ხდის. გერმანული სამართლებრივი სისტემა ამ პოზიციას ამყარებს და გამყიდველს სათანადო სამართლებრივ დაცვას სთავაზობს. სწორედ ამით არის განპირობებული ამ ინსტიტუტის გერმანულ გაკოტრების სამართალში გათვალისწინება და პირობადებული საკუთრების საიმედოობის ამგვარად უზრუნველყოფა.

პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის გამყიდველს გაკოტრების სამართალში განსაკუთრებული პოზიცია უკავია (იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც მყიდველი იურიდიული პირია, სხვა შემთხვევებში გამყიდველი სარგებლობს უშუალოდ იმ უფლებებით, რომლებსაც მისი ტიტული უზრუნველყოფს). „ჩვეულებრივი“ ნასყიდობისას, იმ შემთხვე-

³⁴ Medicus, Bürgerliches Recht, 20 Auflage, 2004, 292.

³⁵ Bülow P., Recht der Kreditsicherung, 6 Auflage, 2006, 207.

ვაში, თუ მყიდველმა არ გადაიხდა ნივთის საფასური და ის გადახდისუუნარო გახდა, გამყიდველს რაიმე სახის დაცვა არ გააჩნია.

გაკოტრების შესახებ გერმანიის კანონის (InsO) 35-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორის გადახდისუუნარობის შემთხვევაში ვალაუვალობის მასას მიეკუთვნება კრედიტორის მთელი ქონება, რომელიც მას გაკოტრების შესახებ საქმის წარმოების გახსნის მომენტიდან ეკუთვნის (§35 InsO). რადგანაც ივარაუდება, რომ „ჩვეულებრივი“ ნასყიდობისას მყიდველი ნივთის გაცემით გახდა მესაკუთრე (გაცემითა და 929-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით) მოცემული ნივთი ავტომატურად ვალაუვალობის მასას მიეკუთვნება და ყველა კრედიტორს თანაბრად აქვს უფლება, ამ ნივთით დაიკმაყოფილოს თავისი დასაბუთებული მოთხოვნა³⁶. სწორედ იმის გამო, რომ გამყიდველმა დაკარგა საკუთრება ნივთზე, მას არ შეუძლია დაეყრდნოს „გაკოტრების შესახებ კანონის“ 51-ე მუხლს და მოითხოვოს განსაკუთრებული დაკმაყოფილება. რადგან მას არ გააჩნია სანივთოსამართლებრივი მოთხოვნის უფლება, მისი უფლების დაცვა არც ამ კანონის 47-ე მუხლითაა შესაძლებელი. იმავე მიზეზით გამყიდველს არც 985-ე მუხლით შეუძლია მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. მას მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის შესაძლებლობა რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ „ჩვეულებრივი“ ნასყიდობის ხელშეკრულებისას, მყიდველის გაკოტრების შემთხვევაში, გამყიდველს საკმაოდ სუსტი დაცვა გააჩნია. საქონლის გაყიდვის სურვილის მიუხედავად, გამყიდველს ხშირად უწევს ნასყიდობაზე უარის თქმა, როდესაც ვალდებულებების შესრულება „ხელი ხელში“ ვერ ხერხდება. რა სამართლებრივი საშუალებები არსებობს მხარეებისთვის, თუ მათ ერთმანეთთან საფასურის გადახდის განვადებითა და ამავედროულად, სათანადო სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფით ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სურვილი აქვთ?

შესაძლოა, გამოსავალი გირავნობის გამოყენება იყოს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად, მოძრავი ნივთების გირავნობის შემთხვევაში მოგირავნეს უფლება აქვს თავისი უფლების დაკმაყოფილება გირავნობის საგნიდან მიიღოს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ გი-

³⁶ Dr. Serick R., Eigentumsvorbehalt und Sicherungsübereignung, Band 1, 1965, 76.

რავნობით პრობლემის გადაჭრა იმ მოქნილობასა და გამყიდველის დაცვის ხარისხს არ უზრუნველყოფს, რომელიც საბაზრო ბრუნვისთვის არის აუცილებელი.

გერმანული სამართლის მიხედვით, მოძრავ ნივთზე გირავნობა არ არის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც მოკლებულია მფლობელობის ვალდებულებას³⁷. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლის მიხედვით, დამგირავებელი ვალდებულია, მოგირავენს ნივთი მფლობელობაში გადასცეს³⁸. თუ დაუშვებთ, რომ მყიდველი გადავადებული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ნასყიდობის ობიექტს თავად გახდის გირავნობის საგნად, მაშინ იგი ვერ ისარგებლებს იმ ნივთით, რომლის შექმნაც მას სურს. ზოლო თუ გირავნობის საგანი სხვა ნივთია, რომლითაც მყიდველი უზრუნველყოფს თავის ვალდებულებას, მაშინ მისთვის არც ეს გამოსავალია მისაღები, რადგან ერთი ნივთის მისაღებად, იგი მეორე ნივთზე კარგავს მფლობელობას. ამავდროულად, დაგირავებული ნივთის სასაქონლო ბრუნვიდან ამოღება ხდება, რაც არც ბაზრის ინტერესებს ეხმაურება.

ამ და სხვა მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლაც მოცემული ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია. გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში და პრაქტიკაში მოხდა გირავნობის, როგორც „საგნობრივი კრედიტის“ უზრუნველყოფის საშუალების უარყოფა. „საგნობრივი კრედიტის“ უზრუნველყოფის ყველაზე მისადაგებულ საშუალებად გერმანიაში და ზოგადად, მთელს ევროპაში პირობადებული საკუთრება მიიჩნევა³⁹.

თუ მოვალე დაკისრებულ ვალდებულებას არ ასრულებს, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას ნივთის შესაკუთრედ გამყიდველი რჩება. კრედიტორს (ამ შემთხვევაში გამყიდველს) 985-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია მყიდველისაგან ნივთის უკან დაბრუნება მოითხოვოს. თუ მყიდველი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას, გამყიდველს არ შეუძლია გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და ამ შემთხვევაში ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა მის ინტერესებს არც შეესაბამება. რადგან მესაკუთრე მყიდველია, მას შეუძლია დაეყრდნოს გერმანიის „გა-

³⁷ იქვე, 10.

³⁸ Wolf M., Sachenrecht, 23. Auflage, 2007, 297.

³⁹ Bülow P., Recht der Kreditsicherheiten, 6. Auflage, 2006, 201.

კოტრების შესახებ კანონის“ 47-ე მუხლს და მოვალის კრედიტორებს შორის განსაკუთრებულად დაცული პოზიცია მოიპოვოს.⁴⁰ ამავე კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, მესაკუთრის ნივთი ვალაუვალობის მასას არ განეკუთვნება⁴¹ და ნივთი მესაკუთრეს უბრუნდება.⁴² მიუხედავად იმისა, რომ მოვალემ ვერ შეასრულა საფასურის გადახდის ვალდებულება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, მან მიღებული შესრულება უნდა დააბრუნოს.

მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში დაცვის გარდა, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის კრედიტორი სხვა ბევრი პრივილეგიითაც სარგებლობს. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას შეუძლია გამოიყენოს როგორც შესრულების მოთხოვნის უფლება, ისე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 280-ე, 281-ე და 282-ე მუხლების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც⁴³.

ამ და სხვა მიზეზების გამო უდავოა, რომ პირობადებული საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტი კრედიტორის უფლებებს სრულყოფილად იცავს და ამავედროულად, როგორც მყიდველის, ისე გამყიდველის საბაზრო ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება. არც პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის მყიდველია დაცვის გარეშე. სასამართლო პრაქტიკაში მისი უფლებების ერთობლიობა სანივთოსამართლებრივ უფლებებადაა აღიარებული. ამ უფლების შინაარსი ცალკე განსჯის საგანია.

3. პირობადებული საკუთრება ქართული სამართლის მიხედვით – ძირითადი პრობლემები

ზოგადი. პირობადებული საკუთრების სანივთოსამართლებრივი ინსტიტუტი ქართული სამართლისთვისაც არაა უცხო. პირობადებულ საკუთრებას ქართველმა კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი დაუთმო. უდავოა, რომ ეს მუხლი და შესაბამისად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლის ეს გამონაკლისი წესი⁴⁴ ქართულ სამო-

⁴⁰ Baur M., Stürmer., Sachenrecht, 18. Auflage, 2009, 840.

⁴¹ Kreft G., Insolvenzordnung, 5. Auflage, 2008, 356.

⁴² იქვე, 355.

⁴³ Münchener Kommentar, Schuldrecht Besonderer Teil 1, 2007, 321.

⁴⁴ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 166.

ქალაქო კოდექსში გერმანული სამართლის გავლენით აღმოჩნდა. ამიტომ, სტატიაში მოყვანილი ფაქტები და მსჯელობა, რომელიც პირობადებული საკუთრების ცნებას შეეხება, დანიშნულებასა და ისტორიულ განვითარებას, ქართული პირობადებული საკუთრებისთვისაც რელევანტურია. სტატიის ამ ნაწილში მინდა ყურადღება მხოლოდ იმ პრობლემურ საკითხებზე გავამახვილო, რომლებსაც პირობადებული საკუთრების ქართული სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას ვხვდებით.

მიუხედავად იმისა, რომ პირობადებული საკუთრება ქართული სამართლის მიხედვითაც კრედიტის უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივ საშუალებადაა აღიარებული,⁴⁵ მაინც სადავოა საკითხი, ქართული სამართლის მიხედვით, რამდენადაა შესაძლებელი პირობადებული საკუთრების ინსტიტუტის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება. შესაძლებელია თუ არა საერთოდ ასეთი სახის ხელშეკრულების დადება მაშინ, როდესაც ქართული სამართალი აბსტრაქციის პრინციპს არ აღიარებს. სტატიის ამ ნაწილში განხილული იქნება ის რამდენიმე საკვანძო პრობლემა, რომელიც ქართული პირობადებული საკუთრების ინსტიტუტისთვისაა დამახასიათებელი.

პირობადებული საკუთრება პირობით გარიგებებთან მიმართებით. პირობადებული საკუთრება მხარეთა შორის კონსენსუალურად მიიღწევა. საკუთრების უფლებაზე ზემოქმედების ამგვარ შესაძლებლობას მხარეებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი ანიჭებს. საკუთრების უფლების მხარიდან მხარეზე გადასვლა „დროში გაწეილი“ და პირობადებულია. შესაბამისად, შეთანხმება, რომლის შინაარსი სანივთო სამართლებრივი ხასიათისაა, იმავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას უკავშირდება, რომელშიც თვითონ ეს სანივთო შეთანხმებაა მიღწეული. ლოგიკურად იბადება კითხვა, არის თუ არა პირობადებული საკუთრებით ნასყიდობა პირობითი გარიგება?

477-ე მუხლისა და 188-ე მუხლის გამოყენებით პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას გამყიდველი ნივთის მყიდველისათვის მფლობელობაში გადაცემით, სწორედ 477-ე მუხლში განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს, მაგრამ, მეორე მხრივ, კი საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას, საფასურის

⁴⁵ იქვე.

სრულად გადახდის პირობას უკავშირებს. იმავე ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ნივთის საფასური დათქმულ დროსა და დათქმული ოდენობით. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ სახეზეა გარიგება გარიგების შიგნით,⁴⁶ რომლის საგანიც 188-ე მუხლით ნებადართული პირობითი საკუთრებაა. 186-ე მუხლთან შესაბამისობის საკითხი მეორეხარისხოვანია, რადგან 188-ე მუხლი საკუთრების უფლების გადასვლის 186-ე მუხლისაგან განსხვავებულ შესაძლებლობას პირდაპირ იძლევა. 477-ე მუხლში ნივთის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულებაზეა საუბარი, რომელიც ნივთის მფლობელობაში გადაცემის ვალდებულების მხარდამხარ ცალკე ვალდებულებადაა აღიარებული. თუ სახეზე არ გვაქვს აბსტრაქტული ხელშეკრულების მაგალითი, მაშინ პირობადებული საკუთრებით ნასყიდობა პირობითია ან ნაწილობრივ პირობითი. ამის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის შესაბამისად, დათქმული პირობის დადგომამდე გარიგება მერყევად ბათილია. შესაბამისად, საინტერესოა, თუ ხელშეკრულება პირობის დადგომამდე მერყევად ბათილია, მაშინ რის საფუძველზე უჩნდება მყიდველს საფასურის გადახდის, ხოლო გამყიდველს ნივთის მფლობელობაში გადაცემის ვალდებულება?

დანამდვილებით იმის თქმა, რომ პირობადებული საკუთრებით ნასყიდობა პირობითი გარიგებაა, შეუძლებელია. 90-ე მუხლის შესაბამისად, პირობა სამომავლო და უცნობი უნდა იყოს. სამომავლო და უცნობი მოვლენაში ისეთი მოვლენა იგულისხმება, რომელიც ჯერ არ დამდგარა და ჯერ კიდევ უცნობია დადგება თუ არა ის საერთოდ.⁴⁷ შესაბამისად, საფასურის გადახდა შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ მოვლენას, რომელიც ჯერ არ დამდგარა და შესაბამისად ან დადგება, ან არა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალი ვალდებულების არსებობასთან ერთად მისი შესრულების საფუძვლიან ვარაუდს აწესებს, გადაიხდის თუ არა მყიდველი საფასურს ბოლომდე, მაინც უცნობია. თუ მყიდველმა უარი თქვა საფასურის გადახდაზე, გამყიდველს ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საფასურის გადახდის

⁴⁶ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 170.

⁴⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2010, 410.

ვალდებულების შესრულება. ამ შემთხვევაში, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მაინც ნივთის დაბრუნებით მოხდება და არა მყიდველზე საფასურის გადახდის დაკისრებით. თუ მხარე ხელშეკრულებაზე უარს იტყვის, მხარეები ვალდებულნი იქნებიან დააბრუნონ მიღებული სიკეთე. შესაბამისად, საფასურის მიღების უცილობელი გარანტია გამყიდველს არ გააჩნია. ამიტომ საფასურის სრულად გადახდა შეიძლება სამომავლო უცნობ მოვლენად მიიჩნიოს და პირობად დაწესდეს. აუცილებელი არ არის, რომ პირობა შემთხვევითი მოვლენა იყოს (კაზუალური პირობა⁴⁸), პირობის დადგომა ერთ-ერთი მხარის მოქმედებაშიც შეიძლება გამოიხატოს (პოტესტატური პირობა⁴⁹).

მეორე მხრივ, 188-ე მუხლი საკუთრების უფლების გადასვლას ნებისმიერი პირობის ქვეშ დაყენების შესაძლებლობას არ იძლევა. დასახელებული ნორმა დასაშვებ პირობად მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდას აკანონებს. პირობადებული საკუთრების გამოყენება მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებითაა შესაძლებელი. შესაბამისად, საკუთრების უფლების განსხვავებული წესით გადასვლის შესახებ (188-ე მუხლი) შეთანხმება და ნასყიდობის ხელშეკრულება (477-ე მუხლი) ფორმალურად ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ხოლო შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განუყოფლად უნდა წარმოვიდგინოთ (შეიძლება ითქვას, რომ 188-ე მუხლს აბსტრაქტული გარიგება თავის შინაარსში ღრმად აქვს ჩაბეჭდილი).

საერთოდ, 477-ე და 188-ე მუხლების კონსტალაცია ბევრ კითხვას ბადებს. ამიტომ, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პირობადებული საკუთრების წარმოშობის ყველაზე მისადაგებულ ვალდებულებითსამართლებრივ ფორმას ნასყიდობის ხელშეკრულების სპეციფიკური გამოვლინება, გადახდის განვადებით ნასყიდობა (505-ე მუხლი) წარმოადგენს.⁵⁰ 505-ე მუხლი 477-ე მუხლისგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ გამყიდველს მყიდველისათვის ნივთზე საკუთრების გადაცემის ვალდებულებას არ უწესებს. 505-ე მუხლის გამოყენებით, შესაძლებელი ხდება საკუთრების უფლების მხარიდან მხარეზე ხელშე-

⁴⁸ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, 277.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 169.

კრულების დადებისთანავე გადაცემის (477-ე მუხლი) ვალდებულებისათვის გვერდის ავლა (უზენაესი სასამართლოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით განხილული დავების დეტალური შესწავლისას ცხადი ხდება, რომ სასამართლო პირობადებული საკუთრების შესახებ შეთანხმების არსებობას ყოველთვის 477-ე მუხლთან მიმართებით განიხილავს; პირობადებული საკუთრების 505-ე და 188-ე მუხლების საფუძველზე წარმოშობის საკითხზე სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს). მაგრამ „განვადებით ნასყიდობისას“ საკუთრება მყიდველზე უპირობოდ გადადის,⁵¹ რადგან სახეზეა მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასასვლელად საჭირო 186-ე მუხლის ორივე აბსტრაქტული წინაპირობა: ნამდვილი უფლება და ნივთის გადაცემა. შესაბამისად, ნივთის გადაცემით მყიდველი მესაკუთრე ხდება. რადგან 188-ე მუხლი მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის 186-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესს ადგენს და ამ წესის შესახებ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა, მაშინ განვადებით ნასყიდობისას სახეზე მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება პირობადებული საკუთრების შესახებ უცილობლად უნდა გექონდეს. მითითებული უნდა იყოს, რომ საკუთრების უფლებაზე ზემოქმედება არა 186-ე, არამედ 188-ე მუხლის საფუძველზე უნდა მოხდეს. ამის შესაძლებლობას კანონი მხარეებს 188-ე მუხლით სთავაზობს.

პირობადებული საკუთრების წარმოშობისათვის არაა საკმარისი მხოლოდ გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა. აუცილებელია, მასში იმის აღნიშვნა, რომ გამყიდველი ნივთზე საკუთრების უფლებას საფასურის სრულად გადახდამდე იტოვებს (188-ე მუხლი; აბსტრაქტული გარიგების არსებობის საკითხი ამ შემთხვევაშიც სადავოა). ამით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლის განმარტებითი ფუნქცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლისათვის ძნელად გასაზიარებელი ხდება.

188-ე მუხლის განმარტებითი ფუნქციის შესახებ. როდესაც 188-ე მუხლის განმარტებით ფუნქციაზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება 188-ე მუხლის, როგორც მოსამართლისათვის განმარტების საკმაოდ ფართო უფლების მიმცემი ნორმის ფუნქცია. ეს

⁵¹ ძლიერიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, 72.

მოსაზრება მყარადაა განმტკიცებული როგორც ლიტერატურაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში.

თუ მხარეებს შორის შეთანხმება პირობადებული საკუთრების შესახებ აუცილებლად კაუზალური ხელშეკრულების ფარგლებში მიიღწევა, მაშინ ქართული სამართლის მიხედვით, ე.წ. დამატებითი პირობადებული საკუთრების არსებობის შესაძლებლობა, ეჭვქვეშ დგება. ასევე, სადავო ხდება 188-ე მუხლის, როგორც განმარტებითი წესის, სამართლებრივი ბუნება. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები პირობადებულ საკუთრებაზე პირდაპირ არ შეთანხმდნენ, გერმანული სამართლის მიხედვით, ივარაუდება, რომ შესაბამისი გარემოებების არსებობისას გამყიდველმა საკუთრება ნივთზე საფასურის სრულად გადახდამდე დაიტოვა. ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს, მაგალითად, ნივთის ანოტაციის, გარანტიის, ტექნიკური პასპორტის მყიდველისათვის არ გადაცემა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომლის საფუძველზეც შეიძლება საფუძვლიანი ეჭვი არსებობდეს, რომ გამყიდველს მყიდველისათვის საკუთრების უფლება არ გადაუცია.

188-ე მუხლის ეს ფუნქცია სასამართლოს კონკრეტული სამართლებრივი ფაქტის შეფასებისას გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს. ამით მხარეთა რეალური ნების გამორკვევის შესაძლებლობა და გამყიდველის უფლებების უფრო ეფექტური დაცვა უზრუნველყოფილია. მაგრამ მხარეებისათვის ფორმასთან დაკავშირებული კონკრეტული დათქმის არ არსებობა ამ ინსტიტუტის ირგვლივ სასამართლო დავების რაოდენობის, განზრახ დაშვებული, ვითომ შეცდომების მნიშვნელოვნად მომატების საფრთხე ქმნის. ამიტომ, უნდა დავეთანხმოთ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს და კაუზალური გარიგების ფარგლებში პირობადებული საკუთრების შესახებ პირდაპირი შეთანხმება სავალდებულოდ უნდა ჩავთვალოთ.

პირობადებულ საკუთრებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემას მისი უძრავ ნივთებთან მიმართებაში გამოყენების შესაძლებლობა წარმოადგენს. ამ მხრივ, საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებიც პირობადებული საკუთრების უძრავ ნივთებზე გამოყენების შესაძლებლობას დაშვებულად აცხადებენ.⁵²

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის განჩინება №ას-1300-1320-2011.

უძრავ ნივთებზე პირობადებული საკუთრების გამოყენების დაუშვებლობა. როგორც ქართულ, ისე გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, პირობადებული საკუთრების გამოყენება მხოლოდ მოძრავი ნივთების შემთხვევაშია შესაძლებელი.⁵³ გერმანული სამართალი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების პირობის ქვეშ დაყენებას პირდაპირ კრძალავს. ეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 925-ე მუხლის მე-2 ნაწილშია მოცემული. შესაბამისად, უძრავ ნივთებზე 449-ე მუხლის გამოყენება შეუძლებელია.

პირობადებული საკუთრების ისტორიულმა განვითარებამაც აშკარად ცხადყო, რომ გერმანულ სამართლებრივ რეალობაში კრედიტის უზრუნველყოფის ეს სანივთოსამართლებრივი საშუალება სწორედ ინდუსტრიულ პროცესებში მოძრავი ნივთების მიმოქცევის ხელშესაწყობად და სავაჭრო ურთიერთობების გასავითარებლად ჩამოყალიბდა. პირობადებული საკუთრების განშტოებების დეტალური განხილვა, რაც ამ სტატიის ფარგლებში შეუძლებელია, ამ მოსაზრებას აშკარად ადასტურებს. გარდა ამისა, უძრავი ნივთების განსაკუთრებული ღირებულება და მათი როლი საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში, სახელმწიფოს მხრიდან მათზე განსაკუთრებული კონტროლი, უძრავი ქონების რეგისტრაციის სავალდებულო წესი და ამ წესზე დამოკიდებული უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლის პროცედურა, პირობადებული საკუთრების შინაარსს აშკარად ეწინააღმდეგება.

პირობადებული საკუთრების უძრავ ნივთებთან მიმართებით გამოყენება ეწინააღმდეგება როგორც ტელეოლოგიურ, ისე სისტემურ განმარტებას, რაც მის გამოყენებას აღიშნულ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის. აშკარაა, რომ 188-ე მუხლი მხოლოდ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლის განსაკუთრებულ წესს ეხება და არა ზოგადად საკუთრების უფლებაზე ზემოქმედებისას. სწორედ ამიტომ, ეს მუხლი სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილშია მოცემული, რომელიც მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებას ეხება. ამით ცხადი ხდება კანონმდებლის ნება, ამ გამოწვევის წესის მხოლოდ მოძრავ ნივთებთან გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. 188-ე მუხლი ისეთივე იმპერატიული ხასიათისაა, რო-

⁵³ ზოიდე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2002, 151; ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 166.

გორც 186-ე მუხლი და მხარეებს საკუთრების უფლებაზე ზემოქმედების თვითნებური შეთანხმებების შესაძლებლობას არ უტოვებს.

კიდევ უფრო სადავოა საკითხი, რამდენად შესაძლებელია პირობადებული საკუთრების გამოყენება უძრავ ნივთებთან იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი შეთანხმება წერილობითი ხელშეკრულების ტექსტში მიღწეული არ ყოფილა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება წერილობით ფორმას მოითხოვს. დიდ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ თუ მხარეები უძრავ ნივთთან დაკავშირებით აფორმებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას, მაშინ ხელშეკრულების ყველა პირობა და მით უმეტეს, პირობადებული საკუთრების შესახებ შეთანხმება, წერილობითი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს. გარდა ამისა, შეუძლებელია მხარეები უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის ან მასზე ზემოქმედების შესახებ თვითნებურად შეთანხმდნენ. ამ შემთხვევაში კანონი იმპერატიულია და *numerus clausus*-ის პრინციპს ეფუძნება. ქართული კანონმდებლობა უძრავ ნივთებზე პირობადებული საკუთრების გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა. მით უმეტეს, ეს იმ შემთხვევაშია შეუძლებელი, თუ მხარეებმა ასეთი შეთანხმება წერილობით არ ასახეს. ამიტომ, სრულიად გაუგებარია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა, რომელიც მოძრავ ნივთთან მიმართებით, მასზე წერილობითი შეთანხმების არასებობის მიუხედავად, პირობადებული საკუთრების უფლების არსებობას ადასტურებს.⁵⁴

პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას გამყიდველის უფლებები. გერმანული სამართლის მიხედვით, პირობადებული საკუთრება კრედიტის უზრუნველყოფის ყველაზე მოქნილი და საიმედო საშუალებაა. ეს მოსაზრება, უპირველეს ყოვლისა, გაკოტრების სამართალში კრედიტორის ძლიერი პოზიციითაა განპირობებული. ამ სტატიის ფარგლებში შეუძლებელია პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას მყიდველისა და გამყიდველის სამართლებრივი პოზიციის სრულყოფილად წარმოჩენა.

უნდა ითქვას, რომ პირობადებული საკუთრებისას გამყიდველი, მყიდველის (მოვალის) გაკოტრების შემთხვევაში, ქართული სამართლის მიხ-

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის განჩინება №ას-1284-1211-2012.

ედვითაც სათანადოდაა დაცული. მის ძლიერ პოზიციას პირობადებული საკუთრების სანივთოსამართლებრივი ხასიათი და მისი, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალების დანიშნულება ქმნის.

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლში მოცემულია გაკოტრებული მოვალის ქონების გასხვისების წესი და პირობები. აღსანიშნავია, რომ მოვალის ქონებას, ანუ ვალაუვალობის მასას, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის ობიექტი არ განეკუთვნება. ნივთის მესაკუთრე გამყიდველია და მას შეუძლია მოითხოვოს ამ ნივთის საერთო მასიდან გამოცალკეება. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის შესაბამისად, ნივთის უკან დაბრუნება მოითხოვოს. თუ მხარეებს შორის გაფორმებული იყო წერილობითი ხელშეკრულება, თავის უფლებას ნივთზე იგი ადვილად დაადასტურებს. გამყიდველს შეუძლია უარი ხელშეკრულებაზე არ თქვას. ამით იგი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის დაცვის ქვეშ მოექცევა. მისი პოზიცია ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მყარია.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებთან ურთიერთობას, გამყიდველს მყიდველის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის როგორც 172-ე, ისე 976-ე მუხლების ძალით, ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეუძლია. ამ და სხვა მიზეზების გამო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირობადებული საკუთრება როგორც ქართული სამართლის, ისე გერმანული სამართლის მიხედვითაც, კრედიტის უზრუნველყოფის საიმედო საშუალებაა.

პირობადებული საკუთრებით მყიდველის უფლებები და ვალდებულებები ცალკე განსჯის საგანია. ამ შემთხვევაში ქართული სამართალი ისეთ სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს, როგორც ამას გერმანული სამართალი ახერხებს. თუმცა მყიდველის პოზიციას, განსაზღვრულ დონეზე, მფლობელობიდან გამომდინარე უფლებები და საკუთრების შექმნის წინაპირობები მაინც ამყარებს. რადგან პირობადებული საკუთრების წარმოშობის საკითხი მაინც სადავოდ რჩება, ამიტომ ხელშეკრულების მერყევად ბათილად არსებობის პერიოდში მყიდველის დაცვის საკითხზე მსჯელობა, არ არის მიზანშეწონილი.

დასკვნა

გერმანული პირობადებული საკუთრების წარმოჩენისას ცხადი გახდა, რომ პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით კრედიტის უზრუნველყოფის ატიპური საშუალებაა. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით და შესაბამისი ინტერპრეტაციით სამართლის ეს ინსტიტუტი საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად ყოველთვის იცვლებოდა და მხარეთა უფლებების საიმედო დაცვას უზრუნველყოფდა. პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემები უზრუნველყოფენ. ეს ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც გერმანიის, ისე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ბევრი სხვა ინდუსტრიული ქვეყნის საბაზრო ეკონომიკურ პროცესებში. ამ ინსტიტუტის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქციის პრინციპს არც ფრანგული და არც ინგლისური სამართალი იცნობს, სამოქალაქო სამართალში განსაზღვრული ცვლილებების შეტანა განდა საჭირო, რათა ამ ინსტიტუტის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება დაუბრკოლებლად ყოფილიყო შესაძლებელი. კონკრეტულ მაგალითად გამოდგება ე.წ. *Mecarex*-ის გადაწყვეტილება.⁵⁵ ამ გადაწყვეტილებით ფრანგულმა სასამართლომ კრედიტების ასეთი ფორმის მნიშვნელობა და მისი სამართლებრივი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მხოლოდ პირობადებული საკუთრებით ნასყიდობის შემთხვევებში აბსტრაქციის პრინციპის არსებობაც კი აღიარა.⁵⁶

გაერთიანებულ სამეფოში პირობადებული საკუთრების ინსტიტუტს 1979 წლიდან ვხვდებით. მაშინ, როდესაც ე.წ. „საწვავის კრიზისი“ ჯერ კიდევ ახალი დაძლეული იყო და ამის ფონზე დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებს სასწრაფოდ საჭიროებდა, მარგარეტ ტეტჩერის მთავრობამ სწორედ პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი გამოიყენა ქვეყნის შიგნით ბაზარზე არსებული პრობლემების

⁵⁵ Menne M., „Die Sicherung des Warenlieferanten durch den Eigentumsvorbehalt im französischen recht“, 1998, 32.

⁵⁶ იქვე.

დასაძლევ ბერკეტად. როგორც ცნობილია, ამ სიახლემ გაამართლა და ეკონომიკური კრიზისის\ საბოლოოდ აღმოფხვრა.⁵⁷ პირობადებული საკუთრება დიდ ბრიტანეთში დღემდე კრედიტის უზრუნველყოფის ყველაზე მეტად გამოყენებადი ინსტიტუტია.

ქართული პირობადებული საკუთრების ინსტიტუტის განხილვამ და ქართულ „ბაზარზე“ მისმა უფუნქციობამ ნათლად დაგვანახა ცვლილებების აუცილებლობა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ არასტაბილურობის ნიშნებს ავლენს. მომხმარებლისთვის, მათთვის, ვინც საქონლის საბოლოო შემძენია და ვისზეც ყველა ქვეყნის ეკონომიკა „დგას“, უზრუნველყოფის ასეთი საშუალება ყველანაირად სასურველი და საიმედოა. პირობადებული საკუთრების ინსტიტუტის ამოქმედებით მცირე და საშუალო მეწარმეებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. ერთი მხრივ, ისინი ქონების საიმედოდ გასხვისებასა და მეორე მხრივ, საკუთარი სამეწარმეო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში ფულადი კრედიტის და მასთან დაკავშირებული მაღალი პროცენტის თაიდან აცილებას შეძლებენ.

სტატიაში განხილული პრობლემების აღმოფხვრის ორი შესაძლებლობა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ 188-ე მუხლით, პირობადებული საკუთრების შესახებ შეთანხმება შესაძლებელია, ქართული სამართლებრივი სისტემა ამ ინსტიტუტის ნორმატიულ მხარდაჭერას მთლიანად არ უზრუნველყოფს. ქართული სამართალი ყველა იმ ნორმას არ შეიცავს, რომელიც პირობადებული საკუთრების ინსტიტუტის უპრობლემო ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი. ამიტომ, პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა, შესაძლოა, უკვე არსებულ მატერიალურ სამართალში მასშტაბური საკანონმდებლო ცვლილება იყოს.

მოდრავ და უძრავ ნივთთა მომწესრიგებელი ნორმების შემცველი პირობადებული საკუთრების შესახებ ცალკე კანონის შექმნა, უფრო მარტივი და უმტკივნეულო გამოსავალი გახლავთ. კრედიტის უზრუნველყოფის ამ საშუალების ნორმატიული აგებულების დახვეწა და მისი „ბაზარზე“ საიმედოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა კანონის ფარგლებში მოხდებოდა. ამგვარი ნორმატიული აქტის შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრა სხვა ნაშრომის ფარგლებში უნდა შედგეს.

⁵⁷ <<http://www.bexaweb.plus.com/files/rotguideaug05.pdf>> [12.06.2013].

**მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების
წარმოშობის სამართლებრივი მოწესრიგება
ქართული კანონმდებლობის მიხედვით**

შესავალი

თანამედროვე სოციალური საბაზრო ეკონომიკის¹ განვითარების მზარდ პირობებში საკუთრების, როგორც უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლების, დაცვისა და მასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მოწესრიგების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ცდილობს შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, სადაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ის სამოქალაქოსამართლებრივი რისკები, რომელიც საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით სამოქალაქო ბრუნვას ახასიათებს.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში საკუთრების უფლების გადაცემის საკითხი განსხვავებულადაა მოწესრიგებული. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება ფორმალურად დადგენილი წესით არ აღირიცხება. უძრავი ნივთებისაგან განსხვავებით, მოძრავი ნივთების შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია.² აქედან გამომდინარე, მისი გასხვისების სამართლებრივი რეჟიმი მაღალი სამოქალაქოსამართლებრივი რისკის მატარებელია და არასდროს არის გამორიცხული არსებითი პრობლემები, რომლებიც ამა თუ იმ პიროვნების მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას ეჭვქვეშ დააყენებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის უპირატეს მიზანს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივი საშუალებების ანალიზი წარმოადგენს. ამასთან, შეფასებული იქნება სასამართლო პრაქტიკის თანამედროვე ტენდენციები, ყურადღება გამახვილ-

¹ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 267.

² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 146.

დება ავტომობილის, როგორც მოძრავი ნივთის, საკუთრებაში გადაცემის სამათლებრივ საფუძველსა და ბუნებაზე.

1. ზოგადად საკუთრების უფლების შესახებ

1.1. საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველები

საკუთრების უფლება შეუძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც მხოლოდ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკური ან სოციალური უფლება.³ საკუთრების უფლება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. ადამიანთა არსებობის ყოველდღიურობა სწორედ საკუთრებასთანაა დაკავშირებული. მას საზოგადოებისა და ზოგადად, სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებისათვის დამახასიათებელია ფორმულა – „საკუთრება ავალდებულებს“. საქართველოს კონსტიტუციაში ეს პირდაპირ არ არის აღნიშნული, თუმცა 21-ე მუხლიდან და სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.⁴ საკუთრებაში არსებულ ნივთთან დაკავშირებული გარემოებები განეკუთვნება იმ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს, რომლებიც საკუთრების უფლებით არის დაცული და გარანტირებული. ამ სფეროებისა და ინტერესების უზრუნველყოფა სამართლებრივი წესრიგის უმნიშვნელოვანეს, უპირველეს მიზანს წარმოადგენს.⁵

საკუთრების უფლება მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა იმ კატეგორიას, რომელიც აღიარებულია კონსტიტუციით და უზრუნველყოფილია საერთაშორისო კონვენციებით, ცალკეული კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების ისეთი საკანონმდებლო მექანიზმებით დაცვა, რომ მისი ხე-

³ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ა. ეიდეს, კ. კრაუზესა და ა. როსას რედაქციით, ნ. ჯაფარიძე-ჭყოიძის თარგმანი, თბილისი, 227.

⁴ ამირანაშვილი გ., კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის კონფისკაცია - კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტები, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 8.

⁵ ციპელიუსი რ., თურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 7.

ლყოფა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. სწორედ ამიტომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა საკუთრების უფლებას ქვეყნის უზენაეს კანონში – კონსტიტუციაში განამტკიცებს. სწორედ კონსტიტუციაა საკუთრების უფლების უმთავრესი გარანტი. აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლება კონსტიტუციური უფლებაა და წარმოადგენს ერთგვარ „დაცულ სფეროს“, რომელშიც სხვა გარეშე პირის უკანონო ჩარევა საპასუხო რეაქციას იწვევს მესაკუთრისა და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდანაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკუთრების უფლების, როგორც უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლების\ დაცვის მექანიზმები გაწერილია, ასევე, საერთაშორისო შეთანხმებებშიც, რაც მის განსაკუთრებულ სტატუსზე მიუთითებს. საკუთრების კონსტიტუციური უფლება არის საკუთრების, როგორც პიროვნების უფლების გარანტი.⁶ საკუთრების უფლების ინსტიტუტის არსი კერძო საკუთრების, როგორც ობიექტური ღირებულების, დაცვაში, მისი არსებობის რეალურ უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლისკენაა მიმართული. კანონმდებელს არ შეუძლია მიიღოს ისეთი ნორმა, რომელიც კერძო საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს, ეჭვქვეშ დააყენებს.⁷ საკუთრება ის ელემენტარული ძირითადი უფლებაა, რომელიც შინაგან კავშირშია პიროვნების თავისუფალ გარანტიასთან.⁸ მისი ამოცანაა ძირითად უფლებათა საერთო კომპლექსში უზრუნველყოს ამ უფლებათა მქონეთათვის თავისუფლება ქონებრივ სფეროში და ამით მათ შესაძლებლობა მისცეს საკუთარი ცხოვრება საკუთარი პასუხისმგებლობით მოაწყონ.⁹ საკუთრება ისევე ფასეულია ყოველი ადამიანისთვის, როგორც მისი სი-

⁶ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები თბილისი, 2005, 146.

⁷ იქვე.

⁸ ქოჩაშვილი ქ., მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), შედარებით სამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი, №1, 2011, 114.

⁹ იქვე, იხ. ციტირება: Жалинский А., Рёрихт А., Введение в немецкое право. М., 1994, 42-43.

ცოცხლე.¹⁰ საკუთრების უფლება, როგორც ე.წ. პირველი თაობის უფლება, განმტკიცებულია მრავალი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში. აღნიშნული საკუთრების უფლების მაღალ სოციალურ დანიშნულებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ საკუთრების უფლება არის წინარე და ზესახელმწიფოებრივი უფლება¹¹.

1.2. საკუთრების უფლების სამოქალაქო სამართლებრივი საფუძვლები

„საკუთრების უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს.“¹² საკუთრება ქონებაზე „სრული ბატონობის“ გამომხატველი აბსოლუტური უფლებაა.¹³ კოდექსის 170-ე მუხლი საკუთრების უფლებას ტრადიციულად განმარტავს, კერძოდ, როგორც ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობას.¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად უნდა შეფასდეს მასში მოცემული საკუთრების ცნების ერთიანობა. ამით საკუთრების ფორმებად დაყოფა საბოლოოდ გამოირიცხა, როგორც ეს დღემდე ხდება, მაგალითად, რუსეთის სამართალში, სადაც კერძო საკუთრების გვერდით არის აღიარებული სახელმწიფო საკუთრება, მუნიციპალური საკუთრება და ა.შ. ჩვენ კოდექსის ეს მიღწევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის გავლენის

¹⁰ იქვე, იხ. ციტირება Кулагин М. М., (ред.) Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран. Сборник нормативных актов: Гражданские и торговые кодексы, М., 1986, 4.

¹¹ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 96.

¹² ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 265.

¹³ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 220.

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 1999, 84.

უშუალო შედეგია¹⁵, რადგან ქართული სამოქალაქო კოდექსის შემქმნელები ძირითადად სწორედ მას ეყრდნობოდნენ¹⁶.

2. თეორიები მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ

იურიდიულ ლიტერატურაში საკუთრების უფლების გადაცემის რამდენიმე სისტემას განასხვავებენ. მათ ჰყოფენ იმ განსხვავებების მიხედვით, რომლებიც, ერთი მხრივ, ტრადიციისა და კონსესუალურ და მეორე მხრივ, აბსტრაქტულ და კაუზალურ სისტემებს ახასიათებს. „გარიგებათა დაყოფა აბსტრაქტულ და კაუზალურ გარიგებებად ტრადიციულად გერმანული სამოქალაქო სამართლისთვისაა დამახასიათებელი“¹⁷.

2.1. კაუზალური სისტემა

კაუზალური სისტემის მიხედვით, ხელშეკრულებას თავისთავად გადააქვს საკუთრების უფლება ყოველგვარი სხვა სამართლებრივი აქტისა თუ დადგენილი ფორმალობების გარეშე. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საუბარია ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლებსაც თავისი იურიდიული ბუნებით საკუთრების უფლების გადატანა შეუძლია. ესენია: ნასყიდობა, ჩუქება, გაცვლა და სხვ. ამასთან, ამ ხელშეკრულებათა თავიდანვე ბათილობა ან შეძღვომში ბათილად ცნობა ყველა შემთხვევაში იწვევს იმას, რომ საკუთრების უფლება თავიდანვე ვერ გადადის შემძენზე. მიჩნეულია, რომ შემძენი არასდროს ყოფილა მესაკუთრე, რადგანაც თვით ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგი მოაზრებულია როგორც თავიდანვე არარსებული.¹⁸ გარიგება მიიჩნევა კაუზალურად, თუ მისგან

¹⁵ თუმცა ეს არ არის მხოლოდ გერმანული სამართლის დამსახურება, კერძო საკუთრება ცივილიზებული სამყაროს მიერ აღიარებული ფასეულობაა. ამ იდეით სუნთქავს, როგორც ევროპული, ისე საერთოსამართლებრივი ცივილისტიკა.

¹⁶ Курзински-Сингер Е., Зарандия Т., Рецепция немецкого вещного права в Грузии, Вестник Гражданского Права, том 12, №1, 2012, 224.

¹⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 310.

¹⁸ ბერიკაშვილი ნ., ნივთის გადაცემა, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენის სამართლებრივი გზა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2008, 4.

გამომდინარეობს გარიგების მიზანი, სამართლებრივი საფუძველი (causa). ე.ი. კაუზალურია გარიგება, რომელსაც აქვს კონკრეტული, ხელშესახები სამართლებრივი საფუძველი – კაუზა, მიზანი.¹⁹ მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება არის კაუზალური გარიგება. მისი კაუზა, ე.ი. სამართლებრივი საფუძველი წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულებაა. თუ ეს არ არის დაცული, მაშინ გარიგება ბათილად მიიჩნევა. ე.ი. შემძენი მესაკუთრე ვერ გახდება. მაშასადამე, კანონი ითხოვს, რომ კაუზალური გარიგების დროს მისი სამართლებრივი საფუძველი გამოკვეთილი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება ბათილი იქნება.²⁰ თანამედროვე სამოქალაქო სამართალში საკუთრების უფლების გადაცემის ზემოაღნიშნულ სისტემას საფუძველი 1804 წელს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიღებით ჩაეყარა.²¹ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1138-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება და საკუთრების უფლება გადადის მხარეთა შორის შეთანხმების მომენტიდან; ნივთის მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის²².

2.2. აბსტრაქტული სისტემა

საკუთრების უფლების გადაცემის აბსტრაქტული სისტემის შემთხვევაში საწინააღმდეგო მოწესრიგებაა დამკვიდრებული. ამ სისტემის მიხედვით, საკუთრების უფლების გადაცემა ხდება სპეციალური სამართლებრივი აქტის მეშვეობით, რომელიც ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებას სრულად ემიჯნება. ეს უკანასკნელი საკუთრების უფლების გადაცემის აქტს ემსახურება როგორც მისი სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ სამართლებრივად საკუთრების უფლებით გადაცემის აქტს არ ეხება და მას არ აბათილებს. შესაბამისად, საკუთრების უფლება შემძენზე მინც გადადის. ასეთი შენაძენი სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო

¹⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 311.

²⁰ იქვე. 312.

²¹ ჭეჭელაშვილი ზ., საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, მ. მენაღარიშვილის რედაქტორიბით, წიგნი I, თბილისი, 2004, 91.

²² იქვე.

გამსხვისებელს უსაფუძვლო გამდიდრების წესის ძალით უნდა დაუბრუნდეს.²³ აბსტრაქტული გარიგების დროს, კაუზალურისაგან განსხვავებით, სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობა არ აქვს და გარიგების ნამდვილობა ამ სამართლებრივი საფუძველის ნამდვილობისაგან დამოუკიდებელია.²⁴ ამრიგად, ის, ვინც იძენს საკუთრებას, ორ გარიგებას მაინც დებს დამოუკიდებლად: ვალდებულებითსა და სანივთოს. თუ პირველით საკუთრების დათმობა ხდება, მეორე მის რეალურ გადასვლას უწყობს ხელს²⁵.

3. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივი მოწესრიგება ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით

3.1. ქართული სამართალი

მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლშია მოცემული. როგორც განსახილველი ნორმიდან ირკვევა, საკუთრების შექმნისათვის აუცილებელია: პირველი, ნამდვილი უფლების არსებობა და მეორე, ხსენებული ნამდვილი უფლების საფუძველზე შექმნისათვის ნივთის გადაცემა. მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნას კანონი მესაკუთრისაგან ნივთის გადაცემას უკავშირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შექმნი ნივთის მესაკუთრე მისთვის ნივთის გადაცემის შემდეგ გახდება.²⁶ 186-ე მუხლი მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის ერთ-ერთ საფუძველად გარიგებასთან ერთად კანონსაც მიიჩნევს.²⁷ მნიშვნელოვანია, თუ რა იგულისხმება ნამდვილ უფლებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გან-

²³ ბერიკაშვილი ნ., ნივთის გადაცემა, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივი გზა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამაგისტრო ნაშრომი თსუ, თბილისი, 2008, 4.

²⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 313.

²⁵ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003. 146.

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 1999, 121.

²⁷ ვიორგაძე დ., მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის პირობები, სამაგისტრო ნაშრომი თსუ, თბილისი, 2009, 8.

მარტებით, „ნამდვილ უფლებაში“ კანონმდებელი ხელშეკრულებიდან წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას გულისხმობს.²⁸

3.2. გერმანული სამართალი

გერმანულ სამართალში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლის პირობებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე პარაგრაფი განსაზღვრავს. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის საჭიროა მესაკუთრემ ნივთი შემძენს გადასცეს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკამარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება. მხოლოდ შეთანხმება საკუთრების უფლების გადასვლაზე, როგორც ეს ფრანგულ და ინგლისურ სამართალშია გავრცელებული, გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი არ არის.²⁹ აქედან გამომდინარე, ნივთის გადაცემად მიიჩნევა უშუალო მფლობელობის გადაცემა. ამ შემთხვევაში მესაკუთრე მიძღვება ნივთზე უშუალო მფლობელობის უფლებას გადასცემს. ნივთის გადაცემის დროს სავალდებულოა მესაკუთრემ პირდაპირი მფლობელობის უფლება მთლიანად დათმოს. თუ მესაკუთრე თანამფლობელად რჩება, ეს ნივთის გადაცემად არ მიიჩნევა³⁰.

3.3. სამართლებრივი შედარება

ზოგადად, ქართული და გერმანული სამართალი ნივთის გადაცემის ერთნაირ განმარტებას იძლევა. ორივე კანონი საკუთრების უფლების გადასვლის ფაქტს ნივთის ფაქტობრივ გადაცემას უკავშირებს. ამ ორ სამართლებრივ სისტემას შორის სხვაობა შეთანხმების ნაწილში მდგომარეობს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აღიარებს შეთანხმებას, როგორც

²⁸ იქვე, 9.

²⁹ Schwab K.H., Sachenrecht, 22, neuberbeitete Auflage, des Von Friedrich Lent begründeten Werkes, München, 1989, 139.

³⁰ ქაშიბაძე ნ., მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 14. იხ. ციტირება: Erman, SachR.33.Auflage, 2008, S.144, Rn.373.

სანივთოსამართლებრივ გარიგებას. ამ შემთხვევაში მესაკუთრე გამოხატავს ნივთის გასხვისების ნებას, რომელსაც ნივთის მიმღების ნების გამოვლენა – გახდეს მესაკუთრე – ფარავს. ნების გამოვლენა, ზოგადად, ნების გამოხატვისა და მიღების შედეგებს ექვემდებარება.³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეთანხმების თაობაზე ჩანაწერს არ შეიცავს, თუმცა აქვე საუბრობს ნამდვილი მოთხოვნის უფლების შესახებ, რომელიც კაუზალური ხელშეკრულებიდან ანუ ძირითადი გარიგებიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში სახეზე სანივთოსამართლებრივი გარიგება არ არის. ძირითადი განხვავება ქართულ და გერმანულ სამართლებრივ სისტემებს შორის სწორედ ამის მეშვეობით ვლინდება. გერმანულ კერძო სამართალში აბსტრაქციის პრინციპი მოქმედებს. ამის გამო შეთანხმების ნამდვილობა კაუზალურ გარიგებაზე არ არის დამოკიდებული. ამავედროულად, ქართულ სამართალში მოქმედებს კაუზალური სისტემა. შესაბამისად, ნივთის გადაცემის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულებიდან, რომლის გარეშეც საკუთრების უფლება სამართლებრივად გადაცემულად არ მიიჩნევა³².

3.4. შუალედური შედეგი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ და გერმანულ სამართალს შორის განსხვავება თვალსაჩინოა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე პარაგრაფის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის საჭიროა მესაკუთრემ ნივთი შემძენს გადასცეს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. კანონმდებელი ამ ნორმაში პირდაპირ უთითებს მხარეთა შორის დადებულ სანივთო შეთანხმებასა და ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემაზე, მაგრამ არ ითხოვს ვალდებულებითსამართლებრივ გარიგებას, რომელიც სანივთო შეთანხმებას საფუძვლად უნდა დაედოს. სანივთო გარიგება კაუზალური გარიგებისგან დამოუკიდებელია. მასასადამე, გერმანული სამართალი აბ-

³¹ Von DR. DR. H.C. Karl Heinz Schwab, Sachenrecht, 22, neuberbeitete Auflage, des Von Friedrich Lent begründeten Werkes, München, 1989, 140.

³² ქაშიბაძე ნ., მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2011, 15.

სტრატეგიული გადაცემის სისტემას აღიარებს - ე.წ. „აბსტრაქციის პრინციპს“.³³ ქართულ სამართალში ტიტულუსისა და მოდუსის პრინციპთა შეხამებას აქვს ადგილი.³⁴ ე.ი. ქართული სამართალი შეთანხმებით-გადაცემით სისტემას აღიარებს. გერმანული სამართალი მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის წერილობითი ფორმით შეზღუდული არ არის.³⁵ ფორმალური თვალსაზრისით, ის თითქოს მეტ „პროცედურას“ შეიცავს, თუმცა აღნიშნული სამოქალაქო ბრუნვისთვის ხელშემლას სულაც არ გულისხმობს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გერმანული და ქართული სამართალი მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემაზე უფლებამოსილ ერთადერთ პირად მხოლოდ მესაკუთრეს აღიარებს. აღნიშნულ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში სრულიად სამართლიანადაა გამოთქმული კრიტიკა. კერძოდ, უმჯობესია ტერმინი „მესაკუთრე“ შეიცვალოს სიტყვით „უფლებამოსილი,“ რადგან მთელ რიგ შემთხვევებში მხოლოდ მესაკუთრე არ იქნება უფლებამოსილი განკარგოს ნივთი³⁶.

4. ავტომანქანა, როგორც მოძრავი ნივთი და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობა სავალდებულო სარეგისტრაციო ფორმას არ ექვემდებარება. აღნიშნული საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებას უწყობს ხელს, განსხვავებით უძრავი ნივთებისაგან,

³³ ჭეჭელაშვილი ზ., საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, მ. მენაღარიშვილის რედაქტორობით, წიგნი I, თბილისი, 2004, 95.

³⁴ ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003. 148.

³⁵ Schwab K.H., Sachenrecht, 22, neuberbeitete Auflage, des Von Friedrich Lent begründeten Werkes, München, 1989, 140.

³⁶ ტერმინი „უფლებამოსილი“ უფრო მეტად სწორად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც დაკავშირებულნი იქნებიან მოძრავი ნივთის საკუთრებასთან. ასე, მაგალითად, სიტყვა „მესაკუთრე“ მხოლოდ ერთ პირს აღნიშნავს, რომელიც საკუთრების უფლებას ფლობს ნივთზე, თუმცა არსებობენ პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გაასხვისონ ესა, თუ ის მოძრავი ნივთი. მაგალითად, ნივთის შემნახველი, აღმასრულებელი და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე გამართლებულად უნდა იქნას მიჩნეული ტერმინ „უფლებამოსილი პირის“ გამოყენება.

რომელზედაც სავალდებულოა საკუთრების უფლების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაცია.³⁷ აქედან გამომდინარე, უძრავ ნივთებთან მიმართებით მოქმედებს ე.წ. განსაკუთრებული რეჟიმი, რაც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ სავალდებულოა უძრავი ნივთის მესაკუთრის სპეციალურ სახელმწიფო ორგანოში – საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, მათზე საკუთრების გადაცემის წესსა და პირობებზე ზემოთ უკვე აღინიშნა, თუმცა, პრობლემურია საკითხი ისეთი მოძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, როგორცაა ავტოსატრანსპორტო საშუალება. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ავტომანქანაზე მოქმედებს საკუთრების შექმნის საგამონაკლისო წესი, რომლის მიხედვითაც, შემძენზე საკუთრების უფლება მხოლოდ შესაბამის ორგანოში (სსიპ - შსს-ის მომსახურების სააგენტოში) მისი რეგისტრაციის შემდეგ გადადის. ამ საკითხთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკაც დროის განსაზღვრულ პერიოდში არაერთგვაროვანი იყო. შესაბამისად, ნაშრომის ამ თავში განიხილება ავტომობილის, როგორც მოძრავი ნივთის, საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი პირობები კანონმდებლობისა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

4.1. ავტომანქანის გადაცემა, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ვალდებულებას³⁸ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მარეგისტრირებელ ორგანოს – სსიპ შსს-ს მომსახურების სააგენტოს. ყურადღება გამახვილდება მოცემული საკანონმდებლო აქტის მიზანზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 311-ე მუხლები, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №786-III, 1997; გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 873-ე პარაგრაფი.

³⁸ ჩაჩავა ს., ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2004, 114.

წარმოადგენს. შესაბამისად, ამ კანონის ყველა დანაწესი მისი ტელელოგური განმარტების შემთხვევაში ნორმის მიზნიდან გამომდინარე³⁹, სწორედ ამ შინაარსის მატარებელია. თვით მე-9 მუხლიც მოთავსებულია კანონის IV თავში, რომლის სახელწოდებაა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები“. მაშასადამე, ავტოტრანსპორტის სსიპ შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას ემსახურება. მეტიც, ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალებათა და მძღოლთა რაოდენობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია და ამითაა განპირობებული მისი აღრიცხვის წარმოება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №150 ამტკიცებს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ ინსტრუქციას. ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების შეძენისას მისი შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის გატარების მოვალეობა ამ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს (ან მის წარმომადგენელს) ეკისრება. აქედან აშკარად ჩანს, რომ პირს საკუთრების უფლება ამ ნივთზე რეგისტრაციამდეც აქვს შეძენილი. ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი კი განსაზღვრავს ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის მესაკუთრის ცნებას. აქ საყურადღებოა ის, რომ მესაკუთრედ მიიჩნევა პირი, რომელმაც „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლება და შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნია“⁴⁰. დასახელებული ნორმატიული მასალის მიუხედავად, მნიშვნელოვანია „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმა-დებულებები. აღნიშნული კანონის მე-9¹ მუხლი წარმოადგენს მნიშვნელოვან საკანონმდებლო დანაწესს, რომელიც მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების

³⁹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 156.

⁴⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვარის ბრძანება №150 „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“.

წარმოშობას სწორედ ამ უფლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირში შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას უკავშირებს⁴¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კონონმდებელი სხვადასხვა ნორმატიულ მასალაში განსხვავებულ სამართლებრივ მოწესრიგებას გვთავაზობს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა განისაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არის ჩვეულებრივი კანონი, რომელიც კერძო სამართლის უზოგადეს საკითხებს აწესრიგებს,⁴² იგი ისეთივე იურიდიული ძალის მქონეა, როგორც სხვა კანონი⁴³. კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. აქედან გამომდინარე, უდავოა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით საკუთრების უფლების გადაცემის მოწესრიგებისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსით, ზემოაღნიშნული ნორმატიული მასალითა და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესებით. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს მე-9¹ მუხლი 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად დაემატა და შესაბამისად, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებით. ე.ი. საკუთრების უფლების წარმოშობისათვის გადამწყვეტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – შსს-ს მომსახურების სააგენტოში უფლების რეგისტრაციაა.

⁴¹ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – შსს-ს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა გარკვეული გაუგებრობით ხასიათდება. გაუგებარია, თუ რა იგულისხმება სიტყვებში – „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა“. აღნიშნული საკმოდ გაუგებარია და დაზუსტებას მოითხოვს.

⁴² კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 53.

⁴³ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 42.

4.2. სასამართლო პრაქტიკა ავტომობილის საკუთრებაში გადაცემასა და რეგისტრაციის მნიშვნელობაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლების თანახმად, ავტომანქანა წარმოადგენს რა მოძრავ ნივთს, მასზე უნდა გავრცელდეს ამ კატეგორიის ნივთებთან დაკავშირებული საკუთრების გადაცემის სამართლებრივი რეჟიმი.⁴⁴ სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველი. უზენაესმა სასამართლომ შემდგომ არაერთხელ მიუთითა ამ გადაწყვეტილებასა და ზოგადად კანონის განმარტების ასეთი წესის მართებულობაზე.⁴⁵ საინტერესოაა განხილული ისეთი სახის სასამართლო დავები, სადაც ნასყიდობის საგანს ავტომობილი წარმოადგენს, თუმცა საკუთრების უფლება ნივთის გადაცემასთან ერთად არ გადადის შემძენზე. ე.ი. საყურადღებოა მიმართება სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლთან.⁴⁶

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადაა დადგენილი სამოქალაქო კოდექსით, რომელიც მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის სამართლებრივ რეჟიმს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ვინაიდან ამავე კოდექსის 186-197-ე მუხლებით მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის საფუძვლებია განსაზღვრული, ეს წესები ყველა მოძრავ ნივთზე ვრცელდება და მათზე საკუთრების შესაძენად რაიმე სახის სავალდებულო რეგისტრაციას არ ადგენს.⁴⁷

განსახილველ საკითხთან მიმართებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მიდგომა გამართლებულად არ უნდა იქნას მიჩნეული. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება №ას-914-954-2011.

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-1363-1381-2011, ას-496-469-2012.

⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება №ას-914-954-2011.

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 იანვრის განჩინება №ას-1363-1381-2011.

დადგენილი ნორმებით და არ გამოიყენა „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლი. სავარაუდოა, რომ სასამართლოს სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით ჰქონდა ერთგვარი მცდელობა უფრო მეტად მარტივი და არაფორმალური წესები დაემკვიდრებინა, მაგრამ აღნიშნული მაინც გაუმართლებლად და კანონშეუსაბამოდ უნდა იქნას მიჩნეული.

დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, მოძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი საფუძვლები სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიერ განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. ქართულმა სამართალმა აიღო ე.წ. შეთანხმებით-გადაცემითი, კაუზალურ-გადაცემითი სისტემა, რაც, ერთი მხრივ, განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში, მეორე მხრივ კი – იმ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რომლებიც მოძრავი ნივთის ცალკეული სახეების საკუთრებაში გადაცემის მოწესრიგებასთანაა დაკავშირებული. დეტალური საკანონმდებლო მოწესრიგების მიუხედავად, ნაშრომში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ინიციატივის სახით შეიძლება ითქვას, რომ, სასურველია, სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და ტერმინი „მესაკუთრე“ შეიცვალოს სიტყვით „უფლებამოსილი,“ რადგან მთელ რიგ შემთხვევებში მხოლოდ მესაკუთრე არ იქნება უფლებამოსილი განკარგოს ნივთი. რაც შეეხება მოძრავი ნივთის ისეთ სახეობაზე საკუთრების გადაცემას, როგორც ავტომობილია, ამ შემთხვევაში რაიმე საკანონმდებლო ხარვეზი, შეიძლება ითქვას, რომ სახეზე არ არის. აქ უფრო პრობლემურია არა საკანონმდებლო მოწესრიგების ტექნიკური მხარე, არამედ მისი შინაარსობრივი განმარტება, რამდენადაც სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა, ასევე, პრობლემურია და გადახედვას საჭიროებს. ამასთან, კანონმდებლის მიერ გადასაწყვეტია მნიშვნელოვანი საკითხი იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით ასეთი „განსაკუთრებული საგამონაკლისო წესების“ დადგენა და ზომ არ მოდის ის წინააღმდეგობაში იმ კერძოსამართლებრივ პრინციპებთან,

რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარეობს და რომლებიც, ზოგადად, დამახასიათებელია მოძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის იმ სისტემისათვის, რომელიც ქართული კანონმდებლობის მიერაა დადგენილი.

ნატურით რესტიტუციის შეუძლებლობა უსაფუძვლო გამდიდრების დროს

შესავალი

საკუთრების უფლება სახელმწიფოს მიერ არამხოლოდ კანონებშია გარანტირებული და განმტკიცებული, არამედ ის ბუნებითი უფლებაა.¹ საკუთრების უფლების დაცვა კი ნებისმიერი ქვეყნის სამართლის სისტემაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. საინტერესო და პრობლემურია საკუთრების უფლების დაცვა, როდესაც პირის ქონება (საკუთრება) სხვა პირის ხელში ყოველგვარი კანონისმიერი თუ სახელმეკრულებო ვალდებულებების გარეშე, უსაფუძვლოდ აღმოჩნდება. სწორედ ამ შემთხვევაში წარმოიშობა კონდიქციური ვალდებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაც სამოქალაქო სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულებების მქონე სუბიექტთა ინტერესების დაცვაა².

„ბუნებითი სამართლის თანახმად, სამართლიანია, როდესაც არავინ უნდა გამდიდრდეს სხვის საზიანოდ.“³ სტატიის ზოგადი კვლევის არეალი სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების დროს დარღვეული სამართლიანობის აღდგენას, სუბიექტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით დაზარალებულის (კრედიტორის) ინტერესების დაცვისა და მოთხოვნის ფარგლებს მოიცავს. კონკრეტულად კი კვლევის საგანი დაზარალებულის კანონიერ უფლებასა და ინტერესს შეეხება, რომლის თანახმადაც, მას უნდა დაუბრუნდეს ის, რაც ისედაც მისია, მაგრამ მოვალის ხელში უსაფუძვლოდ აღმოჩნდა. სხვა

¹ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 85.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 353-543.

³ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 229.

სიტყვებით, რესტიტუცია, პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა, უნდა მოხდეს. განსაკუთრებით საინტერესო იმ შემთხვევების განხილვაა, როდესაც ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია და დაზარალებულს საკუთრების ღირებულების მხოლოდ ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება რჩება.

კვლევის მიზანია, უპასუხოს კითხვებს: ფულადი ანაზღაურებით აღდება თუ არა სამართლებრივი წონასწორობა, როცა კრედიტორის ინტერესს ნივთის ნატურით დაბრუნება წარმოადგენს და ზოგადად, უნდა ჰქონდეს თუ არა კრედიტორს უფლება, თავად განსაზღვროს, როგორ აუნაზღაუროს მოვალემ ზიანი (ნატურით თუ ფულადი ანაზღაურებით); რა შეხედულებები არსებობს, როგორც საქართველოს, ისე კონტინენტურსა და საერთო სამართლის ქვეყნების დოქტრინაში და როგორია საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა ნატურით რესტიტუციასა და ფულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

1. უსაფუძვლო გამდიდრება

1.1. ღეფინიცია

„არავის აქვს უფლება, საფუძვლის გარეშე გამდიდრდეს სხვის ხარჯზე“, – პომპონიუსის ამ ცნობილმა გამოთქმამ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, „ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება“, თუმცა, ამავე მუხლის მეორე წინადადებაში ვალდებულების წარმოშობის სხვა საფუძვლებია ჩამოთვლილი, რომლის ერთ-ერთ სახესაც უსაფუძვლო გამდიდრება წარმოადგენს.⁵

უსაფუძვლო გამდიდრება თავისი სამართლებრივი ბუნების გამო კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ძალიან საინტერესო ინსტიტუტია. თავად ტერმინის, „უსაფუძვლო გამდიდრება“, ღეფინიციას სა-

⁴ შატერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი?, ჟურნალი „სამართალი“, №6-7, 2000, 33.

⁵ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 317-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები, უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსად, არ გვთავაზობს და მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრებით წარმოშობილი ვალდებულებების წესისა და საფუძვლების ჩამოთვლით შემოიფარგლება.⁶

უსაფუძვლო გამდიდრების ცნება მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: უსაფუძვლო გამდიდრება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ისეთ სახეს წარმოადგენს, რომლის დროსაც ერთი მხარე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მდიდრდება, ხოლო მეორე მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი ქონების უკან დაბრუნება, ანუ რესტიტუცია.

2.2. სამართლებრივი შედეგი

სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, პირის მიერ სარგებლის მიღება მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლითაა შესაძლებელი, რომელიც როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) შეიძლება იყოს.⁷

უსაფუძვლო გამდიდრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სარგებლის მიღების სახეს წარმოადგენს, რომლის დროსაც ერთი მხარე კრედიტორია (დაზარალებული), მეორე კი მოვალე (შემძენი)⁸. კრედიტორის ინტერესი საკუთრების უფლების დაცვაა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებს განსაზღვრავს, ხოლო კონდიქციური ვალდებულების წარმოშობაც ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობისა და სამართლიანობის აღდგენას ემსახურება. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების დაცვის საშუალებას კონდიქციური ვალდებულება წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე, იცნობს მესაკუთრის უფლებას, საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში უფლების დამრღვევს მოსთხოვოს, როგორც უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთა, ისე დარღვეული უფლების

⁶ ჩიტოშვილი თ., უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, ჟურნალი „კავასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, №1, 2009, 122.

⁷ იქვე, 123.

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 353.

ვინდიკაციური სარჩელით აღდგენა,⁹ რომელიც უფრო დაწვრილებით ქვე-
მოთ იქნება განხილული.

2.3. უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპები

უსაფუძვლო გამდიდრების ზოგადი პრინციპის თანახმად, სარჩელის აღიარების პირველი მოთხოვნაა გარკვეული სახის ქონების ერთი პირის სფეროდან მეორე პირის სფეროში გადასვლა, ანუ ქონების შემცირება მოპასუხის ქონების შესატყვისად გაზრდის ხარჯზე.¹⁰ უმეტესად ქონების ასეთი გაზრდა ბათილი გარიგებისა და ვალდებულების ხელშეორედ შესრულების შემთხვევებში ხდება. ქონების დაზოგვისას კი იმ პირის ქონება, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ვალი, კი არ მცირდება, არამედ უცვლელი რჩება. ქონების უსაფუძვლოდ შექმნისა და დაზოგვის საფუძველი ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე მიზეზია, რომელიც შეიძლება, როგორც მოქმედება, ისე ხდომილება იყოს¹¹.

უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი მახასიათებლებია: 1. სარგებლის მიღება, რომელიც სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდით ან დაზოგვით ხდება; 2. სუბიექტი სარგებელს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იღებს.¹² ამ პირობების არსებობის შედეგად მიღებული სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება და შემდგომში მისი აღსრულების მოვალეობა წარმოიშობა.¹³ იქიდან გამომდინარე, რომ კრედიტორის მოთხოვნის უფლება მოვალის მიერ რომელიმე ხელშეკრულების დარღვევაზე არ არის დაფუძნებული, იგი შედარებით აბსტრაქტული ხასიათისაა და რომის სამოქალაქო სამართალში ცნობილ აბსტრაქტულ სარჩელეტან

⁹ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 84.

¹⁰ ცვაივერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე.სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 238-239.

¹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 354.

¹² ჩიტოშვილი თ., უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, ჟურნალი „კავასის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, №1, 2009, 124.

¹³ იქვე.

მსგავსების გამო, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს კონდიქციურ ვალდებულებებს უწოდებენ¹⁴.

საინტერესოა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები გერმანიასა და აშშ-ის სამოქალაქო კოდექსებში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 812-ე პარაგრაფის თანახმად, „პირი, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას“¹⁵. ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში, გერმანიის სამოქალაქო სამართლის საპირისპიროდ, ზოგადი ნორმები უსაფუძვლო გამდიდრების რესტიტუციის თაობაზე არ არის, თუმცა 1235-ე მუხლი მიუთითებს, რომ „ყოველი გადახდა გულისხმობს ვალის არსებობას: უმართებულოდ გადახდილი უკან გამოთხოვას ექვემდებარება“, უფრო კონკრეტულად ეს სარესტიტუციო სარჩელი ჩამოყალიბებულია 1376-ე მუხლში კვაზიხელშეკრულებების სარჩელის სახით.¹⁶

ამერიკულ სასამართლოებს კი იმ საკითხთან მიმართებით, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება პირი უსაფუძვლოდ გამდიდრებულად და რა წესით ზდება მისგან გადაცემულის დაბრუნება, თავისებური განმარტება გააჩნიათ, კერძოდ: თუ მოსარჩელემ შეცდომით გადასცა მოპასუხეს გარკვეული ნივთი და მისი გამოყოფა ჯერ კიდევ შეიძლება უკანასკნელის მთელი ქონებრივი მასიდან, მოპასუხე განიხილება მოსარჩელის სასარგებლოდ კანონის ძალით მოქმედ მინდობით შესაკუთრედ. ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში კი აღნიშნული საკითხი განსხვავებულად წყდება, რომლის თანახმადაც, მინდობითი საკუთრება კანონის ძალით შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ განსაკუთრებული ნდობის ურთიერთობების არსებობისას პარტნიორებს შორის.¹⁷

¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 353.

¹⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 812-ე პარაგრაფი.

¹⁶ ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 236-237.

¹⁷ ჩიტოშვილი თ., უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა, ყურნალი „კავასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, №1, 2009, 126-127, იხ., ციტირება: ცვაიგერტი კ., კოტცი პ., ტომი II, თბილისი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით სხვისთვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების საფუძვლებს ეხება, რომლის თანახმადაც, პირს შეუძლია ქონება იმ შემთხვევაში გამოითხოვოს უკან, თუ ვალდებულება ფაქტობრივად არ არსებობს. ეს ის შემთხვევებია, როცა გარიგება რეალურად არც არსებობს, ბათილია, ან არსებობდა, მაგრამ შემდეგში შეწყდა.¹⁸ ინგლისელი და ამერიკელი მოსამართლეები მიმართავენ პრეცედენტებს, რათა გაირკვეს ხელშეკრულების გაბათილების მიზეზი, რადგან ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ხელშეკრულების გამაბათილებელი მიზეზის სახეობას აქვს.¹⁹ გერმანული სამართლებრივი ოჯახის ქვეყნების კანონმდებლობა კი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სპეციალურ ნორმებს შეიცავს, რომელთა მიხედვითაც, გარიგების საფუძვლად არსებული ხელშეკრულება იმ შემთხვევაში იქცევა ბათილად, როდესაც ის კანონს ან მორალს ეწინააღმდეგებიან. გერმანიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ყურადღება ჯერ ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხს ექცევა, ანუ სახელშეკრულებო სამართალს, ხოლო შემდეგ სპეციალურ, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმებს მიმართავენ.²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მსგავსი შემთხვევების დროს კრედიტორს, რომელსაც მოთხოვნის რეალური საფუძველი არ გააჩნია და ნივთს მაინც იღებს ან მის სასიკეთოდ რაიმე მოქმედება სრულდება, ვითომ-კრედიტორს უწოდებს. ზემოაღნიშნული მუხლი კიდევ ერთ შემთხვევაზე ამახვილებს ყურადღებას, როცა: „ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა“²¹, ასეთ შემთხვევაში შესაგებელი ვალდებულებას გამორიცხავს.

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 355.

¹⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 247.

²⁰ იქვე, 248.

²¹ იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

2.3.1. კონდიქციური ვალდებულება

საკუთრების უფლების არსებობა ნივთისა და საერთოდ, ქონებისადმი მესაკუთრის თავისუფალი დამოკიდებულების უზრუნველყოფას ნიშნავს.²² იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე „გამდიდრება“, წარმოიშობა ვალდებულება, რომელსაც ძველ რომში არსებულ აბსტრაქტულ სარჩელებთან მსგავსების გამო კონდიქციურ ვალდებულებებს უწოდებენ.²³ ძველი რომის ფორმულარულ პროცესში “condictio” გაგებულია „აბსტრაქტულად“, ანუ მითითებული არაა მოპასუხის ვალდებულების საფუძველი, რომელიც ძირითადად მოვალის მიერ მოსარჩელისათვის გარკვეული თანხის ან ნივთის გადაცემაში გამოიხატებოდა.²⁴ მსგავსი სარჩელები სანივთო სარჩელებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მოსარჩელეს „კონდიქციების“ დროს შეეძლო მოეთხოვა ნივთის გადაცემა ან მოვალისთვის რაიმეს გაკეთება²⁵.

როგორც აღინიშნა, უსაფუძვლო გამდიდრების დროს კრედიტორის ინტერესი საკუთრების დაცვაა. კონდიქციური ვალდებულების ძირითადი ფუნქციაც ის არის, რომ აღადგინოს სამართლებრივი წონასწორობა, ანუ უზრუნველყოს დაზარალებულის ადრინდელი ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა.²⁶ სწორედ ამიტომ, კონდიქციური ვალდებულებების ინსტიტუტი საკუთრების ნებისმიერი ფორმის უკანონო ხელყოფის აღკვეთის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს²⁷, თუმცა კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისთვის, რასაკვირველია, საჭიროა რიგი პირობების არსებობა, რომლებიც ძირითადად უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს ახასიათებს.

²² ჩიტოშვილი თ., უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2006, 5.

²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 353.

²⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 229.

²⁵ გაიუსის ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, თბილისი, 2002, 184.

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 353.

²⁷ შენგელია რ., კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძველები, სერგო ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996, 68.

კერძოდ, უნდა მოხდეს ერთი პირის ქონების შექმნა ან დაზოგვა, რომელსაც მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირება ახლავს თან. მთავარი ფაქტორი კი ისაა, რომ სამართლებრივი საფუძველი არ უნდა არსებობდეს.

კონდიქციური ვალდებულების მთავარ მახასიათებელს და ასევე, ძირითად განმასხვავებელს სანივთო სარჩელებისგან, კერძოდ, ვინდიკაციური სარჩელებისგან, წარმოადგენს ის, რომ მოვალის მიერ ქონების დაბრუნებაში ფული და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები იგულისხმება. კონდიქციური ვალდებულება მხოლოდ ნივთის დაბრუნებას არ გულისხმობს, მოვალემ კრედიტორს ქონებასთან ერთად ის შემოსავალიც უნდა დაუბრუნოს, რაც მან უსაფუძვლოდ მიიღო. თუ საგნის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული ქონების მდგომარეობის გამო, მისი ის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს, რაც ამ ქონებას შექმნის მომენტში ჰქონდა.²⁸

კონდიქციური ვალდებულების არსი და ფუნქციაც სამართლიანობის დაცვაა, ანუ ქონებრივი წონასწორობის აღდგენა მოვალისგან ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული ქონების უკან გამოთხოვით, რაც მოვალის უსაფუძვლო გამდიდრებით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურებაშიც გამოიხატება.²⁹

2.3.2. ვინდიკაციური სარჩელი

საკუთრების უფლება აბსოლუტურ უფლებათა მნიშვნელოვანი სახეა, რომელიც მესაკუთრის ყველა დანარჩენ პირთან ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა განვიხილოთ.³⁰ საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის გარანტიას საქართველოს კონსტიტუცია ქმნის, კერძოდ, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვი-

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 360.

²⁹ შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნალი „სამართალი“, №6-7, 2000, 34.

³⁰ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 83.

დროებით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“³¹. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რომელიც საკუთრების შინაარსს განსაზღვრავს, „მესაკუთრე უფლებამოსილია, ნივთი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები“³². იმ შემთხვევაში კი, როდესაც მესაკუთრის უფლებები იზღუდება და მას საკუთრებით სარგებლობაში, ან მის განკარგვაში ხელი ეშლება, იგი უფლებამოსილია ნივთის უკანონო მფლობელს მისი უკან დაბრუნება მოსთხოვოს, ხოლო ხელშემშლელს იმ მოქმედების აღკვეთა, რის გამოც მას ნივთით სარგებლობაში ეშლება ხელი.³³ გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვინდიკაციურია სარჩელი, როდესაც „ქონების არამფლობელი მესაკუთრე სარჩელით ითხოვს მფლობელი არამესაკუთრის მიერ ამ ქონების დაბრუნებას“ (პარ. 985, 1004, გსკ).³⁴ აქედან გამომდინარე, ვინდიკაციური სარჩელი მესაკუთრის ინტერესების დაცვის გარანტიასა და საკუთრების დაცვის ერთ-ერთ უძველეს სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის საფუძვლებიც ძველ რომში უნდა ვეძიოთ, სადაც სანივთო სარჩელებით მოითხოვდნენ, რომ სხეულებრივი ნივთი მათი საკუთრება იყო და უფლებაც მათვე ეკუთვნოდათ.³⁵ მესაკუთრის მოთხოვნას ლათინურად ვინდიკაცია – vindicatio (ვინდიკაცია) ეწოდებოდა. ეს ტერმინი “vindicta”-დან მომდინარეობს, რაც ჯოხს ნიშნავს.³⁶ დღესაც ვინდიკაციას მაშინ მიმართავენ, როდესაც მესაკუთრეს წართმეული აქვს ნივთზე მფლობელობა და ვინდიკაციის ვითარებაში მხოლოდ ნივთზე საკუთრების უფლება აქვს შერჩენილი³⁷.

ზოგადად, საკუთრების თვისებაა, რომ ამა თუ იმ პირზე კუთვნილებას არა მარტო ამ ნივთის მფლობელი, არამედ ყველა მესამე პირი უნდა

³¹ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი.

³³ იქვე, 170-ე მუხლი, ნაწილი პირველი, 172-ე მუხლი.

³⁴ მიქავა ლ., ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(28), 2011, 76.

³⁵ გაიუსის ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, თბილისი, 2002, 183-184.

³⁶ მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2009, 67.

³⁷ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 96.

აცნობიერებდეს. თვითდაცვის ინსტიტუტიც სწორედ იმის გამოხატულებაა, რომ მესაკუთრეს საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია დამრღვევი მოქმედების აღკვეთა, საკუთარი ინტერესებისა და ქონების დაცვა მოითხოვოს.³⁸ ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი და მთავარი პირობაა, რომ მოსარჩელე ნივთის მესაკუთრე უნდა იყოს, ასევე, სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის შემადგენელ სამ ელემენტს: 1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; 2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; 3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.³⁹

ვინდიკაციური სარჩელის დროს შესაძლებელია ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გამოთხოვა, რომელიც კონდიქციური ვალდებულებისგან განასხვავებს მას. სავინდიკაციო მოთხოვნის საფუძველზე მესაკუთრეს შეუძლია თავისი ნივთი გამოითხოვოს, თუმცა ის მოვალეს მოგების ამოღებას ვერ მოსთხოვს, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებით კი მესაკუთრეს აქვს უფლება, მოითხოვოს მოგების დაბრუნება.⁴⁰

2.3.3. შუალედური შედეგი

კონდიქციური ვალდებულებისა და ვინდიკაციის მთავარი მიზანი და დანიშნულება მესაკუთრის ინტერესების დაცვაა, რაც უსაფუძვლოდ მიღებული ქონების უკან დაბრუნების, კრედიტორის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენასა (რესტიტუცია) და მესაკუთრისთვის საკუთრების გამოყენების ან სარგებლობის ხელშეშლის დროს ნივთის გამოთხოვასა და ხელშეშლულ ქმედებათა აღკვეთაში გამოიხატება.

როგორც აღინიშნა, კონდიქციური ვალდებულებების არსებობისას, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გამოთხოვა არ ხდება და

³⁸ იქვე, 84.

³⁹ მიქავა ლ., ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(28), 2011, 79.

⁴⁰ შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი? ჟურნალი „სამართალი“, №6-7, 2000, 43.

მესაკუთრემ ეს შესაძლებელია ვინდიკაციური სარჩელით განახორციელოს. უსაფუძვლო გამდიდრებისას უნდა მოხდეს იმავე სახისა და იმავე ქონების უკან დაბრუნება და ეს მოთხოვნა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვის საგანი ფულია.⁴¹

შემდეგი განსხვავება ისაა, რომ კონდიქციური ვალდებულება დაზარალებულისთვის მხოლოდ უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნებას არ გულისხმობს, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე“ და მოვალე ვალდებულია დააბრუნოს ან აანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა.⁴² კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც მოვალის, ისე დაზარალებულის შეცდომა ან საერთოდაც ხდომილება. დაზარალებულის მიერ დაშვებული შეცდომა ან უზუსტობა, სრულებითაც არ ნიშნავს მისი მოქმედების არამართლზომიერებას.⁴³ ვინდიკაციის დროს კი ყურადღება ექცევა იმას, თუ რა გზით არის გამოსული მესაკუთრის ხელიდან საკუთრების ობიექტი⁴⁴.

უსაფუძვლო გამდიდრებისას მესაკუთრის ნივთის დაზიანების, დაკარგვის ან სხვა მიზეზთა გამო, რის გამოც მოვალეს ნივთის უკან დაბრუნება არ შეუძლია, მან მისი საერთო ღირებულება უნდა აანაზღაუროს,⁴⁵ ხოლო ვინდიკაციის უფლება მესაკუთრეს იქამდე აქვს, სანამ ნივთი სახეზეა და არ განადგურებულია⁴⁶. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ვინდიკაციისას ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთების გამოთხოვა ხდება. თუმცა ამით მესაკუთრის უფლებები არ ამოიწურება და მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევებში, როდესაც მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთი მისი ნების გარეშე გადის. ამ დროს

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი II, თბილისი, 2001, 360.

⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი II, თბილისი, 2001, 364.

⁴⁴ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 97.

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 360.

⁴⁶ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 101.

„საინდიკაციო სარჩელის ტრანსფორმაცია მოხდება დელიქტურ სარჩელად“, რაც ვინდიკაციური სარჩელის თანმდევი ვალდებულებაა⁴⁷.

მართალია, ზიანის ანაზღაურება კონდიქციური ვალდებულებების დროსაც ხდება, მაგრამ ის განსხვავდება დელიქტური ვალდებულებების მიხედვით ზიანის ანაზღაურებისგან, რადგან ზიანის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების საფუძველი ყოველთვის ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედებაა. კონდიქციური ვალდებულებების დროს კი, დაზარალებულის თუ მოვალის ქმედება, ძირითად შემთხვევებში, მართლზომიერია.⁴⁸

საკუთრების, როგორც ინსტიტუტის გარანტია ყოველი ცალკეული სამართლის სუბიექტის კონკრეტული კერძო უფლების დაცვას ნიშნავს.⁴⁹ უფლებები კი იმის მიხედვით, თუ სამოქალაქო ურთიერთობის რომელ სფეროში წარმოიშობა, შეიძლება დაკონკრეტდეს დარგობრივი კუთხით. რასაკვირველია, მათი შინაარსი და ფარგლები განსხვავებულია.⁵⁰ უსაფუძვლო გამდიდრება კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობას წარმოადგენს. შესაბამისად, კონდიქცია ვალდებულების სახეა, ხოლო ვინდიკაციური სარჩელი მესაკუთრის სანივთოსამართლებრივი უფლებაა. მიუხედავად ამისა, ორივე მათგანის მიზანი მესაკუთრის ინტერესების დაცვა და სამოქალაქო სტაბილურობის უზრუნველყოფაა, ეს ყოველივე კი სამართლიანობის, დარღვეული სამართლებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება.

3. ნატურით რესტიტუცია – შესრულების წინაპირობები

სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) ვალდებულებითი ურთიერთობების დროს, ვალდებულების დარღვევისას აუცილებელია, დაზარალებულს აუნაზღაურდეს ზიანი და აღდგეს სამართლე-

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 364.

⁴⁹ ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 115.

⁵⁰ ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი და სანივთო-სამართლებრივი უფლებების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2007, 47.

ბრივი წონასწორობა. აღსანიშნავია, რომ ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული წესები შეეხება შემთხვევებს, სადაც დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, იქნება ეს სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ვალდებულებების (დელიქტების) დარღვევა. ეს ყოველივე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლს ემყარება, რომლის თანახმადაც, სახელშეკრულებო ვალდებულების წესები ასევე არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ გამოიყენება, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს. ზიანის ანაზღაურების ზოგად წესებს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლები.⁵¹ ზიანი სამართალდარღვევის შემაღენლობის აუცილებელი ელემენტია. თუ ზიანი არ არის, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. როგორც აღინიშნა, ცნობილია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი. სახელშეკრულებო ზიანის სიდიდე სახელშეკრულებო შესრულების ფარგლებშია, ხოლო არასახელშეკრულებო ზიანი (დელიქტური) წინასწარ შეუფასებელია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მიხედვით დადგინდება, თუ რა ფასეულობის სიკეთე იქნება ხელყოფილი.⁵² კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლებზე საუბარია მაშინ, როცა მოცემულია გარკვეული კანონისმიერი წინაპირობები, რომლებიც მხარეთა ხელშეკრულებით დადებული შეთანხმების საგანს წარმოადგენენ.⁵³ თუმცა უსაფუძვლო გამდიდრებისას წარმოშობილი ვალდებულება (კონდიქცია), რასაკვირველია, სახელშეკრულებო და დელიქტის დროს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისაგან განსხვავდება, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, უსაფუძვლო გამდიდრების დროს ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ძირითადად შეიძლება იყოს, როგორც მოვალის, ისე კრედიტორის (დაზარალებულის) მიერ გამოწვეული მოქმედება, რომელიც ხშირ შემთხვევაში მართლზომიერია.

⁵¹ თოდუა მ., ვილემსი პ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 129.

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 366-367.

⁵³ ბილინგი პ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისმტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 50.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად: „პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“⁵⁴. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლის ანალოგიას წარმოადგენს: „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ნატურით რესტიტუცია ზიანის ანაზღაურების გერმანულ და ქართულ სამართალში ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას წარმოადგენს, კრედიტორის მიზანი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და არა ფულადი კომპენსაციის მიღება⁵⁵.

უსაფუძვლო გამდიდრება, როგორც უკვე აღინიშნა, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ისეთ სახეს წარმოადგენს, რომლის დროსაც მოვალე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე „მიდიდრება“ და ის, რასაკვირველია, დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებელია, რაც ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებაში, ნატურით რესტიტუციაში გამოიხატება. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად უნდა შეასრულოს ვალდებულება და კრედიტორს ზიანი ნივთის საერთო ღირებულებით აუნაზღაუროს.⁵⁶ ანაზღაურების მოვალეობა არ იარსებებს, „თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძვლის გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა“⁵⁷, ანუ ყურადღება მახვილდება შედეგზე, თუ რა დარჩა მიმღებს, რა შეიძინა ან დაზოგა მან.⁵⁸

უსაფუძვლო გამდიდრების დროს, კონდიქციური ვალდებულება წარმოიშობა, რომლის (Condictio-ს) სხვადასხვა ტიპი პირველად იუსტი-

⁵⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 249-ე პარაგრაფი, ნაწილი პირველი.

⁵⁵ მოწონელიძე ნ., სასემინარო ნაშრომი თემაზე: ნატურით რესტიტუციის პრინციპი (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით), ხელმძღვანელი ბ. ზოიძე, თბილისი; 2012; 25.

⁵⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 361.

ნიანეს დროს განვითარდა და ისინი დღემდე შემორჩა კონტინენტური ევროპის ქვეყნების კოდექსებს. ბუნებითი სამართლის წარმომადგენლებმაც „ხელმოსაჭიდი მოძებნეს“ რომის სამართლის წყაროებში და შექმნეს სარჩელი სასარჩელო ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლის მიხედვითაც ის, ვისი ქონებიდანაც რაღაც დაიხარჯა სხვის სასარგებლოდ, უფლებას იძენს მოითხოვოს დახარჯულის დაბრუნება ნატურით ან ღირებულებით გამოხატულებაში.⁵⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კონდიქციური ვალდებულების წარმოშობის დროს კრედიტორის უფლებაში, მოითხოვოს ქონების უკან დაბრუნება, იგულისხმება ფული და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები.⁶⁰ რომის სამართალში ნივთებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება არსებობდა: „ნივთი არის არა მარტო გარე სამყაროს მატერიალური საგნები, არამედ იურიდიული ურთიერთობები და უფლებებიც კი“⁶¹. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებში ისეთი ნივთები მოიაზრება, რომელთა ჩანაცვლებაც შესაძლებელია⁶².

კლასიკურ რომის სამართალში ვალდებულება მხოლოდ პირობის მიმცემი პირის ფულად ვალდებულებას წარმოშობდა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მას ფულის გადახდის გზით უნდა მოეხდინა. მხოლოდ მოგვიანებით განვითარდა რეალური შესრულების ზოგადი პრინციპი, რომელსაც არსებითად შუა საკუთვნების კათოლიკური მორალის სწავლება განაპირობებდა, რაც მიიღო და განავითარა ბუნებითი სამართლის მეცნიერებამ.⁶³ ნატურით რესტიტუცია ზიანის ანაზღაურების სხვა გზებისაგან, როგორც წესი, იმით განსხვავდება, რომ არ ითვალისწინებს ფულად კომპენსაციას, ზიანის ნატურით

⁵⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 230.

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 360.

⁶¹ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009, 37.

⁶² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი III, თბილისი, 2001, 327.

⁶³ კანდელჰარდი რ., რეალური შერულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსესუსი, სერგო ჯორბენაძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1996, 104.

ანაზღაურება დაზარალებული პირისათვის პირველადი მდგომარეობის აღდგენაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პირველადი მდგომარეობის აღდგენა შესაძლოა ფულად ანაზღაურებას გულისხმობდეს, რომელიც, ჩვეულებრივ, ფულადი კომპენსაციისაგან განსხვავდება, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ფული წარმოადგენს არა ნატურას, არამედ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საშუალებას.⁶⁴

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, ზიანის ნატურით რესტიტუციის შესაძლებლობა მოსინჯოს.⁶⁵ ზიანის ფულადი კომპენსაცია გამართლებულია იქ, სადაც შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია. ფულად კომპენსაციასა და ნატურით რესტიტუციაზე კრედიტორის უფლება კი ალტერნატიულია⁶⁶.

მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება ნივთობრივად უნაკლო უნდა იყოს და პასუხობდეს ხარისხის მოთხოვნას, მნიშვნელობა არა აქვს ვალდებულების საგანი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი იქნება თუ გვაროვნული.⁶⁷ იქიდან გამომდინარე, რომ გვაროვნული ნივთის ჩანაცვლება შესაძლებელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლის თანახმად, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.⁶⁸ „უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველი სხვა არაფერია, თუ არა ბუნებითი სამართლის ურთიერთვალდებულებათა შესრულების თანასწორობის პრინციპი“⁶⁹, მაგრამ იმისათვის, რომ მოვალემ კრედიტორის მოთხოვნა შეასრულოს, რაც ნივთის უკან დაბრუნებაში გამოიხატება, აუცილებელია, ეს ნივთი რეალურად არსებობდეს. „გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შეუსრულებლობის ისეთ საფუძველებს ითვალისწინებს, როგორცაა:

⁶⁴ მოწონელიძე ნ., სასემინარო ნაშრომი თემაზე: ნატურით რესტიტუციის პრინციპი (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით), ხელმძღვანელი ბ. ზოიძე, თბილისი, 2012, 8.

⁶⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი III, თბილისი, 2001, 455.

⁶⁶ იქვე, 452.

⁶⁷ იქვე, 323-324.

⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 382-ე მუხლი.

⁶⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 235.

შესრულების ბუნებრივი და იურიდიული შეუძლებლობა, შესრულების საწყისი და შემდგომი შეუძლებლობა, შესრულების ნაწილობრივი და სრული შეუძლებლობა, შესრულების ხანგრძლივი და დროებითი შეუძლებლობა.⁷⁰ შესრულების ბუნებრივ (Naturgesetzliche an physische Unmöglichkeit) შეუძლებლობად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც შესრულება შეუძლებელი გახდა ნივთის განადგურების ან მაგალითად, მოვალის გარდაცვალების გამო.⁷¹ სწორედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც შესრულება (ნივთის უკან დაბრუნება) შეუძლებელია მისი მდგომარეობის გამო (მაგალითად ნივთის სრული განადგურებით) ან რაიმე სხვა მიზეზით, კრედიტორს რჩება უფლება, მოვალეს ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს, რომელიც ნივთის ღირებულების ფულადი ანაზღაურებით განისაზღვრება. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.⁷² 979-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი: უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე⁷³.

3.1. ფულადი სახით ანაზღაურება

თუ უსაფუძვლო გამდიდრების დროს შეუძლებელია ქონების ნატურით დაბრუნება, გადაცემული ქონების მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო, მოვალე ვალდებულია კრედიტორს აუნაზღაუროს ქონების ის ღირებულება, რაც მას შეეძინა მომენტში ჰქონდა.⁷⁴ ამ შემთხვევაში წარმოიშობა ფულადი ვალდებულება, რომლის ობიექტიც განსაზღვრული

⁷⁰ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, თბილისი, 2011, 18.

⁷¹ იქვე, იხ. ციტირება: Medicus, Dieter, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 17, Aufl. C.H. Beck, München, 2006, Rn, 366, 140.

⁷² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი.

⁷³ იქვე, 979-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 361.

ფულადი თანხის გადახდაა.⁷⁵ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კრედიტორს ფულადი ანაზღაურება შეიძლება მიეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, იგივე ნატურით რესტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მიხედვით შეუძლებელი იქნება.“⁷⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად კი: „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“⁷⁷. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ფულადი სახით ანაზღაურებას ალტერნატიულ საშუალებად მიიჩნევს და ძირითადად აქცენტს ნატურით რესტიტუციაზე ამახვილებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორს არ აქვს უფლება ნატურით რესტიტუციის შემთხვევის შესაძლებლობის დროსაც კი საკუთრების ფულადი სახით ანაზღაურება მოითხოვოს. „კრედიტორი, როგორც ვალდებულებითი სამართლის მნიშვნელოვანი სუბიექტი, უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს, თუ ზიანის ანაზღაურების რომელ საშუალებას გამოიყენებს. ასეთ შემთხვევაში, კრედიტორმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, როგორც ზიანის ანაზღაურების რენტაბელობის, ისე მოვალის ინტერესებისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.“⁷⁸

უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სარჩელის მიზანი არ არის ანაზღაურების მოსარჩელის ქონების შემცირება, არამედ უსაფუძვლოდ გამდი-

⁷⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი III, თბილისი, 2001, 330.

⁷⁶ მოწონელიძე ნ., სასემინარო ნაშრომი თემაზე: ნატურით რესტიტუციის პრინციპი (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით), ხელმძღვანელი ბ. ზოიძე, თბილისი, 2012, იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ას-682-643-2011,08|07.2011.

⁷⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი.

⁷⁸ მოწონელიძე ნ., სასემინარო ნაშრომი თემაზე: ნატურით რესტიტუციის პრინციპი (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით), ხელმძღვანელი ბ. ზოიძე; თბილისი, 2012, 9.

დრებულის ქონების „მატებაზე“ მას უპირატესი უფლება გააჩნია.⁷⁹ ანუ იმ დროის განმავლობაში, რაც მოვალე ქონებას უსაფუძვლოდ ფლობდა მის განადგურებამდე და მისგან გარკვეულ სარგებელს იღებდა, კრედიტორს უფლება აქვს ქონების ღირებულებასთან ერთად მოითხოვოს იმ შესაძლო სარგებლის ფულადი ანაზღაურებაც, რომელსაც მიიღებდა, თავისი ქონება მოვალის ხელში უსაფუძვლოდ რომ არ აღმოჩენილიყო.

ქონების ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის დროს, მისი ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქონება შემძენის მიერ შემდეგში გასხვისდა უფრო დაბალ ფასად ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით ან როცა შემძენმა იგი სხვას გადასცა უსასყიდლოდ, ანუ გააჩუქა და ამით თავისი ქონება დაზოგა.⁸⁰

ინგლისელ იურისტთა პრეცედენტულ აზროვნებაზე დაყრდნობით, მოსარჩელეს შეუძლია სარჩელი აღძრას „შესრულებული სამუშაოს სამართლიანად ანაზღაურებისთვის“, თუ მოპასუხემ მოსარჩელისგან მომსახურება ფასის შეუთანხმებლად მიიღო.⁸¹ ქართული კანონმდებლობის თანახმად კი, უსაფუძვლოდ რაიმე მომსახურების მიღების შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს დაზოგილი ხარჯების ტოლფასოვანი თანხა, თუმცა ასეთი შემთხვევების მოთხოვნა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ძირითადი მახასიათებელი, არის ის, რომ მოვალე უნდა იყოს „გამდიდრებული“, ხოლო თუ ის საგნის მონმარების, სხვისთვის გადაცემის ან სხვა საფუძვლების გამო ქონების ღირებულებით არ გამდიდრებულია, ქონების მიძღვბს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, ანუ ასეთ დროს ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა დარჩა მიძღვბს. სამართლებრივი ურთიერთობის საკითხიც საბოლოო შედეგის მიხედვით უნდა გადაწყდეს.⁸² აშშ-ში სასამართლო პრაქტიკამ დიდწილად გაიზიარა

⁷⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 235.

⁸⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 361.

⁸¹ ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 243.

⁸² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, თბილისი, 2001, 361.

სამართლებრივი შეცდომის საფუძველზე უმართებულოდ გადახდილის დაბრუნების პრინციპი, რომელიც კონტინენტური ევროპის ქვეყნების მართლწესრიგისთვის უცნობია. გერმანულ სამართალში უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ სარჩელებში უსაფუძვლოდ გადახდილის დაბრუნების მოთხოვნა მაშინაც შეიძლება, როდესაც მოსარჩელე არ არის შებოჭილი სახელმეკრულებო ვალდებულებათა შესრულებით, სარჩელი არ დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელემ გარკვევით იცოდა ვალის გადახდის მისეული ვალდებულების არარსებობის თაობაზე.⁸³

რეალური შესრულების პრინციპი ზოგადად სწორი და ადეკვატურია, მაგრამ პრეცედენტულ სამართალში ნაკლებად არის გათვალისწინებული. საქართველოსა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში კი პრიორიტეტული ნატურით რესტიტუციაა, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ხშირია მოსარჩელეთა მოთხოვნა, რომლებიც უსაფუძვლო გამდიდრების დროს დარღვეული სამართლებრივი წონასწორობის აღდგენას ფულადი ანაზღაურებით მოითხოვენ.⁸⁴

დასკვნა

უსაფუძვლო გამდიდრების დროს წარმოშობილი ურთიერთობებისას კრედიტორის ინტერესი საკუთრების დაცვაა. კონდიქციური ვალდებულებების მთავარ ფუნქციასაც სამართლებრივი წონასწორობის აღდგენა და სამოქალაქო სამართლის სუბიექტების უფლება-მოვალეობათა დაცვა წარმოადგენს.

მართალია, საერთო სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოსა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში უპირატესობა ნატურით რესტიტუციას ენიჭება, მაგრამ, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ფულად კომპენსაციასა და ნატურით რესტიტუციაზე კრედიტორის

⁸³ ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, ტომი II, თბილისი, 2001, 258-259.

⁸⁴ იხ., უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის აღწერილობითი ნაწილი საქმეებზე: ას-258-242-2011, ას-366-346-2011, ას-649-610-2011, ას-839-1053-08, ას-1245-1265-2011.

უფლება ალტერნატიულია, რაც სრულიად ადეკვატურია. ნატურით რესტიტუცია და ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების მოთხოვნაც სამართლებრივი თვალსაზრისით უფლების დაცვის სხვადასხვა, თუმცა შინაარსობრივად ერთი და იმავე იდეისა და მიზნის მატარებელია. მთავარია სამართლიანობის აღდგენა და ამით დაზარალებულის (კრედიტორის) ინტერესების სათანადოდ დაკმაყოფილება, თუმცა, რასაკვირველია, თავად კრედიტორის ინტერესი სამართლიანობის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს და მისი მოთხოვნა ფულადი სახით ანაზღაურებაზე მხოლოდ პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობის აღგენისკენ უნდა იყოს მიმართული. ფულადი ანაზღაურება ფულად კომპენსაციას არ გულისხმობს და ნატურით რესტიტუციაზე კრედიტორის ინტერესის მიუხედავად, თუ ეს ნივთის მდგომარეობის გამო შეუძლებელია, ფულადი სახით ანაზღაურება სამართლიანობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად რჩება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევების უმრავლესობაში მოსარჩევეები ზიანის ფულადი სახით ანაზღაურებას ითხოვენ, ეს მათი სამართლებრივი უფლებაა, იმ შემთხვევაში კი, როდესაც ნივთი არ არსებობს (განადგურდა) და შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია, ფულადი სახით ანაზღაურება არის ერთადერთი გზა სამართლებრივი წონასწორობის აღსადგენად, რადგან „არავის აქვს უფლება, საფუძვლის გარეშე გამდიდრდეს სხვის ხარჯზე“⁸⁵.

⁸⁵ შატბერაშვილი ლ., უსაფუძვლო გამდიდრება: სამართლიანი სამართალი?, ჟურნალი „სამართალი“, №6-7, 2000, 33.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია საფირმო სასელწოდებასთან მიმართებით

შესავალი

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციამ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და მისი აღკვეთა სამრეწველო საკუთრების სფეროს დაუკავშირა. პარიზის კონვენცია საგანგებოდ ავალებს მონაწილე ქვეყნებს, რომ განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა არ დაუშვან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება.¹ საქართველო პარიზის კონვენციის წევრი ქვეყანაა², შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ პერიოდში ამ ობიექტის არსის შეცნობა სასარგებლო და საჭირო იქნება.

ნაშრომის აქტუალობას ისიც განსაზღვრავს, რომ 2012 წლის 8 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“.³ მისი ამოქმედებისთანავე საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადა. მიღებული კანონი უფრო მეტად ცვლილებებს წარმოადგენს, ვიდრე ახალ საკანონმდებლო აქტს. განხორციელებული ცვლილებებით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა არ იქნა უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან მიმართებით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა კვლავაც საკანონმდებლო მოწესრიგების გარეშეა.

¹ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, (ხელმოწერილია 1883 წლის 20 მარტს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს), მუხლი 10^{ბის};

იხ., <http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html> [21.05.2013].

² საქართველო შეუერთდა პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სსრ კავშირის (სსრ კავშირი პარიზის კონვენციის მონაწილე გახდა 1965 წ.) დროს აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. ეს მოხდა კონვენციის არსებობის 111 წლის თავზე – 1994 წლის 18 იანვარს.

³ საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, №6148-III, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმები და ანტიმონოპოლიური (ანტიტრესტული) კანონმდებლობა ურთიერთდაკავშირებულია. საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა ორივეს მიზანს წარმოადგენს. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დანიშნულება აა, არ მოხდეს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება,⁴ ხოლო კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ყველა მონაწილეს აიძულებს, თამაშის ერთნაირი წესების დაცვას და კონკურენტებს შორის კეთილსინდისიერ ბრძოლას უზრუნველყოფს.⁵ ამ განსხვავების მიუხედავად, ორივე მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია და ერთმანეთს ავსებს. კეთილსინდისიერი კონკურენციის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ანტიმონოპოლიურ კანონზე დაყრდნობა არ შეიძლება. ამის მიღწევა განსაზღვრული ნორმების არსებობით არის შესაძლებელი. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციამ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს დაუკავშირა. ქართული კანონმდებლობა კი მხოლოდ ანტიმონოპოლიურ ნორმებს შეიცავს.

კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომელიც გამოგონებების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, საფირმო სახელწოდებების, გეოგრაფიული აღნიშვნების და ა.შ. დაცვას უზრუნველყოფს, არ არის იმდენად სრულყოფილი, რომ ბაზარზე პატიოსანი ქცევა დაამკვიდროს.

ნაშრომი საფირმო სახელწოდებასთან მიმართებით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევებს ეხება და განხილულია მისი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.

1. კონკურენციის ცნება

კონკურენცია მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა და მისი გამოვლინებაც მრავალგვარია. კონკურენცია არსებობს ყველგან, სადაც გარკვეულ ინტერესთა შეჯიბრია.⁶ შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის

⁴ Callmann R., *Unfair Competition and Antitrust: Coexistence within Complementary Goals*, 1968, 1335.

⁵ *Intellectual Property Reading Material*, WIPO, Geneva, pub No 476 (E) 1998, 126.

⁶ სიტყვა (ტერმინი) „კონკურენცია“ (competition) წარმოიშვა გვიანდელი ლათინური სიტყვიდან “concurrentia” (concurrere) და პირდაპირი მნიშვნელობით (სიტყვა-სიტყვით) ნიშნავს – შეტაკებას, შეჯახებას.

ცნებაც ცვალებადია, „რაც იყო სამართლიანი გუშინ, შეიძლება უსამართლო იყოს დღეს“⁷. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს ეწინააღმდეგება. იმისთვის, რომ ბაზარზე ეკონომიკური თავისუფლება შენარჩუნდეს, საჭიროა მინიმალური წესების დაცვა. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს კონკურენციული კანონმდებლობა, აკრძალულია.

თავისუფალი კონკურენცია კონკურენტულ გარემოში აბსოლუტურ თავისუფლებას არ გულისხმობს. აღნიშნული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებით გათვალისწინებულ გარკვეულ შეზღუდვებს წარმოადგენს. შეზღუდვებს ორმაგი მიზანი აქვს: დაიცვას საჯარო და კერძო ინტერესი.⁸ „ამიტომ უმჯობესია საუბარი თანასწორ კონკურენციაზე, ვიდრე თავისუფალ კონკურენციაზე“⁹.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია არის იქ, სადაც რეალურად არსებობს კონკურენცია. ეს უკანასკნელი არ უნდა გავიგოთ ისე, რომ კონკურენცია მხოლოდ საერთო სფეროში მოღვაწეობას გულისხმობს. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია სახეზეა მაშინაც, როცა საწარმოები სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან.¹⁰ მაგალითად, როდესაც საწარმო სულ სხვა სფეროში საქმიანობს, მაგრამ სხვისი რეპუტაციით უკანონოდ სარგებლობს.

„საწარმოებს შორის თავისუფალი კონკურენცია განიხილება როგორც ეკონომიკაში მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა, ასევე, მთლიანად ეკონომიკის ინტერესების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება.“¹¹ იქ, სადაც არსებობს კონკურენცია, შესაძლებელია, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტებს ჰქონდეს ადგილი. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, არსებული პოლიტიკური ან სოციალური სისტემისაგან დამოუკიდებლად, ყველა ქვეყანასა და ყველა დროში შეიმჩნევა.

⁷ Handlert I., Unfair Competition, Iowa Law Review, Vol. 21, 1936, 175.

⁸ Rotondi M., Unfair Competition in Europe, J. Comp. L., 1958, 328.

⁹ იქვე, 329.

¹⁰ Callmann R., Unfair Competition Without Competition? University of Pennsylvania Law Review, 1947, 449.

¹¹ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, დ. გაბუნიას, მ. კვიციანი და ზ. მელითაურის თარგმანი, დ. გაბუნიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 403.

კონკურენცია იქმნება შეთანხმების გარეშე, არ ხდება ცალკე შეთანხმების (ხელშეკრულების) გაფორმება. მნიშვნელოვანია ბიზნესსუბიექტების ნება, ჩაერთონ ბიზნესგარემოში. ურთიერთობა შეიძლება მოწესრიგების გარეშე, მხარეების შეთანხმების ან ცალმხრივად გამოთქმული ნების საფუძველზე ჩამოყალიბდეს. პირის სურვილი – აწარმოოს ბიზნესსაქმიანობა, გულისხმობს ამ საქმიანობის გარკვეული ქცევის წესების დაცვით მოწესრიგებას.¹² სუბიექტის მონაწილეობა სამრეწველო საქმიანობაში თავისთავად გულისხმობს მის მოვალეობებს კონკურენტულ გარემოში. მაგალითად, კონკურენციის პრინციპების დაცვა, ანუ პატიოსანი ქცევის ნორმების დაცვა.

პარიზის კონვენციის მე-10^{bis} მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ჩაითვლება „კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება პატიოსანი ქცევის წესებს“¹³. პატიოსანი ქცევის სტანდარტების შეფასება ერთობლივად სოციალურ, ეკონომიკურ და მათ შორის, გეოგრაფიულ გარემოზეა დამოკიდებული. იგი შეიძლება დროის მიხედვითაც კი შეიცვალოს.

საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა კონკურენციის შესახებ“ კონკურენციას შემდეგნაირად განმარტავს: „კონკურენცია – შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობაა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“¹⁴. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკითხი ბაზარზე ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვას ეხება. ეს კი არსობრივად ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას უკავშირდება და არა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმებს. აქედან გამომდინარე, ნორმატიული აქტის სათაური თითქოს მიგვითითებს კანონის იმ სფეროზე, რომელიც განმარტებულია პარიზის კონვენციის მე-10^{bis} მუხლით და სინამდვილეში ანტიმონოპოლიურ (ანტიტრესტულ) სამართალს ეხება. ამას ისიც მოწმობს, რომ მოქმედი კანონის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, კანონის მოქმედება ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე არ ვრცელ-

¹² Callmann R., Unfair competition without competition? University of Pennsylvania Law Review, 1947, 449.

¹³ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, (ხელმოწერილია 1883 წლის 20 მარტს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს); იხ., <http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html> [21.05.2013].

¹⁴ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, № 6148-IX, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012.

დება,¹⁵ მაშინ, როდესაც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციამ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა სწორედ რომ სამრეწველო საკუთრების სფეროს დაუკავშირა¹⁶.

2. საფირმო სახელწოდება, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი

საფირმო სახელწოდება კომპანიის სახელს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც ფიზიკურ პირს აქვს საკუთარი სახელი, სამართლებრივ ურთიერთობებში სახელითა და გვარით მონაწილეობს, ისევე იურიდიულ პირსაც აქვს საფირმო სახელწოდება, რომელიც მისი იდენტიფიკაციის საშუალება გახლავთ. „საფირმო სახელწოდება წარმოადგენს, როგორც პირად არაქონებრივ უფლებას, ასევე არამატერიალურ ქონებრივ უფლებას“.¹⁷ შეუძლებელია, იურიდიული პირები საფირმო სახელწოდების გარეშე არსებობდეს.

საფირმო სახელწოდება კომპანიისთვის სამეწარმეო სახელს წარმოადგენს, რომლითაც იგი ცნობადი ხდება. საწარმოს რეპუტაცია მის სახელთან არის დაკავშირებული, ამიტომ საფირმო სახელწოდება საწარმოს ქონების ნაწილია. აქედან გამომდინარე, საფირმო სახელი, ისევე, როგორც სასაქონლო ნიშანი, პარიზის კონვენციის მიხედვით, დაცვის ობიექტი გახლავთ.¹⁸ რეგისტრაციისა და შემდგომი გამოყენების პირობებისთვის მოითხოვება, რომ საფირმო სახელწოდება განმასხვავებლობის მატარებელი იყოს. ამავე დროს, „სახელის დარქმევის უფლება კი გვაქვს, მაგრამ სახელი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმას, ანუ არ უნდა გამოვიყენოთ ისეთი სახელი, რომელიც ქართული და საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის საკუთრებაა“¹⁹.

¹⁵ საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, № 6148-IX, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012.

¹⁶ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, (ხელმოწერილია 1883 წლის 20 მარტს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს); იხ., <http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html>[21.05.2013].

¹⁷ ქორქაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი, თბილისი, 2005, 74.

¹⁸ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, (ხელმოწერილია 1883 წლის 20 მარტს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს), მუხლი 1;

იხ., <http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html> [21.05.2013].

¹⁹ ლილუაშვილი გ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი, 2005, 34.

მამასადამე, საკაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირზე გადაცემა კანონით დადგენილი წესით არის შესაძლებელი.²⁰ ამასთან, საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლება საწარმოსაგან განუსხვისებელია. საწარმოს გარეშე საფირმო სახელწოდების გადაცემა არ ხდება, ანუ იგი საწარმოს განუყოფელი ნაწილია.

საფირმო სახელწოდების სამართლებრივი მოწესრიგება არ არის უნიფიცირებული და ერთგვაროვანი. საერთო სამართლისაგან განსხვავებით, კონტინენტური ევროპის სამართალი მეწარმეს საფირმო სახელწოდების არჩევაში სრულ თავისუფლებას არ ანიჭებს. „საფირმო სახელწოდების შერჩევა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე. ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია, საფირმო სახელწოდებად აირჩიოს საკუთარი სამოქალაქო სახელი. ეს წესი გამომდინარეობს ზოგადი პრინციპიდან – ფირმის ჭეშმარიტების თაობაზე. ამავე პრინციპიდან გამომდინარეობს მოთხოვნა საწარმოს საქმიანობის სავნისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღნიშვნის გამოყენებაზე საფირმო სახელწოდების ელემენტად.“²¹

საფირმო სახელწოდებად შეიძლება განისაზღვროს სახელი, რომელიც საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილს უთითებს, მაგალითად, აღწერილობითი საფირმო სახელწოდება. ჩვეულებრივ, საფირმო სახელწოდებაზე უფლება საწარმოს დაფუძნებასთან ერთად წარმოიშობა. იგი გამოყენების საფუძველზე არის დაცული, იმის მიუხედავად, სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებულია თუ არა. განმასხვავებლობის არქონის შემთხვევაში, მას შეუძლია დაცვა გამოყენების შედეგად მიიღოს. **განმასხვავებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი ცნობს სახელწოდებას, როგორც საეციფიკურ კომერციულ წყაროზე მითითებას.** „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საფირმო სახელწოდებაზე უფლების მოპოვება რეგისტრაციას უკავშირდება.

საფირმო სახელწოდების დაცვა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გზითაც ხორციელდება. შესაძლებელია, როგორც სრული საფირმო სახელწოდების, ისე მოკლე საფირმო ნიშნის რეგისტრირება, რომლის უზრუნველსაყოფად საფირმო სახელწოდების, როგორც სასაქონლო ნიშნის, ფაქტობრივად გამოყენებაა საჭირო. ამ პირობის შესრულებისათვის

²⁰ ქოქრაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი, თბილისი, 2005, 74; იხ., ციტირება: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, 169.

²¹ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2002, 317.

შემოკლებული საფირმო ნიშნის რეგისტრაცია საყოველთაოდ მიღებული ხერხია. ტერიტორიული პრინციპის თანახმად, საფირმო სახელწოდება იმ ქვეყნის ფარგლებშია დაცული, სადაც იგი არის რეგისტრირებული²².

არ იქნება სწორი, მივიჩნიოთ, თითქოს ამგვარად რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების მფლობელი პირი მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტიდან გამომდინარე ვერ გამოიყენებს განსაკუთრებულ უფლებას და რომ ამ უფლებით სარგებლობა საფირმო სახელწოდების რეალურად გამოყენების შემდეგ შეიძლება.

საფირმო სახელწოდების მფლობელს გააჩნია განსაკუთრებული უფლება საკუთარ საფირმო სახელწოდებაზე. განსაკუთრებული უფლება ვრცელდება იდენტურ ან მსგავს საფირმო სახელწოდებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც იდენტური ან მსგავსი სახელწოდებით ორი ან მეტი საწარმო ერთგვაროვან საქმიანობას ეწევა. ამასთან, საფირმო სახელი ტერიტორიული პრინციპის თანახმად იმ ქვეყნის ფარგლებშია დაცული, რომელშიც იგი რეგისტრირებულია.²³ პარიზის კონვენციის თანახმად, საფირმო სახელწოდებაზე უფლება ნებისმიერი იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს, სადაც მეწარმე საქმიანობს.

„თუ საფირმო სახელწოდება ან საფირმო ნიშანი გამოიყენება როგორც სასაქონლო ნიშანი (იმისდა მიუხედავად, რეგისტრირებულია იგი თუ არა), პრიორიტეტის ზოგადი წესები და ნიშნებით შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების წარმოშობის მიმართ აღრევისაგან მომხმარებელთა დაცვის ნორმები განსაზღვრავენ მსგავს სასაქონლო ნიშნებთან ნებისმიერი კოლიზიის შედეგს.“²⁴ მაშინაც კი, თუ საქონლისა და მომსახურების მიმართ საწარმო საფირმო სახელწოდებას ან საფირმო ნიშანს იყენებს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა როგორც სასაქონლო ნიშანს), საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე უფლებები ირღვევა, თუ საფირმო ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას შეუძლია შექმნას აღრევა საქონლის ან მომსახურების წარმოშობის მიმართ, რომლებსაც საწარმო სთავაზობს თავისი სახელწოდებით. ასევე, პირიქით, სასაქონლო ნიშნის, მომსახურების ნიშნის ან

²² ძამუკაშვილი დ., სამრეწველო საკუთრება, კომერციული აღნიშვნები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, თბილისი, 1998, 149.

²³ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2002, 322.

²⁴ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტ“; ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, დ. გაბუნიას, მ. კვიციანი და ზ. მელითაურის თარგმანი, დ. გაბუნიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 365.

კოლექტიური ნიშნის გამოყენებამ შეიძლება ანალოგიურად დაარღვიოს საფირმო ნიშნის ან საფირმო სახელწოდების ადრინდელი უფლება.

კონკურენტების მიერ ცნობილი საწარმოს იდენტური ან მისგავსებული საფირმო სახელწოდების გამოყენება ხშირად ხდება, რაც სახელწოდების კარგი რეპუტაციით სარგებლობის სურვილით არის განპირობებული. საფირმო სახელწოდების მისგავსების ფაქტი იმ შემთხვევაში ღგინდება, თუ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის საშიშროება არსებობს.²⁵

საფირმო სახელწოდება დაცვის ობიექტს წარმოადგენს, იმის მიუხედავად, იგი (სრულად ან შემადგენელი ნაწილი) სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებულია თუ არა. პროდუქტის ან მწარმოებლის დაბნეულობა პატიოსანი ქცევის წესებს ეწინააღმდეგება.²⁶ პარიზის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდება, იმის მიუხედავად, შეადგენს თუ არა სასაქონლო ნიშნის ნაწილს, კავშირის ყველა ქვეყანაში განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშეა დაცული. აღნიშნული ნორმა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს საფირმო სახელწოდების დაცვა უზრუნველყონ. ამავე დროს, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ყველა საქონელი, რომელზეც სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება უკანონოდ იქნება დატანილი, ყადაღას ექვემდებარება კავშირის იმ ქვეყანებში შეტანისას, სადაც ასეთ ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას სამართლებრივი დაცვა აქვს მინიჭებული.²⁷

გერმანიაში საფირმო სახელწოდების დაცვისთვის არ არის აუცილებელი, რომ კონკურენტებს საქმიანობის საერთო სფერო გააჩნდეთ. საფირმო სახელწოდების დასაცავად საკმარისია მისი გამოყენება იწვევდეს აღრევას ან მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საფრთხეს. მისი დაცვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლით არის გარანტირებული, რომელიც, ზოგადად, სახელის უფლების დაცვას ეხება.²⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, **„საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლების დაცვა ზორციელდება ამ კოდექსით, მეწარმეთა შესახებ კანონითა და სამრეწველო საკუთრების შესახებ**

²⁵ Handlert I., Unfair Competition, Iowa Law Review, 1936, 175.

²⁶ Rotondi M., Unfair Competition in Europe, J. Comp. L., 1958, 340.

²⁷ The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, (ხელმოწერილია 1883 წლის 20 მარტს, შესწორებულია 1979 წლის 28 სექტემბერს), მუხლი 9;

იხ., <http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html> [21.05.2013].

²⁸ BGB, მთარგმნელი და რედ. ზ. ჭეჭელაშვილი, თბილისი, 2010.

სხვა საკანონმდებლო აქტებით²⁹. ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა პარიზის კონვენციის მე-8 მუხლს არ შეესაბამება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი, რომელითაც მეწარმე სუბიექტი საქმიანობს. საფირმო სახელწოდების არსებობა აუცილებელი რეკვიზიტია, რათა კერძო სამართლის იურიდიული პირი დარეგისტრირდეს. ამავე მუხლის თანახმად, „დაუშვებელია საფირმო სახელწოდებაში ისეთი გრაფიკული სიმბოლოების გამოყენება, რომელთაც არ აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი. საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა მეწარმე სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.³⁰

აღნიშნული ნორმით ცალსახად განიმარტება, რომ დაუშვებელია საფირმო სახელწოდებად ისეთი ნიშნის გამოყენება, რომელიც თავად დასარეგისტრირებელი სუბიექტის საქმიანობის მოცულობის, ფორმის ან პარტნიორთა ურთიერთობის გამო აღრევას იწვევს. ამასთან, სხვა საფირმო სახელწოდების მსგავსებაზე არაფერია ნათქვამი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1999 წლის რედაქცია კი ითვალისწინებდა შემდეგს: „საწარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუკი ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმა არიან“. 2008 წლის ცვლილებების შემდეგ მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულ დანაწესს აღარ ითვალისწინებს. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ნებადართულია ის, რაც აკრძალული არ არის,³¹ სამეწარმეო რეესტრი არა მარტო მიმსგავსებულის, არამედ აბსოლუტურად ორი ან სამი ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების სუბიექტს არეგისტრირებს. ეს კი, ცალსახად, საკანონმდებლო დონეზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტის ლეგალიზებაა (მაგალითად, რეგისტრირებულია ორი იდენტური შპს საფირმო სახელწოდებით – „შპს ნიგო“). მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის შედეგად თითოეულ მათგანს სხვადასხვა საიდენტიფიკაციო კოდი ენიჭება, ბაზარზე შესაძლოა არსებობდეს ორი ან მეტი ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების მქონე სუბიექტი, რომელიც ერთსა და იმავე ან განსხვა-

²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1104-ე მუხლი.

³⁰ საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი.

³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 10, მეორე ნაწილი.

ვებულ საქმიანობას ეწევა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმიანობის სფეროს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ამავე დროს, შესაძლოა, „არაკეთილსინდისიერმა“ სუბიექტმა, რომელსაც სურს ისარგებლოს სხვისი რეპუტაციით, პირი იმავე საფირმო სახელწოდებით დაარეგისტრიროს. აღნიშნული საკითხისადმი პრაქტიკაში მსგავსი მიდგომა გაურკვევლობას წარმოშობს. თავად მეწარმის ინტერესებში არ შედის იმავე სახელით რეგისტრაცია, ვინაიდან შეიძლება მანამდე რეგისტრირებული იდენტური საფირმო სახელწოდების მქონე სუბიექტს ბაზარზე კარგი რეპუტაცია არ ჰქონდეს და პირიქით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კარგი რეპუტაციის მქონე სუბიექტის საფირმო სახელწოდება³².

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის დაემატოს დამცავი ნორმა, რომელიც ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების მქონე სუბიექტის დარეგისტრირებას აკრძალავს. ისიც უნდა ითქვას, რომ ამის კანონმდებლობით მოწესრიგება სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ყოველდღიურად ასობით სუბიექტი რეგისტრირდება. თითოეული სუბიექტის რეგისტრაციისას აღნიშნულის გადამოწმება კი დიდ დროს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, უმჯობესია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობა პროდუქციის რეალიზაციის მიზნით იდენტური ან მსგავსი საფირმო სახელწოდების გამოყენების აკრძალვას შეიცავდეს. ეს არა მარტო საზოგადოების ინტერესებს, არამედ თავისუფალ კონკურენტულ გარემოსაც ემსახურება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იცნობა, თუ სასაქონლო ნიშანი შეიცავს ისეთ საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდეა წარმოშობილი, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა.³³ აღნიშნული ნორმა და სუბიექტის საფირმო სახელწოდების რეგისტრაციის თაობაზე სამეწარმეო რეესტრის მიდგომა ერთაშინ არ შეესაბამება. სამეწარმეო რეესტრში არ მოწმდება სამეწარმეო იურიდიული პირი ამ საფირმო სახელწოდებით რეგისტრირებულია თუ არა, მით უმეტეს, რომ არ ზდება იმის შეფასება, რამდენად არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნად საფირმო სახელწოდება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სა-

³² ლილუაშვილი გ., მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 157.

³³ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის, 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტი.

საქონლო ნიშნის ბათილად ცნობის საფუძველია, თუ სასაქონლო ნიშანი შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები წარმოშობილია, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა. ჩნდება კითხვა: აღნიშნული ნორმის დანაწესი რამდენად ეხება იმ შემთხვევას, როდესაც პირი თავის საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას ითხოვს, ხოლო იმავე საფირმო სახელწოდებით სხვა სუბიექტი უფრო ადრე იყო რეგისტრირებული? ვფიქრობ, აღნიშნული ნორმა, ამ უკანასკნელ შემთხვევას არ აწესრიგებს და ეხება მხოლოდ იმ საკითხს, როდესაც პირს სურს სხვისი საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია.

უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტებულია: „გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესაძლო საფუძველად ითვალისწინებს უკვე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნთან აღრევის შესაძლებლობის არსებობას. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქაბტენტში სასაქონლო ნიშანი «ნ-ის წ-ი» რეგისტრირებული არ არის. აღნიშნულის გამო, იგი ვერც ადრინდელი პრიორიტეტის მატარებელი ვერ იქნება, ვინაიდან, საერთოდ არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშანს და შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ დაცვის ობიექტს „მოპასუხის საფირმო სახელწოდებისა და სს «ლ-ის» სასაქონლო ნიშნის მსგავსების არსებობა ხსენებული ნორმის მიხედვით არ არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საკმარისი საფუძველი. ხსენებული ნორმის მიხედვით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველია სამი გარემოების ერთდროულად არსებობა: სასაქონლო ნიშანი შეიცავს სხვა იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებას, საფირმო სახელწოდებაზე უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, ამ გარემოებების შედეგად ჩნდება მათ შორის აღრევის შესაძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში კი, პროდუქციის მწარმოებლების აღრევა არ ხდება.“³⁴ სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე საჩივარი განუხილველად დატოვა და მიიჩნია, რომ აღრევის შესაძლებლობა არ არსებობდა.

ერთნაირი საფირმო სახელის მქონე სუბიექტების სახელწოდების, როგორც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიუხედავად, ბაზარზე აღრევის შესაძლებლობა (მაშასადამე, რისკიც) მაინც დიდია. ეს კი ეწინააღმდეგება პატიოსანი ქცევის წესებს.

³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-1296-1316-2011.

საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ „კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურ გამოყენებას“ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად მიიჩნევდა.³⁵ თუმცა დღეს აღნიშნული კანონი ძალადაკარგულია და კანონმდებლობა დაცვის შესაბამის მომწესრიგებელ ნორმას აღარ ითვალისწინებს.

შეიძლება ითქვას, რომ აღრევის გამომწვევი ქმედების საზომი ჩვეულებრივი, საშუალო მომხმარებელი გახლავთ. მან არ იცის და არც არის ვალდებული ნაწარმის ყველა თვისებაში იყოს გათვითცნობიერებული ან კონკრეტული პროდუქტისა და მომსახურების სასაქონლო ნიშანი თუ საფირმო სახელწოდება ზედმიწევნით კარგად იცოდეს.

3. საფირმო სახელწოდების დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტის აღკვეთის ნორმებით

ზემოთ საუბარი გვქონდა ნორმებზე, რომლებიც არაკეთილსინდისიერი კონკურენტის აღკვეთასა და საქმიანობის შემზღვეველი პრაქტიკის აკრძალვას (ანტიმონოპოლიური, იგივე ანტიტრესტული კანონმდებლობა) ეხება. ორივე ურთიერთდაკავშირებულია და მათი მიზანი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა გახლავთ. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას არ უშვებს მაშინ, როდესაც კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენტის შესახებ ყველა მონაწილეს აიძულებს თამაშის ერთნაირი წესები დაიცვას, რითაც კონკურენტებს შორის კეთილსინდისიერ ბრძოლას უზრუნველყოფს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენტისგან დაცვის უზრუნველყოფას სპეციალური კანონით ახდენს, ზოგი კი – ზოგად ნორმებზე დაყრდნობით. აღნიშნული არა მარტო სამართლის სისტემაზეა დამოკიდებული, არამედ თითოეული ქვეყნის პრაქტიკაზე. არაკეთილსინდისიერ კონკურენტისთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად თვითრეგულირებას ასახელებენ, რაც პრაქტიკით ნაკლებად დასტურდება.

არაკეთილსინდისიერი კონკურენტის შესახებ კანონის კონცეფცია პირველად საფრანგეთში გაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს არ არსებობდა არაკეთილსინდისიერი საქმიანობის რაიმე კონკრეტული აკრძალვა. სასამართლოებმა არაკეთილსინდისიერი კონკურენტისაგან დაცვის ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სამართლებრივი სისტემა საფრანგეთის

³⁵ „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენტის შესახებ“ საქართველოს კანონი, №288-IX, პარლამენტის უწყებანი №22-23, 30.07.1996.

სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის ზოგადი დებულების საფუძველზე შექმნეს. იგი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის შემთხვევაში ზიანის სავალდებულო ანაზღაურებას ითვალისწინებს. პრინციპები, რომლებიც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებებში შემუშავდა, საფრანგეთში კვლავაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან სასამართლო დაცვის მთავარ საფუძველად რჩება.³⁶

გერმანიაში არაკეთილსინდისიერ საქმიანობასთან დაკავშირებით სპეციალური კანონმდებლობის ამოქმედება გახდა აუცილებელი, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებულ საქმეებზე სამოქალაქო კოდექსის ნორმების გავრცელება უარყვეს. შედეგად, 1909 წელს, ძალაში შევიდა „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ“ კანონი, რომელიც დღემდე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების აღკვეთის საქმეში მთავარ როლს ასრულებს. კანონი შეიცავს უპატიოსნო და შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის შესახებ ორ ზოგად და მათთან ერთად სპეციალურ დებულებებს, მაგალითად, კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ.³⁷ გერმანულმა სასამართლოებმა ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმკვეთი ყოვლისმომცველი სისტემა შეიმუშავა, რომლის მიზანი არამხოლოდ კონკურენტების, არამედ მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოების დაცვა გახლავთ. აღნიშნული აქტი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებათა სანიშნულო ჩამონათვალს ითვალისწინებს.

როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე განვითარდა, განსაკუთრებით კი სხვისი სახელის გამოყენებით გამოწვეულ სამოქალაქო სამართალდარღვევის (Passing-off) შესახებ საერთო სამართლის ნორმის საფუძველზე. როგორც გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-შიც არ იყო და არ არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამოქალაქო სამართალდარღვევათა ყოვლისმომცველი რაიმე ნორმა. მიუხედავად ამისა, 1946 წლიდან შტატებს შორის ვაჭრობაში საკუთარი პროდუქტის შესახებ ცრუ განცხადებების საწინააღმდეგო შეზღუდული სამართლებრივი

³⁶ The French civil code, Translated by G. Rouhette, Professor of Law, with the assistance of Dr A. Rouhette-Berton, Assistant Professor of English, Great Britain, 2006.

³⁷ „Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb“, Translated by B. Duffett, Saarbrücken, 2010; იხ., <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_uwg/index.html> [21.05.2013].

ნორმები მაინც იქნა გათვალისწინებული, რაც სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის (The Lanham Act) 43(ა)-ე მუხლის სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ დებულებათა საფუძველზე განხორციელდა.³⁸

„ამ სფეროში ახალ საკანონმდებლო ინიციატივათა შორის შეიძლება აღინიშნოს 1986 წელს შევიცარიაში მიღებული კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ, რომელიც შეიცავს ფართო ზოგად ნორმებს და დეტალურ წესებს, რომლებიც არეგულირებენ სპეციფიკურ ურთიერთობებს ბაზარზე, მაგალითად, მონურ იმიტაციას (Slavish imitation). 1990 წელს უნგრეთმა მიიღო კანონი არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის აღკვეთის შესახებ, რომლითაც წესრიგდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკითხები; 1991 წლის ესპანეთის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ შეიცავს დეტალურ ნორმებს მომხმარებლებისა და კონკურენტების საზიანო პრაქტიკის მიმართ; და ბოლოს, 1991 წელს ბელგამაც მიიღო კანონი კომერციული პრაქტიკისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლის დაცვის პრობლემას.“³⁹ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის დამცავი ნორმები იორდანისა და აქვს, რომელმაც თავის კანონმდებლობაში პარიზის კონვენციის მე-10^{bis} მუხლის მსგავსი დეფინიცია გაითვალისწინა.⁴⁰ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დამცავი ნორმები კანადაში ჯერ კიდევ 1932 წელს მიიღეს.⁴¹

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ქვეყნის მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის განსხვავებული მიდგომა იქნა არჩეული. თითოეულ ქვეყანაში კანონის ეფექტიანობას მისი პრაქტიკაში რეალიზება განაპირობებს. ინტელექტუალური საკუთრების ამა თუ იმ ობიექტის

³⁸ Wolf B. D., Effective protection against unfair competition under section 44 of the Lanham Act, Vol. 82 Trademark Rep., 1992; იხ., <<http://heinonline.org/>> [21.05.2013].

³⁹ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტო“, ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, დ. გაბუნიას, მ. კვიციანი და ზ. მელითაურის თარგმანი, დ. გაბუნიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 410.

⁴⁰ Haloush A.H., Legal Framework of Unfair Competition in Jordan: Scope of Application and Legal Protection, Journal of East Asia and International Law, 2009, 54.

⁴¹ Freer, E. R., Some Concepts of Unfair Competition at Home and Abroad, Vol. 31, Trademark Rep., 1941, 55; იხ., <<http://heinonline.org/>> [21.05.2013].

დამატებითი სამართლებრივი დაცვა ინტელექტუალური საკუთრების ყველა სფეროსთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელობა არ აქვს, იგი საფირმო სახელწოდებასთან, გამოგონებასთან, ლიტერატურულ ნაწარმოებთან თუ რომელიმე სხვა ობიექტთან იქნება დაკავშირებული.

პარიზის კონვენციის მე-10^{bis} მუხლის შესაბამისად, პარიზის კავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა უზრუნველყონ, თუმცა მათ არ გააჩნიათ ვალდებულება, ამისათვის სპეციალური კანონმდებლობა მიიღონ. მაგრამ თუნდაც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, უნდა აღიკვეთოს ყველა ის აქტი, „რომელიც ეწინააღმდეგება კომერციული საქმიანობის პატიოსან წესებს“, ვინაიდან საქართველოც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანას წარმოადგენს,⁴² ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტისგან. გარდა ამისა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანობა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული სასამართლებრივი სისტემის განვითარებისათვის შეიძლება სამოქალაქო სასამართლდარღვევათა შესახებ ზოგად დებულებაში მოცემული მოკლე ფორმულირება საკვებით საკმარისი საფუძველი იყოს მაშინ, როდესაც ყველაზე შთამბეჭდავად დაწერილ საკანონმდებლო აქტს შეუძლია მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის რეგულირების ნათელი და დეტალური წესები უსარგებლოა. იგი ბაზარზე ქცევის მიმართ გამაფრთხილებელ გავლენას მაინც მოახდენს. მაგრამ სასამართლოების მიერ ასეთი რეგულირების გამოყენების გარეშე მათ შედეგი არ ექნებათ.

საინტერესოა, რა საჭიროა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღძვევითი კანონის არსებობა, როდესაც არსებობს სპეციალური კანონები სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში?! ვინაიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებათა ფართო სპექტრი არსებობს, მაგალითად, შეცდომაში შემყვანი რეკლამა ან კომერციული საიდუმლოების დარღვევა, ჩვეულებრივ, სამრეწველო საკუთრების სფეროში კონკრეტული კანონებით არ წესრიგდება. ამრიგად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კა-

⁴² საქართველო შეუერთდა პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სსრ კავშირის (სსრ კავშირი პარიზის კონვენციის მონაწილე გახდა 1965 წ.) დროს აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. ეს მოხდა კონვენციის არსებობის 111 წლის თავზე – 1994 წლის 18 იანვარს.

ნონმდებლობა საჭიროა სამრეწველო საკუთრების შესახებ მომწესრიგებულ ნორმათა შესავსებად ან ისეთი დაცვის მისანიჭებლად, რისი უზრუნველყოფაც არც ერთ ამ კანონს შეუძლია.

გერმანიის კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასაც ეხება, მაგალითად, როგორცაა საქონლისა თუ მომსახურების ნიშნები, კანონი განასხვავებს ნაწარმთან დაკავშირებულ აღრევას მიღწევებთან დაკავშირებული აღრევისგან.⁴³ პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია დადგინდეს აღრევისა და ზიანის არსებობა. გერმანული სამართალი აღრევის მაღალი დონის არსებობაზეც აკეთებს დათქმას.

1996 წლის 25 ივლისს საქართველოში კონკურენციის შესახებ პირველი საკანონმდებლო აქტი იყო მიღებული – კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“⁴⁴. იგი დღეს ძალადაკარგულია. მის ნაცვლად 2005 წლის 3 ივნისს ძალაში შევიდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი.⁴⁵ ეს უკანასკნელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა და ბოლოდროინდელი ცვლილებების შესაბამისად, 2012 წლის 8 მაისს დამტკიცდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელშიც მთელი რიგი ცვლილებები იქნა გათვალისწინებული⁴⁶.

სახელის უფლების თავში, საფირმო სახელწოდების მატარებელ პირს თავისი უფლებების დაცვისას შეუძლია მოითხოვოს ღირსების დაცვა, როდესაც მას სახელს უტეხენ, მისი სახელის გამოყენებისას ზიანის ანაზღაურება, ან ორივე ერთად.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ საკმაოდ მწირია. ერთ-ერთ ასეთ გადაწყვეტილებაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსი პარიზის კონვენციის ნორმებზე დაყრდნობით არის განმარტებული. მოცემული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ემყარება შემდეგს: „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-10^{bis} მუხლი (არაკეთილსინდისიერი კონ-

⁴³ „Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb“, Translated by B. Duffett, Saarbrücken, 2010;

იხ., <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_uwg/index.html> [21.05.2013].

⁴⁴ „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, №288-IX, პარლამენტის უწყებანი №22-23, 30.07.1996.

⁴⁵ საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, №1550-IX, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №31, 27.06.2005 (ძალადაკარგულია, 08.05.2012).

⁴⁶ საქართველოს კანონის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, № 6148-IX, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08.05.2012.

კურენცია): კავშირის ქვეყნები შებოჭილნი არიან ვალდებულებებით, უზრუნველყონ თავისი მოქალაქეებისათვის ეფექტური დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს ნებისმიერი კონკურენციის გაწვევის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო თუ კონკურენციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. იკრძალება ყველა ისეთი ქმედება, რომელმაც რაიმე სახით შეიძლება გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის საწარმოსთან, საქონელთან ან სამრეწველო, თუ კომერციულ საქმიანობასთან.⁴⁷ აღნიშნული განმარტების შესაბამისად, მოცემულ საქმეზე, სასამართლომ კონკურენტის ქმედება აღრევის გამოწვევად საფუძვლად მიიჩნია და საქმე ქვემდგომ სასამართლოს განსახილველად ხელახლა გადაუგზავნა. აღნიშნული გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რატომ არსებობს ეროვნულ კანონმდებლობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმების შეტანის აუცილობელობა.

დასკვნა

იმისათვის, რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები სათანადოდ იქნეს დაცული, უპირველეს ყოვლისა, კონკურენციის შესახებ კანონის სრულყოფაა საჭირო, ვინაიდან ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული კანონები საკმარისად ყოვლისმომცველი არ არის.

პარიზის კონვენციამ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა სამრეწველო საკუთრებას დაუკავშირა. შესაბამისად, საქართველო, როგორც პარიზის კონვენციის წევრი ქვეყანა, ვალდებულია, აღნიშნულ უფლებათა სათანადოდ დაცვა არამარტო განსაკუთრებული უფლების ფარგლებში უზრუნველყოს, არამედ მაშინაც, როცა მისი დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმებზე დაყრდნობით არის საჭირო. არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვა განსაკუთრებული უფლებებით დაუცველ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს ხელს უწყობს.⁴⁸

რა თქმა უნდა, კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ არასდროს იქნება ისეთივე კონკრეტული, როგორც, მაგალითად, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი გახლავთ. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი სისტემის

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება №3კ/589.

⁴⁸ Intellectual Property Reading Material, WIPO, Geneva, pub No 476 (E) 1998, 124.

შექმნა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დამატებით დაცვას ხელს შეუწყობს. იგი ერთგვარი გარანტი იქნება. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სპეციალური კანონით შეუძლებელია არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან დაცვა.

საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ვერ უზრუნველყოფს კონკურენტთა უფლებების სათანადო უზრუნველყოფას. კანონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებათა ჩამონათვალი მოცემული არ არის და პასუხისმგებლობის კონკრეტული ღონისძიებების შესახებაც არ არსებობს რაიმე მითითება. შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონში ისეთი ნორმების გათვალისწინება, რომლებიც კონკურენტთა უფლება-მოვალეობებს მოაწესრიგებდა. ასევე, საჭიროა, აქცენტი გაკეთდეს არა მარტო კონკურენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტექსტშიც. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის თანახმად, ქმედებები, რომლებიც შეიცავს შეცდომაში შემყვან მითითებებს ან განცხადებებს საქონლის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ, მახასიათებლების შესახებ, მათი ხარისხის შესაბამისობის შესახებ, მოცემული ნაწარმის ბუნების შესახებ და ა.შ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის მთავარი იარაღი უნდა იყოს. მაგრამ საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონი მომხმარებელთა უფლებებს აღნიშნული მოთხოვნების თვალსაზრისით ვერ იცავს და დასახვეწია.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ბევრი ახალი ინიციატივაა, მაგალითად, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც ბაზარზე თანასწორი კონკურენციის მოწესრიგებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. ეკონომიკურ აგენტს თუ მიაჩნია, რომ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად კონკურენციის სფეროში მას უშუალოდ მიაღდა ქონებრივი ზიანი, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საჩივრით მიმართავს. ეს კონკურენციის აღკვეთის თვალსაზრისით, წინადადებული ნაბიჯია. თუმცა დასახელებული კანონი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე არ ვრცელდება, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კანონი ანტიტრესტული სამართლის და არა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას აწესრიგებს. თუმცა ორივე მათგანის არსებობა სავლდებულა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დასაცავად ერთმანეთს ავსებენ⁴⁹.

⁴⁹ Bang H. S., Comparative Analysis of Unfair Competition Regulations: Its Meaning and Role for the Future, Korean Journal of Law, Vol. 19, 1991, 103.

შესაძლოა, უკეთესია სპეციალური კანონის მიღება, როგორც ეს გერმანიაშია, რომელიც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას მოაწესრიგებს. მისი მეშვეობით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დამატებითი დაცვა იქნება უზრუნველყოფილი. აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებასა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვას ხელს შეუწყობს.

ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი ობიექტის, საფირმო სახელწოდებასთან დაცვასთან დაკავშირებით, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმების აუცილებლობა ნათელია. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ერთი და იმავე საფირმო სახელწოდებით იურიდიული პირის დარეგისტრირების შესაძლებლობას იძლევა. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვაში ორი იდენტური აღნიშვნა იქნება ჩართული, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რათა არ განვითარდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. პარიზის კონვენციის თანახმად, მონაწილე ქვეყნებმა საფირმო სახელწოდების დაცვა სპეციალური რეგისტრაციის შემოღების გარეშე, ფირმის რეგისტრაციის საფუძველზე უნდა უზრუნველყონ. მიუხედავად ამისა, თუ საფირმო სახელწოდება, როგორც სასაქონლო ნიშანი, იმაგდროულად არ იქნება დარეგისტრირებული, საფირმო სახელწოდების, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის, დაცვა ვერ მოხდება. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის მიხედვით, ნიშნად არ რეგისტრირდება მხოლოდ ისეთი აღნიშვნა, რომელიც აღრევის გამომწვევ საფირმო სახელწოდებას შეიცავს. არ არის მოწესრიგებული ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი სასაქონლო ნიშნად თავის საფირმო სახელწოდების რეგისტრაციას ითხოვს მაშინ, როდესაც იდენტურ საფირმო სახელწოდებაზე უფლება მანამდეა წარმოშობილი, მაგრამ უფლება სასაქონლო ნიშანზე არაა რეგისტრირებული.

კანონმდებლობით საფირმო სახელწოდება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გარეშეც უნდა იყოს დაცვადი. მის მფლობელს, თუ მან უფრო ადრე მოახდინა ფირმის გარკვეული ამგვარი საფირმო სახელწოდებით რეგისტრაცია, უნდა შეეძლოს თავისი იდენტური საფირმო სახელწოდების ყოველგვარი გამოყენების აკრძალვა. ხშირ შემთხვევაში, ბაზარზე იდენტური საფირმო სახელწოდების არსებობით მოტყუებული მომხმარებელი რჩება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ საშუალო დონის მომხმარებელმა არ იცის და არც მოეთხოვება იცოდეს იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი. იგი ნდობას გარკვეული საფირმო სახელწოდების სუბიექტს უცხადებს და სურს მისი პროდუქცია. ბაზარზე ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების არსებობა აღრევისა და შეცდომაში შეყვანის რისკს იწვევს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი კანონმდებლობა კი ყველა ისეთ შემთხვევას მოაწესრიგებს, რომელთა წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია. იგი ინტელექტუალური ობიექტების დასაცავად დამატებითი დაცვის გარანტია იქნება. მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც საქართველოსთვისაც ეფექტიანი იქნება.

საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვისას წარმოშობილი პრობლემები

შესავალი

საავტორო უფლებების დაცვა მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებასა და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. გამონაკლისი არც საქართველოა და ბოლო პერიოდში ინტელექტუალური საკუთრების მიმართ ინტერესი საქართველოშიც საგრძნობლად გაიზარდა, რაც სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული.

საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის გააქტიურებაში უმნიშვნელოვანესი როლი ევროკავშირს უჭირავს, რომელმაც სამეზობლო პოლიტიკისა და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების ფარგლებში 2006 წელს სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. საქართველოსთვის საავტორო უფლებების დაცვის მხრივ გადამწყვეტი მომენტი 2010 წლის 12 მაისს დადგა, როდესაც ევროკავშირმა გამოსცა ანგარიში, სადაც ხელისუფლების მიერ სამოქმედო გეგმის პირნათლად აღსასრულებლად გადადგმული ნაბიჯები შეაფასა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით ევროკავშირის სტანდარტებამდე მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო. სასამართლო პრაქტიკის მხრივ კი, საერთოდ პროგრესი არ იგრძნობა.¹ ამ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო საქართველოს ხელისუფლებას განეხორციელებინა აუცილებელი ღონისძიებები და ამავე წლის 12 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 2013 წელს, პრემიერ-მინისტრის 22 მაისის №107 ბრძანებით ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა. მისი ძირითადი ფუნქციებია საავტორო უფლებების დაცვის სტრატეგიის შემუშავება,

¹ Implementation of the European Neighbourhood Policy in 2009:Progress Report Georgia, Brussels, 12.05.2010, 14.

პოპულარიზაციის ხელშეწყობა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების უზრუნველყოფა.² „საქართველო იკისრა ვალდებულება ევროკავშირისა და სხვა პარტნიორების მიმართ, შექმნას რეალური ბერკეტები ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად.“³ საქართველო იმყოფება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მომზადების პროცესში, რომლის ფარგლებში, მყარი სამართლებრივი ბაზის შემუშავებასთან ერთად ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა წარმოადგენს.⁴ ამ ვალდებულების განხორციელება კი შეუძლებელია კოლექტიური ორგანიზაციის მიერ მმართველობის ეფექტურად განხორციელების გარეშე. შესაბამისად, აქტუალურია საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის (შემდგომში – კმო) საკითხიც.

სავტორო უფლებების დაცვისა და მისი ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანი საავტორო უფლების მფლობელის მიერ მისი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისათვის გადაცემაა, რომელიც აღნიშნული დელეგირების საფუძველზე კოლექტიურად მართავს ავტორთა ქონებრივ უფლებებს. კმო-სთვის უფლებების სამართავად გადაცემა მსოფლიოში უკვე აპრობირებული მეთოდია. საქართველოში კი, კმო პირველად 1999 წელს ჩამოყალიბდა. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით არც ისე დიდი ისტორიის მიუხედავად, საქართველო არის ამ სფეროში მოქმედი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენციების წევრი.

სტატიის მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს საავტორო უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციის არსი, მისი უპირატესობა საავტორო უფლებების ინდივიდუალურად მართვასთან მიმართებით და განხილულ იქნას რამდენიმე პრობლემა, რომელიც მისი საქმიანობის განხორციელებისას წარმოიშობა.

² იხ., საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 12 ნოემბრის 912 ბრძანებულება.

³ ნიკოლოზ რურუა, ჟურნალი “COPYRIGHT”, №1, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, თბილისი იანვარი 2012, გვ.18.

⁴ აქვე, ვირჯინი კოსული, გვ.54

1. კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის არსი და ისტორიული განვითარება

საავტორო სამართალი წარმოადგენს ინტელექტუალური სამართალის ობიექტს, რომელიც ადამიანის ინტელექტისა და გონების ქმნილებაა და წარმოდგენილია მატერიალური სახით, მისი გავრცელება კი შესაძლებელია მთელს მსოფლიოში განუსაზღვრელი ოდენობის ასლების საშუალებით.⁵ საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ ადამიანი, როგორ ინდივიდი უნდა დაიცვას და არა, როგორც მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმი⁶.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი ქონებას განმარტავს, როგორც ყველა ნივთს და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. საზოგადოებისათვის დღემდე რთულად გასაგებია, რომ ინტელექტუალური საკუთრება სხვა ნივთებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ნივთები ფიზიკურად შეხებადია, „სხეულებრივია“, ხოლო ინტელექტუალური საკუთრება – „უსხეულო“⁷ და ის ისევე უნდა დავიცვათ, როგორც ყველა სხვა სახის საკუთრება. საავტორო სამართალი საკუთრების ერთ-ერთი სახეა, რომელიც შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ყიდვის, ჩუქების, ლიცენზირების ან მემკვიდრეობის გზით.⁸ ინტელექტუალური საკუთრების უკანონოდ მითვისება ისეთივე ქურდობაა, როგორც ნებისმიერი სხვა ნივთის მოპარვა, რაც გამოიხატება თუნდაც ნებართვის გარეშე მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებაში. ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს ავტორის გონებრივი, ინტელექტუალური, შემოქმედებითი შრომის ნაყოფს და შესაბამისად, ყველა სხვა მოძრავ თუ უძრავ ნივთზე ძვირფასია. ადამიანი სულიერებისა და გონიერების მქონე არსებაა და მისი ნააზრევი განსაკუთრებულ დაცვას იმსახურებს. „საავტორო უფლებების დაცვის გარეშე ყველა ინოვაცია და ნებისმიერი ქმნილება

⁵ ქიჩაშვილი ქ., ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნალი „სამართალი“, 8-9, 2000, 40, იხ. ციტირება: ჯორბენაძე ს., ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1998, 114.

⁶ Моргунова Е.А., Коллективное Управление Авторскими Правами на Современном Этапе, Москва, 2005, 6.

⁷ ზოიძე ბ., სანიეთო სამართალი, თბილისი, 1999, 31.

⁸ Paul Maret M.A, Intellectual Property Law, London, 1996, 23.

საფრთხის ქვეშ დგება, რადგან ეს იწვევს ახალი ღირებული პროდუქტის შექმნისთვის და მასში ინვესტირებისთვის სტიმულის დაკარგვას.⁹

გასათვალისწინებელია, რომ ინტელექტუალური საკუთრება განსხვავებულია „სხეულებრივი“ ნივთებისაგან მისი ფლობის და განკარგვის თავისებურებებით. ნივთი უკანონო მფლობელობისგან შეიძლება „სკივრში ჩაკეტვის“ გზით დაიცვა, მაგრამ გაცილებით ძნელია იმავე სკივრში ჩაკეტო არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მასზე უკანონოდ მფლობელობისა და სარგებლობის რისკი გაცილებით დიდია.¹⁰

ცივილიზებული მსოფლიო საზოგადოება, კონსტიტუციები, საერთაშორისო აქტები ერთხმად აღიარებს, რომ ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს ადამიანის ძირითად, ბუნებით უფლებას.¹¹ ცივილური სამართალი მფლობელობას იაზრებს, როგორც ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, რაც ნიშნავს ნივთზე არა სივრცობრივ ურთიერთკავშირს, არამედ ნივთის მიმართ სამართლებრივ ძალაუფლებას¹².

იქიდან გამომდინარე, რომ ინტელექტუალური საკუთრების ფლობა, მართვა და დაცვა ინდივიდუალურად რთულია და ავტორები ვერ ახერხებდნენ საკუთარი უფლებების ინდივიდუალურად განკარგვას, საჭირო გახდა შექმნილიყო კოლექტიური მართვის ორგანიზაცია.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ფუძემდებელ ქვეყანად საფრანგეთია მიჩნეული. 1777 წელს შეიქმნა პირველი კოლექტიური მართვის ორგანიზაცია, რომელიც იცავდა მხოლოდ ლიტერატურული და დრამატული ნაწარმოების ავტორებს, ხოლო მოგვიანებით, 1850 წელს, ისევ საფრანგეთში შეიქმნა კმო, რომელიც მუსიკალური ნაწარმოების ავტორების უფლებებს მართავდა.¹³ მის შექმნას წინ გახმაურებული ისტორია უძლოდა: 1847 წელს, ავტორები პოლ ანრიონი, ვიქტორ პარიზო და ერნესტ ბურჟე კაფე „ამბასადორში“ შევიდნენ, სადაც ნებართვისა და

⁹ იხ., მიტკო ჩატალბაშევი, CISAC-ის ევროპულ საკითხთა დირექტორი, ჟურნალი “COPYRIGHT”, №2, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, თბილისი 2012 წელი, 14

¹⁰ ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბილისი, 1999, 31.

¹¹ ქოჩაშვილი ქ., ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნალი „სამართალი“, 8-9, თბილისი, 2000, 41.

¹² იქვე, 38, იხ. ციტირება: ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბილისი, 1999, 39.

¹³ იხ., http://en.wikipedia.org/wiki/Collective_rights_management#cite_note-1

საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე სრულდებოდა მათი ოპერა „მიშელი იტალიურ ოპერაში“. ანგარიშის მოტანისას, მათ უარი თქვეს გადახდაზე და განაცხადეს, რომ კაფე იყენებდა მათ საკუთრებას ყოველგვარი ჰონორარის გადახდის გარეშე და შესაბამისად, არც ისინი აპირებდნენ კაფეში მირთმეული საჭმელისათვის გადახდათ. ავტორებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. სასამართლომ კი აუკრძალა კაფეს მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება. კაფე არ დაემორჩილა სასამართლო გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც ავტორებმა ხელახლა შეიტანეს სასამართლოში სარჩელი უკვე კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით. ავტორების სარჩელი დაკმაყოფილდა და კაფეს მათ სასარგებლოდ გარკვეული საკომპენსაციო თანხის გადახდა დაეკისრა.¹⁴

აღსანიშნავია, რომ საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციები არც საბჭოთა საქართველოსთვის იყო უცხო. ზურაბ ახვლედიანი აღნიშნავს, რომ შემოქმედებით კავშირებთან, ავტორების უფლებების დასაცავად შექმნილი იყო სპეციალური დაწესებულებები - ავტორთა უფლებების დაცვის სამმართველოები, ხოლო მოკავშირე ქვეყნებში - ავტორთა უფლებების დაცვის საკავშირო სამმართველოს განყოფილებები. სამმართველოები და განყოფილებები ძირითადად ავტორებს ეხმარებოდნენ ქონებრივი უფლებების მოგვარებაში, კერძოდ ჰონორარის მიღებაში, ისინი საქმეში ერთვებოდნენ მაშინ, როცა გამოძცემლები უარს აცხადებდნენ საავტორო ჰონორარის გადახდაზე ან სადავოს ხდიდნენ ჰონორარის ოდენობას.¹⁵

როგორც ირკვევა, აღნიშნულ სამმართველოებს დაახლოებით მსგავსი ფუნქციები ჰქონდათ, რაც დღეს კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში საავტორო უფლებების დაცვა სამოქალაქო კოდექსითა და 1995 წელს რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებით წესრიგდებოდა.

მოგვიანებით, 1999 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ და იმავე წელს, ავტორთა და შემსრულებელთა მიერ შეიქმნა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძ-

¹⁴ Моргунова Е.А., Коллективное Управление Авторскими Правами на Современном Этапе, Москва, 2005, 8.

¹⁵ ახვლედიანი ზ., ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებები, თბილისი, 1974, 99.

ველზე მმართველი ორგანიზაცია – „საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა ასოციაცია“ (GESAP), რომლის მიზანიც იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა. 2006 წელს, კმო-მ ხელახალი რეგისტრაცია გაიარა და დარეგისტრირდა, როგორც „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ (SAS), რის შემდეგაც დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები უცხოეთის ქვეყნების მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების გაფორმებაზე. საზოგადოების არაეფექტური მმართველობა და სახელმწიფოს მიერ 2011 წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გამოცხადება კოლექტიური მართვის ორგანიზაციაში დიდი ცვლილებების მიზეზი გახდა. 2011 წლის 11 მაისის საერთო კრებაზე შეიცვალა მმართველობა და ამავე წლის 9 ივლისის საერთო კრებაზე კმო-მ შეიცვალა სახელი. დღეს საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთი კოლექტიური მართვის ორგანიზაცია – „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“ (შემდეგში ასოციაცია) (GCA)¹⁶.

2. კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნა და სტრუქტურა

სავტორო უფლებები და ტექნიკა ერთდროულად ვითარდება¹⁷ და დღეს, ტექნიკური პროგრესის ხანაში, უფრო და უფრო რთული ხდება საავტორო უფლებების დაცვა. მას შემდეგ, რაც ბაზარზე გამოჩნდა რადიო, მაგნიტოფონი თუ სხვა ტექნიკური საშუალება, ავტორისათვის შეუძლებელია, გააკონტროლოს უფლებების დარღვევის ფაქტები.¹⁸ შესაბამისად, საავტორო უფლების ეფექტურად მართვისათვის იქმნება კოლექტიური მართვის ორგანიზაცია.¹⁹ მაგალითად, როცა რესტორანს სურს

¹⁶ იხ., <http://www.gca.ge/index.php?cid=43&lang=geo>

¹⁷ იხ., Collective Management in Reprography, World Intellectual Property Organization, International Federation of Reproduction Rights Organizations, Avril 2005, 9.

¹⁸ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000, 79.

¹⁹ ძამუკაშვილი დ., შენგელია რ., გაბუნია დ., ხრუსტალი ვ., ჯორბენაძე ს., საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 300.

აიღოს ნებართვა მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებაზე, ის ვერანაირი გზით ვერ შეძლებს ყველა იმ ავტორთან, რომლის რეპერტუარსაც შეასრულებს მომავალში, გააფორმოს ხელშეკრულება. კოლექტიური მართვის ორგანიზაციები იქმნება ავტორების ან/და საავტორო უფლებების მფლობელების მიერ ნებაყოფლობით. ისინი წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემენ კმო-ს უფლებებს სამართავად.²⁰ მოსარგებლები ხშირად სადაოდ ხდიან და ეჭვქვეშ აყენებენ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის უფლებამოსილების საკითხს უცხოურ ნაწარმოებთან მიმართებით, უფრო მეტიც, რამდენიმე წლის წინ თავად მოსამართლეებისთვისაც გაუგებარი იყო კმო-ს არსი და ითხოვდნენ მტკიცებულებებს, თუ რის საფუძველზე იყო ასოციაცია უფლებამოსილი წარმოედგინა როგორც ქართული, ისე უცხოური ნაწარმოებების ავტორთა უფლებები. იმისათვის, რომ კმო-ს საქმიანობა სრულფასოვანი იყოს, საჭიროა სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებული ჰქონდეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები.²¹ დღეს საქართველოში მხოლოდ საავტორო უფლებათა ასოციაციას აქვს 107 საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლითაც ფარავს 150 ქვეყანას, რის საფუძველზეც შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასოციაცია ერთადერთი მოქმედი და უკონკურენტო კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციაა საქართველოში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ერთი და იმავე უფლებების მართვის რამდენიმე ორგანიზაციის არსებობისას შეიძლება მოხდეს გაუგებრობები²², რაც გამორიცხულია, რადგან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ერთ ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას რამდენიმე ორგანიზაცია უფლებების ან უფლების მფლობელების **სხვადასხვა კატეგორიის ან ერთი კატეგორიის ავტორების სხვადასხვა უფლებების სამართავად**, მსგავსი პრაქტიკა უმეტესად აპრობირებულია დიდ ქვეყ-

²⁰ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 63.

²¹ იქვე, მუხლი 63, პ.1.

²² იხ., ძამუკაშვილი დ., შენგელია რ., გაბუნია დ., ხრუსტალი ვ., ჯორბენაძე ს., საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 304.

ნებში, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში მუსიკალურ ნაწარმოებებზე უფლებებს მართავს PRS (Performing Right Society), სახვით ხელოვნებაზე – DACS (Design and Artists Copyright Society), ლიტერატურულ ნაწარმოებებზე – ALCS (Authors' Licensing and Collecting Society) და ა.შ.²³ უმეტეს ქვეყნებში გამოიჯნულია ავტორთა და შემსრულებელთა ორგანიზაციებიც, ხოლო საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს ერთადერთი კოლექტიური მართვის ორგანიზაცია - „საავტორო უფლებათა ასოციაცია“, რომელიც მართავს ყველა კატეგორიის საავტორო ქონებრივ უფლებას.

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და ის არ არის მოგებაზე ორიენტირებული, მაგრამ სხვა არაკომერციული პირებისაგან განსხვავებულია მისი დარეგისტრირების წესი. კანონის 63-ე მუხლით, რეგისტრაციის წესს, ფორმულარს და ამონაწერის ფორმას ბრძანებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. საჯარო რეესტრის შესაბამის ორგანოში რეგისტრაციისა და რეესტრის ამონაწერის მომზადების შემდეგ კმო იწყებს თავისი უფლებების განხორციელებას. კმო არ არის მოგებაზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ ის გადაცემულ უფლებებს ვერ გამოიყენებს სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.²⁴

ასოციაციის მმართველობას ახორციელებს ძირითადად სამი ორგანო: საერთო კრება, გამგეობა და ავტორთა და შემსრულებელთა საბჭო. ასოციაციის საერთო კრება, რომელიც საავტორო უფლების მფლობელებისაგან შედგება, არის მართვის უმაღლესი ორგანო, ის იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, ხოლო უშუალოდ აღმასრულებელ საქმიანობას ეწევა გამგეობა, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე, ავტორთა და შემსრულებელთა საბჭო კი უზრუნველყოფს სადავო საკითხების გადაჭრას.

²³ იხ., <<http://www.cisac.org/CisacPortal/menu.do?method=change&menu=tools-&item=item1>> [20.06.2013]

²⁴ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 63, პ.2,3,4.

3. კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობა

კოლექტიურ საფუძველზე შეიძლება სამართავად გადაცემული იყოს მხოლოდ საავტორო ქონებრივი უფლებები. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი იძლევა ქონებრივი უფლებების ჩამონათვალს. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ უფლებას წარმოადგენს საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემის, რეპროდუცირების, გავრცელებისა და თარგმანის უფლება.

საავტორო უფლების მფლობელი ნებაყოფლობით გადასცემს ორგანიზაციას უფლებებს სამართავად. კმო-ს წევრობის შემთხვევაში კონტროლის, საავტორო ჰონორარის შეგროვების და გადახდის ვალდებულება წარმოეშობა კოლექტიური მართვის ორგანიზაციას. ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს როგორც ავტორი, ისე მისი მემკვიდრე ან სხვა უფლების მფლობელი, რომელსაც კანონიერად აქვს გადაცემული საავტორო უფლებები. წევრობის ხელშეკრულება აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი, ხელშეკრულების ფორმას ადგენს ასოციაცია. ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან ორგანიზაცია ხდება ავტორის/უფლების მფლობელის ქონებრივი უფლებების მმართველი, რაც მოიაზრება იმაში, რომ როცა მოსარგებლეს სჭირდება ამა თუ იმ ნაწარმოების გამოყენება, ის არ დაიწყებს თითოეული ნაწარმოების ავტორის ძებნას ნებართვის ასაღებად, ის მიმართავს კმო-ს, აიღებს ლიცენზიას და გამოიყენებს ნაწარმოებს ლიცენზიის შესაბამისად. ორგანიზაცია ვალდებულია ყველა მოსარგებლეზე გასცეს ლიცენზია, თუ მას საკმარისი საფუძველი არ აქვს, უარი უთხრას ლიცენზიის გაცემაზე. ასეთი საფუძველი შეიძლება არსებობდეს, როცა, მაგალითად, მოსარგებლეს სურს ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოების გამოყენება, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელსაც არ მართავს ასოციაცია და სხვ.

კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს საჯაროობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კმო წარმოადგენს, ასევე, საავტორო უფლების ყველა მისთვის უცნობ მფლობელს ან იმ მფლობელებს, რომელთა იდენტიფიცირებაც ვერ ხერხდება და შეუძლია ამ ნაწარმოებებზე გასცეს ლიცენზიები. ეს დათქმა არ

ვრცელდება კინემატოგრაფიულ და კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით გამოხატულ ნაწარმოებებზე²⁵.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება დავყოთ რამდენიმე ძირითად ნაწილად. მისი უმთავრესი ფუნქციაა, გააწვერიანოს ავტორები, შეუქმნას ისეთი პირობები, რომ უფრო მეტ ავტორს გაუჩნდეს მასთან თანამშრომლობის სურვილი, ასევე, გააფორმოს ლიცენზიები, გააკონტროლოს ლიცენზიებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეაგროვოს და განაწილოს ჰონორარები და დაიცვას ავტორის დარღვეული უფლებები.

კმო-მ შეიძლება გასცეს ლიცენზია, როგორც ერთ კონკრეტულ ნაწარმოებზე, სპეციფიკური გამოყენებისთვის, ისე ზოგადი, ე.წ. ბლანკეტური ლიცენზია, რაც გულისხმობს ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნებისმიერი ნაწარმოების გამოყენებას.²⁶

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე ასოციაცია უფლებამოსილია გასცეს ნებართვა, როგორც ქართული, ისე უცხოური ნაწარმოებების გამოყენებაზე. ასეთი სახის ლიცენზიებს „მულტი-რეპერტუარულ“ ლიცენზიასაც უწოდებენ.²⁷ საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, სალიცენზიო შეთანხმებით, ორგანიზაცია ვალდებულია გაცემული ნებართვის ფარგლებში, პასუხი აგოს საავტორო უფლების მფლობელის მიერ ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებულ ქონებრივ პრეტენზიაზე.²⁸

ორგანიზაციის ერთერთ ძირეულ ფუნქციას წარმოადგენს ჰონორარის შეგროვება და მისი განაწილება. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლი განსაზღვრავს ჰონორარის შეგროვების და განაწილების ზოგად წესებს. ასოციაცია მოსარგებლის

²⁵ იქვე, მუხლი 65, პ.2.

²⁶ Marett P., Intellectual Property Law, London, 1996, 42-43.

²⁷ Bonadio E., Copyright Collective Licensing and the EU Initiatives in the on-line Music Field, Dirrito di Autore e Nuove Tecnologie, Rivista trimestrale di dirrito d'autore, DIRETTA DA Giovanni d'Ammassa, Nyberg Edizioni, N4, Ottobre-Dicembre 2006, 6.

²⁸ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პ.4.

მიერ გადახდილი ჰონორარიდან ქვითავს ადმინისტრირების ხარჯს,²⁹ საშემოსავლოსა და დამატებითი ღირებულების გადასახადს, ხოლო დანარჩენ თანხას გამოყენებული ნაწარმოების შესაბამისად ანაწილებს საავტორო უფლების მფლობელებზე. როგორც ცნობილია, საავტორო უფლება წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს, ხოლო საგადასახადო კანონმდებლობით, მომსახურებად მიიჩნევა ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამოყენებაზე უფლების გადაცემა. სწორედ ამ საფუძვლით არამართებულად დამატებითი ღირებულების გადასახადით იბეგრება კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ შეგროვებული მთლიანი საავტორო ჰონორარი. იმის მიუხედავად, რომ საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 21-ე ნაწილის „ბ“ პუნქტის მიხედვით, როიალტი არის „ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი“, მართებული არაა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ შეგროვებული საავტორო ჰონორარიდან დღე-ით დაბეგვრა.

აღსანიშნავია, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციას ავტორებისაგან არა აქვს საკუთრებაში (მფლობელობაში) გადმოცემული საავტორო უფლებები, მას, კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, უფლება კი არ აქვს უშუალოდ გამოიყენოს ნაწარმოები შემოსავლის მიღების მიზნით და იგი ამ უფლების სხვა პირზე (მოსარგებლეზე) გადაცემისათვის, ასევე, არ იღებს შემოსავალს (შემოსავალს, საავტორო ჰონორარის სახით, იღებს უშუალოდ ავტორი/უფლების მფლობელი, რამეთუ ლიცენზია გაიცემა ავტორების და საავტორო უფლების სხვა მფლობელების სახელით და მათთვის საწესდებო მიზნების განსახორციელებლად). როიალტი კი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ავტორი მისი ნამუშევრების გამოყენების უფლებას სათანადო ხელშეკრულებით გადასცემს ამა თუ იმ პირს, რასაც ასოციაციის შემთხვევაში ადგილი არ აქვს. კოლექტიური მართვის ორგანიზაცია აწარმოებს ავტორთა უფლებების დაცვას და ავტორებთან და სახლვარგარეთის ანალოგიური კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ დადებული

²⁹ Bonadio E., Copyright Collective Licensing and the EU Initiatives in the on-line Music Field, *Diritto di Autore e Nuove Tecnologie*, Rivista trimestrale di diritto d'autore, DIRETTA DA Giovanni d'Ammassa, Nyberg Edizioni, N4 Ottobre-Dicembre 2006, 4.

ხელშეკრულებების საფუძველზე კოლექტიურად მართავს მათ ქონებრივ უფლებებს. შესაბამისად, „როიალტი“-ს სახით მიღებულ შემოსავლებს კოლექტიური მართვის ორგანიზაცია არ იღებს (როიალტის იღებს თავად ავტორი). საავტორო ჰონორარი, როიალტი, კმო-ს ძალისხმევითა და კომპეტენციით თავს იყრის კმო-ს ანგარიშზე და მას რჩება მხოლოდ ავტორის ნებაყოფლობითი შენატანი. ამდენად, საწევრო შენატანის „როიალტი“-სთან გაიგივება სრულიად უსაფუძვლოა.

კმო-მ საავტორო უფლებები არამატერიალურ აქტივად რომ ასახოს თავის აქტივებში, შემდეგი პირობები უნდა იყოს დაკმაყოფილებული: ავტორს მასზე უნდა ჰქონდეს გადაცემული მისი ნაწარმოებებით სარგებლობის უფლება კანონის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სალიცენზიო ხელშეკრულების პირობებით, გარკვეული ვადით; ამასთან, სარგებლობის პერიოდის მანძილზე შეფასებული უნდა იყოს მისი ღირებულება ფულად გამოხატულებაში, რაშიც არ იგულისხმება ამ უფლებების გამოყენებიდან მისაღები საავტორო ჰონორარი, რომელსაც არავითარი კავშირი როიალტი-სთან არ გააჩნია; ყოველივე ეს კი, იმ პირობებში, როცა საავტორო უფლების მფლობელები არიან თავად ავტორები და ამ უფლებების მხოლოდ მართვას ახორციელებენ კოლექტიურ საფუძველზე მათ მიერვე შექმნილი ორგანიზაციის მეშვეობით (და არა სამეწარმეო მიზნით ნაწარმოებების გამოყენებას, როგორც მოსარგებლები), რომელიც მათი სახელით გასცემს ნებართვას (სალიცენზიო შეთანხმების სახით) მოსარგებლებზე ნაწარმოებების ამა თუ იმ სახით გამოყენებაზე (საავტორო უფლებები). როიალტად რაიმე თანხის აღიარების ვალდებულებას ადგილი არ აქვს. ამასთან, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლებამოსილება ორგანიზაციას გადაეცემა ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო უფლებათა მფლობელების მიერ, ამ ორგანიზაციაში მათი წევრობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე, ანალოგიურ უცხოურ ორგანიზაციასთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენს საავტორო ხელშეკრულებას და კანონის მე-40 მუხლი მასზე არ ვრცელდება.

რაც შეეხება თავად „როიალტი“-ს ცნებას და განმარტებას, მისი სრულყოფილი აღწერა და საბუღალტრო ჩანაწერებში ასახვის წესი გან-

საზღვრულია საერთაშორისო სტანდარტებით. „როიალტი“ ბალანსზე აისახება მოსარგებლესთან არამატერიალური აქტივის სახით, მას აქვს ფულადი გამოხატულება და გამოყენების ვადა, ერიცხება შესაბამისი ცვეთა და წარმოადგენს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს. მოსარგებლეს კი ყველა ნორმით და წესით წარმოადგენს ის პირი, რომელიც ახდენს ნაწარმოების გამოყენებას საავტორო უფლებების დაცვით, მასზე მიღებული ნებართვის/ ლიცენზიის პირობებით.

4. საავტორო უფლებების დაცვა

საავტორო უფლებების დაცვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. „ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია“.³⁰ საქართველოს კანონმდებლობით, ავტორის გადრაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში შესაძლებელია ქონებრივი უფლებების დაცვა.³¹ ბერნის კონვენციით, ქონებრივი უფლებები ავტორს უნარჩუნდება გარდაცვალებიდან 50 წლის განმავლობაში, გერმანიის კანონმდებლობა კი, საქართველოს მსგავსად 70 წელს ითვალისწინებს.³² თეორიულად, ინტელექტუალური სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, საავტორო სამართალს აქვს ყველაზე ეფექტური დაცვის საერთაშორისო რეჟიმი.³³ არსებული სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, რომ საავტორო უფლებები შეიძლება დარღვეული იყოს სხვადასხვა მიზეზის გამო, კერძოდ კი, იმ შემთხვევაში, როცა: ნაწარმოები გამოყენებულია შესაბამისი ნებართვის მიღების გარეშე, დარღვეულია ლიცენზიის პირობები ან მოსარგებლე უარს აცხადებს ლიცენზიის დადებასა და საავტორო ჰონორარის გადახდაზე³⁴.

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს ყველა ქმედება რომელიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული

³⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23, ნაწილი 1.

³¹ იხ., „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 31, პ.1.

³² Tejan-Cole A., Deputy Register , Belipo Collective Management of Copyright and Related Right, 3-4.

³³ Marett P., Intellectual Property Law, London, 1996, 22.

³⁴ Хоменко М., Проблемы охраны авторских прав при публичном исполнении произведений, Авторское Право и Смежные Права, №5, 2012 , 17.

უფლებების დასაცავად, მათ შორის, წარმოადგინოს უფლების მფლობელი სასამართლოში.³⁵ ორგანიზაცია არის იმის გარანტი, რომ ავტორის უფლებები იქნება სათანადოდ დაცული. უფლების მფლობელი უძღურია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალრიცხოვან, ურჩ მოსარგებლებთან მიმართებით. ფიზიკურად შეუძლებელია გამოავლინოს ყველა დარღვევის ფაქტი და შემდეგ ყოველ დარღვევაზე მიმართოს სასამართლოს³⁶.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის როლი საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მოქნილი და ეფექტურია იმ კუთხით, რომ შესაძლოა სასურველი შედეგი დადგეს იმაზე უფრო სწრაფად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იქნებოდა უფლების ინდივიდუალურად დაცვისას. უფლებების დაცვა კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მეშვეობით როგორც სოციალურად, ისე ეკონომიკურად უფრო მოხერხებული, მოქნილი და ეფექტურია. ავტორის ნაცვალად კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ერთეულ საავტორო უფლებების დაცვის ყველა ასპექტში, ავტორის ყოველგვარი შეწუხებისა და შეფერხების გარეშე. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ ავტორს, რომელიც არის შემოქმედი, მეტი დრო რჩება თავისი საქმიანობისათვის, მისი გონება დაკავებული არა იმაზე ფიქრით, როგორ აღკვეთოს მისი საავტორო უფლება დარღვევა, როგორ მოიგერიოს დამრღვევი, რომელიც ცდილობს კარგად მოფიქრებული არგუმენტებით გაიმართლოს თავი ავტორის წინაშე და გაექცეს პასუხიმგებლობას, არამედ შექმნას უფრო მეტი ახალი ნაწარმოები. აღნიშნული კი დადებითად აისახება ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მხარეზე. დადებითი სოციალური მხარე ის გახლავთ, რომ მეტი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით ვითარდება ქვეყნის კულტურა, ჩნდება საზოგადოებაში მოთხოვნილება შექმნილი ინტელექტუალური ნაშრომის გამოყენების კუთხით. ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც უფრო მეტია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, მით მეტია მათი გამოყენების სიზშირე, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გამოყენება კი საავტორო უფლების მფლობელის სასიკეთოდ წარმოშობს გარკვეული ფინანსურ ვალდებულებას.

³⁵ „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 65, პ.1 „ვ“ ქვეპ.

³⁶ Schepens P., Guide to the collective administration of authors rights (the administration society at the service of authors and users), UNESCO, 2000, CLT-2000/ws/4, 15.

ფინანსურ ვალდებულებაში მოიაზრება ის საავტორო ჰონორარი, რომელსაც ავტორი მისი ნაწარმოების გამოყენების შედეგად იღებს. დიდა სახელმწიფო დანტერესებაც, საავტორო ჰონორარის შეგროვებითა და გადახდით მეტი გადასახადი იყრის თავს სახელმწიფოს ბიუჯეტში³⁷, ასევე, უძვობესლება შემოქმედი ადამიანის ფინანსური მდგომარეობა, რაც სერიოზულ სტიმულირებას წარმოადგენას კიდევ ბევრი ახალი ნაწარმოების შექმნისაკენ.

საქართველოსა და უცხოეთში, დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიუხედავად, ხშირია დარღვეულ საავტორო უფლებებზე სასამართლო დავები. სასამართლო წარმოება საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე ითვალისწინებს შეღავათებს ავტორებისათვის, რაც საავტორო უფლების დაცვის საკითხებზე მოსარჩელების სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაში გამოიხატება.³⁸ კანონით გათვალისწინებული ეს შეღავათები ამარტივებს და გაცილებით მოქნილს ხდის საავტორო უფლებების დარღვევებზე რაეგირებას. სხვა შემთხვევაში, იმ მართივი მიზეზის გამო, რომ ხელოვანი ადამიანი, რომლის ძირითადი მოღვაწეობა შემოქმედებითი საქმიანობაა, ხშირ შემთხვევაში, სინამდვილის გათვალისწინებით, ვერ შეძლებდა სახელმწიფო ბაჟის გადახდას, შესაბამისად, გართულდებოდა საავტორო უფლებების დარღვევაზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, ისეთ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს ნაწარმოების უკანონოდ გამოყენებას, კმო, სამართავად გადაცემული უფლებების ფარგლებში, უფლებამოსილია შეიტანოს სარჩელი. მაგალითისთვის, როცა რესტორანი უკანონოდ ახორციელებს ნაწარმოების საჯარო შესრულებას და უარს ამბობს საავტორო ჰონორარის გადახდაზე, ასოციაციას სარჩელი შეაქვს არა რომელიმე კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების, არამედ ზოგადად ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოების საჯარო შესრულების აკრძალვაზე. იქიდან გამომდინარე, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია იცავს ყველა ავტორის უფლებას, მისი პირდაპირი სახით წევრობის მიუხედავად, საქმე

³⁷ იხ. ირაკლი ღვალაძე, ჟურნალი “COPYRIGHT” №1, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, თბილისი, იანვარი 2012, 47.

³⁸ იხ., „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი.

გვაქვს დაცვის ავტომატურ რეჟიმთან.³⁹ საზღვარგარეთაც, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ვალდებულია დაიცვას მის რეპერტუარში, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით არსებული ნაწარმოები.

საავტორო უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე განმაურებული საქმე პოლიტიკურ მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ უკავშირდება. მოპასუხემ, ქ. თბილისის 2010 წლის მერის არჩევნებში გოგი თოფაძის წინასაარჩევნო რეკლამაში, ყოველგვარი ნებართვისა და საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, გამოიყენა რევაზ ლაღიძის მუსიკა „თბილისო“. კოლექტიური მართვის ორგანიზაციის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენების აკრძალვა და საავტორო ჰონორარის ანაზღაურება გადასახდელი თანხის ათმაგი ოდენობით, რომელიც 20 000 ლარს შეადგენდა. პირველ ინსტანციაში ორგანიზაციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, იმ მოტივით, რომ სიმღერა „თბილისო“ მიჩნეულია თბილისის ჰიმნად და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას არ გადაიხდება საავტორო ჰონორარი, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლით სახელმწიფო სიმბოლოებში იგულისხმება ორგანული კანონით დადგენილი სიმბოლოები. სააპელაციო სასამართლომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციის არგუმენტაცია მიიჩნია იურიდიულად დასაბუთებულად და პოლიტიკურ პარტიას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ორგანიზაციის სასარგებლოდ 20 000 ლარის გადახდა დააკისრა.⁴⁰

საავტორო უფლებების დაცვისას, სასამართლოს არაინფორმირებულობა და პრაქტიკის სიმცირე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. წინა წლებთან შედარებით, როცა სასამართლოს უჭირდა ზოგადად კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობასა და უფლებებში გარკვევა, ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესებულია, მაგრამ მოსამართლეების გადამზადება ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება საავტორო უფლებებ-

³⁹ ჭაჭუა თ., „საჯარო შესრულება“ როგორც ავტორის ქონებრივი უფლება მისი შეზღუდვები და სანქციები, Getsadze & Pateishvili, Newsletter, N18, July 2011, 3.

⁴⁰ იხ., საქართველოს ავტორთა საზოგადოება პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წინააღმდეგ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის გადაწყვეტილება 2011 წელი 19 აპრილი, საქმე №28/15-1.

თან დაკავშირებული საკითხების კვალიფიციურად განიხილვას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა როცა ტერმინების გამოჯენაც კი არასწორად ხდება. მაგალითად, მოსარჩელე ითხოვს საზოგადოებრივი მუსიკალური ნაწარმოების „საჯარო შესრულების აკრძალვას“, სასამართლოს კი გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ნაწილში, არგუმენტად მოყავს არა „საჯარო შესრულების“, არამედ „საჯარო გადაცემის“ მუხლები, ⁴¹ რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ და არსობრივად განსხვავებულ ქონებრივ უფლებას.

საქართველოში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა ხდება, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განთავსებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, რადგან ხელყოფის ძირითად მიზანს შეადგენს ქონებრივი გამორჩენა⁴².

დასჯადია დიდი ოდენობით, შემოსავლის მიღების მიზნით, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ საავტორო უფლებების დარღვევით ნაწარმოების, ფონოგრამის ან საავტორო უფლებით დაცული სხვა ნაწარმოებების უკანონოდ რეპროდუცირება, ასლების უნებართვოდ შექმნა, იმპორტი, გაყიდვა, გაქირავება და სხვაგვარი ხელყოფა. დიდი ოდენობით ჩადენილად ითვლება დანაშაული, როცა ფონოგრამის, ვიდეოგრამის და სხვა ნაწარმოების ღირებულება და უფლების მფლობელის მისაღები შემოსავალი აღემატება ხუთი ათასს ლარს, ხოლო დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, როცა ნაწარმოების ღირებულება ან შემოსავალი აღემატება ათი ათასს ლარს. საავტორო უფლებების დარღვევისათვის კანონი ითვალისწინებს ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს და თავისუფლების შეზღუდვა/აკეპთასაც.⁴³

⁴¹ იხ., საქართველოს ავტორთა საზოგადოება შპს „ბელვილის“ წინააღმდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, 2011 წელი 25 იანვარი, საქმე №2/13612-10.

⁴² ქოჩაშვილი ქ., ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნალი „სამართალი“, 2000, № 8-9, 43, იხ. ციტირება: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომენტარი), თბილისი, 1999, 72.

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 189.

აღნიშნული ნორმა სრულიად უმოქმედოა, რასაც დღეისთვის არსებული სტატისტიკა მოწმობს. 2005 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობდა გამოძიება 13 საქმეზე, აქედან 2 საქმე გადაიგზავნა სასამართლოში, 9 საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიზეზით, 2 საქმე კი მიმდინარეა.⁴⁴ საავტორო უფლებების დარღვევისას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ინგლისის კანონმდებლობაც ითვალისწინებს⁴⁵, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, მათ შემთხვევაში ეს მუხლი მოქმედია.

საქართველოში ფართოდ გავრცელებული და სრულიად უკონტროლოა „მეკობრეობა“, რომლის არსიც სწორედ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების ეგზემპლარების უკანონოდ დამზადება, გავრცელება და მათი სხვაგვარად გამოყენება წამოადგენს. საქმე ეხება არამხოლოდ ნაწარმოების უკანონოდ რეპროდუცირებას, არამედ მის შემდგომ გავრცელებას.⁴⁶ ფიქტიურად, შემოსავლის მიღების მიზნით, საავტორო უფლებების დარღვევით, ნაწარმოების კონტრაფაქციული ასლების გაყიდვა-გაქირავებით, იმპორტით ან სხვაგვარი დარღვევით უკანონო რეპროდუცირება დასჯადია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ითვალისწინებს ჯარიმას ხუთასიდან ხუთი ათას ლარამდე, დარღვევის შესაბამისად⁴⁷.

სამწუხაროდ, ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, მოქმედია მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მაგრამ ისიც გარკვეული ხარვეზებით. სისხლის და ადმინისტრაციულ სამართლებრივი დაცვის მექანიზმები კი უმოქმედოა, რაც დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს.

⁴⁴ ზანდუკელი ქ., ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ჩადენილი დანაშაულის პრაქტიკული ასპექტები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, 4-5 ივნისი, ბათუმი, 2012 წელი, სლაიდი 8.

⁴⁵ Marett P., Intellectual Property Law, London, 1996, 48.

⁴⁶ იხ., გაბუნია დ., კვიციანი მ., მელითაური ზ., ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, თბილისი, 2001, 223.

⁴⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 157¹.

დასკვნა

საავტორო უფლებების დაცვის კუთხით საქართველო არ წარმოადგენს დიდი ტრადიციის მქონე ქვეყანას. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ინფორმირებულობა საავტორო უფლებებზე ძალიან დაბალია, შესაბამისად, დაბალია მისი დაცვის ხარისხიც. კოლექტიური მართვის ორგანიზაციისათვის აღნიშნული ფაქტორი სერიოზულ პრობლემას ქმნის და ეს მის საქმიანობაში ყოველდღიურად იგრძნობა. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ დღეისათვის სასამართლოში არსებული დავების უმეტესობა შეეხება ნებართვის გარეშე ნაწარმოების საჯარო შესრულების აკრძალვას ან სალიცენზიო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას. უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდების შედეგად საზოგადოება გაითავისებს, რომ ინტელექტუალური საკუთრების ნებისმიერი გამოყენებისას უნდა დაიცვას ნაწარმოების ავტორის უფლებები და რომ უფლებების დარღვევის გარეშე ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება ქურდობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ უკვე ერთი წელია დაიწყო აქტიური პიარკამპანია, რომელიც სწორედ საზოგადოების ინფორმირებულობას ემსახურება.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავად საავტორო უფლების მფლობელების ჩართულობა. თავად, საავტორო უფლების მფლობელი უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ეფექტური გახადოს კმო-ს საქმიანობა. არსებული სასამართლო პრაქტიკა კიდევ ერთ ბარიერს წარმოადგენს საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისით. სასამართლო მოკლებულია საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მდიდარ პრაქტიკას. როგორც კვლევისას მოყვანილ მაგალითებში ვნახეთ, მოსამართლეებს ხშირად მართებულად ტერმინების გამიჯვნაც კი უჭირთ.

ქონებრივი უფლებების მართვისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს შეგროვებული საავტორო ჰონორარების დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხი. საგადასახადო კანონმდებლობით იბეგრება „როიალტის“ სახით მიღებული შემოსავალი, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია არ იღებს ასეთ შემოსავალს, ის თავისი ძალისხმევით აგროვებს „როიალტის“ და ანაწილებს ავტორებზე, მას

რჩება მხოლოდ ადმინისტრირებით გათვალისწინებული ხარჯები, შეგროვებული ჰონორარი კი არ წარმოადგენს მის კუთვნილ შემოსავალს და იყენებს თავისი მიზნების განსახორციელებლად. კმო წარმოადგენს საავტორო უფლებების ერთგვარ სალაროს⁴⁸. კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ვალდებული ხდება გადასახდელი საავტორო ჰონორარი დაიანგარიშოს დღგ-ს ჩათვლით, რაც მოსარგებლებებისა და საავტორო უფლებების მხრიდან უკმაყოფილებას იწვევს. კოლექტიური მართვის ორგანიზაციის შემოსავალი უნდა დაიბეგროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაქვითული ადმინისტრირების ხარჯი, რომელიც კმო-ს შემოსავალი შეადგენს დღგ-თი დასაბეგრ თანხას, როგორც ეს საზღვარგარეთ ხდება.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ დაცვის საშუალებებს. სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები საავტორო უფლებების დარღვევისათვის პირდაპირ ითვალისწინებს ჯარიმას, თავისუფლების შეზღუდვასა და აღკვეთას. ერთია ამ ნორმების ქალაქში არსებობა, მეორე კი მათი პრაქტიკაში გამოყენება და განხორციელება. ამ კუთხით საავტორო უფლების დაცვა საქართველოში არ ხორციელდება, „მეკობრეობა“ კი ძალიან განვითარებულია, მაგრამ ამისთვის პასუხი არავის მოეთხოვება. რეალურად ამ მუხლების „უმოქმედობა“ დიდ პრობლემებს ქმნის, რადგან უფლების დამრღვევისათვის ეს შეიძლება ერთგვარ „სტიმულად“ ჩაითვალოს. უფლებების დარღვევის მიუხედავად, დამრღვევი რჩება დაუსჯელი, ავტორის უფლებები დარღვეული და ამ შედეგით ქონებრივი ზიანი ადგება როგორც ავტორს, ისე სახელმწიფოს. შეუძლებელია ამას კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მართო გაუმკლავდეს, აუცილებელია სახელმწიფო აქტიურად ჩაერთოს და უზრუნველყოს ამ ნორმების ამოქმედება. ხელისუფლებამ კარგად უნდა გაითავისოს, რომ ადამიანის გენია ხელოვნების ქმნილებათა და გამოგონებათა წყაროა. ეს ქმნილებები კი ადამიანის ღირსეული ყოფის გარანტიაა. სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს ხელოვნების ქმნილებებისა და

⁴⁸ Schepens P., Guide to the collective administration of authors rights (the administration society at the service of authors and users), UNESCO, 2000, CLT-2000/ws/4, 15.

გამოგონებების საიმედო დაცვა⁴⁹. იმ შემთხვევაში, როცა ხელოვანის უფლებები სათანადოდაა დაცული, ავტორიც უფრო მოტივირებულია შექმნას რაიმე ახალი, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ავტორის დარღვეული უფლებებისათვის პასუხი არავის მოეთხოვება, იკლებს ავტორის მოტივაცია და მას უქრება ახლის შექმნის სურვილი.

წინა წლებთან შედარებით, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობაში აშკარა პროგრესი შეინიშნება, მაგრამ იმისათვის, რომ საავტორო უფლებების დაცვის კუთხით საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე ნდობა მოიპოვოს, აუცილებელია არსებული პრობლემების მოგვარება.

⁴⁹ ქონაშვილი ქ., ინტელექტუალური საკუთრება, როგორც აბსოლუტური ხასიათის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მისი დაცვის სამართლებრივი რეჟიმი, ჟურნალი „სამართალი“, 2000, 8-9, 46, იხ. ციტირება: ძამუკაშვილი დ., სამრეწველო საკუთრება, თბილისი, 1997, 3.

დივიდენდის გაუცემლობა, როგორც მცირე აქციონერის ქონებრივი უზღუდვის შეზღუდვა

შესავალი

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა ფორმირებასა და მასში მონაწილე სუბიექტთა თანაბარი სტატუსის განსაზღვრას ემსახურება. ამავდროულად, ეს ეკონომიკური განვითარებისთვის საციცოხლო ელემენტს, მისი წესრიგის დინამიკისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. საკორპორაციო სამართლის ევოლუცია არამხოლოდ ეკონომიკური ვითარების მდგრადობის შენარჩუნების ფონზე მიმდინარეობს, არამედ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით საზრდოობს. კონსტიტუციით განმტკიცებულ ღირებულებათა უარყოფაზე ორიენტირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კი, შესაბამისი ნორმების თანახმად, გაუქმების პლატფორმაზე დგას.

წინამდებარე სტატია მცირე აქციონერის ქონებრივი ინტერესების განსაზღვრასა და სამართლებრივი მექანიზმებით დაცვის საკითხს ეხება. მოგების მიღების სურვილი – სწორედ ეს გახლავთ მინორიტარის მასტიმულირებელი ძალა, რომელიც აიძულებს მას, არ დატოვოს საზოგადოება და მისი რენტაბელურობის შენარჩუნებაზე იზრუნოს. შესაბამისად, ნაშრომის პირველი თავი მოგების მიღების მოთხოვნასა და დივიდენდის არსის ჩამოყალიბებას დაეთმობა. მეორე თავი საწარმოს წმინდა მოგების რეინვესტირების მიზნით პარტნიორებზე დივიდენდის გაუნაწილებლობასა და მის თანხლებ შედეგებს ეხება. კორპორაციული მართვის დახვეწილი სისტემა არამხოლოდ მეწარმე სუბიექტის წარმატების საწინდარი, არამედ პარტნიორულ ურთიერთობათა მოწესრიგებისა და ბალანსის შენარჩუნების მექანიზმი გახლავთ. აქტუალურია როგორც დომინანტ და მინორიტარ აქციონერთა ურთიერთკავშირი ქონებრივ ურთიერთობათა ჭრილში, ისე მათი სტატუსის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის საკითხი. მესამე თავში სწორედ ეს უკანასკნელი განიხილება.

სტატია უპირატესად შიდა ურთიერთობაში წამოჭრილ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს ეხება, თუმცა გარე ურთიერთობაც არ დარჩება ყურადღების მიღმა. კორპორაციების (და ზოგადად მეწარმე სუბიექტების) წარმატებული ფუნქციონირება მესამე პირებთან სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებითა და ფინანსური სახსრების გამძლეობით მიიღწევა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება არსებულ საკითხთან მიმართებით გარესამართლებრივი ურთიერთობისა და საწარმოს კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების განხილვა ეკონომიკური ელემენტების თანდართვით.

კვლევის საგანს წარმოადგენს მცირე აქციონერისთვის დივიდენდის გაუცემლობა, რომელიც შედარებითსამართლებრივ მეთოდზე დაყრდნობით, შემდეგი თეზისების ანალიზით მიიღწევა: ა) მოგების მიღების მოთხოვნის ჩამოყალიბება და მისი აქტუალობა მცირე აქციონერთათვის; ბ) დივიდენდის გაუცემლობის სამართლებრივი საფუძველი; გ) დივიდენდის გაუცემლობა პარტნიორთა და საწარმოს კრედიტორთა ინტერესების ურთიერთმიმართების კონტექსტში; დ) მცირე აქციონერის ქონებრივი უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების განსაზღვრა: 1) თავდაცვის მნიშვნელობით; 2) ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

I. ქონებრივი უფლება, როგორც მოგების მიღების მოთხოვნის ბაზისი

საზოგადოების დასაფუძნებლად მოგების მიღების¹ მიზნით ორი ან მეტი პირის მიერ ერთიანი საფირმო სახელწოდების ქვეშ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე ურთიერთთანხვედრი ნების² გამოვლენა და შეთანხმება³ არ კმარა.⁴ შენატანთა ჯეროვანი განხორციელება, რო-

¹ როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი მახასიათებელი ელემენტი. სამართლებრივი საფუძველი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

² საზოგადოების დაფუძნება არის სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება, რომლის დადებისთვის აუცილებელია ყველა მონაწილის ნების გამოხატვა და ამ ნებათა შორის კონსენსუსის არსებობა. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 30; Bevens R. N., *Business Organizations and Corporate Law*, New York, 2007, 19.

³ დამფუძნებელი პარტნიორები, სხვა მონაწილეები კერძოსამართლებრივ გარიგებას ღებენ და მიზნის მიღწევის გზებს სწორედ ამ შეთანხმების – წესდების –

გორც პარტნიორის ძირითადი კორპორაციული მოვალეობა⁵, შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს: ა) საწარმოსთვის გარკვეული ოდენობის ფინანსურ საშუალებებზე საკუთრების უფლების გადაცემას⁶; ბ) აქციონერის სამართლებრივი სტატუსის მოპოვებით⁷, საზოგადოებასთან და თანაპარტნიორებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე⁸ ქონებრივი და არაქონებრივი უფლებებით აღჭურვას. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ყურადღება პარტნიორის ქონებრივ უფლებაზე, კერძოდ, დივიდენდის მიღების შესაძლებლობაზე გამახვილდება.

საფუძველზე განსაზღვრავენ. ჭანტურია ლ., საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2010, 560-561; „წესდებას საზოგადოების ხელშეკრულებასაც უწოდებენ“ - ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები, ტომი I, თბილისი, 2010, 171, 398-401; ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008, 50; ზოგიერთი ავტორი საზოგადოების ამ ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს საზოგადოების „კონსტიტუციადაც“ კი მოიხსენიებს - ლილუაშვილი გ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი, 2005, 103.

⁴ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები, ტომი I, თბილისი, 2010, 399.

⁵ განასხვავებენ პარტნიორთა ძირითად და დამატებით მოვალეობებს. პირველში უნიციფიცირებულია პირველადი შენატანების განხორციელების ვალდებულება და ერთგულების მოვალეობა, რაც შეეხება მეორეს, იგი, ასევე, „დამოუკიდებელი დამატებითი (პარალელური) ვალდებულებების“ სახელით არის ცნობილი და პარტნიორთა შორის შეთანხმებით გაფორმებული ვალდებულებები მოიაზრება. ბურდული ი., შენატანის განხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-დან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, „სამართლის ჟურნალი“ № 1-2, 2010, 53-55.

⁶ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 121.

⁷ აქციონერი არის სს-ის წევრი, რომელიც შექმნილი ქონების არა უბრალო მესაკუთრედ, არამედ საწარმოს თანამფლობელისა და ამავდროულად, კაპიტალის ბაზრის სამართლის მიხედვით ინვესტორის როლში გვესახება, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები, ტომი I, თბილისი, 2010, 176, იხ., შენიშვნა 60; 240, 358-359; Ebke F. W., Finkin W. M., Introduction to German Law, Netherlands, 1996, 142.

⁸ იგულისხმება, წესდება, საზოგადოების ხელშეკრულება, QC J. V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., Minority Shareholders Law, Practice and Procedure, 4th ed., New York, 2010, 29.

ძირითადად, სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვა საზოგადოებების მიერ დივიდენდების გადაუხდელობით, ინტერესთა კონფლიქტითა და აქციების გამოსყიდვის პროცედურის დარღვევით არის გამოწვეული.⁹ ეს, გაკრვეულწილად, ნაშრომის აქტუალობაზეც მეტყველებს.

1. დივიდენდი¹⁰ – აქციაში გამოხატული ქონებრივი უფლებით უზრუნველყოფილი შემოსავალი

ფასიანი ქაღალდი, რომელიც უზრუნველყოფს მის მფლობელზე საწინვით უფლებას, როგორც ქაღალდზე და საბუთიდან გამომდინარე ვალდებულებით უფლებას,¹¹ პარტნიორს მატერიალური სარგებლის მიღების

⁹ დივიდენდების გაუნაწილებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში – 26,7-26,7%, ხოლო აქციათა გამოსყიდვაზე – 20%. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საქართველო, სექტემბერი, 2010, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), 133.

¹⁰ ლათინურად “dividendum” ნიშნავს გასაყოფს. იხ., ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთ. რედ.: სილაგაძე ა., თბილისი, 2005, 206; განასხვავებენ შუალედურ, ფიქსირებულ, ცვალებადი განაკვეთით დადგენილ, კუმულაციურ, არაკუმულაციურ, წლიურ დივიდენდებს. Schneeman A., The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., New York, 2009, 412-413; კუმულაციურისგან განსხვავებით არაკუმულაციური დივიდენდის დაგროვებას არ უზრუნველყოფს, მოგების განაწილების შემთხვევაში კი პარტნიორი გასანაწილებელ ქონებას ჩვეულებრივ იღებს. ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა საქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 154. წლის ბოლოს მოგება ნაწილდება საერთო ბალანსის საფუძველზე; Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's Company Law, 14th ed., UK, 2009, 167; კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საქართველო, სექტემბერი, 2010, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), 125.

¹¹ ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური კუთხით კლასიფიკაციის თანახმად, განასხვავებენ საინვესტიციო, სავაჭრო და საქონელგანმკარგავ ლოკუმენტებს. ამგვარი დაყოფა დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული, იაპონური სამართლისთვის. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები თავისი შინაარსით შეესაბამება ამერიკულ სამართალში ცნობილ “Investment Securities”. ზარნაძე ე., ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, ზურაბ ახვლედიანის ზსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 95, 98-100; ქაღალდის მიზანია უფლების განხორციელების მაქსიმალურად გამარტივება. ზარნაძე ე., საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები, „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(29), თბილისი, 2011, 51.

შესაძლებლობას ანიჭებს.¹² საინვესტიციო ფასიანი ქაღალდით (მაგალითად, ობლიგაცია, აქცია, ინსკრიფცია), ემიტენტი კრედიტორთან ერთად მიღებულ აქტივებს მართავს და შემოსავლიდან¹³ გადახდას ახორციელებს.¹⁴ აქციებიდან გამომდინარე უფლებათა სტაბილურობა პარტნიორთა ინტერესების დაცვას ემსახურება.¹⁵ ამ უკანასკნელის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი¹⁶ ასრულებს. ვაჭრობის სულისკვეთების შესანარჩუნებლად საჭიროა „ყველა კანონი ხელს უწყობდეს მას; რომ იგივე კანონები თავისი განკარგულებით დოვლათს ანაწილებდნენ იმისდა კვალად, როგორც მას ვაჭრობა ზრდის“¹⁷. საწარმოს ეფექტიანი საქმიანობის საფუძველი პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპის შენარჩუნება შეთანხმებათა კეთილსინდისიერად შესრულება გახლავთ¹⁸ და განმტკიცებულია ქართული¹⁹, ამერიკული²⁰ და გერმანული²¹ საკორპორაციო სამართლით.²² კანონმდებლობის

¹² ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 261.

¹³ „შემოსავლების ცნება მოიცავს მოგებასა და კონპენსაციასაც“, ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, 121; ფირმის შემოსავალი საკუთარი პროდუქციის გაყიდვის შედეგია, წარმოების მასალების შექმნისათვის გადახდილი თანხა – მთლიანი დანახარჯი. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2000, 350.

¹⁴ ზარნაძე ე., ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, ზურაბ ახვლედიანის სსოენისადმი მიძღვნილი კრებული, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2004, 99.

¹⁵ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 235.

¹⁶ ვრცლად იხ., ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 330-331.

¹⁷ მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძეს თარგმანი, თბილისი, 1994, 76.

¹⁸ ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედებების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(30), 2012, 63.

¹⁹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი, მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი, 53-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁰ “Equal Treatment”, ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 237; ბიზნეს კორპორაციების მოდელური აქტის რეფორმირებული ვარიანტის §10.4 განმტკიცებს აქციათა ერთი კლასით უზრუნველყოფილ

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ჩარევის მიზანი მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა გახლავთ.²³ შესაბამისად, ყველა მფლობელი თანასწორობის ქაღალდების კლასის მიხედვით და მასში გამოხატული უფლებების უნარიანობა დამოკიდებულია აქციის რაოდენობაზე.²⁴

ეკონომისტები ფირმის²⁵ მოგებას განსაზღვრავენ როგორც სხვაობას მთლიან შემოსავალსა და გასაყიდი საქონლისა თუ მომსახურების წარმოების ყველა ალტერნატიულ დანახარჯს შორის.²⁶ საწარმოს მოგება

უფლებათა თანასწორობას. იგულისხმება, “Revised Model Business Corporation Act” (შემოკლებით “RMBCA”) ჩამოყალიბდა 1946 წელს და პირველად გამოქვეყნდა 1950 წელს. სხვა ერთიანი აქტებისაგან განსხვავებით, დასახელებული მოდელური კანონი შექმნილია ამერიკის საკორპორაციო სამართლის ადვოკატთა კომიტეტის მიერ, რომელიც კანონის პერიოდულ განახლებაზე ზრუნავს. აქტის 1984 წლის მოდიფიცირებული ვარიანტი 1960 წელს განხორციელებულ ცვლილებებთან შედარებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, Goldstein E., *The Revised Model Business Corporation Act: Comment and Observation: Revision of the Model Business Corporation Act*, Texas, 1985,

<<https://litigationessentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&cr aw->

[lid=1&doctype=cite&docid=63+Tex.+L.+Rev.+1471&srctype=smi&srcid=3B15&key=ece0164942b55f43b4358e32ef211d91](https://litigationessentials.lexisnexis.com/webcd/app?action=DocumentDisplay&cr aw-)> [19.02.13]; 1984 წლის რეფორმამ

საწესდებო კაპიტალის კონცეფცია და მისი როლი დივიდენდების განაწილების პროცესში უარყო. ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 150, იხ., შენიშვნა 610.

²¹ სააქციო კანონის 53ა პარაგრაფი, *Торговое уложение Германии*, Москва, 2005.

²² ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 238.

²³ Coing/Honsell, *Staudinger Kommentar zum BGB, Einleitung*, 2004, RdNr. 65 ff; იხ. ციტირება: ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, 5,

²⁴ ჯიბუტი მ., ყორანაშვილი ქ., „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2004, 195; Moye E.J., *The Law of Business Organizations*, 6th ed., New York, 2008, 387.

²⁵ ეკონომიკურ ჭრილში „ფირმა“ გულისხმობს როგორც ამხანაგობებს, ისევე კომპანიებს, კორპორაციებს, სხვა სიტყვებით, მოიაზრება როგორც ამხანაგური, ისე კაპიტალური ტიპის საზოგადოებები, Pettet B., *Company Law*, 2nd ed., UK, 2005, 67, იხ. სქოლიო 148.

²⁶ სხვაობა ფირმის შემოსავალსა და მხოლოდ ცხად დანახარჯებს შორის. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2000, 353.

წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის²⁷ ერთგვარ შედეგს, რომელიც ფინანსური თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში არსებული შემოსავლებისა და ხარჯების დადებითი სხვაობის ტოლია.²⁸

კომპანიაში²⁹ აქციონერი გარკვეული უფლებებით აღიჭურვება.³⁰ აქცია განამტკიცებს საკუთრების უფლებას არა სააქციო საზოგადოების ქონებაზე, არამედ წილზე.³¹ კორპორაციები მის დამფუძნებლებისაგან „გა-

²⁷ წარმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მოტივით, მიუხედავად მისი შედეგისა. იხ., ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, 121; როგავა ზ., გადასახადები, სადაგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002, 55.

²⁸ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 263.

²⁹ სააქციო საზოგადოება სტრუქტურით, საქმიანობის წარმოების სიდიდით, კაპიტალით, რა თქმა უნდა, დანარჩენი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან განსხვავდება. შესაბამისად, მის აღსანიშნავად მიზანშეწონილია ტერმინის – „კორპორაცია“ – გამოყენება. 2011 წლის მდგომარეობით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით, განსხვავებით დღევანდელი რეალობისაგან, სააქციო საზოგადოება კორპორაციად იწოდებოდა, ხოლო დანარჩენ ფორმებთან მიმართებით, სიტყვა „საზოგადოების“ ნაცვლად, „კომპანიის“ გამოყენების შესაძლებლობას განამტკიცებდა. დღევანდელი მდგომარეობით ყველა საზოგადოება, მათ შორის, სააქციო საზოგადოებები, მოქცეულია ერთი სიტყვის – „კომპანიის“ – ქვეშ. სამართლებრივი საფუძველი: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 მუხლი. როგორც ჩანს, ქართული კანონმდებლობა ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმებს ერთმანეთისაგან ამ კონტექსტშიც აღარ განასხვავებს.

³⁰ QC J. V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., *Minority Shareholders Law, Practice and Procedure*, 4th ed., New York, 2010, 158. ციტირებულ სახელმძღვანელოში ნახსენებია “Company”. ამერიკულ საკორპორაციო სამართალში საზოგადოებები იყოფიან ორად: ამხანაგურ გაერთიანებებად (“partnerships”) და კორპორაციებად (“corporations”), Schneeman A., *The Law of Corporations and other Business Organizations*, 5th ed., New York, 2010, XXXVI.

³¹ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 260, 263. თურიდიულ პირში აქცია წევრობის უფლებას განამტკიცებს; იქვე, 277, იხ., სქოლიო 63; წევრობის ინსტიტუტს კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში აქცესორული ხასიათი აქვს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება №სა-1328-1170-2010. ეს კი გამორიცხავს წევრობიდან გამომდინარე უფლებებისა და წევრობის სტატუსის განცალკევების დაშვების ფაქტს, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 257-258; შეად. ელვინ ისენ-

წყენებულ სუბიექტებად³² წარმოსდგებიან, შესაბამისად, აქციონერებს მის ქონებასა თუ ვალდებულებებთან კავშირი არ აქვთ.³³ დივიდენდის მიღების უფლების რეალიზება წინაპირობების დაცვით, წმინდა მოგების³⁴ ფარგლებში, პარტნიორის ქონებრივი უფლების საფუძველზე, მათი წილების პროპორციულად³⁵ ხდება. ქონებრივ უფლებაში მონაზრება საწარმოს ლიკვიდაციის შემდგომ ქონების მიღების უფლებაც³⁶, რომელიც დივიდენ-

ბერგ-ის მოსაზრებას, რომელიც არათუ კორპორაციის აქტივებს, არამედ მთლიანად კორპორაციას აქციონერთა საკუთრების უფლების ობიექტად მიიჩნევს, „...the shareholders own the corporations”, Bainbridge M.S., *The New Corporate Governance in the Theory and Practice*, New York, 2008, 25.

³² Bainbridge M.S., *The New Corporate Governance in the Theory and Practice*, New York, 2008, 25. კორპორაციების პიროვნულობის საკითხთან დაკავშირებით არაერთი თეორია არსებობს. ზოგიერთი ფირმას „კონტრაქტების ერთობლიობად“ მიიჩნევს – “the firm is a set of contracts,” Fama E.F., *Agency Problems and the Theory of the Firm*, *Journal Political Economy*, 88(2), N.: 2, 1980, 291; „ხელშეკრულებათა ბმულად“ ასახელებს – “Nexus of contracts”, Martysaari P., *Organizing the firm: Theories of Commercial Law, Corporate Governance and Corporate Law*, Berlin, 2012, 95; Bainbridge M.S., *The New Corporate Governance in the Theory and Practice*, New York, 2008, 28; „მეტაფორულ ხელშეკრულებას“ უწოდებს, მახარობლიშვილი გ., მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამოჯვანა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 108. ზოგი კი კორპორაციების პერსონალურ ხასიათს უბრალოდ არ აღიარებს და ფიქციური არსებობის კვალობაზე მის ინდივიდუალიზაციას, პერსონალურ ხასიათს უარყოფს, იხ. ილტონ რიედმან-ის მოსაზრება წიგნში: Bainbridge M.S., *The New Corporate Governance in the Theory and Practice*, New York, 2008, 25.

³³ Cahn A., Donald C.D., *Comparative Company Law*, New York, 2010, 260.

³⁴ „მოგების მიღება ქონებრივ-სამართლებრივი მიზნის იდენტურია“, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები, ტომი I, თბილისი, 2010, 404, იხ., სქოლიო 33.

³⁵ Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's *Company Law*, 14th ed., UK, 2009, 167. “Pro-rata,” რაც გულისხმობს დივიდენდის მიღებას პარტნიორის მფლობელობაში არსებული წილის პროპორციულად, აღნიშნავს პროპორციულ განაწილებას: <<http://www.investopedia.com/terms/p/pro-rata.asp#axzz2LKwhKjFW> [18.02.11];

<<http://financial-dictionary.thefreedictionary.com/pro+rata>> [18.02.11].

³⁶ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტი. პარტნიორის შემოსავალთა რიცხვს, შესაძლებელია, მივაკუთვნოთ აქციათა გამოსყიდვით, სატენდერო შეთავაზებით ან თუნდაც სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტით მიღებული კომპენსაცია. ეს თანხაც დივიდენდის მნიშვნელობისგან იმიჯნება. ვიბუტი მ., ყორანაშვილი ქ., „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“

დის ცნებისგან იმიჯნება და შემოსავლის კატეგორიას მიეკუთვნება. დივიდენდი საწარმოს მიერ აქციონერთა ინვესტიციების სანაცვლოდ გაცემული სარგებლის, მატერიალური დოვლათის ძირითად ფორმას წარმოადგენს.³⁷ გერმანული სააქციო კანონის წმინდა მოგების დაფინანსების წყაროდ საბალანსო მოგება სახელდება, რომელიც წლიური ან მთლიანი შემოსავლების ოდენობის ტოლია.³⁸ დისტრიბუცია აქციონერებზე წილის პროპორციულად, არა საწარმოს შიდა წყაროდან, არამედ შემოსავლებიდან³⁹ და ძირითადად ფულადი სახით ხორციელდება.⁴⁰

დივიდენდი მხოლოდ ფულადი სახით არ გაიცემა⁴¹. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ეკონომიკური ღირებულების მქონე ობიექტი⁴², რო-

საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2004, 200; ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 234; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 182-183.

³⁷ შეიძლება სხვანაირი განმარტებაც მიეუსადაგოთ – კორპორაციის შემოსავლის პარტნიორებზე გასანაწილებელი ქონება, ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 199; Moye E.J., *The Law of Business Organizations*, 6th ed., New York, 2008, 387; Schneeman A., *The Law of Corporations and Other Business Organizations*, 5th ed., New York, 2009, 410-411.

³⁸ იქვე, 262.

³⁹ შემოსავლებს (“Earnings”) გამოკლებული გადასახადები (“Taxes”) ტოლია წმინდა მოგების (“Net Income”), ანუ წმინდა მოგება განიმარტება, როგორც შემოსავლებისა და გადასახადების სხვაობა. “Available earnings after taxes for common stockholders are defined as net income”, Frankfurter M.G., Wood G.B., Wansley J., *Dividend Policy: Theory and Practice*, USA, 2003, 136; Schneeman A., *The Law of Corporations and Other Business Organizations*, 5th ed., New York, 2009, 410.

⁴⁰ Frankfurter M.G., Wood G.B., Wansley J., *Dividend Policy: Theory and Practice*, USA, 2003, 3.

⁴¹ ფულადი სახით დივიდენდის გაცემა ყველაზე უფრო გავრცელებული, მარტივი ფორმა გახლავთ. არსებობს სხვა ფორმაც – ქონების სახით შეიძლება გაიცეს ობლიგაციები, მოძრავი ქონება და ა.შ. Schneeman A., *The Law of Corporations and Other Business Organizations*, 5th ed., New York, 2009, 411-412.

⁴² აქციის სახით გაცემული დივიდენდი, საწარმოს ქონება და სხვა. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, 72-73. დივიდენდის სახით შეიძლება გაიცეს აქციები, ობლიგაციები, და სხვა ქონება, რომლის დისტრიბუციას თავად კორპორაცია ახდენს, Clark Ch. R., *Corporate Law*, USA, 1986, 593-594. აქციების დივიდენდის სახით გაცემის შემთხვევაში პარტნიორთა მფლობელობაში არსებული ქვადლების ოდენობა იზრდება, თუმცა საწარმოს კაპიტალში პარტნიორთა მონაწილეობა უცვლელია. შტატებში ამგვარი აქციების განაწილების ორ

მელიც წმინდა მოგებიდან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ნაწილდება.⁴³ მაგალითად, სააქციო დივიდენდი, რომელიც პარტნიორთა შორის წილების პროპორციულად უსასყიდლო აქციების განაწილებას გულისხმობს.⁴⁴ გასანაწილებელი თანხის ოდენობა კი საწარმოს რენტაბელურობის კოეფიციენტის პირდაპირპროპორციულია.

აქციის მფლობელობიდან⁴⁵ გამოდინარე, პარტნიორის ინტერესი ორი ძირითადი სეგმენტისგან შედგება: ა) ქონებრივი უფლებები; ბ) კორპორაციის კონტროლსა და მართვაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.⁴⁶ არაქონებრივი უფლებებით სარგებლობის სურვილის არქონის შემთხვევაში პირი პრივილეგირებულ აქციას შეიძენს, რომელიც, ჩვეულებრივსამეზრად, მხოლოდ მოგების უპირატესად მიღების უფლებით არის

ძირითად წყაროს ასახელებენ: ა) კორპორაციის სახაზინო აქციები (“Treasury Shares”) და ბ) ნებადართული, მაგრამ გამოუშვებელი აქციები (“Authorized-but-unissued”), Moyer E.J., *The Law of Business Organizations*, 6th ed., New York, 2008, 390-391; ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 238.

⁴³ “Non-cash asset”, Davies P., Prentice D. D., *Gower's Principles of Modern Company Law*, London, 1997, 281.

⁴⁴ უსასყიდლო აქციების გამოშვება ნამეტის ან „მისი ნაწილის კაპიტალში მოქცევა“ ხდება. კორპორაციისათვის, საზოგადოების ქონებისათვის ამგვარი დივიდენდის განაწილება უფრო უსაფრთხოა, ვიდრე გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 200. “Dividends may be paid in cash, in property, or in shares of the corporation's capital stock”, *Delaware General Corporation Law sec. 173*, <<http://delcode.delaware.gov/title8/c001/sc05/index.shtml>> [19.02.13].

⁴⁵ რადგან აქციის მესაკუთრე მხოლოდ საზოგადოებაა და შესაბამისად, ეს იქნება დივიდენდი თუ ლიკვიდაციის შემდგომ მისაღები ქონება, პარტნიორს საკუთრების უფლებით არ ეკუთვნის, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 263. პარტნიორები მხოლოდ ეკონომიკური გაგებით იწოდებიან მესაკუთრეებად და არა სამართლებრივი, უფლებრივი მნიშვნელობით, ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 59, სქოლიო 15.

⁴⁶ McCahery A.J., Vermeulen P.M. E., *Topics in Corporate Finance*, Amsterdam, 2005, 26. Bevens R. N., *Business Organizations And Corporate Law*, New York, 2007, 210.

⁴⁷ იგულისხმება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს საწესდებო ავტონომიის, თვითრეგულირების პრინციპზე – “Self-regulation Principle” – მიუთითებს. საწესდებო ავტონომიის პრინციპის შესახებ იხ., ჭანტურია ლ., საწეს-

აღჭურვილი. ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების ურთიერთგამიჯვანის მიუხედავად, აღიარებულია, რომ მეორე (ე.ი. არაქონებრივი) ეკონომიკური ინტერესებისკენ, მაშასადამე, პირველისკენ არის მიმართული.⁴⁸ „ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელებს დივიდენდთან დაკავშირებით განსხვავებული უფლებები აქვთ“ და მოგების მოცულობა, მისი გაცემის პროცედურა საზოგადოების წესდებით განისაზღვრება.⁴⁹ პრივილეგირებულ აქციონერზე⁵⁰ გასაცემი დივიდენდის ოდენობა წინასწარ არის დადგენილი, ჩვეულებრივი აქციით უზრუნველყოფილი თანხისგან განსხვავებით, რომლის ოდენობა დამოკიდებულია საზოგადოების შემოსავლიანობისა და მოგების გამოყენების პოლიტიკაზე.

დებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბილისი, 2010, 566-568. ზოგადად, საკორპორაციო სამართალში თვითრეგულირებაზე დამყარებული აქტების ტრადიცია სათავეს ინგლისური სამართალიდან იღებს. კერძოდ, 1992 წელს ბრიტანეთში ე.წ. „კადბურის კომისიის“ (“Cadbury Commision”) მიერ იქნა მიღებული “Code of Best Practice”, ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 186, იხ., შენიშვნა 63.

⁴⁸ Bottomley S., *The Constitutional Corporation (Rethink Corporate Governance)*, USA, 2007, 116.

⁴⁹ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, საქართველო, სექტემბერი, 2010, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), 124.

⁵⁰ პრივილეგირებული აქციის მფლობელის ინტერესი მაღალი დივიდენდის მიღებით შემოიფარგლება, ხოლო მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იგი ხმის უფლების მქონე აქციად გარდაიქმნება, ბურდული ი., საქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 231, 333. მოგების მიღების უპირატესად დაკმაყოფილების უფლების მიუხედავად, ჩვეულებრივი აქციის მფლობელს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, გაცილებით მაღალი დივიდენდი მიიღოს, ვიდრე პრივილეგირებული აქციის მფლობელმა, რომლის დივიდენდის მოცულობაზე კორპორაციის მოგების გაფართოვება ზეგავლენას არ ახდენს, იხ., იქვე, 337.

2. აქციონერი საზოგადოების კრედიტორის როლში⁵¹: დივიდენდის სახით მოგების მიღების წინაპირობა

მეწარმე სუბიექტის წარმატება, როგორც პარტნიორთა კოლექტიური ნება,⁵² ბიზნეს კორპორაციის მიზნის – მოგების მიღების⁵³ – საწინააღმდეგარია. დივიდენდის მიღების უფლებით კი თითოეული აქციონერი სარგებლობს.⁵⁴ წმინდა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მის გაცემამდე აქციის გასხვისების შემთხვევაშიც კი თანხას ფასიანი ქაღალდის არა ახალი, არამედ ყოფილი მფლობელი მიიღებს,⁵⁵ ე.ი. არა მყიდველი, არამედ გამყიდველი.

⁵¹ ქვეთავის დასათაურების დროს ვიხელმძღვანელებ პროფესორ ირაკლი ბურდულის წიგნში, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, არსებული ერთ-ერთი ქვეთავით, იხ., იქვე, 367-369; ასევე, ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008, 178-179.

⁵² “Success means what the members collectively want the company to achieve,” Hansard, 6 February 2006, vol 678, P 100, Cols GC 255-6; იხ. ციტირება: QC J. V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., *Minority Shareholders Law, Practice and Procedure*, 4th ed., New York, 2010, 12.

⁵³ “A business corporation is organized and carried on primarily for the profit of the stockholders”, Case: *Dodge v. Ford Motor Co.* 170 N.W. 668 (Mich. 1919), Hurst R. Th., William A. G., *Cases and Materials on Corporations*, US, 1999, 284.

⁵⁴ ლაზარაშვილი ლ., მცირე აქციონერის ცნება, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 257; ჯიბუტი მ., ყორანაშვილი ქ., „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2004, 200.

⁵⁵ აშშ-ს სამართლის მიხედვით, Moyer E.J., *The Law of Business Organizations*, 6th ed., New York, 2008, 390. შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება №ას-1328-1170-2010. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში პარტნიორის ქონებრივი უფლება მისი სტატუსის თანმდევ, აქცესორულ უფლებად არის დასახელებული, რაც უდავოა. საკასაციო სასამართლომ აქციის გაცემის შემთხვევაში დივიდენდის მოთხოვნის უფლება მის ახალ მფლობელს ანუ მყიდველს მიანიჭა. ზოგადად, დივიდენდის მიღების უფლება აქვთ იმ პარტნიორებს, რომელთა მფლობელობაშია აქციები დივიდენდის საადრიცხვო თარიღის დღის სამუშაო დროის დასრულებისას, ჯიბუტი მ., ყორანაშვილი ქ., „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2004, 201-203.

ქართული საკორპორაციო სამართლის ევოლუციური პერიოდი ორ სეგმენტად იყოფა: 1) 1994 წლისდან⁵⁶ 2008 წლამდე⁵⁷ და 2) 2008 წლიდან დღემდე; განხორციელებული ცვლილებები მოგების რამდენჯერმე განაწილების შესაძლებლობის საკითხსაც შეეხო.⁵⁸ ქართული კანონმდებლობით პარტნიორებს დივიდენდის გაცემა ნებისმიერ დროს შეუძლიათ, რაც საზოგადოების კაპიტალის დაცვას ნაკლებად უზრუნველყოფს.⁵⁹ ზოგადად, არსებობს გარკვეული შეზღუდვები: დივიდენდები არ ნაწილდება აქციონერთა მიერ აგრერირებული ქონებიდან,⁶⁰ პარტნიორებს დივი-

⁵⁶ 1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ერთხმად მიიღო, იხ. ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, სერგო ჯორბენაძესადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1996, 35.

⁵⁷ ივლისისხმება, 2008 წლის 14 მარტს კანონში განხორციელებული ცვლილებები. ლიბერალური მიდგომის დამკვიდრება განხორციელებული რეფორმის შედეგია, რაც „ბიზნესის კეთების“ გამარტივების მიზნით განხორციელდა. ბურდული ი., თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლედ მიმოხილვა), რომან შენგელიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 227.

⁵⁸ ბურდული ი., თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლედ მიმოხილვა), რომან შენგელიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 229-230; შეად., 1994-2007 წლის მდგომარეობით „მეწარმეთა შესახებ“ კანონს. ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 39.

⁵⁹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი. ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 250. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 156, 166. ქართული საკორპორაციო სამართალი არ ადგენს მოგების გარკვეული ნაწილის საზოგადოებაში დატოვებას, მის აკუმულირებას საზოგადოების მიზნებისთვის, ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 39.

⁶⁰ Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's Company Law, 14th ed., UK, 2009, 160; Armour J., Hansmann H., Kraakman R., Agency Problems, Legal Strategies, and Enforcement, Harvard Law School John M. Olin Center for Law, Economics and Business Discussion, Paper 631, Cambridge, 2009, 6, <http://lsr.nellco.org/harvard_olin/631/> [07.02.2013];

დენდის სახით საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოხონა ეკრძალებათ,⁶¹ დაუშვებელია დივიდენდის გარდა სხვა თანხის გადახდა⁶². განაწილებისა თუ გაუნაწილებლობის ინდიკატორი კორპორაციაში არსებული ფინანსური ანგარიში, ქონების საბაზრო ღირებულება, ხარჯთაღრიცხვა გახლავთ.⁶³ მძლავრი ფინანსური მდგომარეობის არარსებობის შემთხვევაშიც მოგების მიღების მოთხოვნის უფლება პარტნიორს მაინც აქვს, რაც აქციით უზრუნველყოფილი ქონებრივი უფლებებიდან გამომდინარეობს. ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოება ვადლებულია აქციონერს გამოუცხადებელი დივიდენდი გადაუხადოს⁶⁴.

მოგების განაწილება კორპორაციის ქონების გადინებას გულისხმობს⁶⁵, შესაბამისად, ლოგიკურია მისი (ე.ი. მოგების დივიდენდის სახით

<http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1436555 > [07.02.2013].

⁶¹ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 439.

⁶² ევროპის საზოგადოების შესახებ დადგენილების მიხედვით, საზოგადოების ქონებიდან გადახდა იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ აქტივი პასივს ფარავს, საბალანსო ტესტს აკმაყოფილებს. ღირებულების თანახმად, სააქციო საზოგადოებების აქციონერთათვის დივიდენდის გარდა, თუ საწესდებო კაპიტალს შემცირების სახით საფრთხე არ ემუქრება, სხვაგვარი ანაზღაურების მიღება (რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც პირი საზოგადოების თანამშრომელია ან თუ კორპორაციასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება) აკრძალულია. 2008 წლის 25 ივნისს ევროპის კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც 2009 წლის 10 მარტს ევროპის პარლამენტმა განიხილა და მოიწონა, ჭანტურია ლ., ევროპის კავშირის მოქმედების გეგმა, წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 468.

⁶³ Moyer E.J., The Law of Business Organizations, 6th ed., New York, 2008, 388.

⁶⁴ Schneeman A., The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., New York, 2009, 412. Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's Company Law, 14th ed., UK, 2009, 165. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დივიდენდის უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია“. კორპორაციებს არ აკისრიათ რაიმე სახის მოვალეობა პარტნიორთა წინაშე, Bevans R. N., Business Organizations And Corporate Law, New York, 2007, 221; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 440. თუ რა შემთხვევაში არის დივიდენდების გაცემა, იხ., Pettet B., Company Law, 2nd ed., UK, 2005, 291-292.

⁶⁵ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 199.

განაწილების) განთავსება საზოგადოების პასივის, ვალდებულებების მხარეს. როდესაც მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილებაზე, პირი აღიჭურვება კრედიტორული უფლებით, რაც საზოგადოების წინაშე პარტნიორის მოთხოვნის უფლებას განამტკიცებს.⁶⁶ ეს უკანასკნელი კვლავ კორპორაციისა და პარტნიორთა⁶⁷ განცალკევებულ არსებობას ადასტურებს.⁶⁸

II. წმინდა მოგების გაუნაწილებლობის სამართლებრივი საფუძველი

ნებისმიერი გადასახადის საფუძველი არის პირის შემოსავალი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.⁶⁹ დივიდენდი გაიცემა აქციონერებზე იმ თანხებიდან, რაც ფირმაში დაბეგვრის შემდეგ რჩება.⁷⁰ ეკონომიკური ბრუნვის მონაწილენი მოგების ან სარგებლის ოპტიმიზების მიზნით, რაციონალურ გადაწყვეტილებებს იღებენ.⁷¹ სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ მაგალითს რეინვესტიციაც⁷² უნდა

⁶⁶ იგულისხმება, რომ აქციონერი კრედიტორის სტატუსს შიდა ურთიერთობიდან იძენს და არა ცალკე რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 368-369, 225, იხ., სქოლიო 266; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 246.

⁶⁷ იგულისხმებიან, როგორც დამფუძნებლები, ისე პირები, რომლებიც შემდგომში კორპორაციის აქციებს იძენენ, იხ., ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 235, იხ., შენიშვნა 306.

⁶⁸ კორპორაციის განყენებულ „არსებად“ აღქმის შესახებ იხ., იქვე.

⁶⁹ როგავა ზ., გადასახადები, სადაგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002, 53.

⁷⁰ Frankfurter M.G., Wood G.B., Wansley J., Dividend Policy: Theory and Practice, USA, 2003, 3. კაპიტალის ნამეტის გადამხდელად მხოლოდ ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი მიიჩნევა, რომელიც კაპიტალიდან შემოსავალს დივიდენდების ან პროცენტების სახით იღებს, შენგელია რ., საფინანსო სამართალი, თბილისი, 2004, 310.

⁷¹ ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, ი. ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 29.

⁷² “Dividend Reinvestment Plan”, “DRIPs” სახელწოდებით არის ცნობილი. მის თანამედროვე ფორმას “Direct Purchase Plan (DPP)” უწოდებენ. ითარგმნება, როგორც პირდაპირი შეძენის გეგმა. რეინვესტიციით ჯერ კიდევ 1920-1930 წლებში არაერთი ამერიკული კორპორაცია სარგებლობდა. Frankfurter M.G., Wood G.B., Wansley J., Dividend Policy: Theory and Practice, USA, 2003, 45, 49,

მივაკუთვნოთ. ადამიანები ბედავენ შეძენილის „სასწორზე დადებას უფრო მეტის მოსაგებად; ისინი რისკს მიმართავენ მხოლოდ როგორც მოგების საშუალებას.“⁷³ საკვებით შესაძლებელია, რომ წმინდა მოგების გაუნაწილებლობის შესახებ იქნას მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც საერთო კრების ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს.⁷⁴ აქციონერებს მოგების საზოგადოების კაპიტალში დაბრუნება საშემოსავლო გადასახადებისგან არ ათავისუფლებთ.⁷⁵ რეინვესტიციით არამხოლოდ საზოგადოების მძლავრი საფინანსო მომავლის უზრუნველყოფა ხდება, არამედ კრედიტორთა დაცვის მცირედენი გარანტიც იქმნება. შეიძლება რთული დასაჯერებელია, მაგრამ დღემდე არსებულ საკმაოდ დიდ კორპორაციებს, როგორც გახლავთ “Microsoft”, “Apple Computer”, “FedEx” – არასდროს გადაუხდიათ დივიდენდი,⁷⁶ თუმცა ბაზარზე საკმაოდ კონკურენტულ მეწარმე სუბიექტებად მიიჩნევიან⁷⁷.

1. უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება და მისი სამართლიანობის ფარგლების დადგენა

უმცირესობისა და უმრავლესობის ურთიერთბალანსის შენარჩუნების მიზანი არის საზოგადოების ხანგრძლივი არსებობა, მისი ფინანსური გან-

55; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 438.

⁷³ მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისი, 1994, 352.

⁷⁴ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2002, 378.

⁷⁵ “The shareholder, however, is responsible for the payment of income tax, as if the dividend has been actually received,” Frankfurter M.G., Wood G.B., Wansley J., Dividend Policy: Theory and Practice, USA, 2003, 44. განასხვავებენ ისეთ ინვესტორებს, რომელთაც გადასახადები საერთოდ არ ეკისრებათ, ე.წ. “untaxed investors” და რომელთაც შედარებით უფრო ნაკლები გადასახადი აქვთ – “lightly taxed investors”, Clark Ch. R., Corporate Law, USA, 1986, 597.

⁷⁶ Frankfurter M.G., Wood G.B., Wansley J., Dividend Policy: Theory and Practice, USA, 2003, 188.

⁷⁷ „ფორბსის“ (“Forbes”) სტატისტიკური მონაცემებით ყველაზე ძლევამოსილ ბრენდად “პპლე” მიიჩნევა 108 მილიარდ დოლარიანი წლიური შემოსავლით, მეორე ადგილს წლიური შემოსავლით “იკროსოფტ”-ი, 73 მილიარდი დოლარით, იკავებს,

<<http://www.forbes.com/powerful-brands/>> [7.02.2013].

ვითარება და არა მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის ან აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრა.⁷⁸ ეს ლოგიკურია და ამის მიზეზია: ა) არამხოლოდ ერთამენთის (ე.ი. პარტნიორებს შორის), არამედ საზოგადოების წინაშე ერთგულების მოვალეობის⁷⁹ არსებობა, რაც, თავის მხრივ, აქციონერის პირად მიზნებს ბოჭავს; ბ) ერთ საზოგადოებაში აქციონერთა შორის სრული პარმონია იშვიათია. მაგრამ ორივე მხარეს მეწარმე სუბიექტის რენტაბელურობის შენარჩუნების სურვილი, მოგების მაქსიმიზაცია და ბაზარზე კარგი რეიტინგის მოპოვება აერთიანებს. ამის სავალდებულო ელემენტი კი პარტნიორებს შორის რიგ საკითხებზე კონსენსუსის არსებობა გახლავთ.⁸⁰

„სააქციო საზოგადოების ნება სწორედ საერთო კრებაზე ფორმირდება“.⁸¹ „ქონებრივი უფლებები იმ აქციონერის განკარგულებაში იმყოფება, რომელსაც რეალურად შესწევს საწარმოს მართვაზე და ხელმძღვანელობაზე კანონიერი კონტროლისა და ზემოქმედების განხორციელების უნარი.“⁸² საზოგადოების ხელმძღვანელობაში მცირე აქციონერის სუსტი მონაწილეობიდან გამომდინარე,⁸³ საზოგადოების მართვის სადავეები უპი-

⁷⁸ კნიპერი რ., უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლებების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმში: საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2000, 99.

⁷⁹ ერთგულების მოვალეობის, როგორც აქციონერის ერთ-ერთი ძირითადი კორპორაციული ვალდებულების, უფრო ვრცელ განხილვას ნაშრომის IV თავი დაეთმობა.

⁸⁰ Bottomley S., *The Constitutional Corporation (Rethink Corporate Governance)*, USA, 2007, 115.

⁸¹ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 262; Pettet B., *Company Law*, 2nd ed., UK, 2005, 214.

⁸² ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 266-267.

⁸³ ლაზარაშვილი ლ., მცირე აქციონერის ცნება, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 256.

რატესად უმრავლესობაში მყოფ აქციონერთა და ხელმძღვანელთა ხელშია მოქცეული.⁸⁴ ეს კი დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფუძველზე მინორიტართა უფლებების შელახვის უფრო დიდ საფრთხეს ქმნის. საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება დანარჩენი პარტიორებისათვის ზიანის მიყენებას ნიშნავს.⁸⁵ თითოეული გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესს უნდა ემსახურებოდეს და არა პირადი, არამედ კორპორაციის მიზნებიდან გამომდინარეობდეს. როდესაც დისტრიბუციის წესი არის მართებული და სათანადო, იგი სარგებელს უზრუნველყოფს, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი - ხარჯებს.⁸⁶ შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილებაზე რიგი წინაპირობების დაცვით უნდა იქნას მიღებული. წინდახედულობა (“Deliberation”), როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესთან შეთავსებადი ელემენტი, უმრავლესობაში მყოფ აქციონერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ინდიკატორი გახლავთ.⁸⁷ მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კანონით დივიდენდის განაწილების საკითხზე გადაწყვეტილების მიღები ორგანოს ცნება (აშშ-სა და გერმანული სამართლის მაგალითზე) განიხილება, შემდგომში კი - მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი.

⁸⁴ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 292.

⁸⁵ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 253.

⁸⁶ Armour J., Hansmann H., Kraakman R., Agency Problems, Legal Strategies, and Enforcement, Harvard Law School John M. Olin Center for Law, Economics and Business Discussion, Paper Series, Paper 631, Cambridge 2009, 8, <http://lsr.nellco.org/harvard_olin/631/> [07.02.2013], <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1436555> [07.02.2013].

⁸⁷ Bottomley S., The Constitutional Corporation (Rethink Corporate Governance), USA, 2007, 115. ავტორის მოსაზრებით, წინდახედულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწილეობის მიღების აუცილებლობას არ გულისხმობს, იქვე, 117.

1.1. უფლებამოსილი ორგანოს ცნება

დივიდენდების განაწილების საკითხთან ანგლოამერიკული სამართალი, კონტინენტური ევროპის საკორპორაციო სამართალთან შედარებით, მეტად ლიბერალურია.⁸⁸ ეკონომიკურ ჭრილში ფირმა განიმარტება დასახული გეგმებისა და განხორციელებადი მიზნების კომპლექტად, ერთობლიობად, რომლის ხელმძღვანელი უფლებამოსილია თანამფლობელთა საკეთილდღეოდ განკარგოს საზოგადოების ქონება.⁸⁹ ამერიკულ საკორპორაციო სამართალში, განსხვავებით⁹⁰ ქართული და გერმანული სამართლისაგან, სადაც მოგების განაწილება ორგანულად პარტიორთა კრების ფუნქციას წარმოადგენს, გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოდ ღირექტორატი გვევლინება⁹¹. იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი ღირექტორთა კომპეტენციას განეკუთვნება, წინადადებას დივიდენდის გამოცხადებისა და განაწილების შესახებ, ხელმძღვანელები შეიძლება შეეცდებიან.⁹² ისინი სამეთვალყურეო საბჭოს გასანაწილებელ დივიდენდთა კონკრეტული ოდენობის შესახებ წინადადებით

⁸⁸ Cahn A., Donald C.D., *Comparative Company Law*, New York, 2010, 220.

⁸⁹ Coase R., 'The Nature of Firm' *Economica*, New Series, IV, 396 (1937); იხ. ციტირება: Pettet B., *Company Law*, 2nd ed., UK, 2005, 222, 67, იხ. სქოლიო 149, < <http://web.cenet.org.cn/upfile/30998.pdf> > [27.02.2013].

⁹⁰ Schulz M., Wasmeier O., *The law of Business Organizations*, Berlin, 2012, 49; ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 164.

⁹¹ თუმცა საწესდებო ავტონომიის ფარგლებში ამ უფლებამოსილების დელეგირება საზოგადოების ხელმძღვანელზეც არის შესაძლებელი, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2004, 151, სქოლიო 39, 156, სქოლიო 57.

⁹² „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად წარდგენილ წინადადებას საერთო კრება განიხილავს, ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 261.

მიმართავენ,⁹³ რის შემდეგაც პარტიორთა კრება გადაწყვეტილებას უბრალო უმრავლესობით იღებს.⁹⁴

ამერიკულ სამართალში შესაძლებელია მოგების წელიწადში რამდენჯერმე განაწილება.⁹⁵ გადაწყვეტილებას ბორდი⁹⁶ იღებს, თუმცა წესდების საფუძველზე შეიძლება აქციონერთა საერთო კრების თანხმობაც იყოს სავალდებულო.⁹⁷ აქციონერებს ღირეპტორთა მიერ რეკომენდირებული, დადგენილი დივიდენდის ოდენობაზე მეტის მოთხოვნის უფლება არ აქვთ, მაგრამ შესაძლებელია უფრო ნაკლები ოდენობით თანხის გაცემა.⁹⁸ გასა-

⁹³ რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭო არის საზოგადოებაში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტი. იქიდან გამომდინარე, რომ სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში, მისი ფუნქციები დანარჩენ ორგანოებზე ნაწილდება, ამ ორგანოს არყოფნის დროს, ღირეპტორი წლიური და სამეურნეო ანგარიშების შედგენის შემდეგ წმინდა მოგების განაწილებაზე წინადადებით პირდაპირ საერთო კრებას მიმართავს.

⁹⁴ გაერთიანებული სამეფოს სამართალიც დივიდენდის გაცემას ანალოგიურად აწესრიგებს. ღირეპტორი წმინდა მოგების გასანაწილებელ ოდენობაზე მითითების შემდეგ პარტიორები უბრალო უმრავლესობით იღებენ გადაწყვეტილებას, “Except in the case of a company subject to the small companies regime, the report must state the amount (if any) that the directors recommend should be paid by way of dividend,” “Companies Act”, 2006, sec. 416 (3),

http://ec.europa.eu/internal_market/auditing/docs/dir/transpo/uk17.pdf

[27.02.2013]. რაც შეეხება შეზღუდვებს — დივიდენდის გაცემას მეორე კორპორაციულსამართლებრივი დირექტივით გამტკიცებული ნორმების საფუძველზე კრძალავს, Cahn A., Donald C.D., Comparative Company Law, New York, 2010, 226. მოგების განაწილების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით იხ. შემდეგი ქვეთავი.

⁹⁵ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 164.

⁹⁶ “Board”, “Board of Directors” ამერიკულ საკორპორაციო სამართალში ღირეპტორატის აღმნიშვნელი ტერმინია, Schneeman A., The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., NY, 2010, 195, 411, 413; შეაღ., გერმანულ საკორპორაციო სამართალში არსებული ტერმინს — “Vorstand”, იგივე გამეგობა, იხ. ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008, 79, სქოლიო 219; ბურდული ი., თანამედროვე ქართული საკორპორაციო სამართალი (მოკლედ მიმოხილვა), რომან შენგელიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 235, სქოლიო 23.

⁹⁷ ჯუღელი გ., კაბიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2010, 161.

⁹⁸ Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's Company Law, 14th ed., UK, 2009, 166.

ნაწილებელი ქონების ოდენობაც საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იყოს გამოთვლილი, რადგან „როგორც ქონების თანასწორობა იცავს ზომიერებას, ისე ზომიერება იცავს ქონების თანასწორობას“⁹⁹.

1.2. მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება

დივიდენდის რეინვესტირების მიზანშეწონილობა საზოგადოებაში არსებულ მატერიალურ მდგომარეობას ექვემდებარება, რაც შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვით¹⁰⁰, სამეურნეო ანგარიშის წარმოებით დგინდება. კრებაზე დასაბუთებული წინადადების წარდგენით, საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომავალ წლებში უფრო მაღალი დივიდენდის გაცემის პერსპექტივის შექმნის მიზნით, გამართლებულია წმინდა მოგების მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად გამოყენება.¹⁰¹ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დივიდენდის განაწილება-არგანაწილების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას დომინანტ აქციონერს თავისუფლად შეუძლია ზეგავლენის მოხდენა (მით უმეტეს, თუ მაჟორიტარი ხმათა 50%-ზე მეტის მფლობე-

⁹⁹ მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისი, 1994, 76.

¹⁰⁰ 1998 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი საწარმოთა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხის მომწესრიგებელ ნორმას შეიცავდა. იგი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პრინციპებს, ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშის შედგენის პროცედურების აღწერას, ხელმძღვანელთა რიგი დოკუმენტაციების წარმოებისა და შენახვის ვალდებულებებს ითვალისწინებდა. ეს მეწარმეთა ქონებრივი ინტერესების დაცვას განამტკიცებდა, ბალანსისა თუ ანგარიშის დადგენის გამჭვირვალებას ხელს უწყობდა. კანონის მოდიფიცირებულმა ვარიანტმა დღევანელ რეალობაში დასახელებული მუხლი რადიკალურად განსხვავებული რედაქციით ჩამოაყალიბა – ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელება ამ სფეროს მომწესრიგებელი კანონის კომპეტენციას მიაკუთვნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁰¹ ლაზარაშვილი ლ., მცირე აქციონერის ცნება, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 256-257.

ლია და თუ გადაწყვეტილება უბრალო უმრავლესობით მიიღება).¹⁰² მოგების გაუნაწილებლობით, რა თქმა უნდა, იზღუდება აქციონერის ქონებრივი უფლება, რაც მცირე აქციონერთათვის, როგორც კაპიტალდამბანდებლის სტატუსის მქონე პარტნიორთათვის¹⁰³, არცთუ ისე მიმზიდველია. ამასთან: ა) ამგვარი შეზღუდვა კორპორაციის ინტერესებიდან გამომდინარეობს^{104,105} და არა პირადი მიზნებიდან;¹⁰⁶ ბ) დივიდენდის გაუ-

¹⁰² ლაზარაშვილი ლ., მცირე აქციონერის ცნება, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 257.

¹⁰³ მაჟორიტარი აქციონერის მონაწილეობა არამხოლოდ კაპიტალდამბანდების, არამედ საწარმოს მართვისა და ხელმძღვანელობის პირდაპირპროპორციული გახლავთ, განსხვავებით მცირე აქციონერისგან, რომელიც მხოლოდ კაპიტალდამბანდებლის სტატუსის მქონეა, ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 270, სქოლიო 217; 307.

¹⁰⁴ რეინვესტირების საჭიროება რეალურად უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დივიდენდის გაუნაწილებლობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ყოველთვის „საზოგადოების ინტერესების დაცვა“ ეწება საფუძვლად. არსებულ საკითხთან მიმართებით საინტერესოა საქმე: *Dodge v. Ford Motor Co.* 170 N.W. 668 (Mich. 1919), ნიგნში: *Hurst R. Th., William A. G., Cases and Materials on Corporations*, US, 1999, 284-296. ამ საქმის შესახებ იხ., *Clark Ch. R., Corporate Law*, USA, 1986, 602-603. მე-20 საუკუნის ათიან წლებში „ფორდ მტორი“ საკმაოდ წარმატებული კომპანია იყო. 1908 წლის დასაწყისში მან მოახერხა პარტნიორებისთვის დივიდენდის 60%-ის გადახდა, ხოლო 1911-დან 1915 წლამდე დამატებით დივიდენდებიც გასცა, რომლის ოდენობა ჯამში 40 მილიონ დოლარზე მეტი იყო. ჰენრი ფორდმა, აქციების 58% მფლობელმა და ერთ-ერთმა დირექტორმა, მიიღო გადაწყვეტილება დამატებით დივიდენდების გაუცემლობისა და ბიზნესში ჩაბრუნების შესახებ. მომხივრები, რომლებიც აქციების 10% ფლობდნენ, კორპორაციის მოგების 75%-ის განაწილებას მოითხოვდნენ. ფორდმა გაიმართლა თავი იმით, რომ მას მეტის დასაქმება სურდა და ამიტომ ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის დივიდენდის რეინვესტირება განაზოციელა. 1916 წელს არანაირი დამატებით დივიდენდი გაიცემოდა, გარდა ჩვეულებრივი დივიდენდისა. საქმე მომხივართა სასარგებლოდ დასრულა იმის საფუძველზე, რომ კომპანიას ქონების დისტრიბუციის სახსრები გააჩნდა, გარდა ამისა, წარმოებული პროდუქ-

ნაწილებლობა არ ნიშნავს ცალკეულ პირთათვის მოგების მიღებას ან მიღების აკრძალვას; დივიდენდს არავენ მიიღებს – მათ შორის, არც დომინანტი პარტნიორი. ე.ი. მაინც შენარჩუნებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. შესაბამისად, თუ სამართლებრივ კონტექსტში არ არსებობს დარღვევა, დივიდენდის გაუცემლობა გამართლებული იქნება. მოსამართლეები არ არიან ბიზნესექსპერტები.¹⁰⁷

„ბოლო დროინდელი თეორეტიკული ნაშრომები გვთავაზობენ აქციონერთა პასუხისმგებლობის გაფართოვებას“¹⁰⁸, რაც შეზღუდულად პასუხისმგებელ პარტნიორთა მხრიდან მესამე პირთა მიმართ ამგვარი უპირატესობის ბოროტად გამოყენების საფრთხით აიხსნება. ამერიკულ სამართალში კორპორაციის ქონების უკანონოდ განაწილების შემთხვევაში დირექტორი სოლიდარულად აგებს პასუხს,¹⁰⁹ რამდენადაც წმინდა მოგების

ციის (მანქანების) არა დაბალი, არამედ უფრო მაღალი ფასით რეალიზება საკვებით შესაძლებელი იყო.

¹⁰⁵ ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედებების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(30), 2012, 62; Schneeman A., *The Law of Corporations and Other Business Organizations*, 5th ed., New York, 2009, 414.

¹⁰⁶ Hurst R. Th., William A. G., *Cases and Materials on Corporations*, US, 1999, 293.

¹⁰⁷ იქვე, 284; Bainbridge M.S., *The New Corporate Governance in the Theory and Practice*, New York, 2008, 120-124; Boyle A. J., *Minority Shareholder's Remedies*, UK, 2004, 75.

¹⁰⁸ გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარვლის გაცოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებული I, ი., ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 74. პროფესორი ირაკლი ბურდული პარტნიორის შეუზღუდავ პასუხისმგებლობას „გამჭოლ პასუხისმგებლობას“ უწოდებს, ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 236-240.

¹⁰⁹ დელავერის საკორპორაციო სამართლის მიხედვით, უკანონო განაწილების შემთხვევაში, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებისათვის დირექტორები სოლიდარულად აგებენ პასუხს, იხ., ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 201.

განაწილება ხელმძღვანელის კომპეტენციას განეკუთვნება.¹¹⁰ უკანონოდ მიღებული ქონება საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს ან ფულადი სახით აუნაზღაურდეს,¹¹¹ წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე უსაფუძვლო გამდიდრება იქნება.

საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობა ყოველთვის არ ნიშნავს იმავეს, რასაც ხმის უფლების მქონე აქციონერთა უმრავლესობით ხმის მიცემა გულისხმობს.¹¹² დომინანტური მდგომარეობით¹¹³ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შიდა პასუხისმგებლობის ფარგლებში თავსდება, მაგრამ ეს

¹¹⁰ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 167. დელავერის საკორპორაციო სამართალშიც საწარმოს წმინდა აქტივისა და მყარი კაპიტალის სხვაობის შედეგად მიღებული ქონების ფარგლებში დივიდენდების გამოცხადებისა და განაწილების უფლებამოსილება დირექტორთა ბორდს აქვს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნამეტის არარსებობის შემთხვევაში პარტიორებზე ქონების განაწილება შეუძლებელია. ეს უკანასკნელი შემთხვევა მოქნილი დივიდენდის (“Nimble Dividend”) სახელით არის ცნობილი, იხ., ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 199.

¹¹¹ Cahn A., Donald C.D., Comparative Company Law, New York, 2010, 223; Davies P., Prentice D. D., Gower's Principles of Modern Company Law, London, 1997, 292; Pettet B., Company Law, 2nd ed., UK, 2005, 292; ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 76. ჭანტურია ლ., ევროპის კავშირის მოქმედების გეგმა, წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ნ. ელიზბარაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 468.

¹¹² აზრი, რომელიც გატარებულია არსებულ წინადადებაში, საკუთარი ინტერპრეტაციით, დავუკავშირე ფაქტს, როდესაც საერთო კრების გადაწყვეტილება ერთი დომინანტი პარტნიორის ხმათა ოდენობით, ინტერესებითა და პოლიტიკით ფორმირდება. “... a majority vote in general meeting does not necessarily mean the same thing as a vote by the majority of voting shareholder,s“ Bottomley S., The Constitutional Corporation (Rethink Corporate Governance), USA, 2007, 115.

¹¹³ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დომინანტ აქციონერს პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს საერთო კრების გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინოს. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-20 პუნქტით „კონტროლი“ გულისხმობს 10%-ზე მეტი ხმების ფლობას ან სხვაგვარად საწარმოს გაკონტროლებას. აქედან გამომდინარე, დირექტორიც, როგორც საზოგადოებაში გარკვეული უფლებამოსილების მქონე პირი, შეიძლება დომინანტ აქციონერად მივიჩნიოთ.

გარე ურთიერთობებზეც უარყოფითად აისახება.¹¹⁴ კრების მოწვევისა და ხმის მიცემის უფლებები უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვას, გაძლიერებას, მაჟორიტართა ძალაუფლების მცირეოდენ შემცირებასაც კი უზრუნველყოფს.¹¹⁵ ინვესტიციების მოზიდვის დამაბრკოლებელ გარემოებად მაჟორიტარ აქციონერთა დომინანტური მდგომარეობაც სახელდება.¹¹⁶ ამგვარი უპირატესი მდგომარეობა უსაზღვრო უფლებამოსილებას არ გულისხმობს.¹¹⁷ ამერიკულ სამართალში დივიდენდის გამოცხადება დირექტორის სამეწარმეო გადაწყვეტილებად მიიჩნევა და შესაბამისად, მისი სისწორე, მიზანშეწონილობა სამეწარმეო განსჯის წესით გათვალისწინებულ პრეზუმფციას ექვემდებარება,¹¹⁸ მტკიცების ტვირთიც მო-

¹¹⁴ გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), საკორპორაციო სამართლის კრებული I, ი., ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 85.

¹¹⁵ Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., New York., 2009, 90.

¹¹⁶ Kline C., *Protecting Minority Shareholders in Close Corporations: Modeling Czech Investor Protections on German and United States Law*, 23 B.C. Int'l &Comp. L. Rev. 229, 2000, 255, <<http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/>> [07.02.2013].

¹¹⁷ "...a majority position should not be carte blanche for a majority shareholder," Kline C., *Protecting Minority Shareholders in Close Corporations: Modeling Czech Investor Protections on German and United States Law*, 23 B.C. Int'l &Comp. L. Rev. 229, 2000, 239, <<http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/>> [07.02.2013]. "Carte Blanche" ნიშნავს უსაზღვრო, სრულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, *The Oxford Dictionary and Thesaurus*, NY, 1996, 213.

¹¹⁸ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 200; Clark Ch. R., *Corporate Law, USA*, 1986, 594. მართველთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და მათ ქმედებაში საზიანო განზრახვის აშკარა გამოვლენას, პასუხისმგებლობის დაკისრების კონტექსტში შესაბამისი შედეგი მოჰყვება, იხ., იქვე, 200, შენიშვნა 818. სამეწარმეო განსჯის წესის ("Business Judgment Rule") მოქმედების ფარგლები მხოლოდ დირექტორატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მოიცავს და ბორდის სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით არ გამოიყენება, მაისურაძე დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამართლის მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული I, ი., ბურდულის რედაქტორობით, თბილისი, 2011, 122. სამეწარმეო განსჯის წესით ხელმძღვა-

სარჩელეზე გადადის¹¹⁹. ბორდი აქციონერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნავდეს.¹²⁰ დირექტორთა ძალაუფლებაც სწორედ ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს გამოყენებული.¹²¹ ხელმძღვანელმა, რომელსაც ანაზღაურების სახით აქვს შემოსავალი, შესაძლებელია უარყოს დივიდენდების განაწილება. თუ მისი რეკომენდაცია დივიდენდის ოდენობაზე ნულის ტოლია, აქციონერებს სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გააჩნიათ.¹²² ამ შემთხვევაშიც გამოსავალი არსებობს. პარტნიორებს სასამართლოს მეშვეობით გასანაწილებელი ოდენობის დადგენის მოთხოვნის უფლება აქვთ.¹²³ სასამართლო მხოლოდ მაშინ ჩაერევა, თუ დირექტორები ფიდუციალურ მოვალეობებს განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაარღვევენ¹²⁴.

ნელთა დაცვა სასამართლოს მეშვეობით დირექტორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების პროცესში გულმოდგინების მოვალეობით გათვალისწინებული პრინციპების დაცვის შემოწმებას გულისხმობს, იხ., მაისურაძე დ., „სამეწარმეო განსჯის წესის“ განმარტებისთვის (კრიტიკული ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 110-111. სამეწარმეო განსჯის წესზე უფრო ვრცლად იხ. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 215-253.

¹¹⁹ Clark Ch. R., *Corporate Law, USA*, 1986, 602. QC J. V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., *Minority Shareholders Law, Practice and Procedure*, 4th ed., New York, 2010, 257, 262.

¹²⁰ Clark Ch. R., *Corporate Law, USA*, 1986, 594.

¹²¹ Dodge v. Ford Motor Co. 170 N.W. 668 (Mich. 1919), Hurst R. Th., William A. G., *Cases and Materials on Corporations*, US, 1999, 284.

¹²² "... the directors are happy to take their salaries form company and refuse to declare dividends," Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's *Company Law*, 14th ed., UK, 2009, 169.

¹²³ Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's *Company Law*, 14th ed., UK, 2009, 169. დასახელებულ ნაშრომში ავტორი წინამდებარე აზრს კომპანიათა კანონის ("Company Act") საფუძველზე, შემდეგი წინადადებით აგრძელებს: "The court is unlikely to declare and continue to declare dividends." გამოსავალს კი მინორიტართა აქციების გამოყიდვაში და მათთვის სამართლიანი ფასის დადგენაში ხედავს, იქვე, 169. სავარაუდოდ, საუბარია ვითარებაზე (ქვეთავი ფორმულირებულია სათაურით – "Directors failing to declare dividends"), როდესაც საზოგადოებას დივიდენდის განაწილების შესაძლებლობა არ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაკანონიერი გადაწყვეტილების გაბათილებით, მოშივართა მოთხოვნა წმინდა მოგების განაწილებაზე დაკმაყოფილდება.

¹²⁴ Clark Ch. R., *Corporate Law, USA*, 1986, 604.

2. დივიდენდის გაუნაწილებლობა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის დაცვის კონტექსტში

კაპიტალის ფორმირების ორ ძირითად წყაროს განასხვავებენ: შიდა (“Internal Financing”) და გარე (“External Financing”) დაფინანსებას.¹²⁵ პირველში მოიაზრება საზოგადოების ყველა შიდა რესურსი, რომლის მეშვეობით კაპიტალი უფრო სწრაფად და მარტივად იქმნება¹²⁶, ხოლო გარე დაფინანსებით ახალი თანხების მოზიდვა ხდება.¹²⁷ შიდა დაფინანსება კორპორაციის სასარგებლოდ მისი უძრავი ქონების გასხვევებით, შემოსავლების გაუნაწილებლობით, მოძრავი ქონების რეალიზებით ხორციელდება.¹²⁸ შემოსავლის კაპიტალიზაციით¹²⁹ ქონება გარდაიქმნება

¹²⁵ Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 53.

¹²⁶ თუმცა აქციონერთა აზრთა სხვადასხვაობა, თუნდაც მოყვანილი მაგალითის საფუძველზე დივიდენდის გაუნაწილებლობის ან ნახევრად განაწილების დროს, შესაძლოა, არაერთი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი გახდეს. დამაბულობა საზოგადოების შემოსავლიანობისთვის ნაკლებად სასურველია. განსხვავებული ვითარებაა გარე დაფინანსების დროს – “...there is more money available outside the company than within it.”, Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 53.

¹²⁷ ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება სწორედ შიდა დაფინანსებას მიექცევა. გარე დაფინანსება სასესხო დაფინანსების (“Debt Financing”), საკუთარი სახსრების ხარჯზე დაფინანსების (“Equity Financing”) და ამ უკანასკნელი ორის მომცველი, ჰიბრიდული დაფინანსების (“Mezzanine Financing”) ცნებებისაგან უნდა განვასხვავოთ, Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 53-54. სასესხო დაფინანსება გულისხმობს ფულის მომავალში გადახდის დაპირებით სესხებას, Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 54. საკუთარი სახსრების ხარჯზე დაფინანსება ნიშნავს ახალი აქციების გამოშვებით ინვესტორების მოზიდვას, დამატებითი შენატანების დაწესებას, Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 54, ასევე, იხ. შეძვევ მისამართზე: <http://financial-dictionary.thefreedictionary.com/Equity+Financing> [01.03.13]

¹²⁸ Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 53. “Internally Generated Funds”, იხ. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები, ტომი I, თბილისი, 2010, 236; კაპიტალის შექმნის ღონისძიებების შესახებ იხ., იქვე, 233-236; ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 160.

¹²⁹ ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსინონში „კაპიტალიზაციას“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, შემოსავლის კაპიტალიზაცია ასევე აღნიშნავს საწარმოს ღირებულების შეფასების მეთოდს შემოსავლების ან მოგების მიხედ-

სააქციო კაპიტალად, რომელიც პარტნიორებზე არ გაიცემა (“Undistributable reserves”).¹³⁰

პრინციპი, რომელიც კონტინენტური ევროპის საკორპორაციო სამართლით არის განმტკიცებული, უცვლელია და კრედიტორთა ინტერესების დაცვის საშუალებად სახელდება – საუბარია მინიმალურ კანონისმიერ საწესდებო კაპიტალის კონცეფციაზე.¹³¹ სწორედ ამ უკანასკნელის დაცვას ემსახურება ევროპული სისტემა¹³² და მოგების განაწილებასაც მას უკავშირებს¹³³ მაშინ, როდესაც ანგლოამერიკული სამართალი დივიდენდის დისტრიბუციას საწარმოს გადახდისუნარიანობის საფუძველზე ახორციელებს – აქტივი უნდა ფარავდეს საზოგადოების საკუთარი კაპიტალის გარკვეულ ოდენობას¹³⁴. რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას,

ვით), თუმცა ამ შემთხვევაში აღნიშნავს შემოსავლის კაპიტალად გარდაქმნას, შემოსავლების გამოყენებას საქმიანობის გაფართოების კონტექსტში, ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რედ., სალაგაძე ა., თბილისი, 2005, 306.

¹³⁰ Davies P., Prentice D. D., Gower's Principles of Modern Company Law, London, 1997, 293. Clark Ch. R., Corporate Law, USA, 1986, 602-603.

¹³¹ Armour J., Hansmann H., Kraakman R., Agency Problems, Legal Strategies, and Enforesment, Harward Law School John M. Olin Center for Law, Economics and Business Discussion, Paper Series, Paper 631, Cambridge 2009, 5, იხ. შემდეგ მისამართებზე: http://lsr.nellco.org/harvard_olin/631/ [07.02.13]

http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1436555 [07.02.13] თუმცა არაერთი მოსაზრება არსებობს, რომელიც ამტკიცებს საპირისპიროს, ანუ მინიმალურ კანონისმიერ საწესდებო კაპიტალის საფუძველზე მესამე პირთა მოთხენის დაკმაყოფილებას, მათი ინტერესების დაცვას უარყოფს, იქვე, 2;

¹³² გერმანულ საკორპორაციო სამართალში სააქციო საზოგადოების (“Aktengesellschaft, AG”) კაპიტალის დაცვის შესახებ იხ. Schulz M., Wasmeier O., The law of Business Organizations, Berlin, 2012, 61-62.

¹³³ მეორე კორპორაციული დირექტივის მე-17 მუხლით, საწესდებო კაპიტალის შემცირების შემთხვევაში საერთო კრება კაპიტალის შევსებაზე იღებს გადაწყვეტილებას, ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 34-35. იგი სხვანაირად მოიხსენიება როგორც „კაპიტალის დირექტივად წოდებული სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც 1976 წელს იქნა მიღებული“, ბურდელი ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 146, სქოლიო 18. Cahn A., Donald C.D., Comparative Company Law, NY, 2010, 222.

¹³⁴ ბურდელი ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 164-165.

იგი მხოლოდ 2008 წლის ცვლილებებამდე 57-ე მუხლის სახით იცნობდა საზოგადოების ქონების შენარჩუნების ვალდებულებას¹³⁵.

მოდელური კანონი დივიდენდის გაცემას ორ შეზღუდვას უქვემდებარებს: ა) როდესაც საზოგადოება დრომოსულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს (ე.წ. გადახდისუუნარობის ტესტი¹³⁶); ბ) როდესაც კორპორაციის აქტივი ვერ ფარავს პასივსა და „აქციონერთა სალიკვიდაციო პრივილეგიებს“¹³⁷.¹³⁸

დელავერის საკორპორაციო სამართალში წმინდა მოგების განაწილების საკითხი შემდეგი ორი ტესტის საფუძველზე წყდება: ა) “Capital

¹³⁵ კანონის მოდიფიცირებული ვარიანტი მსგავს ნორმას აღარ შეიცავს, თუმცა ზოგადად საკორპორაციო სამართალში კორპორაციის კაპიტალის დაცვა მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს და ასე თუ ისე ქართული სამართალიც ემსახურება ამ მიზანს. მაგალითად, იხ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53¹-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ე.წ. „ლიკვიდურობისგან დაცვის წესი“ – “Liquidation Protection”, მახარობლიშვილი გ., მეწარმე სუბიექტთა ლეგმატურ-თეორიული გამოიყვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, „სამართლის ჟურნალში“, №2, 2011, 119-120.

¹³⁶ ვალაუვალობის კანონებში გაკოტრების საფუძველად უმეტესად გადახდისუუნარობა დასახელებული, მოვალის უუნარობა დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნა ე.წ. “Liquidity Test” ან “Cash Flow Test”. გარდა დასახელებულისა, არსებობს სხვა, მეორე მიზეზიც – „მოვალის ზედავალანება“, ე.წ. “Balance Sheet Test”, ანუ, როდესაც საწარმოს პასივი აღემატება აქტივს. იხ., შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, თბ., 2011, 19-21. Schneeman A., The Law of Corporations and Other Business Organizations, 5th ed., NY, 2009, 411.

¹³⁷ თუმცა დისპოზიციური მხარე გამონაკლისის დაშვების უფლებას იძლევა, “the corporation's total assets would be less than the sum of total liabilities plus (**unless the article of incorporation permit otherwise**) the amount that would be needed, if the corporation were to be dissolved at the time of distribution, to satisfy the preferential rights upon dissolution of shareholders whose preferential rights are superior to those receiving the distribution”, § 6.40 (C) (2), RMBCA, The American Bar Association, US, 2005, იხ. შემდეგ მისამართზე:

<https://docs.google.com/gview?url=http://greatlakesval.com/wp-content/uploads/2011/08/Model-Business-Corporation-Act.pdf&chrome=true>

[19.02.13] Clark Ch. R., Corporate Law, USA, 1986, 613. „დივიდენდის გაცემის მიზანშეწონილობის შეფასებისას მხოლოდ გადახდიუნარიანობის პროგნოზზე დაყრდნობა გაუპართლებლად მიგვაჩნია.“ შეად. ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 265.

¹³⁸ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 162-163.

impairment test” – პირდაპირი თარგმანით „კაპიტალის ზარალის, გაუარესების ტესტი“, „ქვეკაპიტალიზაციის ტესტი“ – უკეთესი თარგმანის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია ტერმინის – „ქვეკაპიტალიზაცია“ – გამოყენება. ქვეკაპიტალიზაციის დროს საწარმო ქმედუნაროა თავი გაართვას: ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე დასახულ მიზნებს, საკუთარი სახსრებით ვალდებულებების შესრულებას, საწესდებო კაპიტალის შემცირების თავის არიდებას¹³⁹; ბ) “Net profit test” – „წმინდა მოგების ტესტი“.¹⁴⁰

ზოგადად, ქონების განაწილება იკრძალება მაშინ, როდესაც ბალანსის რღვევის შემთხვევა არის სახეზე, ანუ საზოგადოების სუფთა ქონება მის თავდაპირველ კაპიტალს ვერ ფარავს.¹⁴¹ კაპიტალის შემცირების შემთხვევაში დირექტორი, როგორც ფინანსური პოლიტიკის მმართველი, ვალდებულია მოიწვიოს კრება და მიიღოს გადაწყვეტილება მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო მოქმედებების განხორციელებაზე¹⁴².

¹³⁹ „ქვეკაპიტალიზაციის“ შესახებ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 247-250. ქვეკაპიტალიზაცია სახეზეა: ა) როდესაც კანონისმიერი მინიმალური კაპიტალი აუცილებელი ოდენობით არ არსებობს, რაც გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორებით (ე.წ. არაადეკვატური კაპიტალიზაცია); და ბ) ინვესტიციების დეფიციტი (ე.წ. კაპიტალდაუბანდებლობა), როდესაც საზოგადოება მატერიალური თუ არამატერიალური მხარდაჭერის გარეშე იქმნება, გულაშვილი ნ., კორპორაციული საფარვის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში (აშშ-სა და ქართული საკორპორაციო სამართლის მიხედვით), წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, მთ. რედ.: ბურდული ი., თბილისი, 2011, 91-94.

¹⁴⁰ Cahn A., Donald C.D., Comparative Company Law, NY, 2010, 227.

¹⁴¹ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 150.

¹⁴² Davies P., Prentice D. D., Gower's Principles of Modern Company Law, London, 1997, 248.

3. პარტნიორთა ინტერესების დაცვა თუ კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების პრიმატი?

საკორპორაციო სამართლის ძირითადი ფუნქციაა: ა) საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება; ბ) ინსაიდერებს, მენეჯერებს, საკონტროლო პაკეტის მფლობელ პირებს, მინორიტარ აქციონერთა თუ კრედიტორებს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტის კონტროლი¹⁴³, სხვა სიტყვებით, აზრთა სხვადასხვაობის მოწესრიგება. განასხვავებენ „აგენტის სამ პრობლემას“; ერთ-ერთი მათგანი აქციონერთა და კრედიტორთა შორის არსებული უთანხმოება გახლავთ, რომელმაც შეიძლება ფირმის საერთო ქონების შემცირებაც კი გამოიწვიოს.¹⁴⁴ საკორპორაციო სამართლის დაცვითი ფუნქცია ვლინდება ორი მიმართულებით – მცირე აქციონერთა და კრედიტორთა ინტერესების უზრუნველყოფისა და დაცვის თვალსაზრისით.¹⁴⁵ მოცემული ქვეთავის მიზანია კრედიტორთა და აქციონერთა ინტერესების განსაზღვრა, ურთიერთდამოკიდებულება დივიდენდების რეინვესტირების თაობაზე.

¹⁴³ ეკონომისტები ამგვარ ინტერესთა კონფლიქტს „აგენტის პრობლემას“ (“Agency Problem”) უწოდებენ. აგენტი ექვემდებარება პრიციპალს, ანუ რწმუნებული – უფროსს. იგი, როგორც ამ უკანასკნელზე დაქვემდებარებული პირი, მოქმედებს არა საკუთარი, არამედ ხელმძღვანელის ინტერესების მიხედვით. პრობლემა აგენტსა და პრიციპალს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობით იქმნება. რწმუნებული, შესაძლოა, უფრო მეტად იყოს ინფორმირებული კონკრეტულ საკითხზე, ვიდრე მისი უფროსი. ხელმძღვანელისათვის კი რთულად დასაჯერებელია, რომ იგი შეპირებისამებრ მოქმედებს. სწორედ ეს წარმოშობს „აგენტის პრობლემას“, Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 35.

¹⁴⁴ გარდა დასახელებული პრობლემისა არსებობს: პირველი – ფირმის მფლობელთა და დაქირავებულ მენეჯერთა შორის და მეორე – მაჟორიტარ და მინორიტარ აქციონერთა შორის ინტერესთა კონფლიქტი, Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 36.

¹⁴⁵ ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, მთ. რედ.: ბურდული ი., თბილისი, 2011, 37.

საზოგადოების კრედიტორისთვის კორპორაციის პარტნიორთა პირადი ქონება მიუწვდემელია,¹⁴⁶ რაც მათი ინტერესების დაცვის უფრო მძლავრი მექანიზმების არსებობას საჭიროებს¹⁴⁷. მათი უფლებები შეიძლება იმ შემთხვევაშიც შეილახოს, როდესაც საზოგადოება არ არის გადახდისუნარი; დივიდენდის გაცემის აკრძალვა გულისხმობს კრედიტორთა დაცვის უზრუნველყოფას^{148, 149} ვალების გადაუხდელობის რისკის შემცირების საშუალებას.¹⁵⁰ თუ ფირმა ვერ ასრულებს ვალდებულებას, ბუნებრივია, მისი ქონების მფლობელი კრედიტორი ხდება¹⁵¹ – ვალდებულებათა ამგვარი გაქვითვის ფორმულა მარტივია. კრედიტორები საზოგადოებასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებით რისკზე მიდიან¹⁵², თუმცა მათთვის დაცვის გარანტირებას სამართალი უზრუნველყოფს.¹⁵³ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ის ფინანსური პოტენციალი, რომლის საფუძველზე მესამე პირთა მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოხდება. დაფუძნების ეტაპზე საწესდებო კაპიტალის საჭირო რიცვის განსაზღვრა რთულია, მაგრამ იმ ოდენობით მაინც უნდა იყოს ფორმირებული, რომ კორპორაცია პასუხისმგებლობაუნარიანი და გადახდისუნარიანი წარსდგეს

¹⁴⁶ რა თქმა უნდა, სრულიად სხვა სურათი გვექნება თუ პარტნიორი მესამე პირებთან პირად სახელშეკრულებო ურთიერთობას დამყარებს.

¹⁴⁷ ჭანტურია ლ., საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბილისი, 2010, 567.

¹⁴⁸ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძველები, ტომი I, თბილისი, 2010, 150-151.

¹⁴⁹ Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 118.

¹⁵⁰ Armour J., Hansmann H., Kraakman R., Agency Problems, Legal Strategies, and Enforesment, Harvard Law School John M. Olin Center for Law, Economics and Business Discussion, Paper Series, Paper 631, Cambridge 2009, 5, იხ. შემდეგ მისამართებზე: http://lsr.nellco.org/harvard_olin/631/ [07.02.13] http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1436555 [07.02.13].

¹⁵¹ Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 115-116.

¹⁵² იმ კონტექსტში, რომ, შესაძლებელია, მეწარმე სუბიექტმა განიცადოს ზარალი, მისი საქმიანობა ვერ აღმოჩნდეს წარმატებულად.

¹⁵³ Wild Ch., Weinstein S., Smith & Keenan's Company Law, 14th ed., UK, 2009, 160.

მესამე პირთა წინაშე¹⁵⁴, განსაკუთრებით კი, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში¹⁵⁵. ყურადღება საფინანსო ბრუნვას (“Cashflow”), მის ლიკვიდურობას,¹⁵⁶ რეიტინგს, კონკურენტუნარიანობას ექცევა. როგორც წესი, ფირმის საფინანსო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიების, მეწარმე სუბიექტის რეპუტაციის დადგენის გარეშე სახელშეკრულებო ურთიერთობა არ მყარდება.¹⁵⁷ მით უმეტეს, რომ ამერიკულ სამართალში, გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, „შემძენის წინდახედულობის პრინციპი“¹⁵⁸ საკმაოდ ნაცნობია. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი კრედიტორი ვალდებულია ყოველი თანმდევი რისკი გაითვალისწინოს, რაც კი შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობას მოჰყვეს.¹⁵⁹

¹⁵⁴ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 244.

¹⁵⁵ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, განსაკუთრებით კი სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის დიდ კონცენტრაციასთან გვაქვს საქმე, რაც ინვესტორთა უფრო მეტ დაცვას მოითხოვს, ჭანტურია ლ., საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბილისი, 2010, 567.

¹⁵⁶ ჭანტურია ლ., ევროპის კავშირის მოქმედების გეგმა, წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 520.

¹⁵⁷ Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 123-124.

¹⁵⁸ ვგულისხმობ, “Caveat Emptor”-ს, რომლის თანახმად მყიდველი ითვალისწინებს ყველა რისკს. მყიდველს მართებს გუმოდგინების გამოჩენა და შესაბამისი რისკების გათვალისწინება, ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 234. პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს, მყიდველმა უნდა გაითვალისწინოს, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://financial-dictionary.thefreedictionary.com/caveat+emptor> [04.03.13] შესაბამისად, აღნიშნულ ტერმინს „შემძენის წინდახედულობის პრინციპად“ აღვნიშნავ.

¹⁵⁹ ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 255.

მამსადაძე, არანაკლები მნიშვნელობის მქონე საზოგადოების საწესდებო კაპიტალიც, რომლის შენარჩუნების ვალდებულება, განსაკუთრებით კი, ევროპის სამართლის სისტემაში¹⁶⁰, იმპერატიულ ხასიათს ატარებს. აქციათა დაყოფა-გადანაწილების თავლსაზრისით, საწესდებო კაპიტალი გამოთვლადი და უცვლელი სიდიდეა.¹⁶¹ დღესდღეობით საწესდებო კაპიტალის ოდენობა დამფუძნებელთა განზრახვის – განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა – სერიოზულობის განმსაზღვრელია¹⁶², რომელიც საზოგადოების წარუმატებლობის შემთხვევაში ფინანსური მზადყოფნის დასტურადაც მიიჩნევა¹⁶³. მისი ეკონომიკური ღირებულების მქონე შენატანებით ფორმირება სავალდებულოა, ქონების საწარმოს საკუთრებაში რეალური გადაცემა და არა „ფიქციური კაპიტალით“ აღჭურვა.¹⁶⁴ საწესდებო კაპიტალის შემცირება საწარმოს კრედიტორთა ინტერესებს საფრთხეს უქმნის.¹⁶⁵ ეს კი გამომდინარეობს „დაუცველი კრედიტორის“ პრევენციული დაცვის მიზნიდან.¹⁶⁶

¹⁶⁰ იქვე, 248.

¹⁶¹ ბურდული ი., საქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, თბილისი, 2010, 151.

¹⁶² „მინიმალური საწესდებო კაპიტალი ხაზს უსვამს ეს ანტე ბიზნისის წარმოების განზრახვის სერიოზულობას და წარმოადგეს საზოგადოების პარტნიორების მხრიდან პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის ერთგვარ სუბსტიტუტს“, ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, მთ. რედ.: ბურდული ი., თბილისი, 2011, 36, ციტ. *Wilhelmi, GmbH* 2006, 13 f.

¹⁶³ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა საქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 34.

¹⁶⁴ იქვე, 23.

¹⁶⁵ შეად., მყარი საწესდებო კაპიტალის კრიტიკას, რომელიც უგულვებელყოფს კრედიტორთ დაცვის ჭრილში საწესდებო კაპიტალის განხილვას და მოიხსენიებს მას, როგორც აბსტრაქტულ მექანიზმს კრედიტორთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. „საწარმოს კრედიტორთა მხოლოდ საწესდებო კაპიტალით დაცვა მოჩვენებითია.“ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა საქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 121-127. „მინიმალური საწესდებო კაპიტალი არც კრედიტორთა დაცვის გარანტორი იყო“, ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, მთ. რედ.: ბურდული ი., თბილისი, 2011, 36.

¹⁶⁶ „*ungesicherter Gläubiger*“, ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, მთ. რედ.: ბურდული ი., თბილისი, 2011, 35.

„საზოგადოების პარტნიორი განაგებს მის მიერ დაბანდებულ კაპიტალს და ელოდება მისგან დივიდენდს, როდესაც კრედიტორი მხოლოდ ხელშეკრულებით დადგენილი პროცენტული სარგებლობით კმაყოფილდება.“¹⁶⁷ ბუნებრივია, რომ აქციონერთა ინტერესი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებიდან მაღალი დივიდენდების მიღებაა.¹⁶⁸ გააჩნია, დივიდენდის განაწილებაზე წინადადების წარდგენისას დირექტორები რა სტრატეგიებით მოქმედებენ, რომელი მხარის ინტერესს მიანიჭებენ უპირატესობას. ქონების განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვებელია გარესამართლებრივ ურთიერთობათა უწყურადგებოდ დატოვება. საბოლოო ჯამში კორპორაციის რეპუტაციას მისი გადახდისუნარიანობა განსაზღვრავს, რაც კრედიტორთა დროულ გასტუმრებასა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჯეროვან შესრულებაში გამოიხატება.

III. გასაჩივრება – მცირე აქციონერის უფლების დაცვა თუ საზოგადოების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი?

„აგენტის პრობლემის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ – მაჟორიტართა – და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელ – მინორიტართა – შორის არსებული კონფლიქტი გახლავთ.¹⁶⁹ მინორიტ აქციონერთა უფლებების დაცვა შესაძლებელია ორი ფორმით გამოიხატოს: ა) დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი დირექტორის დანიშვნით; ბ) კანონის წინაშე თანაბარი მოპყრობის პრინციპის მეშვეობით.¹⁷⁰ დაცვითი მექანიზმის მნიშვნელობა საკმაოდ დიდ როლს

¹⁶⁷ ქირია ა., საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში წიგნში: საკორპორაციო სამართლის კრებული I, მთ. რედ.: ბურდული ი., თბილისი, 2011, 37.

¹⁶⁸ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 34.

¹⁶⁹ Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 36,

¹⁷⁰ Kraakman R., Armour J., Davies P., Enriques L., Hansmann H., Hertig G., Hopt K., Kanda H., Rock E., *The Anatomy of Corporate Law*, 2nd ed., NY., 2009, 94-95.

თამაშობს ინვესტიციების მოზიდვის კუთხვით.¹⁷¹ პარტიორთა უფლებები და მათი დაცვის საშუალებები ურთიერთდამოკიდებულნი არიან.¹⁷² კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება პარტიორის კორპორაციულსამართლებრივი უფლებათა, რომელიც კონტროლის უფლების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა.¹⁷³ კორპორაცია წარმოადგენს გაერთიანებას, რომელიც საერთო მიზნის არსებობით არის შექმნილი, რომლის მისაღწევად დამფუძნებელი პარტიორები, სხვა მონაწილენი კერძოსამართლებრივ გარიგებას დებენ და მიზნის მიღწევის გზებს განსაზღვრავენ.¹⁷⁴ ამგვარი შეთანხმება იდება არამხოლოდ პარტიორებს, არამედ აქციონერებსა და საზოგადოებას შორის, რაც გამოდინარეობს ერთგულების მოვალეობიდან. ამ უკანასკნელში უნიფიცირებულია: ა) საერთო მიზნის მიღწევისაკენ მიმართული მოქმედების განხორციელების მოვალეობა; ბ) საზოგადოების საზიანო ქმედების აღკვეთა ან საზიანო ზემოქმედების განხორციელების აკრძალვა.¹⁷⁵ რეგისტრაციის შემდგომ საზოგადოება დამფუძნე-

¹⁷¹ Kline C., Protecting Minority Shareholders in Close Corporations: Modeling Czech Investor Protections on German and Unites States Law, 23 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 229, 2000, 230,

იხ. შემდეგ მისამართზე: [http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/\[07.02.13\]](http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/[07.02.13]).

¹⁷² QC V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., Minority Shareholders Law, Practice and Procedure, 4th ed., NY, 2010, 2. Kline C., Protecting Minority Shareholders in Close Corporations: Modeling Czech Investor Protections on German and Unites States Law, 23 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 229, 2000, 239, იხ. შემდეგ მისამართზე: [http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/\[07.02.13\]](http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/[07.02.13]).

¹⁷³ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 292.

¹⁷⁴ ჭანტურია ლ., საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბილისი, 2010, 560-561.

¹⁷⁵ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ

ბელ პარტიორებისაგან დამოუკიდებელ სამართლებრივ სიცოცხლეს მოიპოვებს, პარტიორთა „ნება და ინტერესები უკანა პლანზე გადაიწევს; მათ ადგილს კი იკავებს კავშირის მიზანი და წევრების ინტერესები“¹⁷⁶.

ერთგულების მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში აუცილებლად სახეზე უნდა იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება.¹⁷⁷ უმრავლესობაში მყოფ აქციონერებს ყოველთვის შეუძლიათ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ ხელყოფს უმცირესობაში მყოფ პარტიორთა უფლებებს¹⁷⁸, მაგრამ ამის აღმკვეთი ძალა სწორედ სასამართლოა.¹⁷⁹ მე-19 საუკუნის ბოლოს სასამართლომ უმრავლესობაში მყოფ აქციონერთა მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა და ერთგულების მოვალეობის დაცვა უმცირესობაში მყოფ პარტიორთა წინაშე იმპერატიულად განსაზღვრა.¹⁸⁰ ნორმები, რომლებიც ცალკეული კატეგორიის პირთა დაცვას ემსახურება, ნაწილობრივ იმპერატიულ ნორმებად განიხილება.¹⁸¹ მინორიტართა დაცვითი მექანიზმები, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უმრავლესობის ქმედებათა მოწესრიგებას, კონტროლს.¹⁸² დერივატიული სარჩელიც¹⁸³ საზოგადოების ინტე-

წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 269.

¹⁷⁶ ჭანტურია ლ., საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, თბილისი, 2010, 561, შენიშვნა 3.

¹⁷⁷ ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედებების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(30), 2012, 60.

¹⁷⁸ თანასწორუფლებიანობის დარღვევას კი მუდამ უმცირესობაში მყოფ აქციონერთა ინტერესები ეწირება, ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 241.

¹⁷⁹ Pettet B., *Company Law*, 2nd ed., UK, 2005, 216.

¹⁸⁰ Cahn A., Donald C.D., *Comparative Company Law*, NY, 2010, 576.

¹⁸¹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების დამოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბ., 2011, 4, ციტ. Larenz/Wolf, *Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts*, 9. Aufl., 2004, § 3, RdNr. 104.

¹⁸² Kline C., *Protecting Minority Shareholders in Close Corporations: Modeling Czech Investor Protections on German and United States Law*, 23 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 229, 2000, 239,

რეგების დაცვასა¹⁸⁴ და დარღვეულ უფლებათა აღდგენას ემსახურება. იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნის მთავარი კრედიტორი სწორედ კორპორაცია გახლავთ¹⁸⁵, აქციონერს აქვს უფლება საზოგადოების სახელით, დერივატიური სარჩელის მეშვეობით მისი ინტერესი დაიცვას. სავსებით დასაშვებია, რომ ამგვარი სარჩელი აღიძრას არა მხოლოდ დირექტორთა, არამედ დომინანტ, მაკონტროლებელი პაკეტის მქონე აქციონერთა წინააღმდეგ, მათ მიერ უპირატესობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.¹⁸⁶

უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვა უმრავლესობაში მყოფ პარტნიორთა ან თუნდაც ხელმძღვანელთა უკანონოდ აღიარებას არ მოიაზრებს.¹⁸⁷ მინორიტართა მიერ თავდაცვითი საშუალებების არაკეთილსინდისიერი გამოყენება, მხოლოდ მათ საწინააღმდეგოდ თუ იმოქმედებს, რადგან მათაც აკისრიათ ერთგულების მოვალეობა.^{188.189} მცირე აქციონერის მხრიდან ამგვარ ქმედებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ისინი საერთო კრების გადაწყვეტილებებს დაუსრულებლად ასაჩივრებენ, რაც ნაკლებად სასიკეთოა საზოგადოებისათვის.¹⁹⁰ საჭიროა შემუშავდეს „კოა-

იხ. შემდეგ მისამართზე: [http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/\[07.02.13\].](http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/[07.02.13].)

¹⁸³ “Derivative Suit”, QC V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., *Minority Shareholders Law, Practice and Procedure*, 4th ed., NY, 2010, 29-32.

¹⁸⁴ QC J. V., Drake D., Richardson G., Lightman D., Collingwood T., *Minority Shareholders Law, Practice and Procedure*, 4th ed., NY, 2010, 30.

¹⁸⁵ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა საციო საზოგადოებაში, თბილისი, 2010, 201.

¹⁸⁶ Boyle A. J., *Minority Shareholder's Remedies*, UK, 2004, 63.

¹⁸⁷ კნიპერი რ., უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლებების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმში: საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი, 2000, 99.

¹⁸⁸ Kline C., *Protecting Minority Shareholders in Close Corporations: Modeling Czech Investor Protections on German and United States Law*, 23 B.C. Int'l & Comp. L. Rev. 229, 2000, 256,

იხ. შემდეგ მისამართზე: [http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/\[07.02.13\].](http://lawdigitalcommons.bc.edu/iclr/vol23/iss2/4/[07.02.13].)

¹⁸⁹ Cahn A., Donald C.D., *Comparative Company Law*, NY, 2010, 599.

¹⁹⁰ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის

ლიციონერი¹⁹¹, „ყაჩაღი“¹⁹², „მომპარავი“¹⁹³ აქციონერების მხრიდან არა-ქონებრივი უფლების ბოროტად გამოყენების თავდაცვითი მექანიზმი. გამოსავალი იქნება: ა) კორპორაციული მართვის ექსპერტთა ჯგუფის¹⁹⁴ გადაწყვეტილებამაც უნდა ვეძიოთ – იგულისხმება მცირე აქციონერთა სპეციალური შემოწმების უფლება;¹⁹⁵ ან ბ) ამერიკული საკორპორაციო

სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 265. გადაწყვეტილების დაბლოკვის შეთხვევაში ზიანი ადგება საზოგადოებას და დომინანტურ მდგომარეობაში მყოფ პარტნიორს, იქვე, 57.

¹⁹¹ “Koalitionsaktionäre” ბურღული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე), ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(30), 2012, 60, 68, სქოლიო 83, ციტ. Dreher, Meinrad, Treupflichten zwischen Aktionären und Verhaltenspflichten bei der Stimmrechtsbuendelung, ZHR 1993, S. 158-159.

¹⁹² კნიპერი რ., უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლებების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართულ სიმპოზიუმში: საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2000, 102.

¹⁹³ ბურღული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 264.

¹⁹⁴ 2001 წლის სექტემბერში შექმნილ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა ანგარიში, რომელიც შედგომში, 2003 წლის 21 მაისს ევროპის თანამეგობრობათა კომისიის მიერ მიღებულ „ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების გეგმა“-ს საფუძვლად დაედო. მოქმედების გეგმის მიზანს წარმოადგენდა აქციონერთა უფლებების დაცვა და ამ კონტექსტში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაზრდა, ჭანტურია ლ., ევროპის კავშირის მოქმედების გეგმა, წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 523; ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: **Jose Maria Garrido Garcia, Klaus J. Hopt, Jonathan Rickford, Guido Rossi, Jan Schars Christensen, Joelle Simon**, ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 25-29.

¹⁹⁵ ბურღული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ

სამართლის პრაქტიკის გათვალისწინებით მივაგნოთ – მოიაზრება ბორდის შიგნით შექმნილი სპეციალური კომისია, ე.წ. “Special Litigation Committees”¹⁹⁶?

მოსარჩელე მხარეს გარკვეული ხარჯების გაწევა უწევს; ამერიკის შეერთებულ შტატებში ადვოკატის საზღაური გამოითვლება იმის მიხედვით თუ რაოდენ წარმატებით დასრულდა საქმის წარმოება მოსარჩელე მხარისათვის.¹⁹⁷ ხარჯები, ნაწილობრივ მაინც, შესაძლოა, გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენების საფრთხის შემცირებას უზრუნველყოფდეს. თუნდაც ნაციონალურმა კანონმდებლობამ ფორმალურ შემოწმებასთან ერთად სარჩელის მატერიალური დასაშვებობის წინაპირობების გათვალისწინებით შემოწმების პრინციპს მიმართოს.¹⁹⁸

წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 300; ჭანტურია ლ., ევროპის კავშირის მოქმედების გეგმა, წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 523.

¹⁹⁶ “Special Litigation Committees” ამერიკული საკორპორაციო სამართლის პირში გახლავთ. ეს არის სპეციალური კომისია, რომელიც ბორდის შიგნით იმ დირექტორებისაგან იქმნება, რომელთაც გასაჩივრებულ გარიგებასთან ან გადაწყვეტილებასთან კავშირი არ აქვთ; იკვლევენ აქციონერის პრეტენზიების დასაბუთებულობას, თუ რამდენად შედის კორპორაციის ინტერესებში არსებული სარჩელი, რომელიც კორპორაციის სახელით უნდა იყოს წარდგენილი – საუბარია დერივატიულ სარჩელზე, ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 421.

¹⁹⁷ Bottomley S., *The Constitutional Corporation (Rethink Corporate Governance)*, USA, 2007, 160.

¹⁹⁸ ბურდული ი., მცირე აქციონერის უფლებათა ფარგლების ბოროტად გამოყენება და მისი გავლენა საკორპორაციო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაზე (მცირე აქციონერთა დაცვის თანამედროვე მექანიზმები), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, 287.

დასკვნა

„იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, საჭიროა თვით საგანთა ისეთი წყობა, რომ ძალაუფლებას ძალაუფლება აოკებდეს.“¹⁹⁹ მეწარმე სუბიექტთა წარმატების ცენტრალურ ბირთვს აქციონერთა ურთიერთბალანსი, საზოგადოების მიზნების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება და დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულება წარმოადგენს. საზოგადოების საქმიანობაში დივიდენდის მთლიანად ან ნაწილობრივ რეინვესტიციაც კანონით განმტკიცებული ნორმების დაცვით, მეწარმე სუბიექტის ქონებრივი კლიმატის გათვალისწინებით უნდა იყოს მიღებული.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია მოკლედ დასკვნის ჩამოყალიბება. რეინვესტიცია, როგორც შიდა დაფინანსების მექანიზმი, საზოგადოების ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და პრაქტიკაშიც საკმაოდ ხშირად გამოყენებადი გახლავთ. უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება რიგი წინაპირობათა დაცვით, კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა იყოს მიღებული. ეს კი, შეძლებისდაგვარად, უკმაყოფილო აქციონერთა პრეტენზიებს მინიმუმამდე დაყვანას უზრუნველყოფს. შედეგად, მათ მიერ საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი სამართლებრივ საფუძველს იქნება მოკლებული.

ზოგადად, ფინანსური პოლიტიკის ეფექტიანი მართვა ხელმძღვანელთა კომპტენციაში შედის. ამერიკის საკორპორაციო სამართლის მიხედვით, დივიდენდის განაწილებისა თუ გაუნაწილებლობის საკითხიც მის სამეწარმეო გადაწყვეტილებად მიიჩნევა, რომლის მიღება ფიდუციარულ მოვალეობათა დაცვას საჭიროებს. ნაციონალურ და გერმანულ სამართალში დიფერენტული მიდგომა ჩამოყალიბებულია. ამ შემთხვევაშიც დივიდენდის მიღებაზე მოთხოვნის უფლება პარტნიორის სტატუსიდან გამომდინარეობს. ქონებრივი უფლების რეალიზება კი წმინდა მოგების ფარგლებში ხდება. თუმცა დივიდენდთა განაწილების წინაპირობა აქციონერთა საერთო კრების დადებითი გადაწყვეტილება გახლავთ. თუ რამდენად სა-

¹⁹⁹ მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, თბილისი, 1994, 180-181.

მართლიანია წმინდა მოგების დისტრიბუციაზე გადაწყვეტილება ბორდმა ან საერთო კრებამ მიიღოს, რომელსაც სავსებით დასაშვებია აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი პარტნიორი ესწრებოდეს – სტატიის მიზნებს სცილდება. მაგრამ თითოეულ აქციონერს ერთმანეთისადმი და რაც მთავარია, საზოგადოების წინაშე ერთგულების მოვალეობა აკისრია. შედეგად, პარტნიორთა პირადი ზრახვები თუ მიზნები მაქსიმალურად შებოჭილია, ხოლო საზოგადოების ინტერესები – უპირატეს მდგომარეობაში მოქცეული.

მოგების გაუნაწილებლობის საკითხი მნიშვნელოვან როლს არა მხოლოდ შიდა, არამედ გარესამართლებრივ კონტექსტშიც ასრულებს. ეს უკანასკნელი კორპორაციების კრედიტორთა უფლებების დაცვის, მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილების მატერიალური ბაზისის შექმნაში გამოიხატება. სწორედ ამით განისაზღვრება პოტენციურ ინვესტორთა ინტერესი საზოგადოების მიმართ. კრედიტორთა წინაშე გადახდისუნარიანობა, მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილების მყარი მატერიალური რესურსების არსებობა კი მეწარმე სუბიექტის კონკურენტუნარიანობისა და მაღალი ლიკვიდურობის საწინდარი იქნება.

მაცუწყებლის საკუთრება
(„მაცუწყებლობის შესახებ“ საქართველოს
კანონის VII თავის ზოგადი ანალიზი)

შესავალი

საკუთრების უფლება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა. იგი გააჩნია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. ასეთი უფლებით სარგებლობის ფარგლებში მათ შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერი ქონებრივი სიკეთე განკარგონ.

წინამდებარე ნაშრომში განიხილება მაცუწყებლის საკუთრების სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი, რომელიც „მაცუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავშია მოცემული (მე-60, 61-ე და 62-ე მუხლები).

ნაშრომი სამაცუწყებლო სამართლის მხლოდ ერთ კონკრეტულ ინსტიტუტს შეეხება – მაცუწყებლის საკუთრებას. აღნიშნულის საფუძველზე ყურადღება იმ სამართლებრივ მოწესრიგებაზეა გამახვილებული, რომლის მიხედვითაც კანონში მაცუწყებლის საკუთრების ცნების ქვეშ მაცუწყებლის კონცენტრაციის, ლიცენზიის ფლობისა და სიხშირული სპექტრით სარგებლობის საკითხი და მაცუწყებლის საკუთრების ცვლილებაა გაერთიანებული. ამ მიზნით, ნაშრომში საკუთრების უფლებისა და მაცუწყებლის ცნება ზოგადადაა განმარტებული.

ნაშრომში ქართული ლიტერატურა, რომელიც შესაბამის სამართლებრივ ინსტიტუტს შეეხება, შეგნებულად მაქსიმალურად არის გამოყენებული. სტატიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იმ პრობლემური საკითხების წარმოდგენა გახლავთ, რომელიც „მაცუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონშია მოწესრიგებული. ამასთან, პრობლემის არსებობის შემთხვევაში მისი გადაჭრის გზების საკითხიც მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ნაშრომში საკანონმდებლო რეკომენდაციებს ცალკე ქვეთავი ეთმობა.

1. მაუწყებელი

მაუწყებლობა თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. იგი მაყურებელამდე კონკრეტული ინფორმაციის მიტანის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. სწორედ მაუწყებლობის ასეთი განვითარების შედეგია სპეციალური საკანონმდებლო ნორმის შექმნა, რაც მისი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების გარანტი გახდება.

საქართველოში მაუწყებლის ქცევის წესი ძირითადად შემდეგი აქტების საფუძველზე წესრიგდება: საქართველოს კონსტიტუცია, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები.¹ აღნიშნულის გარდა, მაუწყებლის საქმიანობისას გამოიყენება სხვა ნორმებიც,² თუმცა მათი ჩამოთვლა და მათზე მსჯელობა სტატიის მიზანს არ წარმოადგენს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მაუწყებელს წარმოადგენს პირი, რომელიც სამაუწყებლო პროდუქციის გადაცემას საკუთარი სარედაქციო დამოუკიდებლობით ახორციელებს. სამაუწყებლო პროდუქცია შეიძლება იყოს: საინფორმაციო გამოშვება, მხატვრული ან/და ლოკუმენტური ფილმი, თოქ-შოუ და სხვ.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მაუწყებლობა სამსახედ იყოფა: საზოგადოებრივ, სათემო და კერძო მაუწყებლობად. ზოგადად, სამაუწყებლო სფეროში სამართლებრივ მოწესრიგებაზე მსჯელობა მედიასამართლის პრეროგატივას წარმოადგენს. თუმცა აქ განხილული საკითხი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს – საკუთრების უფლებას შეეხება.

¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსი სწორედ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ არის მიღებული, თუმცა შესაძლებელია მისი, როგორც სამაუწყებლო ურთიერთობის მნიშვნელოვანი მომწესრიგებელი ლოკუმენტის ცალკე გამოყოფა.

² მაგალითად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვ.

სტატიაში კონკრეტული მაუწყებლის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის გზებზე ყურადღება არ არის გამახვილებული. პრობლემის გადაჭრის საკითხი მაუწყებლობის სამივე სახეს შეეხება.

2. საკუთრების უფლება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი (ზოგადად)

საკუთრების უფლება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი სანივთო უფლებათა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს, რომელსაც დიდი ისტორიული განვითარება უძღვის წინ.³ იგი ადამიანის არსებობის ელემენტარული საფუძველია, რომლითაც ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატური რეალიზაცია ხდება⁴.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში – სსკ) საკუთრების უფლება ერთიანი ცნების სახითაა მოცემული,⁵ რომლის მიხედვითაც, პირს მინიჭებული აქვს აბსოლუტური უფლება საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს მის საკუთრებაში არსებული ქონებრივი სიკეთე.⁶ ამ განმარტებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლებაზე საუბარისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია პირის ნივთთან დამოკიდებულების ხასიათის განსაზღვრა, ასეთი დამოკიდებულების საფუძველზე კი მისი შინაარსისა და პირის გარანტიების დადგენა.⁷ იგი წარმოადგენს უფლებას, რომელიც შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიზღუდოს⁸.

³ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2005, 64-65.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005, 81.

⁶ შეად., იქვე, 83.

⁷ იქვე, 82.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება №ას-955-1234-09.

საკუთრების უფლებით შესაძლებელია ნივთის თავისუფლად განკარგვა. ამ შემთხვევაში მეორე ადგილზეა ის, თუ რამდენად სოციალური მნიშვნელობის მატარებელია პირისთვის ეს ნივთი და რა სახის ღირებულებები გააჩნია მას.⁹ ნებისმიერ შემთხვევაში, პირს უფლება აქვს საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს იგი.

მართალია, საკუთრება უფლების ერთ-ერთი სახეა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მას მავალდებულებელი ხასიათი გააჩნია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საკუთრების უფლებით პირს გარკვეული ვალდებულებანი ეკისრება, რომელთა განხორციელებაც სავალდებულო ხასიათს იძენს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, შესაბამისი კანონმდებლობითაა მოწესრიგებული, რაც საკუთრების უფლებას „სოციალური წესრიგის კალაპოტში აყენებს“¹⁰. მაუწყებლის საკუთრების შემთხვევაშიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეზღუდვაა სახეზე.

3. მაუწყებლის საკუთრება

მაუწყებელს შესაძლებელია საკუთრებაში გააჩნდეს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, მაგალითად, სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარი, რომლითაც პირდაპირი ეთერი გადაიცემა, სამაუწყებლო პროგრამები იმართება, სიუჟეტების მონტაჟი ხდება, ჟურნალისტთა გადაადგილება ხორციელდება და სხვ.

სტატიის მიზანია, მაუწყებლის საკუთრების ის მნიშვნელოვანი მოწესრიგება განისაზღვროს, რომელიც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავშია გაწერილი.

მითითებული კანონის საფუძველზე მაუწყებლის საკუთრების საკითხი სამ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი: ა) მაუწყებლის საკუთრების კონ-

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოლა“, გივი აბალაყის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.

¹⁰ იქვე, 90.

ცენტრაციის აკრძალვა;¹¹) მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობა¹² და გ) მაუწყებლის საკუთრების ცკლილებები¹³.

3.1 მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა

რას ნიშნავს მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა? აღნიშნული ტერმინი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებებში¹⁴ განმარტებული არ არის. მისი დასახელება მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყენება¹⁵.

კანონის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ კონცენტრაციის საკითხი თანამედროვე და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზანს ისახავს, რომლის საფუძველზეც ერთი კონკრეტული მაუწყებელი მონოპოლისტი არ იქნება. მაგალითად, თუ მაუწყებელს გააჩნია თანამგზავრული სისტემების გამოყენებით მაუწყებლობის უფლება, მას დამატებით ანალოგიური სახის მაუწყებლობის განხორციელების უფლება სხვაგვარად არ უნდა ჰქონდეს. თვალსაჩინოებისათვის მაგალითი დღევანდელი პრაქტიკიდან მოვიხმოთ: ტელეკომპანია “GDS TV” სპეციალიზებულ მაუწყებელს წარმოადგენს, რომელსაც B125 ლიცენზია აქვს.¹⁶ აღნიშნული ლიცენზიით იგი თანამგზავრული სიხშირის გამოყენებით მაუწყებლობს და მისი სიგნალის მიღება სხვადასხვა თანამგზავრიდან

¹¹ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №780-რს, 2004.

¹² იქვე, 61-ე მუხლი.

¹³ იქვე, 62-ე მუხლი.

¹⁴ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია იმიტომ არის მაგალითად მოყვანილი, რომ სამაუწყებლო სამართალზე საქართველოში არ მოიპოვება რაიმე სახის ლიტერატურა, რომლითაც შესაძლებელი იქნება იხელმძღვანელოს პირმა და განსაზღვროს თუნდაც ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორცაა საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა.

¹⁵ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 თებერვლის №109/23 გადაწყვეტილება, კერძო მაუწყებლობის 11 ლიცენზიის გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

იხ. <http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113764> [23.05.2013].

¹⁶ ტელეკომპანია “GDS TV”-ის შესაბამისობის დეკლარაცია; იხ. <<http://gdstv.ge/images/declaracia.jpg>> [23.05.2013].

არის შესაძლებელი.¹⁷ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დასახელებულ მაუწყებელს ამგვარი კიდევ ერთი ლიცენზიის ფლობის უფლება არ აქვს. ასეთი აკრძალვა აბსოლუტურად ლოგიკური და მართებულია. სხვა შემთხვევაში იგი ქართულ სამაუწყებლო სივრცეში მონოპოლისტი გახდებოდა. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენადაა ასეთი აკრძალვა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული? რამდენად იზღუდება “GDS TV”-ის საკუთრების უფლება, როდესაც კანონი მას მხოლოდ ერთი ლიცენზიის ფლობას ავალდებულებს? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად უშუალოდ ლიცენზიის სამართლებრივი ბუნება და მისი სამართლებრივი მოწესრიგება უნდა იქნას განხილული.

3.1.1. ლიცენზია, როგორც მაუწყებლობის განხორციელებაზე ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლში ლიცენზიის ფლობის უფლებაა გაწერილი. თავისთავად, მფლობელობა საკუთრებას არ გულისხმობს,¹⁸ რაც ასეთი უფლების მქონეს აბსოლუტურ უფლებას არ ანიჭებს. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად სამართლიანადაა მოწესრიგებული მაუწყებლის საკუთრების საკითხი?

ლიცენზია პირის საქმიანობისათვის განსახორციელებელ უფლებას წარმოადგენს. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების უფლება პირის საკუთრებად ვერ მიიჩნევა, რომლითაც მისი განკარგვა თავისუფლად შეეძლება. მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლით, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.¹⁹ კა-

¹⁷ Turksat, Eutelsat, Astra – <<http://gdstv.ge/images/declaracia.jpg>> [23.05.2013].

¹⁸ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005, 57 – „სამოქალაქო კოდექსის ღირსებად მიჩნეულ უნდა იქნას ის, რომ მფლობელობა გამიჯნულია საკუთრებისაგან“.

¹⁹ მითითებულის გარდა, კანონმდებლობით განსაზღვრულია სხვა პირობები და შეზღუდვები, რომლებიც ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას ეხება. მა-

ნონის მიხედვით, ვალდებულებები ეკისრება მფლობელს და არა მესაკუთრეს.

ლიცენზიის მფლობელი არ წარმოადგენს მის მესაკუთრეს. შესაბამისად, კანონში მაუწყებლის საკუთრების გასწვრივ იმის გაწერა, რომ პირს ერთპიროვნულად (ან ურთიერთდამოკიდებულ პირთან ერთად) უფლება არ აქვს ფლობდეს არა უმეტეს ერთ საერთო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში, გაუმართლებელია. გამოთქმული მოსაზრება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ეს წესი მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. პირიქით, თანაბარი კონკურენციის პრინციპს აბსოლუტურად ექვემდებარება. გასარკვევი რჩება მხოლოდ ის, თუ რამდენადაა ლიცენზიის მფლობელი მისი მესაკუთრე? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რამდენადაა გათანაბრებული ლიცენზიის მფლობელი მესაკუთრესთან?

პრობლემის გადასაჭრელად პარალელი გავაგლოთ აქციებისა და წილების ფლობასთან. ლიცენზიის სამართლებრივი მოწესრიგება აბსოლუტურად არ შეესაბამება აქციებისა და წილის ფლობის სამართლებრივ მოწესრიგებას, ანუ ლიცენზიის საფუძველზე მაუწყებელი საქმიანობას ახორციელებს და ისევე როგორც აქციებისა და წილების შემთხვევაში, მაუწყებელს აქვს შემოსავალი.

ამ მოსაზრებას შეიძლება დაუპირისპირდეს განსხვავებული აზრი, რომლის მიხედვითაც, ლიცენზიის არქონის შემთხვევაში შესაძლებელია მაუწყებელს არ გააჩნდეს შემოსავალი და შესაბამისად, ვერ ნახოს მოგება, თუმცა ამ კუთხით მსჯელობის დროსაც, მაუწყებელი ლიცენზიის მესაკუთრედ ვერ მიიჩნევა და ლიცენზია მაუწყებლის საკუთრება, როგორც არაქონებრივი სიკეთე, ვერ განდება.²⁰

ასეთი სახის პარალელის გავლებისას უპრიანია განხილულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლო განმარტავს, რომ აქცია წარმოადგენს ქონებას,²¹ შესაბამისად, შესაძლებე-

გალითად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან არ უნდა იყოს სახეზე მაუწყებლის სანქცირება და სხვ.

²⁰ მით უმეტეს ქონებრივი სიკეთე.

²¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბრაძლიელი და მალმსტრომი შვედეთის წინააღმდეგ“ №8588/79 და №8589/79

ლია, მასზე პირს საკუთრების უფლება გააჩნდეს. ამასთან, სასამართლო მსჯელობს ლიცენზიის საკითხზე, რომლის მიხედვითაც შემდეგ დასკვნას აკეთებს: ლიცენზია არ წარმოადგენს ქონებას, თუმცა ლიცენზიით საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები ქონების ერთ-ერთი სახეა, რომლის გაუქმების შემთხვევაში შეიძლება საკუთრების უფლების (ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის) ხელყოფა მოხდეს.²² სასამართლოს ამ ორი მოსაზრებიდან შემდეგი დასკვნა გამოდინარეობს: **ლიცენზია ეს არის უფლება, რომლის საფუძველზეც შესაბამისი საქმიანობა ხორციელდება.** ლიცენზიით მოსარგებლე მის მფლობელს წარმოადგენს, ხოლო მფლობელობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, ესაა ფაქტი და არა უფლება.²³ მფლობელობა კონკრეტულ უფლებაზეა დამოკიდებული და მის გარეშე ვერც იარსებებს²⁴.

ამასთან, მფლობელობა წარმოიშობა მას შემდეგ, რაც მოხდება საკუთრების უფლების გადასვლა და სხვ. განსხვავებით საკუთრების უფლებისგან, მფლობელობისას ერთმანეთისგან ორი საკითხი უნდა გაიმიჯნოს: ა) ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა; ბ) ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება.²⁵ ორივე შემთხვევაში მფლობელობა შეიძლება კონკრეტული სახის უფლებებით არსებობდეს, რომლებზეც შემდგომში შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების განვითარება იქნება დამოკიდებული. ე.ი. მფლობელობა სამაუწყებლო სივრცეში, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ძირითად უფლებასთან.

საკითხი შეიძლება სხვა კუთხითაც დავინახოთ: ლიცენზიის არსებობისას მფლობელობის ცნება, შესაძლებელია, საკუთრებასთან ანალოგიის გათვალისწინებით განვიხილოთ. საკუთრება ნივთის სურვილისამებრ მოხ-

(1982), იხ. ციტირება: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2004, 371 - 23-24.

²² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “Tre Troqtorer Aktibolag v. Sweden” A159 (1989), იხ. ციტირება: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2004, 375 - 39-40.

²³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 247.

²⁴ იქვე.

²⁵ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 56-57.

მარებას გულისხმობს, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება მოგებასთან იყოს დაკავშირებული.²⁶

აღნიშნულისგან განსხვავებით, ლიცენზიის ფლობა თავისთავად მაუწყებლის მიერ შესაბამისი მოგების ნახვის წინაპირობაა: თუ მაუწყებელს ლიცენზია არ ექნება, მისი ტელეეთერი ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება. თუ ტელევიზიას მაყურებელი არ ეყოლება, მას შესაბამისი რეიტინგი არ ექნება, ხოლო რეიტინგის არქონის გამო მაუწყებელზე რეკლამა არ გავა. ეს კი, საბოლოო ჯამში, მაუწყებლის საქმიანობას წარუმატებელს განდის. ამ ჭრილში საკითხის განხილვისას შეიძლება დადგინდეს, რომ ლიცენზიის მფლობელობა საკუთრების უფლებასთან ახლოს დგას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ლიცენზიის მფლობელ მაუწყებელს მასზე აბსოლუტური უფლება გააჩნია.

ლიცენზიის ფლობას აზრი დაეკარგებოდა, თუ მაუწყებელი დამხმარე საშუალებებით მის გამოყენებას არ მოახდენდა, მაგალითად, სინშირული სპექტრით. იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზიის საფუძველზე მაუწყებელს საკუთარი ტელეეთერის გადაცემის საშუალება აქვს, ამას იგი სინშირული სპექტრის გამოყენებით ანორციელებს. პარალელის გასაველებად საჭიროა განიმარტოს, თუ რამდენადაა სინშირული სპექტრი მაუწყებლის საკუთრება.

3.1.2. სინშირული სპექტრი, როგორც სახელმწიფო საკუთრება

სინშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა და ასეთი უფლების გამოყენება ლიცენზიის საფუძველზე ხდება.²⁷ სინშირული სპექტრი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს²⁸ და მისი განკარგვის უფლებაც სწორედ მას გააჩნია. ასეთი სახის უფლება ფართო გაგებით არ უნდა

²⁶ მაგალითად, პირი ყიდულობს ავტომანქანებს და შემდეგ ძვირად ყიდის სხვა ტერიტორიაზე. მისი საქმიანობის მიზანი სწორედ მოგების ნახვაა, რაც საკუთრების უფლების აბსოლუტურ რეალიზაციაში გამოიხატება.

²⁷ მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი, რომელშიც გაწერილია სინშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის წესი.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/468 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

განიმარტოს. კერძოდ, სახელმწიფო, მის საკუთრებაში არსებული რესურსის მიუხედავად, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვალდებულია, სიხშირული სპექტრი განკარგოს²⁹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სიხშირული სპექტრი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, რომლის გამოყენების უფლებაც მხოლოდ მაუწყებელს ენიჭება. მაუწყებელი სიხშირული სპექტრის მესაკუთრე არც მაშინ ხდება, როცა მაუწყებლობის განხორციელების უფლებას მოიპოვებს. ლიცენზიასთან პარალელის გავლებისას გამოიკვეთება, რომ სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა სარგებლობის, გამოყენების უფლებას, მაუწყებლის მიერ სიგნალის გავრცელების განხორციელება წარმოადგენს. სიხშირული სპექტრი ისევე, როგორც ლიცენზია, მაუწყებელს საკუთრებაში არ გადაეცემა და მასზე ის აბსოლუტური უფლება, რომელიც საკუთრებისთვისაა დამახასიათებელი, არ წარმოემოხა.

3.2 მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლი მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. თუმცა მასში მაუწყებლის მთლიანი საკუთრების გამჭვირვალობა განსაზღვრული არ არის.

მითითებული მუხლის პირველი პუნქტით, მაუწყებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს და კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია, რომელიც სამაუწყებლო სფეროში საქმიანობას შეეხება. კერძოდ, შესაბამისობის დეკლარაცია,³⁰ ასევე, შემდეგი სახი ინფორმაცია: მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის ფლობის ან მაუწყებლობის ავტორიზაციის შესახებ, სხვა მაუწყებელში წილის ან აქციების ფლობის შესახებ, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ფლობის შესახებ, ასევე, ბეჭდვით გამოცემაში წილის ან აქციების ფლობის შესახებ, საინფორმაციო სააგენტოს ფლობის ან ასეთ სააგენტოში წილის ან აქციების ფლობის შესახებ, სხვა საწარ-

²⁹ იქვე.

³⁰ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შესაბამისობის დეკლარაცია; იხ. <<http://rustavi2.ge/news/Shesabamisobis%20Deklaracia.pdf>> [23.05.2013].

მოში ან სხვა საწარმოში წილის ან აქციების 5%-ის ან მეტის ფლობის შესახებ.

მაუწყებელს ასეთი სახის ინფორმაციის წარდგენისა და გამოქვეყნების ვალდებულება ეკისრება არა უგვიანეს მომდევნო წლის პირველი თებერვლისა.^{31/32} აღნიშნულის გარდა, მაუწყებელი, ასევე, ვალდებულია გამოაქვეყნოს და კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია, თუ მისი წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი, შემომწირველი ან მათი ოჯახის წევრი, ასევე, ფლობს: ა) მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ან ავტორიზებული პირის აქციებს ან წილს; ბ) პერიოდულ ბეჭდვით მედიაში წილს ან აქციებს; გ) საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს.³³

ჩამოთვლილი სახეებიდან ჩანს, რომ არცერთ მათგანში რაიმე სახის უფლება, რომელიც მაუწყებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული არ იქნება, არ ფიგურირებს. მაგრამ ჩამოთვლილთაგან საკუთრების უფლების კრილში მხოლოდ საინფორმაციო საშუალების ფლობა ან წილისა და აქციების ფლობის საკითხი შეიძლება იქნას დანახული.³⁴

3.3 მაუწყებლის საკუთრების ცვლილებები

მაუწყებელს ვალდებულება ეკისრება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინოს და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია ისეთი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, როგორცაა: ა) მისი წილის ან აქციონერის ცვლილება; ბ) ხელმძღვანელი ორგანოების წევრებისა და თანამდებობის პირების ცვლილება.³⁵

თითოეული მათგანის შემთხვევაში რამდენადაა სახეზე საკუთრებაში ცვლილება? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაუწყებლის საკუთრებას აქცია

³¹ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №780-რს, 2004.

³² „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-4 პუნქტით, მაუწყებელი ვალდებულია შესაბამისობის დეკლარაცია გამოაქვეყნოს ვებგვერდზე.

³³ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №780-რს, 2004.

³⁴ აღნიშნულის თაობაზე იხილეთ შემდეგ თავში.

³⁵ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №780-რს, 2004.

ან წილი წარმოადგენს, რომლითაც იგი სარგებელს იღებს და რომლის განკარგვაც მას საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია. ამასთან, როდესაც მაუწყებელში ხელმძღვანელი პირი იცვლება, ეს საკუთრების უფლების ცვლილებად არ უნდა მიიჩნეოდეს.

მაგალითად, 2012 წლის 4 დეკემბერს, ტელეკომპანია „მეცხრე არხზე“ შეიცვალა დირექტორი.³⁶ აღნიშნულის თაობაზე კომპანიამ კომისიას აცნობა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაცია საჯაროდ გამოაქვეყნა.³⁷ კანონის მიხედვით, ეს მოქმედება მაუწყებლის საკუთრებაში ცვლილების განხორციელებად უნდა მივიჩნიოთ, რაც შემდეგი მიზეზის გამო არ იქნება მართებული:

ა) დირექტორი წარმოადგენს კომპანიაში ხელმძღვანელ პირს, რომელსაც კომპანიის სახელით სხვადასხვა ქმედების განხორციელების უფლება აქვს. კერძოდ, დადოს გარიგება, დანიშნოს თანამშრომლები და სხვ;

ბ) დირექტორი წარმოადგენს ფიზიკურ პირს და მასზე, როგორც სუბიექტზე, კომპანიის დამფუძნებლებს (აქციონერებს) რაიმე სახის საკუთრების უფლება არ გააჩნიათ.

მოხმობილი არგუმენტებიდან გამომდინარე, დირექტორის ცვლილება მაუწყებლის საკუთრების ცვლილებად არ შეიძლება იქნას მიჩნეული. მაუწყებლის საკუთრება მისი წევრების საკუთრებად,³⁸ ხოლო ფიზიკური პირი მაუწყებლის საკუთრებად ვერ მიიჩნევა. ფიზიკური პირი კერძო სამართლის ობიექტს არ წარმოადგენს. კერძო სამართლის ობიექტში შეიძლება იყოს ისეთი ქონებრივი ან არაქონებრივი სიკეთე, რომლის სარგებლობა, ფლობა და განკარგვაც შესაძლებელია.³⁹

³⁶ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

³⁷ <https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=479132&app_id=555350> [23.05.2013].

³⁸ <<http://tv9.ge/?m=11&id=13595>> [23.05.2013].

³⁹ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 111-112.

³⁹ კერძო სამართლის ობიექტებზე დაწვრილებით იხილეთ: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 138 და შემდგომი; ასევე:

მაუწყებლის საკუთრების ცვლილება სახეზეა, თუ, მაგალითად, მისი დამფუძნებელი შეიცვალა, წილები სხვაგვარად გადანაწილდა ან აქციის მფლობელი სხვა პირი გახდა. მაუწყებლის საკუთრების საკითხზე შესაბამისი დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამკისრებელი ორგანო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გახლავთ.⁴⁰

4. საკანონმდებლო რეკომენდაციები

როგორც ყველა სფეროში, მათ შორის სამაუწყებლო საქმიანობაში, საკუთრების უფლების იგნორირება ამ სფეროს განვითარების შეფერხებას გამოიწვევს.⁴¹ წარმოდგენილი საკანონმდებლო რეკომენდაციები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს და აღნიშნული კანონის VII თავს შეეხება, სადაც მაუწყებლის საკუთრებაზეა საუბარი. თითოეული მუხლის თანახმად:

ა) მე-60 მუხლი – მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა უნდა შევიდეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავში,⁴² სადაც საუბარია მაუწყებლის ლიცენზირებისა და ავტორიზაციის⁴³ წესზე. მე-60 მუხლის შეტანა მითითებულ თავში შესაძლე-

ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 26 და შემდგომი.

⁴⁰ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 20 მაისის №251/18 გადაწყვეტილება; იხ.

<http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=9063> [23.05.2013].

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება №2/1-370,382,390,402,404 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴² მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ლიცენზირება და ავტორიზაცია; აღნიშნული თავის დასახელება შეიცვალა 2012 წლის 22 მაისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის II აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

⁴³ წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციის წესი არ იქნება განხილული, თუმცა მისი სამართლებრივი მოწესრიგება ლიცენზირების საკითხთან ერთად განსხვავებული წესით ხდება. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ავტორიზაცია ისევე, როგორც ლიცენზი-

ბელია, როგორც ცალკე დამატებული კანონის,⁴⁴ ისე 44-ე მუხლის მე-3 პუნქტში⁴⁵ გაწერილი სახით.

ბ) 61-ე მუხლი – შეიძლება გაიწეროს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავში, სადაც მაუწყებლის ანგარიშვალდებულების საკითხია მოწესრიგებული. კერძოდ, 70-ე მუხლს დამატოს შესაბამისი პუნქტები ან მისი მოწესრიგება ახალი მუხლის – 70¹ მუხლის სახით მოხდეს.

გ) 62-ე მუხლი – თუ 61-ე მუხლს წინამდებარე ნაშრომის მე-4 თავის „ბ“ ქვეპუნქტში გაწერილი მოსაზრების მიხედვით მოვაწესრიგებთ, 62-ე მუხლის მოწესრიგება შესაძლებელია ახალი მუხლის⁴⁶ ან 70-ე მუხლში შესაბამისი პუნქტების შეტანის სახით.⁴⁷

დ) მეოთხე შესაძლებლობა, რაც შეიძლება კანონში იქნას გათვალისწინებული, არის უშუალოდ VII თავის დასათაურების შეცვლა. კერძოდ, ნაცვლად მაუწყებლის საკუთრებისა, შეიძლება მითითებული იყოს – მაუწყებლის ვალდებულებანი, რომელშიც როგორც საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა, ისე კომისიისადმი ანგარიშვალდებულება მოიაზრება.

თითოეული ზემოთჩამოთვლილი საკითხი თავისთავად ერთადერთი შესაძლებლობა არ არის, რომელიც მაუწყებლის საკუთრებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიყენოთ. თუმცა მიმანია, რომ მაუწყებლის საკუთრება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მის მიერ ლიცენზიის მოპოვების საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა.

რება, მაუწყებლობის სფეროში სამაუწყებლო საქმიანობის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს.

⁴⁴ მაგალითად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 44¹-ე მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №780-რს, 2004.

⁴⁵ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი ეხება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველებს. მაუწყებლის მიერ არაუშეუბეს 1 ლიცენზიის (თითო მომსახურების ზონაში) ფლობის შესაძლებლობაზე საუბრისას იგულისხმება, რომ ეს წარმოადგენს ლიცენზიის მიღების ერთ-ერთ საფუძველს და ამ დათქმიდან უნდა ამოვიდეთ ამ შემთხვევაშიც.

⁴⁶ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70²-ე მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №780-რს, 2004.

⁴⁷ თავისთავად იგულისხმება, რომ დღევანდელი მდგომარეობით მოქმედი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლი უკვე გაწერილია 70-ე მუხლში, როგორც აღნიშნული მუხლის შემდგომი პუნქტები.

დასკვნა

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავის დასახელება ამავე თავში გაწერილი სამართლებრივი მოწესრიგების შინაარსს არ შეესაბამება. საკუთრება არ შეიძლება მფლობელობასთან იყოს გაიგივებული. მესაკუთრეს აბსოლუტურად განსხვავებული უფლებები გააჩნია, ვიდრე მფლობელს.

სტატიაშიც აღინიშნა და დასკვნით ნაწილშიც მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს, რომ ნორმის კრიტიკა მისი საჭიროების ეჭვქვეშ დაყენებას არ გულისხმობს. ის სამართლებრივი მოწესრიგება, რაც დღეს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60, 61-ე და 62-ე მუხლებში გვხვდება, სრულიად მისაღებია, თუმცა მათი დასათაურება შესაცვლელია.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავიდან მე-60 მუხლი ერთადერთია, რომელსაც საკანონმდებლო ცვლილებები არ შეხება, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ადასტურებს. თანაბარი კონკურენციის პირობებში მნიშვნელოვანია დაცულ იქნას ის კონცენტრაცია, რაც ამჟამინდელი მე-60 მუხლის მიხედვითაა გაწერილი, თუმცა ლიცენზიის ფლობა საკუთრებასთან არ უნდა გაიგივდეს.

61-ე მუხლი, რომელიც მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობას გულისხმობს, დაახლოებით მსგავსადაა ჩამოსაყალიბებული. ამ შემთხვევაშიც, მფლობელობა საკუთრების უფლებასთანაა გაიგივებული. ასეთი მოწესრიგება შეიძლება შესაბამის ორგანიზაციაში წილებისა და აქციების ფლობის საკითხს არ შეეხოს, ვინაიდან აქციები და წილები მაუწყებლის საკუთრებად მიიჩნევა.

62-ე მუხლთან მიმართებითაც კანონში ცვლილების შეტანა აუცილებელია. ფიზიკური პირი არ არის ქონებრივი სიკეთე (თუნდაც არაქონებრივი სიკეთე). იგი ვერ გახდება კერძო სამართლის ობიექტი.

როგორც აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავში გაწერილი ნორმები უმნიშვნელოვანესია სამაუწყებლო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, თუმცა საჭიროა საკანონმდებლო დონეზე ცვლილებები, რაც ამ სტატიის მეოთხე თავშია წარმოდგენილი.

**„ღანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი
საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და
კანონმდებლობის ნორმატიული შიშშილი**

„ის პირველი, ვინც მიწის ნაკვეთი შემოიღობა და აზრად მოუვიდა ეთქვა: ეს ჩემიაო, შემდეგ კი ამ სიტყვების დამჯერი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები იპოვა, სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი შემქმნელი იყო. რამდენი ბორბლი ქმედების, ომის, მკვლელობების, გაჭირვებისა და საშინელებისაგან ვერ იხსნა ადამიანთა მოდგმა მან, ვინც, პალოების ამოთხრითა და ორმოების ამოვსებით, თავის მსგავთვ ყვირილით შესძახა: „ნუ მოუსმენთ ამ მატყუარას, დაიღუპებით, თუ დაივიწყებთ, რომ მიწის ნაყოფი ყველასი, მიწა კი არავესია“. მაგრამ დღეი სააღმშაბათოა, ვითარება უკვე იმ ზღვრამდე იყო მისული, რომ ძველებურად ვაგრძელება აღარ შეიძლებოდა.“¹

შესავალი

საკუთრების უფლებას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კატალოგში რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, კარგა ხანია საკამათო არ არის. ამაზე საზოგადოება შეთანხმდა იმ მართივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული ფუნდამენტური უფლების დაცვის, არსებობისა და მისი უზრუნველყოფის გარეშე, უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის სრულფასოვანი არსებობა, რადგან სწორედ საკუთრების უფლება წარმოადგენს ხალხთა შორის სავაჭრო ურთიერთობებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების საფუძველს, რაზეც დამყარებულია სახელმწიფოს ეკონომიკური მდგრადობა და უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ამასთან, „საკუთრების უფლება ითვალისწინებს (კერძო) საკუთრების, როგორც ინსტიტუტის არსებობის გარანტიას და შექმნილი საკუთრების უფლების დაცვას თვითნებური ჩარევებისაგან“². ამ უფლების აღიარების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს თუნდაც მცირეოდენი პრეტენზიაც კი ჰქონდეს მისი ქვეყნისა და ქვეყანაში არსებული ინსტი-

¹ რუსო ჟ. ჟ., მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ, დ. ლაბუჩიძე-ხოფერიას თარგმანი, თბილისი, 2009, 103.

² ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ა. ეიდეს, კ. კრაუზესა და ა. როსას რედაქციით, ნ. ჯაფარიძე-ჭყოიძის თარგმანი, თბილისი, 227.

ტუტების დემოკრატიულობაზე. რადგან საკუთრების უფლების, როგორც სოციალური და ეკონომიკური უფლების, არსებობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ ძირითადი კანონით მასზე დაკისრებული ნეგატიური ვალდებულების შესრულებაზე, კერძოდ კი, ხელისუფლების მხრიდან ამ უფლებაში ჩაურევლობაზე³. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“⁴, – განმარტავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

საკუთრების უფლება მეტად მგრძობიარე საკითხია და ამას მისი სოციალური ფუნქციაც ემატება, იგი არამხოლოდ აღჭურავს მესაკუთრეს უფლებით, არამედ ავალდებულებს კიდევ⁵. შეუძლებელია მისი განხილვა განყენებულად, საზოგადოებრივი ურთიერთობების მიღმა არსებულ კონტექსტში, პირიქით, ის ფაქტი, რომ საკუთრება, როგორც ასეთი, შეგრძნებადია, სწორედ რომ სხვა სუბიექტებთან და ობიექტებთან მიმართებით გამოიხატება.

სწორედ საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციიდან და დანიშნულებიდან გამომდინარეობს ის შეზღუდვები, რომლებიც მის რეალიზაციასთან ან ზოგადად, ამ უფლების ქონასთანაა დაკავშირებული. საკუთრების ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასზე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდეს. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლება ერთ-ერთ მგრძობიარე თემად მიიჩნევა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ყოველთვის მომეტებული ინტერესით განიხილავენ.

2012 წლის 26 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელმაც საზოგადოებაში მასთან დაკავშირებულ საკითხებს ყოველთვის მომეტებული ინტერესით განიხილავენ.

³ იქვე, 228.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵ ამასთან დაკავშირებით დაწერილებით იხ., ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003.

ხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში არსებობასთან დაკავშირებული აკრძალვა.⁶ ამის საპასუხოდ კი, შემდგომში საქართველოს პარლამენტმა მორატორიუმი გამოაცხადა მსგავსი ტიპის მიწების უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით⁷.

სტატიის მიზანია, მიმოიხილოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, ასევე, შედარებითსამართლებრივ კრილში განიხილოს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და ამ უფლების გამოყენება უცხოელთა მიერ, ის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მოქმედებს ამ შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ; ასევე, შეაფასოს სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც არსებობს დღეს საქართველოს კანონმდებლობაში ხსენებული გადაწყვეტილების გამო, გამოკვეთოს მოწესრიგების არსებობა-არარსებობის ძირითადი პრობლემები და დასახოს მათი გადაწყვეტის გზები.

2. უცხოელთა საკუთრების უფლება

2.1. უცხოელთათვის საკუთრების უფლების საკანონმდებლო შეზღუდვა

საკუთრების უფლება აღიარებულია იმ ძირითად დოკუმენტთა უმრავლესობით, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება. ევროპული კონვენციის თანახმად, „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლება“⁸. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. თუმცა საკუთრების უფლება აბსოლუტური არ არის და ამავე მუხლის სხვა პუნქტები სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრების უფლების გარკვეული შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებენ.

⁶ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁷ იხ., „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი, 28.06.2013.

⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

საკუთრების ძირითადი უფლება ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზეც. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. კანონმდებლობის თანახმად, „უცხოელი არის პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი“⁹.

მართალია, მოქალაქეების ძირითად უფლებათა ზოგადი კატალოგი მცირედით განსხვავდება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებებისაგან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება მაინც არსებობს, „კონსტიტუცია ადგენს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის“¹⁰. ამასთან, ეს არის ის ლოგიკური, სამართლებრივი და სამართლიანი ურთიერთობა მოქალაქესა და მის სახელმწიფოს შორის, რომელიც ყოველ ნორმალურ ქვეყანაში უნდა არსებობდეს. მოქალაქეობა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოსა და მოქალაქის განსაკუთრებული ურთიერთობის დასაწყისი, მათ შორის არსებული შემბოჭავი ხელშეკრულება, რომლითაც ისინი იძენენ უფლებებსა თუ ვალდებულებებს. მოქალაქეები ისევე, როგორც სახელმწიფო, ამ განსაკუთრებული ურთიერთობის საფუძველზე ახდენენ ერთმანეთის ერთგვარ შებოჭვას, რაც გამოიხატება მრავალი სახის პოზიტიური თუ ნეგატიური ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით.

საქართველოს კონსტიტუცია უშვებს მოქალაქეებისა და სხვა ფიზიკური პირების მიმართ გასხვავებული მოწესრიგების არსებობის შესაძლებლობას,¹¹ რასაც სწორედ მოქალაქეობის, როგორც ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება განაპირობებს. კონსტიტუციის ნორმის შინაარსს იმეორებს სპეციალური კანონმდებლობაც. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია საქართველოში უცხოელთა საკუთრების უფლება, ბევრი სხვა

⁹ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁰ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ზუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 419.

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ძირითადი უფლების მსგავსად, გარკვეული შეზღუდვებით იყოს უზრუნველყოფილი.

გასათვალისწინებელია საზღვარგარეთული გამოცდილებაც. ამ შემთხვევაში მიდგომა მრავალფეროვანია, თუმცა ეს სახელმწიფოს ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი გამოცდილების საკითხია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უცხოელთა საკუთრება უფლება სრულად ან ნაწილობრივად შეზღუდულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ირლანდიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ავსტრიაში, თურქეთში, იაპონიაში, მექსიკაში, კანადაში და ა.შ.¹² სწორედ ამ მრავალფეროვნების გამო სრულად არასერიოზულია იმაზე საუბარი, რომ მსგავსი აკრძალვების არარსებობა ან არსებობა ქვეყნის განვითარებულობის, ცივილიზებულიობისა და ადამიანის უფლებების დაცვა/დარღვევის მანიშნებელია.

2.2. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეზღუდვა – ქართული მოწესრიგება 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებამდე

„სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე წინადადებიდან იგრძნობა კანონმდებლის სულისკვეთება, რომლითაც იგი ამ კანონის მიღებისას მოქმედებდა. კანონის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები განსაზღვრავს კანონის იმ უმნიშვნელოვანეს მიზნებს, რომლებიც რეალურად ემსახურება განსაკუთრებული დანიშნულების, სტრატეგიული მიწების რაციონალურად გამოყენებას: „სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა“¹³; „თავიდან უნდა იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება“¹⁴. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე სახელმწიფოს მომეტებული ყურადღება სრულად გასაგები და ადეკვატურია, რადგან კანონმდებლობაში გაცხადებული მიზნე-

¹² იხ., <<http://geworld.ge/View.php?ArtId=4873&lang=ge&Title=davicvaT+Cveni+saarsebo+da+Tavis+sarCeni+baza>> [25.08.2013]

¹³ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁴ იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

ბის გარდა, მსგავსი სტატუსი მქონე მიწაზე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის არსებობის მიზანია: სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა, მიწის ბაზარზე ფასების გაწონასწორება, უცხოელების ხელში ამ სტატუსის მქონე მიწების მასობრივი გადასვლის თავიდან აცილება და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნული კანონის შემზღვეველი ნორმების ძალადაკარგულად ცნობამდე კანონმდებლობა მკაცრ მოწესრიგებას იძლეოდა, რომლის მიხედვითაც, მოქმედებდა რამდენიმე აკრძალვა: სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვერ იქნებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქე ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი¹⁵; თუ ამ პირებს წარმოეშობოდათ საკუთრების უფლება მსგავსი ტიპის მიწაზე, ისინი ვალდებული იყვნენ ექვემდებარებინათ თავის ვადაში გაესხვისებინათ საკუთრება საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე¹⁶; პირის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ჩამოერთმეოდა საკუთრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი კომპენსაციის მიცემით¹⁷.

კანონის მოწესრიგება დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით გააუქმა¹⁸.

¹⁵ იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶ იქვე, 1¹-ლი პუნქტი.

¹⁷ იქვე, 1²-ლი და 1³-ლი პუნქტები.

¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ ცნო არაკონსტიტუციურად კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები: ა) „ამ მუხლის 1¹, 1² და 1³ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში“, ბ) „უცხოელსა და“, რომელიც გრძელდება სიტყვებით „საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვს მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე...“; გ) „ხოლო უცხოელს – აგრეთვე იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის მართლობიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე“ და მე-4 მუხლის 1¹ პუნქტის სიტყვები „უცხოელი და“.

3. „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია

2011 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტმა და სადავოდ გახდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. თითქმის 14 თვიანი განხილვის შედეგად კი, 2012 წლის 26 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის მნიშვნელოვანი ნაწილი და სარჩელში მოთხოვნილი სადავო ნორმების უმრავლესობა გააუქმა.

მოსარჩელემ თავის სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითა, რომ სადავო მოწესრიგებით ხდებოდა მისი საკუთრების შექმნის საყოველთაო უფლების გაუქმება, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ და სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“¹⁹. აუცილებელია არა აბსტრაქტული საკუთრების გარანტიის მინიჭება, არამედ ეს უნდა იყოს გამოყენებადი და გასახორციელებლად ვარგისი უფლება,²⁰ რადგან საკუთრების შექმნის შესაძლებლობა ემსახურება საკუთრების ძირითადი უფლების რეალიზებას.²¹ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ამ საკითხზე და დადგინა, რომ „მოსარჩელის მიერ საკითხის იმგვარად დაყენება, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულირება იწვევს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²⁰ იქვე, 33-ე პუნქტი.

²¹ იქვე, 39-ე პუნქტი.

პუნქტით გარანტირებული საკუთრების შექმნისა და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებების გაუქმებას, მცდარია“²², რადგან სადავო ნორმა ეხება საკუთრების კონკრეტულ ობიექტს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს მოცემული საკითხი ვიწრო სფეროში და არა, როგორც საკუთრების უფლებების გაუქმება ამ პირთა წრის მიმართ, რაზეც უბრალოდ შეუძლებელია იყოს საუბარი²³.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე მნიშვნელოვანი განმარტება შეეხო კონსტიტუციური ნორმების ადრესატი პირთა წრის განსაზღვრას, რომელზე მსჯელობითაც დაადგინა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლება ეკუთვნის ყველას და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, მათ შორის მოქალაქეობის ნიშნით.²⁴

საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელობისას დაადგინა, რომ ნორმებით ხდებოდა არა საკუთრების უფლების საყოველთაო გაუქმება, არამედ საკუთრების უფლების შეზღუდვა²⁵ და გამოჰყო კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით უფლების შეზღუდვის დასაშვებობის შემოწმებისათვის აუცილებელი ელემენტები. თანაზომიერებაზე მსჯელობისას, სასამართლომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არასაკმარისად ჩათვალა და დაადგინა აშკარა უწონადობა შეზღუდულ უფლებასა და უფლების შეზღუდვის საშუალებას შორის.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია საკუთრების საყოველთაოდ აღიარებული, განსაკუთრებული და ექსკლუზიური უფლება. „განსაკუთრებულობა და ექსკლუზიურობა კი გულისხმობს მართლწესრიგისგან უფლებამოსილი პირისთვის ყოველი ქონებრივი უფლების იმგვარად დაქვემდებარებას, რომ მას შეეძლოს უფლებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების თავისი შეხედულებით ინდივი-

²² იქვე, 52-ე პუნქტი

²³ იქვე, 52-ე და 55-ე პუნქტები

²⁴ იქვე, 44.

²⁵ იქვე, 57.

დუალური გამოყენება“²⁶. მართალია, ამ შემთხვევაში მოქმედებს ამ სახის მიწის ნაკვეთის შექმნისათვის კანონდებლის მიერ დადგენილი სპეციალური მოწესრიგება, თუმცა, მიუხედავად ამისა, საკუთრების საყოველთაოდ აღიარებული უფლების რეალიზების შესაძლებლობა არსებობს, აქედან გამომდინარე კი, შეუძლებელია საუბარი იყოს ამ უფლების გაუქმებაზე, რადგან საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, ყველასთვის გარანტირებულია.

სასამართლომ იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის ნორმების უცხოელზე გავრცელების ფარგლებზე და აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლების სუბიექტს წარმოადგენს ყველა ადამიანი და ეს ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს.²⁷ არგუმენტაციის გასამყარებლად კი მიუთითა, რომ ყველა სხვა უფლების შემთხვევაში გამოყოფილია უფლების ადრესატი, 21-ე მუხლი კი არ აკონკრეტებს გარანტირებული უფლების პირთა წრეს, ამასთან, დასძინა, რომ „თითოეული კონსტიტუციური უფლება თავად განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექტს“²⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის მრავალ მუხლში გამოყოფილია უფლებათა ის ნუსხა, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვისაა და ამის შესახებ ძირითად შემთხვევაში, თავად ნორმები მიუთითებენ. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი არაფერს ამბობს ამ მუხლის მოწესრიგების ადრესატებზე და არ ავიწროვებს მათ წრეს, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 21-ე მუხლით გარანტირებული უფლების მოწესრიგებაში უცხოელებიც ექცევიან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაშვებულია ამ უფლების შეზღუდვა, როგორც საქართველოს მოქალაქის, ისე უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ.

²⁶ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2009, 101. იხ. ციტირება: Palandt – Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 62.neube.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 44-ე პუნქტი.

²⁸ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის სადავო სიტყვების კონსტიტუციურობის შეფასებისთანავე საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა აშკარა შეზღუდვა, თუმცა მთავარი ამოცანა, რაც სასამართლოს წინაშე იდგა, იყო არა შეზღუდვის ფაქტის დადგენა, არამედ ამ შეზღუდვის თანაზომიერებისა და პროპორციულობის ხარისხის განსაზღვრა განხორციელებულ შეზღუდვასთან მიმართებით და იმის დადგენა, თუ რამდენად იყო ეს შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისკენ მიმართული. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ის პირობები და კრიტერიუმები, რომლებიც უფლების შეზღუდვის დასაშვებობისათვის იყო საჭირო, თუმცა აღნიშნა, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვისათვის მოპასუხე მხარე ვალდებული იყო დაესაბუთებინა ის საზოგადოებრივი საჭიროება, რომლის მიღწევისკენაც იყო მიმართული სადავო ნორმა და მთელი მტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა²⁹.

მოპასუხის მითითებით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენდა: ა) მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე, ორგანიზებული მეურნეობისა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესების სამართლებრივი მოწესრიგების უზრუნველყოფა; ბ) მიწის ნაკვეთების დაქუცმაცებისა და არარაციონალური გამოყენების თავიდან აცილება; გ) მდიდარი ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მიწის მასობრივი შეძენის პრევენცია და ამ გზით საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მასობრივად უცხოელთა საკუთრებაში გადასვლის თავიდან აცილება; დ) სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების, გარემოს და ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, შენარჩუნება.³⁰

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ „აგრარული მეურნეობის ფარგლებში წარმოებული პროდუქტის როგორც ეკონომიკური ხასიათი, ასევე ხარისხი არ არის დამოკიდებული ამ რესურსების მწარმოებლის მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე“³¹ ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო დანიშნულე-

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 61-ე პუნქტი.

³⁰ იქვე, 62-ე პუნქტი.

³¹ იქვე, 65-ე პუნქტი.

ბის მიწა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ ფერმერს ეკუთვნის, თუ საქართველოს მოქალაქეს.³² „თუ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონა სახელმწიფოსათვის რაიმე რისკების შემცველია, მაშინ იმავე ხასიათისა და ხარისხის რისკი იარსებებს უცხოელის მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ საკუთრების შექმნის შემთხვევაშიც“³³.

მოპასუხის მიერ დასახელებული არგუმენტებიდან სასამართლომ ვერ დაადგინა ის ლეგიტიმური მიზანი, რომელიც ამ შეზღუდვას გაამართლებდა და სადავო ნორმა მიზნის მიღწევის გამოუსადეგარ საშუალებად მიიჩნია, რადგან „ირღვევა გონივრული ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არის არაპროპორციული, სცდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირის უფლების შეზღუდვის დასაშვებ ფარგლებს და ეწინააღმდეგება მას“³⁴.

3.2 გადაწყვეტილების შეფასება

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტია³⁵, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობასა და პირდაპირ მოქმედებას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე,³⁶ იგი კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა.³⁷ მისგან ყოველთვის მოელიან სამართლიანობასა და ობიექტურობას, გაცილებით მეტს, ვიდრე მხოლოდ კლასიკური სამართალშეფარდებითი საქმიანობაა.

განსახილველი გადაწყვეტილების მიღებისას, ძნელი სათქმელია, საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედებდა თუ არა როგორც საკონსტიტუ-

³² იქვე.

³³ იქვე, 67-ე პუნქტი.

³⁴ იქვე, 70-ე პუნქტი.

³⁵ Сергеев Д. Н., Конституционное Правосудие в России: Политико-Правовое исследование, Диссертация (На правах рукописи), Москва, 2005, 19.

³⁶ Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 82.

³⁷ კვერენჩილაძე გ. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადაშიანი და კონსტიტუცია“, №3, 2006, 39.

ციო კონტროლის დამოუკიდებელი, სპეციალური ორგანო. მის მიერ გაკეთებული შეფასებები და მთელი მსჯელობა მხოლოდ ცალმხრივი და სუბიექტურია. გადაწყვეტილების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სასამართლო თავად გახლდათ მოსარჩელის წარმომადგენელი და მაქსიმალურად ეცადა, არათუ მხედველობაში არ მიეღო მოპასუხის არგუმენტაცია, არამედ კონტრარგუმენტებით გაებათილებინა ისინი.

მიუღებელია სასამართლოს გადაწყვეტილების მართებულიობაზე საუბარი, რადგან გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს თავად და ეს ყოველთვის გემოვნების საკითხი უფრო იქნება, ვიდრე ობიექტური სამართლებრივი განსჯის. გადაწყვეტილება შესაძლო რისკების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

საქართველოს კანონმდებლობა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის“ საკმარის ვრცელ განმარტებას იძლევა, რომლიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახეობის მიწას ქვეყნის განვითარებისათვის, უშიშროებისა და უსაფრთხოებისათვის, რაც, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და ასეთი მიწების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის მიპყრობა უადვილოდ ჩათვალა³⁸.

აღსანიშნავია გადაწყვეტილებაში მოყვანილი სასამართლოს მეგობრის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მხოლოდ 0.24 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მოდის.³⁹ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან დაახლოებით ერთი წელი გავიდა, ამ დროისთვის კი მრავლად მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება და მიწების მასობრივი შეძენა, რაც ისედაც მცირემიწიან ქვეყანას განვითარების დიდ პოტენციალს ართმევს, რადგან უცხოელის

³⁸ „შესაძლებელია არსებობდეს კონკრეტული მიწის ნაკვეთი, რომელზე საკუთრების უფლებაც, თავისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენდეს სახელმწიფო უსაფრთხოების ნაწილს, თუმცა ზოგადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ასეთად ვერ იქნება განხილული.“ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქონტინგისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁹ საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შესახებ დაწერილებით ხ., კოლუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ., მესხიშვილი ა., მიწა – ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი სივრცე, ჟურნ. „ობიზესი და კანონმდებლობა“, №24, 2010.

მიერ წარმოებული გარკვეული საქმიანობა ამ სახის მიწაზე იქნება მხოლოდ იმ უცხოელის მატერიალური უზრუნველყოფისა და კეთილდღეობისაკენ მიმართული და ნაკლებად დაკავშირებული საქართველოს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა თავის თავში გულისხმობს იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მიწის სახეობას, რომელზეც აუცილებელია გავრცელდეს სახელმწიფოს სპეციალური მოწესრიგება, რადგან ხშირ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები კონკრეტულად განკუთვნილია გარკვეული მრავალწლიანი ურთიერთობების განხორციელებისათვის და განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულების მატარებელია. თუ უცხოელს სურს უბრალოდ მიწის ნაკვეთი, მას მარტივად შეუძლია შეიძინოს არა სასოფლო-სამეურნეო, არამედ ნებისმიერი სხვა დანიშნულების მიწა. საკონსტიტუციო სასამართლომ ისე გააუქმა ნორმა, რომ არც უფიქრია მისი გადაწყვეტილების შესაძლო უარყოფით შედეგებზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის უდიდესი საფრთხე, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს აკრძალვის გაუქმება. სამწუხაროდ, ტერიტორიის 20% საქართველოს იურისდიქციას აღარ ექვემდებარება. ასეთ დროს რამდენად ლოგიკური და მართებულია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების უცხოელებზე გასხვისება? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მიწების დიდი ნაწილის შექმნა სწორედ ოკუპანტი ქვეყნიდან შემოდინებული კაპიტალით მოხდება?! ამ ყველაფრის განხორციელების შემთხვევაში, მართლაც სავალალო შედეგს მივიღებთ, რისი გამოსწორებასაც *post factum* შეუძლებელი იქნება.

ზოგადად, არაფერია ცუდი იმაში, რომ უცხოეთის მოქალაქეს მიეცეს საქართველოს მოქალაქის თანასწორი უფლებები და თანაბარი სასტარტო პოზიცია, რომელსაც თავისი შესაძლებლობებისამებრ გამოიყენებს და განავითარებს⁴⁰. თუმცა, მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა, თუ რაში მდგომარეობს მოქალაქეობის, როგორც ინსტიტუტის არსი? თუკი ტოტალური თანასწორობის იდეას ვემხრობით, რა მნიშვნელობა აქვს მოქალაქეობას? საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი სხვა მრავალ ელემენტთან ერთად აღნიშნავს, პირთა „წარმოშობისა“ და „საცხოვრებელი ადგილის მიუხ-

⁴⁰ იხ., ზუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 80-81; Rawls J., A Theory of Justice, Revised Edition, Harvard University Press, 1999.

ელავად“ თანასწორობას, რაც შესაძლებელია მივიჩნიოთ ზოგად დათქმად და მასში მოვიაზროთ პირთა თანასწორობა მოქალაქეობის კუთხითაც, რადგან „თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი“⁴¹. თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩხეს ის ფაქტი, რომ „თანასწორობა ყოველთვის არის აბსტრაქცია არსებული უთანასწორობიდან“⁴² და შეუძლებელია სახელმწიფოს რაიმე სახით დაეკისროს ფაქტობრივი თანასწორობის დაწესების ვალდებულება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული არ არის დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქცია. ქვეყანაში მყოფი უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის უფლებები ყოველთვის ნაკლებად პრივილეგირებული და თანასწორი იქნება ქვეყნის მოქალაქეებთან შედარებით, რადგან „საზოგადოებაში იმთავითვე, წინასწარ მოცემულია თავისუფლება და უთანასწორობა, და არა თანასწორობა და არათავისუფლება“⁴³.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კერძო საკუთრება და სახელმწიფო სუვერენიტეტი ერთმანეთთან შემხებლობაში არაა და აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ კერძო საკუთრების არსებობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის რაიმე ფორმით დამცრობა არ ხდება.⁴⁴ კერძო საკუთრების არსებობა რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის არათუ შელახვა, არამედ მისი დამატებითი უზრუნველყოფა და სტაბილურობის გარანტიაა, ნებისმიერ ცივილიზებულ მართლწესრიგში აღიარებული ფაქტია. თუმცა სრულიად განსხვავებულია კერძო საკუთრებისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის შემხებლობის არარსებობასთან დაკავშირებული მდგომარეობა. მსგავსი მიდგომა კერძო საკუთრების იდეის ერთადერთ ამოსავალ პრინციპად ქცევასა და მინიმალური სახელმწიფოს კონცეფციას მოიაზრებს.

⁴¹ იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., სუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 24.

⁴² იქვე, 23, იხ. ციტირება: Radbruch, Rechtsphilosophie, 8. Aufl., 1973, s.122

⁴³ იქვე, 24.

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე, „დანის მოქალაქე ჰეიკე ქონიქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 68-ე და 69-ე პუნქტები.

„მიწის კერძო პირის ხელში გადაცემა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ამასთან დაკავშირებით უფლებაყარულ სუბიექტად იქცა“⁴⁵, სახელმწიფო დღესაც განსაზღვრავს საკუთრების პოლიტიკას ქვეყანაში.⁴⁶ სწორედ სახელმწიფოს სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფოში მოსახლეობის ნების შესაბამისად სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სახელმწიფო, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთარი მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ნებას, თვითგამოცხადებული ფაქტობრივი პოლიტიკური მმართველობაა და არა დემოკრატიულ საწყისებზე არსებული გაერთიანება.

საკუთრების უფლება უმნიშვნელოვანესია, თუმცა იგი საკუთარი არსით ვერ იქნება აბსოლუტური, რადგან სოციალური ფუნქციის მატარებელია.⁴⁷ მართალია, საკუთრების მიმართ სამართლებრივი რეჟიმი ყველა ქვეყანაში ერთნაირი არაა და ზოგი მათგანი ძალზე ლიბერალურ მიდგომასაც ითვალისწინებს, თუმცა არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნდეს საკუთრების მიმართ სამართლებრივი მოწესრიგების მინიმუმი მაინც და იგი საკუთარ ნებაზე იყოს მიშვებული.⁴⁸

საკუთრების უფლების მიმართ გარკვეული შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს, მათ შორის, მოქალაქეობის კუთხითაც, რაც სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკით არის ნაკარნახევი. მოქალაქეობა განსაკუთრებული სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც პირის კონკრეტულ სახელმწიფოსთან ასოცირების საშუალებას იძლევა, მის გარეშე ადამიანი „სოციალური მშვიდობიდან განდევნილია“⁴⁹. სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის მოქალაქეთა მშვიდობას, ეს მისი უპირველესი ამოცანაა: იზრუნოს ადამიანებზე, რომლებიც მასთან არიან იდენტიფიცირებულები⁵⁰.

საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება რომელიმე პოლიტიკურ თუ სამართლებრივ მოძღვრებას ანიჭებდეს უპირატესობას, თუმცა იგი არ უნ-

⁴⁵ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 93.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ Сизько И. А., Чепурнова Н. М., Конституционное Право Зарубежных Стран, Москва, 2004, 37.

⁴⁸ იქვე, 38.

⁴⁹ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 33.

⁵⁰ იქვე, 31.

და ექვეოდეს არცერთი მათგანის ტყვეობაში. საკუთრების გაფეტიშება და ერთადერთ, ამოსავალ დებულებად ქცევა შიშველი ლიბერტიარიანიზმია და მეტი არაფერი. მართალია, სასამართლოს არ ევალება აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქცია იტვირთოს და სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე იფიქროს, თუმცა იგი ვალდებულია წინასწარ განჭვრიტოს ის საფრთხე და უარყოფითი შედეგები, რომელიც მისმა გადაწყვეტილებამ შეიძლება მოიტანოს. ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლო შეიმუშავებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოსათვის სასარგებლო რჩევებსა და რეკომენდაციებს უკეთესი მმართველობის გასახორციელებლად⁵¹. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა კოლეგიამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი გამოიყენა ხელისუფლებისათვის რეკომენდაციის გასაწევად.

სახელმწიფოთა ნაწილში გაამართლა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეზღუდვების გაუქმებამ და ეკონომიკის განვითარებასაც შეუწყო ხელი (მაგ., საუდის არაბეთი), თუმცა მეორე ნაწილში მას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია ხალხმა და რეფორმა ჩავარდა (მაგ., ჩინეთი). საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების განსახორციელებელი რეფორმის გატარებას უნდა ითავსებდეს, მას თავისი, მეტად მასშტაბური უფლებამოსილებები აქვს. საშინაო პოლიტიკის დაგეგმვა და წარმართვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაა, რაშიც საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აშკარად ჩაერთა.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი სინამდვილეში განმარტა განყენებულად, კონტექსტიდან ამოგლეჯილად და მხოლოდ გაკვრით შეეხო კონსტიტუციის სხვა ნორმებს, როცა კონსტიტუცია, როგორც ერთიანი დოკუმენტი, მისი ნორმების სისტემურ ერთიანობასაც გულისხმობს. კონსტიტუციის 21-ე მუხლი 45-ე მუხლთან ერთობლიობაში სრულიად სხვაგვარ შინაარსსა და დატვირთვას იძენს, შესაბამისად, ფართოდება როგორც კონსტიტუციური ზღვარი, ისე იცვლება თანაზომიერების სტანდარტი.

⁵¹ Василевич Г., Решения Конституционного Суда Как Источник Права и Их Соотношение с Актами Иных Судебных Органов, Конституционное Правосудие, №2(28), 2005, 57.

4. კანონმდებლობის ნორმატიული შიშშილი

საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ევროპულ მოდელში (რომელიც საქართველომ 1995 წლის კონსტიტუციით აირჩია) საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საერთო სასამართლოების მიღმა არსებულ ინსტიტუციას⁵², რომლის მიზანიც კონსტიტუციის დაცვა⁵³ და საკანონმდებლო აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაა, თუმცა, ამის გარდა, ის მრავალი სხვა ფუნქციითაცაა აღჭურვილი⁵⁴. საკონსტიტუციო სასამართლოს გარეშე კონსტიტუციას იმგვარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, როგორც სინამდვილეში აქვს. სახელმწიფო ინსტიტუტები, მართალია, ვალდებული არიან დაიცვან კონსტიტუცია, თუმცა სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა განაპირობებს მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ცოდნას⁵⁵.

საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება სამართლებრივი საკითხების განხილვით, მის მიმართ მოქმედებს სამოსამართლო თვითობჭვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო უნდა ეცადოს მაქსიმალურად აარიდოს თავი პოლიტიკას⁵⁶. თუმცა აღნიშნული ძალზე ძნელი გასახორციელებელია, რადგანაც სამართალი და პოლიტიკა ერთმანეთთან სასიცოცხლოდ დაკავშირებული ინსტიტუტებია. ეს ყველაზე ნათლად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მაგალითზე ჩანს, რადგან მისმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება სახელმწიფოში უდიდესი პოლიტიკური და სამართლებრივი კრიზისი გამოიწვიოს. მართალია, საკონსტიტუციო სასა-

⁵² მო დ., უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის გამოყენება და დიალოგი საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, ჟურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2011, 6; იხ. ციტირება: Louis Favoreu, *Les Cours constitutionnelles*, PUF, France, 1986.

⁵³ Arnold R., *Constitutional Courts of Central and Eastern European Countries as a Dynamic Source of Modern Legal Studies*, *Tulane European & Civil Law Forum*, Vol. 18, 2003, 104.

⁵⁴ Hausmaninger H., *Judicial Referral of Constitutional Questions in Austria, Germany and Russia*, *Tulane European and Civil Law Forum*, Vol. 12, 1997, 26.

⁵⁵ Hailbronner K. and Hummel H. P., *Constitutional Law, Introduction to German Law*, Edited by Ebke W. F. and Finkin M. W., Kluwer Law International, 1996, 63.

⁵⁶ Конституционное Право Зарубежных Стран, Под. общ. ред. Баглая М. В., Лейбо Ю. И., Энтина Л. М., Москва, 2004, 352; ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 106-108.

მართლო კელზენისეული „ნეგატიური კანონმდებელია“, თუმცა მის მიერ კონსტიტუციის განმარტების დადგენა უახლოვდება „პოზიტიური კანონმდებლის“ ფუნქციასაც⁵⁷.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარი ჭვრეტის უნარს მოკლებულია, მისი გადაწყვეტილებით გაუქმებული ნორმების ადგილას საკანონმდებლო ვაკუუმი იქმნება, საზოგადოებისათვის სასიცოცხლო ურთიერთობის ნაწილი სრულიად მოუწესრიგებელი რჩება მაშინ, როცა ეს ურთიერთობები სახელმწიფოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მოუწესრიგებელი სფერო დანაკლისს განიცდის და ითხოვს ერთგვაროვან მოწესრიგებას საზოგადოების სიმშვიდისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. მსგავს მდგომარეობას კანონმდებლობის ნორმატიული შიშშილი შეიძლება ეწოდოს. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ მსგავს რთულ ვითარებაში ჩაადგო საქართველოს კანონმდებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოში უცხოელების მიერ მიწის მასობრივი შეძენა ხდება, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის პროტესტს იწვევს. ამ ნიადაგზე ხშირია დაპირისპირებები და მდგომარეობა ჩიხშია შესული, მით უმეტეს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მოცემულობა შეიცვალა და ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა. სწორედ ამ მოტივით საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ კანონში და 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეაჩერა მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების პროცესი. აღნიშნული მხლოდ დროებითი მოწესრიგებაა, აუცილებელია პრობლემის გადაჭრელად გაცილებით ეფექტური, გრძელვადიანი მექანიზმის მოფიქრება.

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს საკონსტიტუტიციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმის ხელახალ მიღებას.⁵⁸ ასეც რომ არ იყოს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა და აღსრულება ყველასათვის სავალდებულოა. კანონმდებელი შებოჭილია

⁵⁷ Dürr S. R., Comparative Overview of European Systems of Constitutional justice, International Constitutional Law Journal, Vol. 5, No. 2, 2011, 171.

⁵⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

კონსტიტუციით, ივარაუდება, რომ იგი შებოჭილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებითაც,⁵⁹ რომლებიც არ საჭიროებს რაიმე დამატებით რეგლამენტაციას პარლამენტის მხრიდან⁶⁰. ამიტომაც პარლამენტის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების დაძლევა და გაუქმებული ნორმის შინაარსის დებულებების ხელახლა მიღება საკანონმდებლო კულტურისა და სამართლებრივი მართლშეგნების ყოველგვარ ზღვარს გადაცდება, მით უმეტეს, რომ საქართველოს პარლამენტის ისტორიაში მსგავსი პრეცედენტები უკვე არსებობს და არ უნდა განმეორდეს⁶¹.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უცხოელებზე გასხვისებაში უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ შეიძლება მიწას დანიშნულება შეუცვალონ და სხვა მიზნებისთვის გამოიყენონ, რაც მომავალში მიწისთვის სტატუსის შეცვლას გამოიწვევს. ეს მნიშვნელოვნად დაზარალებს საქართველოს, რომელიც ისედაც მცირემიწიანი სახელმწიფოა და სასოფლო-სამეურნეო მიწა ჭირს. ამიტომაც კანონმდებელმა აუცილებლად უნდა შექმნას იმგვარი მოწესრიგება, რომ მიწაც დაცული იყოს და მოსახლეობის ინტერესებიც: 1. უნდა დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც უცხო ქვეყნის მოქალაქე შეიძლება ფლობდეს; 2. კანონით უნდა აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის დანიშნულების შეცვლა და სხვა მიზნით გამოყენება; 3. უნდა განისაზღვროს საქართველოს სასოფლო მიწების ფართობის მაქსიმალური ზღვარი, რომელსაც შეიძლება ფლობდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან იურიდიული პირები; 4. უნდა დაწესდეს გონივრული შეზღუდვა იურიდიული პირებისათვის. მსგავსი შეზღუდვები მოქმედებს ძალიან ბევრ ევროპულ სახელმწიფოში და სწორედ საერთო-სახალხო ინტერესების დაცვის მიზნით იყო თავის დროზე შეზღუდვები მოფიქრებული, რადგან მიწა უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დანიშნულების მატარებელია, რომელსაც განსაკუთრებული დაცვა, სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი სჭირდება.

⁵⁹ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 63.

⁶⁰ Витрук Н. В., Конституционное Правосудие, Судебное Конституционное Право и Процесс, Москва, 1998, 27.

⁶¹ იხ., გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 71.

დასკვნა

პოსტსაბჭოთა სივრცეში საკონსტიტუციო სასამართლოები განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობენ. ხშირად სწორედ მათი აქტიური მონაწილეობით ხდება საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება. საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა „იუქლის ღვარძლისაგან გარჩევა“⁶², იგი უნდა ზედამხედველობდეს ხელისუფლების მიერ სწორი და ეფექტური კურსის განხორციელებას.

საკონსტიტუციო სასამართლო ზოგჯერ შესაძლებელია გარკვეულ ვადას აძლევდეს პარლამენტს, რათა მან თავად შეცვალოს კანონი და მოიყვანოს იგი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში⁶³. მაგრამ არცერთ შემთხვევაში თავად არ უნდა შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც ჩიხში შეიყვანს ქვეყანას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხსენებული ნორმების გაუქმებამ მთლიანად მოწესრიგების გარეშე დატოვა სამართალურთიერთობების ნაწილი. რა თქმა უნდა, რაციონალურ საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა უცილობლად სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუმცა საქართველოს მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ვერც ამ უკანასკნელს გამოვრიცხავთ. ამასთან, სრული თავისუფლების მიცემა, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისათვის, სასოფლო-სამეურნეო მიწების განკარგვის საკითხში, დაუშვებელია და სერიოზული რისკის შემცველია.

აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა აღმსარულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციის შედეგად შეიმუშავოს ქვეყნის ერთიანი სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით და დაადგინოს სამართლიანი, ერთგვაროვანი შეზღუდვები, რომელთა მთავარი დანიშნულებაც სასოფლო-სამეურნეო მიწების სარგებლიანობის შენარჩუნება იქნება. ამასთან, აუცილებელია, ხელისუფლებამ გაარკვიოს, თუ რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას მსგავს საკითხებთან დაკავშირებით, რადგან სწორედ ხალხმა უნდა დაუსახოს ხელისუფლებას პრიორიტეტები.

⁶² Pakalnytė K., The Lithuanian Constitutional Court: Its Nature, Structure, and Position in the Lithuanian Legal Order, *International Journal of Baltic Law*, Vol. 2, No. 1, 2005, 27.

⁶³ *Handbook of Polish Law*, Edited by Dajczak W., Szwarc A.J., Wilinski P., Adam Mickiewicz University, Poznan, 2011, 152.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა ერთგვარი მასტიმულირებელი ფუნქცია შეასრულოს და საზოგადოება აიძულოს საკითხს უფრო სერიოზულად მიუდგეს, ხელისუფლება კი დააფიქროს, რამდენად აუცილებელია ერთგვაროვანი ან განსხვავებული მიდგომები არსებობდეს სტრატეგიული დანიშნულების მქონე ობიექტებთან დაკავშირებით (იმის გათვალისწინებით, საბოლოოდ, მივიჩნევთ სასოფლო-სამეურნეო მიწას ასეთად, თუ არა).